# კვირის პალიტრა
## ყოველკვირეული გაზეთი

№40 (553) ◆ 3 – 9 ოქტომბერი. 2005 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

ქაღალდისა და პირველ რიგში, პრესის ტრანსპორტირებაზე ფასების ზრდასთან ერთად ყოველკვირეული გაზეთების გაძვირების პროცესი კარგა ხანია დაიწყო. „კვირის პალიტრა“ ბოლო დრომდე არ აძვირებდა გაზეთს. მკითხველს გვინდა მოვუბოდიშოთ, რომ ფასი შემდეგი ნომრიდან 10 თეთრით მოიმატებს. თუმცა აქვე დავძენთ, რომ თქვენი გაზეთი ამავე ნომრიდან კიდევ უფრო მრავალგვერდიანი გახდება. გვერდების მატებასთან ერთად მეტი შესაძლებლობა გვექნება, ახალი რუბრიკებიც შემოგთავაზოთ. „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით გთხოვთ მოგვაწოდოთ სურვილები, იდეები, რა თემებისა თუ რუბრიკების ხილვას ისურვებდით თქვენს გაზეთში დამატებით.

„კვირის პალიტრა“



## „საშინელებაა ყოველივე უცხოურით ასეთი აღტაცება“

პრიორიტეტების ძიებაში

„ერის კუთვნილებას ვინც უდიერად შეეხება, საკადრისად უნდა დაისაჯოს“

„გლეხს კილოგრამ ყურძენში 50 თეთრსაც არ აძლევენ. ქლიავი როგორ უნდა ღირდეს ყურძენზე ძვირი...“ გვ.6

## მიცვალებულმა განცხადებები „საკუთარი“ ხელმოწერებით დაადასტურა(?!)

გვ.5

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი 15 დღეა შიმშილობს

## „მოხარშე“ ემოცია



„ეს არის ქვეყანა, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ნებისმიერ კუთხეში, სადარბაზოში შეგიძლია შეიძინო ნარკოტიკი... ეს პირდაპირ ერის გენოციდია!“ გვ.33

## ახალი საშუალება ყაჩაღების არსენალში

...შეკვრა აილო. ჯიგარო, შენი ხომ არ არისო და შეკვრა სახესთან მომიტანა...

ისინი არასოდეს ნადირობენ შემთხვევით ადამიანებზე(?!) გვ.7

ხელწერის მიხედვით, თბილისში ამ საშუალებებით შეიარაღებული მხოლოდ ეს ერთი ჯგუფი უნდა „მუშაობდეს“.

## „დეპუტატი მურადხანოვი უშვერი სიტყვებით ლანძღავს საქართველოს“

„მივმართე სააკაშვილს, რომ მურადხანოვი გვერდში არ დაეყენებინა“ გვ.11,27



„ეს კაცი ბაქოში ანტიქართულ განცხადებებს აკეთებს“



## არც ისე ცოტანი ვართ, რომ ვინმეს თვალში ვეპატარავოთ

ეს ლაზი ძალზე საინტერესო ვინმეა. მამამისს ქუთაისის საპატივცემულოდ დაურქმევია მისთვის ქუთაი. ამერიკაში ლაზურ მუსიკას უწევს პოპულარიზაციას. ...სულ სხვა ტკივილი და სიყვარული აქვთ ყოველივე ქართულის და მით უფრო სიმღერის მიმართ. გვ.19

## რისთვის ემზადებიან?!



## ექსკლუზივი



„კვირის პალიტრამ“ სეპარატისტთა სამხედრო დაჯგუფებების განლაგების სქემა მოიპოვა! გვ.7

## სეპარატისტებმა ახალი ტრანშეები გათხარეს და იქ შუქიც კი შეიყვანეს...

...თამარაშენთან ტრანშეაა გათხრილი. იქ მყოფი მოხალისეების უფროსი ვოვა ქულეხსაევია. ტრანშეებია გათხრილი „ტექსტილის“ დასახლებაშიც, აქაურ დაჯგუფებას დიმა ტასოევი ხელმძღვანელობს. ეს გახლავთ სრული პროფილით აღჭურვილი სანგრები(!).

...ღრუბელას ხევში სამხედრო ბაზაა მოწყობილი, იმდენად გასაიდუმლოებულია, რომ ეუთოს დამკვირვებლებსაც არ უშვებენ... ჯავის მისადგომებთან მძიმე ტექნიკა დგას...

...მამისაანთუბანში, პლასტმასის ყოფილ საამქროში ბალა ბესტაევის დაჯგუფება, დაახლოებით, 100-120 კაცი დგას, რომელთაც თანდათან დაიწყეს ერგნეთისკენ გადანაცვლება...

ერთი ებრაელის სახლში, რომელიც ბალა ბესტაევმა მიითვისა, სასტუმროა მოწყობილი, სადაც კონსპირაციულად ცხოვრობენ ის რუსი ოფიცრები, რომელთაც ქალაქში გამოჩენა არ უნდათ. სავარაუდოდ, ისინი რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლები არიან...

## სად არის კოკოითის ბუნკერი?

### სად ათევდა ღამეს ცხინვალში „ზეიმზე“ ჩასული ბაღაფში?

„ზეიმის“ დღეებში ცხინვალის თეატრში სახალხო სასამართლო გაიმართა. სცენაზე, რკინის გისოსებმიღმა, ჟორდანიას, გამსახურდიასა და მიხეილ სააკაშვილის ფოტოების გვერდით ჰიტლერისა და მუსოლინის სურათები ეკიდა... იყო ბრალმდებელიც, რომელმაც ე. წ. „ქართულ ფაშიზმზე“ მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა, მოკლედ ამ ყველაფერში დიდი ფული დაიხარჯა... გვ.7



თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

## ხელისუფლებამ ოპოზიცია დაჯაბნა



შუალედური საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც ბევრი ინტერესით ადევნებდა თვალყურს, როგორც სააკაშვილის ხელისუფლების გამოცდას სამართლიანობასა და ობიექტურობაში, — შედგა. წინასაარჩევნო ციებ-ცხელება მძაფრი ბატალიებით, ობიექტური კრიტიკითა თუ გამოგონილი ბრალდებებით უკან დარჩა. შედეგი კი ოპოზიციისთვის მეტად არასახარბიელოა. პირველადი მონაცემებით, ხუთივე საარჩევნო უბანში სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს. ისნის მაჟორიტარი ბიძინა ბრეგაძე გახდა, ბათუმში — ჯემალ ინაიშვილმა გაიმარჯვა, ტყიბულში — პავლე კუბლაშვილმა, ქობულეთში — კობა ხაბაზმა, შუახევის რაიონში კი — ელგუჯა მაკარიძემ.

ოპოზიცია სახელისუფლებო კანდიდატების გამარჯვებას იმით ხსნის, რომ მათზე მთელი სახელისუფლებო რესურსი დაიხარჯა. ისნის მაჟორიტარობის კანდიდატმა გიორგი მოსიძემ კი განაცხადა — მე ბრეგაძესთან კი არა, სააკაშვილთან წავაგე არჩევნები და თუ მეც 5 მილიონს მომცემთ საარჩევნოდ, სააკაშვილსაც მოვუგებო(?!).

## ფინეთის პრეზიდენტის ვიზიტი



ევროკავშირი, ისევე როგორც აშშ და რუსეთი, საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში აქტიურად უნდა ჩაერთოს. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ფინეთის პრეზიდენტ ტარია ჰალონენესთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, 2006 წლიდან ფინეთი ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება. შესაბამისად, ფინეთს დიდი როლი მიენიჭება საქართველოში კონფლიქტების მოგვარების საკითხებში. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, გარდა ამისა, ფინეთი არის ქვეყანა, სადაც კორუფციის მასშტაბები ძალზე მცირეა. მისივე თქმით, საქართველომ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს ასეთ ქვეყანასთან და მასთან ეკონომიკური ურთიერთობები გააღრმავოს.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თუ საქართველოში ფინური ინვესტიციები შემოვა. ქართული კომპანიები აქტიურად ითანამშრომლებენ ფინურ კომპანიებთან“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. ფინეთი სკანდინავიის ქვეყნების პირველი სახელმწიფოა, რომლის პრეზიდენტიც საქართველოს ეწვია.

## ნაზარბაევი გვესტუმრა



ყაზახეთის პრეზიდენტი თბილისში ჩამოსვლისთანავე ბათუმში გადაფრინდა. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მას ბათუმის აეროპორტში დახვდა. ნურ- [illegible]

## კონტრაბანდისტი სამშვიდობოები დააკავეს

[illegible]

## კოკოითი სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს

[illegible]

## დეპუტატს მეუღლემ ესროლა

ხარაგაულის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს გოჩა ჩახვაძეს მეუღლემ ოთხჯერ ესროლა. როგორც დეპუტატმა ბესო ჯუღელმა განაცხადა, მისი ინფორმაციით, ეს იყო ოჯახური კონფლიქტი და ჩახვაძე უვნებელია. დეპუტატის სახლში რამდენიმე საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ თბილისის კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც შემთხვევის ადგილი უკომენტაროდ დატოვეს. ჩახვაძის მეუღლე გადაყვანილია წინასწარი დაკავების საკანში. მიმდინარეობს გამოძიება.

## „ოპიზის“ საქმის გამოძიება გადაიდო?!

საბაჟო ტერმინალ „ოპიზასთან“ დაკავშირებით დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისა და მისი თავმჯდომარის არჩევის საკითხი პარლამენტში გადაიდო. პარლამენტი საგამოძიებო კომიიის შექმნას გასულ კვირაში გეგმავდა, თუმცა როგორც უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ განაცხადა, დაგეგმილი საკითხი გადაიდო, რადგან ოპოზიცია არჩევნებით იყო დაკავებული და კონსულტაციებისთვის არ ეცალა. ოპოზიცია კი ეჭვობს, რომ უმრავლესობას უკან დახევა სურს და კომისიის შექმნას აღარ აპირებს. ამიტომაც მოუწოდა რესპუბლიკელმა დავით ბერძენიშვილმა, კომისიის შექმნას ძალიანაც ნუ გააჯანჯლებთო.

## მძღოლები აქციებს მართავენ



ლიცენზიის მქონე სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა ბროსეს ქუჩაზე ულიცენზიოდ მოძრავი მიკროავტობუსების აკრძალვის მოთხოვნით დღეს აქცია გამართეს. აქციის მონაწილეთა განცხადებით, ბროსეს ქუჩაზე ულიცენზიო ტრანსპორტის მოძრაობის გამო ქუჩა ძალიან გადაიტვირთა. ამან კი იქ მცხოვრებთა პროტესტი გამოიწვია და მათ ქუჩაზე მოძრაობა საერთოდ შეაჩერეს.

სამარშრუტო მიკროავტობუსების მფლობელთა განცხადებით, ამ საკითხით უნდა დაინტერესდეს ქალაქის მთავრობა და ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, რათა ბროსეს ქუჩაზეც შესაძლებელი გახდეს მიკროავტობუსების გადაადგილება. მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით, სამარშრუტო ტაქსებმა ძნელაძის ქუჩაზეც შეწყვიტეს მოძრაობა და სანაპიროსკენ გადაინაცვლეს.

## უვარგისი ფქვილის მიმწოდებლები დაისჯებიან

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტისთვის ფალსიფიცირებული, საკვებად უვარგისი პურის ფქვილის მიწოდების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. საქმე დეპარტამენტის საგამოძიებო ოპერატიულმა სამმართველომ ტენდერში გამარჯვებული შპს „ოშკის“ წინააღმდეგ აღძრა. როგორც სასაზღვრო უწყებაში აცხადებენ, მიმდინარე წლის 7 აგვისტოს დეპარტამენტის შიდა კონტროლის განყოფილებამ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე სამსახურებრივი შემოწმება ჩაატარა. შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ ფქვილი საკვებად უვარგისი იყო. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლით აღიძრა და ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციას გადაეცა.

## თავდასხმელს მიაკვლიეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარლამენტარ თამაზ ყაჭეიშვილზე თავდასხმის საქმე გახსნა და დამნაშავეთა ჯგუფი დააკავა. შს მინისტრ ვანო მერაბიშვილის თქმით, ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი გორში მცხოვრები შალვა გულიაშვილი, მეტსახელად „სემსოტაა“. იგი ადრე გორში საპატრულო პოლიციის ავტომანქანის დაყაჩაღებაშიც იყო ეჭვმიტანილი.

მინისტრის განმარტებით, გატაცებული ავტომანქანა „ჯიპი“, რომელიც ყაჭეიშვილს ეკუთვნოდა, ამჟამად ცხინვალშია გადაყვანილი. მანქანას ოსური ნომრები აქვს და ოს დამნაშავეს, მიხეილ ცხოვრებოვს, მეტსახელად „მიშიკას“ ჰყავს. ვანო მერაბიშვილი სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის შს მინისტრს თანამშრომლობისკენ მოუწოდებს და სთხოვს, ამ შემთხვევაში მაინც გადმოსცენ ეჭვმიტანილი ქართულ მხარეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მინისტრმა საქმის კურსში ჩააყენა საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი და სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვი. როგორც სამინისტროში განმარტავენ, ცხოვრებოვი ავტომანქანის რეალიზატორია და მის ხელში საქართველოდან გატაცებულმა 20-მდე ავტომანქანამ გაიარა.

## ნუ იყიდი „მკვლელს“



როგორც ჩანს, ზამთრის მოახლოებასთან ერთად საქართველოში კვლავ აქტუალური გახდება „მკვლელი“ ბუნებრივი აირის გამათბობელი ხელსაწყოების პრობლემა. ამიტომაც ჩეხური კომპანია „კარმა“ საქართველოს მოსახლეობას აფრთხილებს, უარი თქვან ნებისმიერი კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის შავ ბაზარზე შეძენაზე. ამის შესახებ „კარმას“ აღმასრულებელმა დირექტორმა პაველ იანაჩეკმა საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრეს ნიუსის“ დახმარებით მოწყობილ პრესკონფერენციაზე გააკეთა განცხადება. მისი თქმით, არსებობს არგენტინიდან ახალი „მკვლელი“ ხელსაწყოების შემოტანის საშიშროება. არგენტინაში ბოლო წლებში საქართველოს მსგავსად ბევრი მოქალაქე დაიღუპა გაზის გამათბობლებით. ამიტომაც იქაურ ბაზარზე სახელგატეხილმა კომპანიებმა (რომელთა სახელწოდებებსაც ჩეხი ბიზნესმენი არ ასახელებს) ევროპაში სცადეს შეღწევა. კერძოდ, უნგრეთში ეცადნენ სერტიფიკატის მიღებას, თუმცა, ამაოდ. ამის შემდეგ „მკვლელი“ ხელსაწყოები ქართულ ბაზარზე მოხვდნენ. იანაჩეკის განმარტებით, გამათბობლების შეტანა არც ერთ ქვეყანაში არ შეიძლება, თუ მათი დამზადების დროს არ იქნება გათვალისწინებული კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკა, ბუნებრივი აირის წნევა და ა.შ. ჩეხი ბიზნესმენი ქართველ მომხმარებელს მოუწოდებს, არ დაამონტაჟებინონ გაზის გამათბობელი ხელსაწყოები შემთხვევით პირებს და წელიწადში ერთხელ აუცილებლად გააწმენდინონ.

## შავ პიარს უწოდებენ?!



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დამოუკიდებელ მედიას მოუწოდებს, შექმნას დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც ბოლო პერიოდში პარლამენტის თავმჯდომარის მისამართით აგორებულ კამპანიას შეისწავლის. ბურჯანაძის განცხადების მიზეზი საგაზეთო პუბლიკაცია გახდა, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარის ე. წ. ტყუპებს, მშენებარე სახლებს ეხებოდა.

ბურჯანაძემ აღნიშნულ სტატიას პარლამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ მიმართული შავი პიარი უწოდა.

— როგორც ჩანს, ვიღაცას სჭირდება, რომ ჩემ მიმართ შავი პიარი აგორდეს. აუცილებლად გავარკვევ, ვინ დგას ამის უკან, ანუ ვინ არის დამკვეთი, თუმცა არანაირად არ შევეცდები და არც ვაპირებ კონკრეტული ჟურნალისტის დასჯას, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ნინო ბურჯანაძემ დაინტერესებულ პირებს შესთავაზა, თუ გსურთ დეტალური ინფორმაცია ჩემი ქონების შესახებ, ფინანსურ პოლიციას მიმართეთო.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ტყუპი სახლების მფლობელი სავარაუდოდ, რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენი ზურაბ ნონიაშვილია.

## ჯავახეთის ავტონომიის საკითხი დღის წესრიგში არასოდეს დადგება

სომხეთში ვიზიტით მყოფ ზურაბ ნოღაიდელს პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა ჯავახეთის ავტონომიის საკითხზე დაუსვეს შეკითხვა. „საზოგადოების ის ჯგუფი, რომელმაც ჯავახეთის ავტონომია მოითხოვა, მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილია და ეს მოთხოვნა რეგიონის მცხოვრებთა ნებას არ გამოხატავს“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. მისი თქმით, საქართველოში მხოლოდ სამი — აჭარის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ავტონომიები იქნება.

თავის მხრივ, სომხეთის პრემიერმა ანდრანიკ მარგარიანმა განაცხადა, რომ ჯავახეთის ავტონომიის საკითხი დღის წესრიგში არასოდეს დადგება.

## ტელევიზიის არქივიდან „ზვიად გამსახურდიას მონანიება“ გაქრა?!



საზოგადოებრივი ტელევიზიის არქივიდან უნიკალური კადრები დაიკარგა, მათ შორის, საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების მიერ 1978 წელს ჩაწერილი „ზვიად გამსახურდიას ე.წ. მონანიება“.

„საზოგადოებრივი მაუწყებლობის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ლევან თარხნიშვილის ცნობით, საზოგადოებრივი ტელევიზიის არქივიდან სხვა უნიკალური კადრებიც არის დაკარგული. მისი თქმით, თბილისის „დინამოს“ ძველი საფეხბურთო მატჩების მრავალი ჩანაწერიდან არქივში მხოლოდ რამდენიმე აღმოჩნდა.

ლევან თარხნიშვილი აცხადებს, რომ არქივის საკითხს შესაბამისი სამსახურები შეისწავლიან.

## გენპროკურორის მოადგილე გადადგა

გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე გიორგი ჯანაშია თანამდებობიდან გადადგა. ამ საკადრო ცვლილების შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გავრცელდა, თუმცა, მაშინ ეს ინფორმაცია გენპროკურატურაში უარყვეს. გიორგი ჯანაშია გადადგომის მიზეზებზე არანაირ კომენტარს არ აკეთებს.

## რუსეთი კურილის კუნძულებს არ დათმობს




რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ქვეყნის კონსტიტუციის შეცვლას და კრემლში „მუდმივად ჯდომას“ არ აპირებს. ასე უპასუხა პუტინმა რუსეთის ერთ-ერთი მოქალაქის შეკითხვას, რომელიც მესამე საპრეზიდენტო ვადის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებით დაინტერესდა. ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, საკუთარ ადგილს ყოველთვის ვიპოვიო და მთავარ ამოცანად ხელისუფლების სათავეში „ახალგაზრდა, განათლებული და ეფექტიანი მმართველების“ მოყვანა დაასახელა.



პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთი იაპონიისთვის კურილიის სადავო კუნძულების გადაცემის შესახებ მოლაპარაკებას არ გამართავს. კურილიის ოთხი კუნძული რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტის ქვეშაა, ეს განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლით. ეს მეორე მსოფლიო ომის შედეგია. ამ ნაწილში ჩვენ არაფერს ვცვლით, — თქვა პუტინმა.

## ქარიშხალი ვიეტნამში

ვიეტნამს თავს ძლიერი ტროპიკული ქარიშხალი „დემრი“ დაატყდა, რის შედეგად, წინასწარი მონაცემებით, ასეულობით ათასი ადამიანია ევაკუირებული.

ქარიშხალმა ვიეტნამის ჩრდილოეთ პროვინციებში სახლები დაანგრია და ხეები მოგლიჯა. მოსახლეობა ელექტროენერგიის და კავშირგაბმულობის გარეშეა დარჩენილი. „დემრი“ ვიეტნამს ჩინეთის კუნძულ ჰაინანიდან ეწვია, სადაც ქარიშხალმა 10 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ტროპიკულმა ქარიშხალმა სერიოზული ზიანი მიაყენა ჩინეთის სამხრეთში მდებარე გუანდუნის პროვინციასაც. 2 500-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი დაინგრა და დაზიანდა. 6 000 ჰექტარზე მეტ ფართობზე სასოფლო-სამეურნეო ნათესებია განადგურებული.



# „ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ და მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ"



„კავკასია მათთვის კარგი კლიმატი, პლაჟი და პალმებია, აქედან გააგდებ მაგათ?"

**„ისინი სპექტაკლს თამაშობენ და თან დაგვცინიან, იმიტომ რომ ძალა ალმართს ხნავს"**

[illegible]

განიზაციებში და კერძოდ, ევროკავშირში არსებული ამ მრავალხმიანობით რუსეთი სარგებლობს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით რუსეთი ცდილობს თავისი გაიტანოს. უკვე რუსი ოფიციალური პირები აცხადებენ — ყველაფერი უცვლელად ხომ არ იქნება, საქართველო უნდა შეეგუოს ტერიტორიების დაკარგვასო. ხომ ხედავთ, სლისკა არც მალავს უკვე რუსეთის ხელისუფლების მიზნებს.

ყველა ანგარიშს უწევს ძლიერ ქვეყანას, აქ მოქმედებს გეოგრაფიული ფაქტორიც. საქართველო 200 კმ-ით მაინც რომ ყოფილიყო რუსეთის საზღვრებს დაცილებული, სხვაგვარად იქნებოდა საქმე. ცხადია ის, რაც აჭარაში ვერ გააკეთა რუსეთმა, იოლად მოახერხა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, რომელთანაც საზღვარი ჰქონდა. რუსეთს ექსპანსიონიზმში გამოცდილება არ აკლია და ამას კარგად იყენებს ჩვენს წინააღმდეგ.

— ერთს ვიტყვი, ხელისუფლებაც ისეთივეა, როგორც საზოგადოება. ის მთვარიდან კი არ ჩამოფრენილა. როგორი პოლიტიკური კულტურაც გვაქვს, ისე ტარდება არჩევნები, ისეთი ურთიერთობა აქვს ხელისუფლებას და ოპოზიციას. მათი ოპონირება უკვე პირად მტრობაშია გადაზრდილი, რაც არანორმალურად და დაუშვებლად მიმაჩნია. თამაშის წესების დაცვა პოლიტიკოსისთვის აუცილებელია. ამ მხრივ ხელისუფლებაც სცოდავს და ოპოზიციაც. მაგრამ ხელისუფლებას მეტი რომ მოეთხოვება, ფაქტია. მაღიზიანებს, რომ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი დაუნდობლად, აგდებითა და ცინიზმით ექცევა ოპონენტს...

კავკასია აღმოჩნდა რეგიონი, სადაც რუსი სამხედროები დათარეშობენ. ყოფილ საბჭოთა სივრცეში ვერსად ნახავთ რუს სამხედროებს — ისინი მხოლოდ კავკასიაში ჩანან, ფულს აკეთებენ და მოკლედ რომ ვთქვათ, გრიალებენ. კავკასიაში სამხედრო პირთა დომინირება რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. არაერთი მარცხის შემდეგ რუსი სამხედროებისთვის კავკასიაში დამარცხება უკვე მეტისმეტი იქნება. ამიტომაც ისინი აქ ყოფნით ცდილობენ შელახული ღირსების შენარჩუნებას. კავკასია მათთვის კარგი კლიმატი, პლაჟი და პალმებია, აქედან გააგდებ მაგათ? რუსეთის ხელისუფლება ფიქრობს — ისედაც განაწყენებული სამხედროების კიდევ გაბრაზება როგორ შეიძლება, ამიტომ სჯობს კავკასიაში ითარეშონ, იქ მაინც იგრძნონ თავი ძლიერებადო.

— **საქართველოს მეგობარი აშშ ყოველთვის მიუთითებს — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგესო. რუსეთი მის იგნორირებასაც გაბედავს?**

— აშშ-ის პრეზიდენტი საქართველოში რომ იყო, გვითხრა, თქვენი ქვეყანა უნდა გამთლიანდესო. რუსები ამერიკის პრეზიდენტის ნათქვამს ვერ უგულებელყოფენ, მაგრამ ისეთი პოზა დაიჭირეს, თითქოს ვერ გაიგონეს მისი სიტყვები ან კიდევ ჩვენი მისამართით არ იყო ნათქვამი. ამას წინათ, როდესაც ცხინვალში ინციდენტი მოხდა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა განცხადება, რომლითაც რუსეთს თითი დაუქნიეს, — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაცული უნდა იყოსო. ეს თითის დაქნევა ჩვენთვისაც იყო — წესრიგი დაიცავით და არ დაუშვათ ცხინვალში ძალისმიერი მოქმედებებიო. ალბათ ამ თემაზე რუსეთსა და შტატებს შორის კონსულტაციები მიდის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აშშ თავის ნათქვამს არ გადაუხვევს და საქართველოს ინტერესებს დაიცავს. თუ აშშ და მასთან ერთად მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები გაჯიუტდ-

[illegible]

ბი უდევთ ჯიბეში, რუსები მშვიდობისმყოფელები ვერ იქნებიან. ისინი ამ შემთხვევაში ობიექტური საქმის გამრჩევი ვერ იქნებიან და უკვე სასაცილოც არის მათი მშვიდობისმყოფელობა. მაგრამ ურცხვად, უტიფრად ირგებენ მშვიდობისმყოფელების ნიღაბს, სპექტაკლს თამაშობენ და თან დაგვცინიან იმიტომ, რომ ძალა ალმართს ხნავს. თავის სამეზობლოში რუსეთი ძლიერია და ამას უნამუსოდ იყენებს. საერთაშორისო ურთიერთობებში კი სინდის-ნამუსი ძალიან ცოტას ნიშნავს, იქ მთავარი ინტერესებია. რუსეთს აინტერესებს საქართველოს დასჯა და ჩვენი ტერიტორიების მითვისება — ამას აკეთებს კიდეც. საქართველოს განცხადება ძალზე დროული, ლოგიკური და საჭირო იყო. აქამდეც ყველა ხედავდა, რომ საქართველოს ტერიტორიის ძალით მიტაცება ხდებოდა, უნამუსოდ მიჰქონდათ რუსებს. კარგია, რომ ამას ახალმა ხელისუფლებამ მკვეთრად გაუსვა ხაზი და პრობლემა წინ წამოსწია. ეს განცხადება ფაქტობრივად არის კივილი, რომელიც გვინდა, რომ ჩვენმა გულშემატკივრებმა გაიგონონ და გაიგონ, რომ მათ მეგობარს აწვალებენ. მთელი მსოფლიოს გასაგონად გამოთქმული პროტესტი ალბათ ნაყოფს გამოიღებს. ვფიქრობ, ეს გათვალა იმან, ვინც ეს გააკეთა.

მოლაპარაკება ყოველთვის შეიძლება. ჩვენ და რუსები მეზობლები ვართ, ერთმანეთს ვერ გავექცევით. ამიტომ უნდა გამოინახოს მოდუს ვივენდი (ამ შემთხვევაში პირობები, რაც ორ მოწინააღმდეგე მხარეს შორის დროებით მაინც მოგვცემს მშვიდობიანი ურთიერთობის საშუალებას). რუსეთი მოდუს ვივენდის გამონახვას არ ცდილობს, თავისი ინტერესების განსახორციელებლად სუსტ რგოლს, აფხაზებსა და ოსებს იყენებს შედარებით ძლიერი საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთი თეთრ ცხენზე ამხედრებულს ჰგავს, ეს თეთრი ცხენი — ნავთობი და გაზია. ამის გამო მთელი ევროპა რუსეთზეა დამოკიდებული და ამიტომაც აშშ-იც ანგარიშს უწევს. მაგრამ ასეთი ძლიერი რუსეთიც ვერ უგულებელყოფს საერთაშორისო ორგანიზაციების აზრს. დედამიწაზე ყველაფერი რუხი ფერისა არ არის. არ ვიფიქროთ, რომ გაჭირვებაში ყველა მიგვატოვებს. იმედი მაქვს ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობისა, რომელსაც ანგარიშს უწევენ.

ზოგიერთი პოლიტიკური ძალა აცხადებს, რუსებთან რომ კარგად ვყოფილიყავით, ამ ტერიტორიების დაკარგვის საშიშროება არ შეიქმნებოდაო. ეს ყველაფერი ზღაპარია. რუსეთმა ეს კონფლიქტი ბევრად უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ფაქტობრივად გაცხადდა. ის ნელა ახდენდა ჩვენს ანექსიას და ახლა უნდა საქართველოს ტერიტორიები ლეგალურად და სამართლებრივად მიისაკუთროს. ამას ხედავს ჩვენი ხელისუფლება, პრეზიდენტი და ამიტომაც გაააქტიურა ეს პრობლემა. ომი ვის არ წაუგია, მაგრამ ქვეყნის მეთაურის მოვალეობაა გაიმარჯვოს. ეს იცის სააკაშვილმა და ბუნებრივი იყო მისი მოწოდება — წავიდეთ გამარჯვებისკენო. რა თქმა უნდა, მას ზოგიერთი ქვეყნის იმედი აქვს, მაგრამ უპირველესად საკუთარ ხალხზე უნდა იყოს დამოკიდებული. აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთიც ჩვენთვის სასიცოცხლო საკითხია, ამიტომ ამ ტერიტორიების დასაბრუნებლად მთელი ერი უნდა დაირაზმოს.

— **გასულ კვირას საქართველოს ფინეთის პრეზიდენტი ქატუმრა, რომელიც გაისად ევროკავშირის ხელმძღვანელი გახდება, გამოთქვა პროგნოზი, ამ ვიზიტის შემდეგ ევროკავშირის დახმარების იმედი მეტად უნდა გვქონდესო, თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— კონტრშეკითხვით გიპასუხებთ — აბა, რისთვის ჩამოვიდა ტარია ჰალონენი, ძველი თბილისის და საქართველოს სანახავად? მარტო ეს ხომ არ იქნებოდა მისი სტუმრობის მიზეზი. ეს ვიზიტი გათვლილი და გამიზნული იყო. აქედან სავსებით გასაგებია, რატომაც ჩამოვიდა. თავის დროზე ფინეთმა სწორედ ის იწვნია საბჭოთა კავშირისგან, რასაც ჩვენ ახლა ვგრძნობთ. ყველას მოვუწოდებ, ყურადღებით წაიკითხონ 1939-40 წლების ე. წ. „ზამთრის ომის" ისტორია, როდესაც საბჭოთა კავშირი ფინეთს დაესხა თავს. ეს ძალიან კარგი მაგალითია ყველა პატარა, მცირერიცხოვანი ერისთვის... როგორ უნდა მოიქცეს იმ შემთხვევაში, როდესაც საკუთარ სამშობლოს იცავს. ფინელებმა მაშინ ღირსეულად იბრძოლეს, ბევრი დაკარგეს, მაგრამ გადარჩნენ როგორც ერი და ქვეყანა. ქართველებსაც ღირსეული ბრძოლა გვმართებს, თანაც ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ და მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ.

— **საქართველოსა და რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნების 5-საათიანი დიალოგის შემდეგ იგორ ივანოვმა განაცხადა, რუსეთსა და საქართველოს შორის დაპირისპირების მიზეზები მოისპობაო. რამდენად დამაიმედებელია მისი ნათქვამი?**

— ამ შეხვედრის შემდეგ რამდენიმესიტყვიანი განცხადება გავრცელდა — მოლაპარაკება კონსტრუქციული იყოო. ეს ნიშნავს, რომ ორივე მხარემ თავისი პოზიციები გამოხატა და ეს პოზიციები განსხვავებულია. შემდეგ ითქვა, ჩვენ შორის არსებული პრობლემების ასეთი გულწრფელი განხილვა ჯერ არ ყოფილაო. თუკი ივანოვი გულწრფელი იყო, მაშინ იტყოდა — აფხაზეთი და სამაჩაბლო თქვენია, მაგრამ ჩვენ წავიღებთო. მას რომ რაიმე სასიკეთო ეთქვა, ხომ მეტი დაიწერებოდა. დროა, ვისწავლოთ დიპლომატიური ფორმულირებების წაკითხვა. რომ ეთქვათ, მოლაპარაკებამ მეგობრულ და გულწრფელ ატმოსფეროში ჩაიარაო, უნდა გვეგულისხმა, რომ ლამის აგინეს ერთმანეთს, ხოლო რომ განეცხადებინათ, მეგობრულ და ძმურ ატმოსფეროში ჩაიარაო, ვიგულისხმებდით, რომ პოზიციები ერთნაირი იყო და ორი მხრიდან მცირე შენიშვნები გამოითქვა.

რუსეთს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიტაცება უნდა და ასე იოლად არ აიღებს ხელს განზრახვაზე. ათასგვარ მაიმუნობას იმისთვის სჩადიოდა, რომ აქედან კუდამოძუებული წასულიყო? უამრავ სისაძაგლეს წერენ რუსი ანალიტიკოსები: საქართველო ჩვენ ავაწყვეთ და ჩვენვე დავშლით, თუ რამე აქვს საქართველოს, ყველაფერი რუსეთმა გაუკეთაო...

საქართველოს კი აქვს მრავალათასწლიანი ისტორია, მაგრამ ის ახალგაზრდა, 14 წლის სახელმწიფო წარმონაქმნია. აქედანაც უმეტესი დრო სამოქალაქო თუ ეთნოკონფლიქტებსა და ანარქიაში გავატარეთ. ამიტომ ჩვენი მოსახლეობა არ არის ჯერჯერობით იმ დონეზე, რომ მისი პოლიტიკური და ეკონომიკური კულტურა სტაბილური ქვეყნის აშენების წანამძღვრებს ქმნიდეს. ასეთ დროს ხელისუფლებამ უნდა შექმნას მყარი სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლის ამოქმედების შემთხვევაში მნიშვნელობა არ ექნება, ვინ მოვა ან ვინ წავა ხელისუფლებიდან. ჩვენ „ბნელეთიდან" მოსული საბჭოთა კავშირის შვილები ვართ, ამიტომაც არავის ვენდობით. ავანტიურიზმი, გაიძვერობა და ტყუილი გვჭირვეია, არ გვინდა არჩევნების ნორმალურად ჩატარება...

— **რაკი არჩევნები ახსენეთ, გასული კვირის შუალედურ არჩევნებსაც შევეხოთ, რომლის დროსაც საკმაოდ მწვავე ურთიერთბრალდებები გაისმა ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხრიდან.**

— ერთს ვიტყვი, ხელისუფლებაც ისეთივეა, როგორც საზოგადოება. ის მთვარიდან კი არ ჩამოფრენილა. როგორი პოლიტიკური კულტურაც გვაქვს, ისე ტარდება არჩევნები, ისეთი ურთიერთობა აქვს ხელისუფლებას და ოპოზიციას. მათი ოპონირება უკვე პირად მტრობაშია გადაზრდილი, რაც არანორმალურად და დაუშვებლად მიმაჩნია. თამაშის წესების დაცვა პოლიტიკოსისთვის აუცილებელია. ამ მხრივ ხელისუფლებაც სცოდავს და ოპოზიციაც. მაგრამ ხელისუფლებას მეტი რომ მოეთხოვება, ფაქტია. მაღიზიანებს, რომ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი დაუნდობლად, აგდებითა და ცინიზმით ექცევა ოპონენტს. მათი ურთიერთობა, თანამშრომლობა სამართლიანობასა და კონსტრუქციულობაზე უნდა აიგოს — ასე გაიმარჯვებს ქართული სახელმწიფო. ესენი კი ისე ეკინკლავებიან და მტრობენ ერთმანეთს, შესაძლოა ამას ქვეყანაც გადააყოლონ. არჩევნების მსვლელობის შესახებ და დარღვევებზე ორივე მხარის პოზიცია მოვისმინე. ალბათ ერთმაც შესცოდა და მეორემაც. თქვენი კოლეგა ჟურნალისტები ტირიან — თავისუფლება შეგვიზღუდესო. რა, განა ყველა ჟურნალისტი სუფთაა? ხომ ვიცი, რომ 100 დოლარად ვისაც მინდა გააშავებენ და გაათეთრებენ. საბედნიეროდ, ყველა ასეთი არ არის, კარგი ჟურნალისტები და გაზეთები რომ არ იყოს, ვაი ჩვენი ბრალი... ასევეა პოლიტიკაშიც. ხელისუფლებისთვის ბრძოლა ყველაზე დაუნდობელია. ჩვენი პოლიტიკური კულტურიდან გამომდინარე კი ეს დაუნდობელი ბრძოლა ასე გამოიყურება: რაც არის, ეს არის! სამწუხაროდ, ჩვენ ჯერჯერობით ისეთ დონეზე ვართ, რომ ვერც არჩევნების ნორმალურად ჩატარება ვისწავლეთ და ვერც არჩევნებში მონაწილეობა.

*იზო რიკაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჩემო დიდო ღმერთო, მიშველე მე“



ისე აკლდა დედასამშობლოს მონყვეტილ ქართველობას ჩვენი მიფერება, მგონი, ახლა გადავაჭარბეთ კიდეც, — ისინიც ჩვენნაირი ქართველები არიან. მათი განმასხვავებელი ნიშანი მხოლოდ ის არის, უცხო ქვეყანაში თავს მოდუნების ნება რომ არ მისცეს. შეინარჩუნეს საუკეთესო ქართული თვისებები — ჯიში, ერთიანობა და შრომისმოყვარეობა... ძველისძველი, მრავალსაუკუნოვანი ქართულით მეტყველება რომ არა, თბილისში სტუდენტ ფერეიდნელებს სხვებისგან ვერ გამოარჩევ. მათაც, სოფლიდან ჩამოსული პირველკურსელებივით, არ აქვთ ჭერი, ბინის დასაქირავებლად კორპუსიდან კორპუსში დადიან და მშობლები ფულს ისე უგზავნიან, როგორც, ვთქვათ, საჩხერელ ან ჩხოროწყუელ გოგო-ბიჭებს... შეეძლოთ ოქსფორდშიც ესწავლათ, მაგრამ რადგან იციან, რომ სამშობლო მხოლოდ თავზე ჭერი (თანაც მდიდრული) და თბილი საწოლი არ არის...

*ნოდარ კოჭლამშვილი,* პროფესორი: — ლექსოს და ნათიას რომ უყურებთ, ამათი მამა-პაპა ნაღდი ქართველები იყვნენ და თვითონაც ნაღდები გამოვიდნენ. ლექსოს მამა-ბიძას მე ვასწავლე ქართული ანბანი. 1965 წელს მხოლოდ 15-მა ფერეიდნელმა ისწავლა წერა-კითხვა, ახლა ყველამ იცის. დაბადებულიც არ იყო, მამამისს თეირანში „ვეფხისტყაოსანი“ რომ ჩავუტანე. ბიჭმა ექვსი წლიდან იმ „ვეფხისტყაოსნიდან“ ნახატების გადმოხატვა დაიწყო. მასწავლებელი ორიანს უწერდა — ალბათ უფროსები გიხატავენო... ჩვენს პრეზიდენტს თქმაც არ დააცალა, — სამშობლოში ჩამოდითო, ისე გამოჰყვა თან... სამხატვრო აკადემიაში მივილეთ, — ქართველებმა ბევრი უნდა ვისწავლოთ, სხვანაირად ქართველობას ველარ შევინახავთ...

*ნათია თავაძე:* — ველარ მოვისვენეთ და... დამთავრებული მაქვს თეირანის უნივერსიტეტი, მაგრამ სულ სხვაა, შენს სამშობლოში, შენი ხალხის გვერდით, მშობლიურ ენაზე რომ იღებ განათლებას... ოთხასი წლის მანძილზე ფერეიდანში წინაპარი არ მყავდა, სამშობლოში დაბრუნებაზე არ ეოცნება და როცა ამის შესაძლებლობა მომეცა, იქ რა გამაჩერებდა. სხვათა შორის, მინდოდა ბატონ პრეზიდენტისათვის მადლობა მეთქვა, მაგრამ არ მიმიშვეს... თუ შეიძლება თქვენ დაწერეთ და უთხარით მადლობა იმიტომ, რომ ჩვენ — მე და ჩემი მეუღლე ლექსო დარჩიაშვილი, ბედნიერები ვართ, რადგან სამშობლოში ვცხოვრობთ და ვსწავლობთ. ის უთუოდ გამიხსენებს — მე ის გოგონა ვარ, რომელიც ფერეიდნის გუბერნატორთან ქართულ ენაზე თარჯიმნობდა... ლექსოს ნახატები თეირანში დარჩა. გიჟდება ჩემი დედამთილი ამ ტილოებზე — „საკუთარ თოლსავით შევინახავო“. სხვათა შორის, ლექსოს ბევრი პორტრეტი აქვს გაჩუქებული — ილიას, აკაკის, ვაჟას, ბარათაშვილის... ჩვენი მწერლების სურათებს სად აღარ დაეძებდა თურმე ჩემი მამამთილი. საქართველოდან ჩამოსულებიც ჩუქნიდნენ. არაერთხელ ყოფილა მასთან ბატონი ნოდარი. ჩვენთანაც მოვიდა. პატარა ვიყავი, ტირილი დავიწყე, აქ არ მინდა, საქართველოში წამიყვანე-მეთქი. მაშინ როგორ უნდა წამოვეყვანე! ნუ ტირი, მეორედ რომ ჩამოვალ, საჩუქარს ჩამოგიტანო. ქართული სიმღერების ნოტები ჩამომიტანე-მეთქი — სხვა ვერაფერი მოვიფიქრე. ვგიჟდებოდი ქართულ სიმღერაზე, ქართულ სიტყვებზე, ხანდახან ჩემს თავს ველაპარაკებოდი... ჩემი მეუღლის ოჯახსაც უგონოდ უყვარს საქართველო... სხვათა შორის, ჩვენ, ფერეიდნელი ქალები, თითქმის არასოდეს მივყვებით ცოლად უცხოს... ეს იძულებით კი არ ხდება, ისევე ბუნებრივია, როგორც მამის მორჩილება. ძალიან მიყვარდა ლექსო, მაგრამ მამას რომ ეთქვა, არ გაყვეო, ვერ გავყვებოდი.

*ლექსო:* — ბავშვობაში მამას უნებურად სპარსულად რომ გამოველაპარაკებოდი, ან პასუხს არ გამცემდა, ან მეტყოდა — რას ლაპარაკობ, ვერ ვიგებო... ძალიან უხაროდა, რომ ვხატავდი. თვითონაც ხელოვანია. ფიჩხისგან თვეობით თლიდა დედაენის ასოებს... ერთი დიდი დაფა გააკეთა, სახლის შესასვლელში დაკიდა და ასეთი ასოებით დააწერა: „ჩემო დიდო ღმერთო, მიშველე მე“.

*ნათია:* — ჩემი დედამთილი სულ ცოტა ხნის წინ ტურისტულ ჯგუფს ჩამოჰყვა საქართველოში. რაჭაში ყოფილან... გაოგნებული ჩამოვიდა, შინიდან გვყრიდა — წადით თქვენს სამშობლოში, ნახეთო. ამბობდა, ერთი კვირა არ მიძინია. ვიჯექი, მთვარეს შევყურებდი და ვფიქრობდი, ჩემი წინაპრები ამ სილამაზეს რომ ტოვებდნენ, ალბათ გზაში რა მწარედ ტიროდნენ, ნეტა ცოცხალი როგორ დარჩნენო... რამდენიმე დღის წინ ხევსურეთში ვიყავი. ღმერთო, რა ლამაზია! იცით, რა მოხდა? ხევსურების ლაპარაკი გავიგე: თბილისიდან ჩასულ ქართველებს არ ესმოდათ ზოგიერთი სიტყვა და მე გავიგე! ისინი ხმარობენ ასობგერა ჴ-ს. ანბანში ეს ასო უკვე აღარ არის. ჩვენ, კი, მეტყველებაში შევინახეთ. ხევსურებსაც შეუნახავთ. ასე რომ, ხევსურებმა „ჴევი“ რომ თქვეს, ხელად მივხვდი, „ხევი“ რომ იყო. ფერეიდანშიც ასე ვძახით...

— გაჭირვების არ გეშინიათ?

— აქ ჩვენი მიწა-წყალია. სულ ვამბობ ხოლმე, ისე ხომ არ გამიჭირდება, ჩემს მამა-პაპას რომ გაუჭირდა აქედან წასვლა-მეთქი.

*ლექსო:* — აქ ნათესავი არ გვყავს, ყველაფერს ბატონი ნოდარი გვასწავლიდა... ახლა ბევრი ნათესავივით გვექცევა... სამხატვრო აკადემიის რექტორი ბატონი გია ბუღაძე რომ დამინახავს, გამოწვდილი ხელით მომაშურებს, რომ ჩამომართვას... ჩვენ არ შეგვიძლია, ვერასოდეს გავაცდენთ ლექციებს, ან როგორ უნდა გავაცდინოთ, როცა სწავლის ფულს სახელმწიფო გვიხდის. ხომ შეეძლოთ, ეს ფული სხვა რამეში დაეხარჯათ. ესე იგი, ჩვენ სამშობლოს ვჭირდებით და სინდისი შეგვაწუხებს, რომ არ ვისწავლოთ... ვერც გაჭირვების გამო გავიქცევით. აქაურებსაც ხომ გიჭირთ, მაგრამ იბრძვით... ერთად ვიბრძოლოთ!

***ეთერ ერაძე***

# ახალგაზრდა კომპოზიტორის „მოგზაურობა“ უცხოეთში



სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელში ამერიკაში ჩაწერილი კომპაქტ-დისკი, რომელიც კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვისაა განკუთვნილი და ასეთი წარწერა აქვს: „ნადარეიშვილი, პროკოფიევი, შოსტაკოვიჩი“. ისიც შევიტყვე, რომ კომპოზიტორი **ზურაბ ნადარეიშვილი** ახალ მუსიკალურ ნაწარმოებს ქმნის ამერიკაში მოღვაწე სანქტ-პეტერბურგის სიმებიანი კვარტეტის დაკვეთით.

— *რაღა მაინცდამაინც თქვენი მუსიკა აირჩიეს?*

— ქართულ ბგერას სხვა მუხტი აქვს, მაგრამ უცხოელები იმასაც ითვალისწინებენ, რომ ეს ყველაფერი ძალზე იაფი უჯდებათ. თუ მე, ვთქვათ 300 ან 500 დოლარი უნდა გადამიხადონ, იმავე სამუშაოში უცხოელი 5-10 ათასს მოითხოვს. ამდენად, ისინი ორმხრივად რჩებიან მოგებული.

— *სანქტ-პეტერბურგის კვარტეტზე რას იტყვით?*

— კვარტეტი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ერთ-ერთი გასტროლის დროს ამერიკაში დარჩა, ქალაქ კლივლენდში.

— *თქვენი თანამშრომლობა როდის დაიწყო?*

— მათ პროგრამაში აღმოჩნდა საკავშირო კონკურსში გამარჯვებული ჩემი პირველი კონცერტი. შემდეგ არაერთხელ მომცეს შეკვეთა ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

— *თავად თუ მოგისმენიათ ამ კვარტეტისთვის უშუალოდ კონცერტზე?*

— მხოლოდ ერთხელ, ჰოლანდიაში. ამსტერდამში ვიყავი კვარტეტთან ერთად ერთკვირიან გასტროლზე. სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ კვარტეტმა პირველ განყოფილებაში შოსტაკოვიჩის, მეორეში კი ჩემი ნაწარმოებები შეასრულა. ეს დიდი პატივი იყო ჩემთვის.

...აი როგორ ეხმაურება ზურაბ ნადარეიშვილის მუსიკას უცხოური პრესა:

„ნადარეიშვილის „კვარტეტის“ ჰარმონიული კილო ზემიწევნით თანამედროვეა — ფესვგადგმული ხალხურ სტილში... თანაც, ისეთი მელოდიური დასასრულია, თითქოს ანგელოსთა გუნდის ხმა ისმის...“ — *„სან-ანტონიო ექსპრეს ნიუსი“* (აშშ).

„მისი თემები გულგრილს არავის ტოვებს. ეს გახლავთ ძალზე სერიოზული მისწრაფების მქონე „კვარტეტი“, რომელსაც კვლავაც სიამოვნებით მოვუსმენთ“. — *„ზი მორნინგ ქოლ“* (ისრაელი).

„ნადარეიშვილი თავის „კვარტეტში“ საკრავების ფართო პალიტრას იყენებს. იგი მეტად სევდიანი კომპოზიციით ერთბაშად იპყრობს მსმენელს“. — *„დალას მორნინგ ნიუსი“* (აშშ).

ბუნებრივია, საქართველოს მუსიკალურ სამყაროში კარგად იცნობენ კომპოზიტორის შემოქმედებას, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი უცხოეთში უფრო პოპულარულია. ამ ფაქტის „კომპენსაციას“ ქართველი მსმენელი და მაყურებელი მალე ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე მიიღებს ზურაბ ნადარეიშვილის ოპერის („აფანიფტე და ფორმისიდე“) ხილვით...

მანამდე კი... მანამდე ისევ დაუსწრებლად, მაგრამ წარმატებით „მოგზაურობს“ უცხოეთის მრავალ ქვეყანაში...

***თამარ კაპანაძე***





# ახალი წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე!

ახალი

| გამომცემლობა „კვირის პალიტრა“ | |
|---|---|
| ყველაზე სასაცილო (კურიოზების კრებული) | 5 |
| ოტია იოსელიანი – „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები“ (მ.ყდ) | 8 |
| გოჩა დვალი – ანტიდეპრესანტი | 5 |

| გამომცემლობა „თბილისელები“ | |
|---|---|
| გ. მანველიძე – „ძმები“ | 7 |
| გ. მანველიძე – „იდუმალი ორდენი“ | 7 |
| გ. მანველიძე – „მორიელი“ | 7 |
| გ. მანველიძე – „საკონტროლო გასროლა“ | 7 |
| ნ. წულუკიძე – „მწვანეთვალება ანგელოზი“ | 7 |
| ნ. წულუკიძე – „ილუზიები“ | 7 |
| ნ. წულუკიძე – „სულის ყვირილი“ | 7 |

ახალი

| „ლოგოს პრესი“ | |
|---|---|
| სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი | 10.50 |
| ანა კალდიაშვილი – „ძველი ეგვიპტე“ | 7.80 |
| ოთარ ჭილაძე – „ბედნიერი ტანჯული“ | 8.20 |
| ქართული მითების სამყარო | 7.80 |
| ენდრიუ ჰეივუდი „პოლიტიკური იდეოლოგიები“ | 8.90 |

| „ელფის“ გამომცემლობა | |
|---|---|
| **საქართველოს საბავშვო ენციკლოპედიების სერია (5-წიგნად)** | |
| საქართველოს საბავშვო ატლასი | 15 |
| ჩემი საქართველო | 20 |
| საქართველოს დიდი მეფეები | 16 |
| **კომპიუტერი დამწყებთათვის (5-წიგნად)** | |
| „ვორდი“ დამწყებთათვის | 7,5 |
| „ექსელი“ დამწყებთათვის | 7,5 |
| კომპიუტერის ლექსიკონი | 6 |
| ინტერნეტის სახელმძღვანელო | 12 |
| კომპიუტერის სახელმძღვანელო | 11 |
| **სერია - 100 და 10 საუკეთესო (7-წიგნად)** | სულ - 19 |
| „მსოფლიოს 10 საუკეთესო ზღაპარი“ | |
| „10 საუკეთესო ქართული მოთხრობა“ | |
| „100 საუკეთესო იგავ-არაკი“ | |
| „100 საუკეთესო ქართული ლექსი“ | |
| „100 ინგლისური საბავშვო ლექსი“ | |
| **მსოფლიოს საბავშვო ბესტსელერები (24-წიგნად)** | |
| I-IV ტომი (იასონი და ოქროს საწმისი, კლეოპატრა, კოლუმბი, რაინდები) | 26 |
| **სერია საგანმანათლებლო ინოვაციები** | |
| მე მიყვარს მათემატიკა (4 წიგნი) | 12 |
| მხიარული არითმეტიკა (წიგნი-სათამაშო) | 8 |
| ზოგადი უნარჩვევების განვითარებისათვის (2 წიგნი) | 14 |
| ჩემი პირველი ლექსიკონი | 6 |
| მხიარული დედაენა | 7 |
| **საკუთარი თავის ფსიქოლოგი** | |
| ცხოვრების 7 საიდუმლო | 7 |
| **მსოფლიოს ეკონომიკური ბესტსელერები** | |
| საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება | 10 |
| ინფლაციის თეორია | 6 |

ახალი

| | |
|---|---|
| მ. ხერგიანი – კაცი ლეგენდა | 30 |

| ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | |
|---|---|
| **საბავშვო** | |
| დინოზავრები | 19 |
| ადამიანის ორგანიზმი | 19 |
| კოსმოსი | 19 |
| მსოფლიოს უდიდესი საოცრებანი | 19 |
| ბიბლიის ატლასი | 23 |
| ფიფქია და სხვა ზღაპრები | 12 |
| წითელქუდა და სხვა ზღაპრები | 12 |
| სამი გოჭი და სხვა ზღაპრები | 12 |
| ხუთკუნჭულა და სხვა ზღაპრები | 12 |
| მსოფლიოს ატლასი | 20 |
| ჰარი პოტერი I ნაწილი | 5 |
| ჰარი პოტერი II ნაწილი | 9 |
| ჰარი პოტერი III ნაწილი | 12 |
| ჰარი პოტერი IV ნაწილი | 15 |
| გერმანულ-ქართული ლექსიკონი | 14 |
| მხიარული რიცხვები | 14 |
| საბავშვო ენციკლოპედია | 16 |
| სურათებიანი ლექსიკონი (ინგლ.-ქართ.) | 16 |
| ბუნების საოცრებები | 19 |
| **გაცოცხლებული ისტორია** | |
| ძველი ეგვიპტე | 19 |
| ძველი რომი | 19 |
| ძველი საბერძნეთი | 19 |
| **პროზა** | |
| პაულო კოელიო – „ალქიმიკოსი“, | 6 |
| „ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა“, | 9 |
| „თერთმეტი წუთი“ | 11 |

ტ: 42-43-40
33-26-73

# მიცვალებულმა განცხადებები „საკუთარი“ ხელმოწერებით დაადასტურა(?!)

## აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი 15 დღეა შიმშილობს

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯემალ საჯაია უკვე თხუთმეტი დღეა შიმშილობს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ საჯაიას თორმეტსულიანი ოჯახი (მას რვა შვილი ჰყავს) პარლამენტარ მერაბ სამადაშვილის წყალობით ბინიდან გამოასახლეს. აფხაზეთიდან დევნილი დეპუტატი წყნეთში ოჯახთან ერთად ბარაკის ტიპის შენობის ორ ოთახში ცხოვრობდა. 1995 წელს მათ გამგეობამ პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე მიწის ნაკვეთი და ძველი ელექტროქვესადგურის შენობა დროებით სარგებლობაში გადასცა.

**ჯემალ საჯაია:** „ეს მიწა, რომელიც სინამდვილეში ნაგავსაყრელი იყო, წყნეთის გამგეობამ დროებით სარგებლობაში გადმომცა. ამ ტერიტორიაზე ინტენსიური მშენებლობები მიმდინარეობდა. მივდიოდი და ვთხოვდი, საძირკვლისთვის ამოღებული მიწა სხვაგან არ გადაეყარათ... ასე ვაქციე ნაგავსაყრელი ნაკვეთად. მალე შვილი გარდამეცვალა. მას ჩერნობილში დასხივება ჰქონდა მიღებული, წყნეთში დავკრძალეთ. იმ ნაკვეთში კი ჩემი გარდაცვლილი შვილის სახელზე ხეხილის ბაღი გავაშენე. ოჯახთან ერთად ვუვლიდი და მცირე მეურნეობაც მქონდა. 2002 წელს პარლამენტის წევრი მერაბ სამადაშვილი გამომეცხადა და მითხრა, რომ მიწა, სადაც ვცხოვრობდი, მას ეკუთვნოდა. სხვისი მიწა არ მჭირდება, როცა აფხაზეთში დავბრუნდებით, ყველაფერს, რაც დროებით სარგებლობაში სახელმწიფომ გადმომცა, უსიტყვოდ დავტოვებ. ვიდრე ეს არ მომხდარა, დროებით სარგებლობაში გადმოცემული ნაკვეთის დატოვებას არ ვაპირებ, მით უმეტეს, რომ ჩემი ინფორმაციით, იგი პარლამენტარ სამადაშვილს არ ეკუთვნის.

### წერილი საიქიოდან

„კვირის პალიტრამ“ გაარკვია, რომ სადავო ნაკვეთი ერთობ მიმზიდველ ტერიტორიაზე მდებარეობს. იქაურების თქმით, საჯაიას მეზობლები არიან „გაერთიანებული ქართული ბანკის“ მეპატრონეები ანტონ ინგოროყვა და ვანო ჩხარტიშვილი, ჯემალ საჯაიას ნაკვეთს კი ედუარდ შევარდნაძის ყოფილი დაცვის უფროსის, სულხან პაპაშვილის ძმისა და თბილისის ყოფილი ვიცე-მერისა და მუნიციპალიტეტის პრემიერის, მალხაზ ჩაჩავას ნაკვეთები ესაზღვრება (სულაც არ არის გამორიცხული, ეს სახლები სხვის სახელზეც ჰქონდეთ გაფორმებული, ასე ხშირად ხდება. — ავტ.). ჯემალ საჯაიას 12-სულიანი ოჯახის საცხოვრებელი კი ამ საერთო ხედიდან ნამდვილად ამოვარდნილია. თუმცა მთავარი ეს არ არის. ამ ნაკვეთთან დაკავშირებით მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ პროკურატურაში ერთ წელზე მეტია სისხლის სამართლის საქმეა აღძრული სამსახურებრივი სიყალბის ფაქტზე. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, გაყალბებულია არა მარტო გარდაცვლილი ამირანაშვილის ხელმოწერები და განცხადებები, არამედ საკადასტრო რუკებიც, სადაც ქუჩების დასახელება შეცვლილია და სასურველ ნაკვეთზეა მორგებული. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებას გარდაცვლილი ამირანაშვილისთვის არსებული ტერიტორიის მფლობელობაში გადაცემის შესახებ ხელს სწორედ საჯაიას „კარის“ მეზობელი, მაშინდელი ვიცე-მერი მალხაზ ჩაჩავა აწერს. დადგენილებას წუნს ვერ უპოვის კაცი, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ბიჭიკო ამირანაშვილი ამ დადგენილების გამოცემისას ოთხი წლის გარდაცვლილი იყო(?!). როგორც „დოკუმენტებიდან“ ირკვევა, 1993 წელს გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობის შედეგად დაღუპულ ბიჭიკო ამირანაშვილს 1997 წელს განცხადებით მიუმართავს თბილისის მერიისთვის წყნეთში მიწის ნაკვეთის გამოყოფისა და დამაგრების მოთხოვნით(!). როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისის მერიას „განსვენებული“ აღარ უწვალებია და მაია წყნეთელის ქუჩაზე მიწის ნაკვეთიც გამოუყვია. თუმცა გარდაცვლილ ამირანაშვილს, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, განცხადებებით ქალაქის მთავარი არქიტექტორისთვის, მერიის არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების დეპარტამენტისთვისაც მიუმართავს. რა თქმა უნდა, განცხადებები „საკუთარი“ ხელმოწერითაც დაუდასტურებია(!). რა კავშირი აქვს ყოველივე ამას დეპუტატ მერაბ სამადაშვილთან?



ფეშენებელურ ვილებს შორის მოთავსებული სადავო ნაკვეთი

## ერთმა დეპუტატმა მეორე სახლიდან გაასახლა...

1999 წელს მერაბ სამადაშვილის დედამ, ციალა სამადაშვილმა გარდაცვლილი ამირანაშვილის მეუღლისგან, ნათელა ბურდულისგან იყიდა ეს ნაკვეთი. ნასყიდობის ხელშეკრულება ევგენი ფირცხალავას სანოტარო ბიუროში გაფორმდა და მას ხელს ბურდული და ციალა სამადაშვილი აწერენ. მაგრამ, როგორც ნათელა ბურდულმა გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა, იმ დღეს სანოტარო ბიუროში მას ციალა სამადაშვილი არ უნახავს, მასთან ერთად სანოტარო ბიუროში იყო თამაზ გალუაშვილი (მეტსახელად „სპილო“), რომელიც ტელეფონით ესაუბრებოდა მერაბს.

**ნინო ხუნჯუა** (ჯემალ საჯაიას ადვოკატი): „ნათელა ბურდულმა დღესაც არ იცის, სახელდობრ რა ნაკვეთზეა დავა (ბურდულს „სპილომ“ 2000 ლარი გადაუხადა). ბურდულმა ჩემთან საუბარში დაადასტურა, რომ არც სანოტარო ბიუროში და არც შემდეგ მას ციალა სამადაშვილი არ უნახავს. როგორც ამბობს, მას რაღაცაზე მოაწერინეს ხელი, 2000 ლარი მისცეს და გამოუშვეს. ვინ მოაწერა ხელი სამადაშვილის მაგივრად, ჯერჯერობით, უცნობია“...

წყნეთური ნაკვეთების თემა საქვეყნოდ ცნობილი ამბავია, თუმცა ჯემალ საჯაიას დროებით სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ხელში ჩასაგდებად ჩატარებული მაქინაციები ღიმილის მომგვრელია. საინტერესო ის გახლავთ, რომ სამადაშვილს ნაკვეთი ნაყიდი აქვს მაია წყნეთელის ქუჩაზე, ჯემალ საჯაია კი თამარ მეფის ქუჩიდან გამოასახლეს(!).

მას შემდეგ, რაც ჯემალ საჯაიამ სამადაშვილს ნაკვეთის ნებით დატოვებაზე უარი უთხრა, სამადაშვილმა სასამართლოს მიმართა და მაია წყნეთელის ქუჩიდან საჯაიას გამოსახლება მოითხოვა. სასამართლომ საჯაიების გამოსახლების გადაწყვეტილება მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ნაკვეთთან დაკავშირებით პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული და ძიება მიმდინარეობდა.

მართალია, სამადაშვილი-საჯაიას დავა ჯერ არ დასრულებულა, არც პროკურატურას დაუმთავრებია ძიება, მაგრამ საჯაიას ოჯახის გამოსახლებაზე სააღსრულებო ფურცელი მაინც გამოიწერა. ქართულ კანონმდებლობაში ათასი შავი ხვრელი არსებობს და ამ საქმეებში გამოწრთობილ პირებს ასეთი გზების გამოძებნა არ უჭირთ. თუმცა სააღსრულებო ფურცელი მაია წყნეთელის ქუჩიდან (ნომერი არ არის მითითებული) გამოსახლებაზე გამოიწერა და არა თამარ მეფის ქუჩიდან.

**ჯემალ საჯაია:** „აღმასრულებელი რომ მოვიდა, ვუთხარი, ეს თამარ მეფის ქუჩაა და არა მაია წყნეთელის-მეთქი. ვაჩვენე, სად იყო წყნეთელის ქუჩა და სად — თამარ მეფის. ქუჩები ერთმანეთთან 500-600 მეტრის დაშორებით მდებარეობს. ეგეც არ იყოს, კომუნალური გადასახადები თამარ მეფის ქუჩაზე მოდის და რა შუაშია მაია წყნეთელის ქუჩა. მიუხედავად ამისა, მეორე დღეს აღმასრულებელი სპეცდანიშნულების რაზმით მოვიდა და მინათმომწყობ რეზო შაყულაშვილის სიტყვიერი განცხადების საფუძველზე, რომ ეს მაია წყნეთელის ქუჩა იყო, მთელი ოჯახი სახლიდან გამოგვყარეს“.

„კვირის პალიტრა“ მინათმომწყობ შაყულაშვილსაც დაუკავშირდა. კითხვაზე, რომელ ქუჩაზე მდებარეობს სადავო ნაკვეთი, შაყულაშვილმა გვიპასუხა, ეს მაია წყნეთელის ქუჩააო.

**რეზო შაყულაშვილი** (სტილი დაცულია): — ესე იგი იყო საინიციატივო ჯგუფი, ეროვნული სულისკვეთებით ალსავსე და გაჯერებული, რომლებმაც ეს გადაწყვეტილება მიიღეს, ასე ვთქვათ, თავიანთ დონეზე. მოახდინეს ამ ქუჩების სახელების შეცვლა, ალბათ, აცნობეს ქალაქის შესაბამის სამსახურებს. ეს დღეს ვერ დგინდება, შეიძლება, ერთჯერადი ნორმატიული აქტი ამასთან დაკავშირებით არ გამოიცა იმ დროს, მაგრამ ზოგადად, ეს გადაწყვეტილება რომ ადგილობრივი გამგეობისაა, იქიდან ჩანს, რომ ქალაქის ტექინვენტარიზაციის ბიურო და ქალაქის სხვა სამსახურები მეთოდურად, მუშა პროცესში წლების განმავლობაში ხანდახან გამგეობიდან გაცემული ცნობის საფუძველზე, ხანდახან მოქალაქის სიტყვიერი განცხადების საფუძველზე, ნელ-ნელა ახდენდნენ ძველი დასახელებიდან ახალ დასახელებაზე გადასვლას. ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

**— ტერიტორიული სხვაობა არაფერს ნიშნავს? წყნეთელის და თამარ მეფის ქუჩები სულ სხვადასხვა ადგილას მდებარეობს.**

— ტერიტორიული დაშორება ამ შემთხვევაში არაფერს ნიშნავს. მთავარია, რომ ეგ მონაკვეთი პრინციპში დაუსახლებელი მონაკვეთი იყო... დაახლოებით 100-200 მეტრის ფარგლებში. აქეთ მხარეს სახლები მეორე ქუჩის, მაია წყნეთელის შესახვევით გადიოდა. მერე გაჭრეს მანდ ახალი ჭიშკრები და მერე გახდა საჭირო ახალი ნუმერაციის მინიჭების აუცილებლობა. იქ რაღაც მოხდა, იქ რაღაც გაიყიდა ქონების მართვის სამსახურების მიერ, ყოველგვარი ჩვენი ჩარევის გარეშე და დაფიქსირდა მაია წყნეთელის ქუჩა.

**— თუ ასეა, კომუნალური გადასახადები თამარ მეფის ქუჩაზე რატომ მიდის?**

— ეგ მე არ ვიცი. მათ უნდა ჰკითხოთ. მათთვის მთავარია გადასახადები ამოიღონ...

ასეთი „დამაჯერებელი“ პასუხის შემდეგ „კვირის პალიტრამ“ ამ საქმის უშუალო გამომძიებელს ბადრი ქანაშვილსაც მიმართა. მან გამოძიების დეტალებზე საუბრისაგან თავი შეიკავა, თუმცა გვითხრა, რომ სადავო ნაკვეთი თამარ მეფის ქუჩაზე მდებარეობს და არა მაია წყნეთელის.

„კვირის პალიტრა“ პარლამენტარ **მერაბ სამადაშვილსაც** დაუკავშირდა.

**— თუ იყავით საქმის კურსში, რომ აღნიშნული ნაკვეთი მიცვალებულთან გარიგების საფუძველზე გამოიყო?**

— ჩემთვის არავის არაფერი შეუტყობინებია, ამიტომ ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

**— თქვენ მიწა 1999 წელს მაია წყნეთელის ქუჩაზე გაქვთ ნაყიდი. საჯარო რეესტრში თქვენი ნაკვეთი ამ მისამართზეა გატარებული, საჯაია კი თამარ მეფის ქუჩაზე ცხოვრობს.**

— მე ვიცი, რომ ეგ თავიდანვე მაია წყნეთელის ქუჩა იყო. მერე თუ გადაერქვა სახელი, არ ვიცი. საკადასტრო რუკაზე ასეა აღნიშნული, ექსპერტებმაც ნახეს. ასე რომ, რუკა ზუსტად იმ ნაკვეთზეა შედგენილი. თუ ქუჩას სახელი შეეცვალა, არ ვიცი.

(ეს ქუჩა მაია წყნეთელისა არასოდეს ყოფილა. იგი ადრე კეცხოველისა იყო. — ავტ.)

**— საჯაია მრავალშვილიანი ოჯახის მამაა, თანაც აფხაზეთიდან დევნილი.**

— მაინცდამაინც რვა შვილისთვის თუ უნდა ჰქონდეს კაცს სახლი, არ ვიცი. მე ვიცი, რომ მას ოთხი ბინა აქვს და საკმაოდ შეძლებული კაცია. მართალია, აფხაზეთიდან დევნილია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაჭირვებულია. წყნეთში ორი ბინა აქვს, აქვს სანზონის დასახლებაშიც, ერთიც კიდევ სადღაც, ზუსტად არ ვიცი. ასევე ვიცი, რომ ჰქონდა ფირმა და იქით ეხმარებოდა ლტოლვილებს.

**— როდის იყიდეთ ეს ნაკვეთი?**

— 1999 წელს არის გაფორმებული, მოლაპარაკება კი უფრო ადრე დაიწყო, 1997 წლიდან. ზუსტად არ მახსოვს. უბრალოდ, მაშინ მიწის ყიდვა არ შეიძლებოდა. როცა შესაძლებელი გახდა, მაშინ გაფორმდა.

**— რამდენი გადაიხადეთ მიწაში?**

— ექვსი ათასი ლარი, გაფორმებულია ყველაფერი.

**— თამაზ გალუაშვილს, ეწ. „სპილოს“ თუ იცნობთ?**

— დიახ, ჩემი მეგობარია... ჩემი ახლობელია და ამიტომაც იყო სანოტარო კანტორაში, მას გარიგებაში მონაწილეობა არ მიუღია. ნოტარიუსთან ხელშეკრულება დედაჩემმა და ნათელა ბურდულმა გააფორმეს(?!).

P.S. პარლამენტარმა მერაბ სამადაშვილმა, როგორც თავად ამბობს, ნაკვეთი 1999 წელს იყიდა. საჯარო რეესტრში კი ნაკვეთი რატომღაც 2002 წელს არის გატარებული. თბილისის მერიის დადგენილებით კი, თუ მოქალაქისთვის გამოყოფილი მიწის ფართობი ორი თვის განმავლობაში არ გატარდა საჯარო რეესტრში, მფლობელი ნაკვეთს კარგავს. თუმცა, როგორც ჩანს, ყველა კანონი, დადგენილება და განკარგულება სავალდებულო მხოლოდ უბრალო მოკვდავისთვის არის.

*ხათუნა ბიჭაძე*

# „დავრდომილები და უპოვარნი ყოველდღე ერთმანეთს ვეხმიანებით. თქვენც შეგვეხმიანეთ...“

### „იცით რას ნიშნავს ინვალიდისთვის, წამლის ყიდვა რომ არ შეუძლია?!“



რამდენიმე დღის წინ რედაქციაში უცნობი ადამიანები მოვიდნენ. ჩუმი, სევდიანი ხმით გამოგვიცხადეს — ჩვენ ინვალიდები ვართ და თქვენგან დახმარებას ვითხოვთ. იქნებ საზოგადოებასა და ჩვენ შორის, ან ხელისუფლებასა და ჩვენ შორის დამაკავშირებელი ძაფი როგორმე გააბათო. გულდასმით მოვუსმინეთ მათ და... ვფიქრობ მათი საუბრის მოსმენით არც ჩვენი მკითხველი დარჩება გულგრილი.

აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, რომელთა ცხოვრების წესის მიბაძვასაც ქართველები გულმოდგინებით ვცდილობთ, სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულად ითვლება ინვალიდთა სოციალური პროგრამების განხორციელება. ინვალიდი ცივილიზებული საზოგადოების სრულფასოვან წევრად გრძნობს თავს და ამიტომაც სანამ ძალა შესწევს, ცდილობს რითაც შეუძლია, იმით გამოადგეს ქვეყანასაც და, რაღა თქმა უნდა, საკუთარ თავსაც. ჩვენ რომ ძალიან მოგვწონს (და ვერა და ვერ ვახერხებთ დავემსგავსოთ), იმ ქვეყნებში საავტომობილო, ფეხით სასიარულო და მეტროში ჩასასვლელ გზებს, კიბეებსა თუ ხიდებს, შენობებსა თუ ლიფტებს ისე არ აშენებენ, ეტლიანი თუ ყავარჯნიანი ინვალიდებისთვის თავისუფლად გადაადგილების საშუალებები რომ არ გაითვალისწინონ. რომ აღარაფერი ვთქვათ სპეციალურად მათთვის გამართულ ტრადიციულ ფესტივალებზე, ჩემპიონატებსა და სხვა კულტურულ ღონისძიებებზე, ინვალიდები საკვებ პროდუქტებზეც კი სპეციალური ფასდაკლებით სარგებლობენ. საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს კი უმწეოსთვის არც ღიმილი ენანება, არც ქველმოქმედება და ნამითაც კი არ აგრძნობინებენ, რომ ის არასრულფასოვანია (ჩვენ კი ცოტა ხნის წინ ინვალიდი ბავშვები დასაპურებლად რესტორანშიც კი არ შევუშვით სნობური ამპარტავნობის გამო!). რაც შეეხება მოხუცებს, ცხოვრების მანძილზე გაწეული შრომა უფასდებათ და გარდა სოლიდური პენსიებისა, შეუძლიათ თავიანთი სურვილისამებრ ცხოვრების ბოლო წლები კეთილმოწყობილ პანსიონსა თუ თავშესაფარში გაატარონ. ისე კი, სახელწოდება თავშესაფარი ჩვენს მოხუცთა სახლებს უფრო მოუხდება... სამწუხაროდ, ჩვენი სახელმწიფო არ ცდილობს ამ მხრივ ამერიკასა და ევროპას დაემსგავსოს. არადა, დიდ, ერთიან ევროპის სახლში ცხვირსაც არავინ შეგვაყოფინებს, სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად, ინვალიდთა დახმარების საკითხსაც თუ არ მოვაწესრიგებთ. საქართველოში კი ინვალიდთა 200.000-კაციანი არმია უმძიმეს მდგომარეობაშია. მათ ცხოვრება ტრაგედიად ექცათ. ამაში ქვემოთ მოცემული სურათები დაგვარწმუნებს. თუკი ამ ადამიანებთან დაკავშირების სურვილი გაგიჩნდებათ და გადაწყვეტთ, რომ მათ მიერ დაკისრებული მისიის — „სათნოების ძაფის“ გაბმაში დაგვეხმაროთ, მზად ვართ, მათი მისამართი მოგაწოდოთ.

### სურათი I

ინვალიდის ეტლში მჯდომი მარიამი საათს დაჰყურებს, უკვე დროა ისადილოს. გაზზე შემომდგარ ქვაბში მეზობლის მოკითხული ლობიოსგან ცოტაღა დარჩენილა. ორიოდე ლუკმას იღებს, დანარჩენს სკოლიდან მომავალ ერთადერთ ვაჟს უნახავს. ტირის — მოგიკვდეს დედა, შენ ახლა გჭირდება კარგი კვება. რომ არ დამეჩაგრო, მე კი...

მარიამი ქვრივია, ქმარი, მშობლები და ძმა ავარიაში დაეღუპა. თვითონ გადარჩა, მაგრამ ვაი ამ გადარჩენას. ყოველდღე ღვთისა და კეთილი ადამიანების ნაწყალობევით სულდგმულობს. ცხოვრება აშინებს, ორიოდე გროშს იღებს (ინვალიდობის პენსიას 28 ლარს და მარტოხელობისას 22 ლარს). სახელმწიფოს მეტის გაღება არ შეუძლია(?!). არადა, შვილიც რომ უნდა გადაარჩინოს! ბიჭიც მოვიდა და... დედის ცრემლიან თვალებს სახე აარიდა. იცის, თუ თანაუგრძნო, უარესია, ცრემლები თავისიც წამოვა... ოღონდ ეს არა — ფიქრობს ბიჭი. დედა მოკრძალებულ სუფრას უშლის. ბიჭმა ცალი თვალით გახედა თეფშს: — დედა, შენ რატომ არ ჭამე?
— ცოტა ვჭამე, შენ შეგინახე, — ისმის პასუხად.

— ხომ იცი მე ცოტაც მყოფნის. შენ კი აუცილებლად უნდა ჭამო, რომ გადარჩე მანამ, სანამ შენთვის ოპერაციის გაკეთებას შევძლებ, — ანუგეშებს დედას ბიჭი, რომელიც ჯერ მხოლოდ 14 წლისაა. ეს ამბავი აქვე ჩვენ გვერდით, თბილისში ხდება. მეტიც, ასეთი ამბავი არცთუ ისე იშვიათია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში...

### სურათი II

მერაბმა ახლახან გადააბიჯა 40-ს. სულ გაჭაღარავებულია. ლამის აღარც ერთი კბილი აღარ აქვს. ერთფეროვანი კვების გამო დასცვივდა. ზუსტად 12 წელია თავისი ფეხით არ გაუვლია — ან წევს კედლისკენ გადაბრუნებული და სიკვდილზე ფიქრობს, ან ინვალიდის ეტლში მჯდომი ხმას არავის სცემს.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

# პრიორიტეტების ძიებაში

**საქმის დაწყებას ჯერ ფიქრი და დაგეგმვა უნდა, მერე კი ნაფიქრალისა და ასჯერ გაზომილ-აწონილის ხეირიანად შესრულება. ახალი ქვეყნის აღმშენებლობისთვის გამეცადინებულ ქართველობას (სამწუხაროდ, ეს მაინც ვერ იქცა ყველა ქართველისთვის საშურ საქმედ) კი ისეთი დრო უდგას, რომ ფიქრიც და კეთებაც ერთდროულად უწევს. შეცდომისგან არავინ არის დაზღვეული, – შეიძლება, რაღაც გამოგრჩეს, რაღაცას თვალი ვერ მიადევნო ან ვერ გაითვალისწინო. ასეთ დროს ძველი შეცდომების გახსენებაც არ არის ურიგო, ისევ რომ არ გავიმეოროთ. ძველ შეცდომებსა და ახალ პრიორიტეტებზე მწერალი თამაზ ჩხენკელი გვესაუბრება:**



— პრიორიტეტული, დღესდღეობით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. საბოლოოდ ისევ აფხაზებსა და ოსებთან მოგვიწევს ცხოვრება, ამის იმედი მაქვს. შიდა ქართლს ხან სამხრეთ ოსეთს ეძახიან და ხანაც სამაჩაბლოს. როგორ უნდა თქვას პოლიტიკოსმა „სამხრეთ ოსეთი“?! აკაკი ბაქრაძეს აქვს ნათქვამი: როდესაც „სამხრეთ ოსეთს“ იტყვი, აქ დამთავრებულია ყველაფერიო. მართალიც არის, რას ერჩი სამხრეთ ოსეთი თუა? სინამდვილეში შიდა ქართლია, ძირძველი ქართული მიწა, სადაც იმდენივე ოსი ცხოვრობს, რამდენიც ქართველი. ერთი ოსი მეგობარი მყავს, ბულკათი, რომელიც თავის დროზე ქუჩაში გამეცნო — ვიცი, რომ თქვენ „ნართების“ (ოსური ხალხური თქმულებები) თარგმნა გინდათო. 1975 წელს ზურაბ კიკნაძისა და ჩემი ნათარგმნი „ოდისეა“ რომ გამოვიდა, ბულკათმა წერილი დაწერა — ეს სიტყვა შიდა ქართლში მცხოვრები ოსების ენაშიც არის შემოსულიო. ვკითხე, შიდა ქართლის ნაცვლად სამხრეთ ოსეთი რატომ არ დაწერე-მეთქი, შიდა ქართლზე სამხრეთ ოსეთს როგორ დავწერდიო. აი, ეს კაცი ბოლოს საშინელი ნაციონალისტი გახდა, დაწერა რომანი, რომელშიც ასეთი ფრაზა იყო — ოსეთი კავკასიონის ქედზე ხურჯინივით არის აქეთ-იქით გადაკიდებულიო. ვუთხარი, ასე თუ გეწვის გული ოსებზე, ალანია ჩრდილო კავკასიაშია-მეთქი. იქ წასულია ჩვენი საქმე — საშინელი გარუსებააო. აქ, ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ კი ოსმა თავისი თავი შეინარჩუნა და მადლობის მაგივრად ასე მოიქცა. მწერალმა ნაფი ჯუსოითმა ატეხა ერთი ამბავი — ოსები ქართველდებიანო. რატომ ჩრდილო ოსეთში არ ამბობენ ამას, სადაც მართლა დაკარგული აქვთ ეროვნება. მაგრამ რუსებთან ჩავარდნილი აქვთ ენა, მათ ამდენს ვერ უბედავენ...

ძალიან გაჭიანურდა შიდა ქართლის დაბრუნება. მას შემდეგ, რაც ყარყარაშვილმა ცხინვალი აიღო, მისი დათმობა უდიდესი შეცდომა იყო. ოსებს ცხინვალი რომ მივცეთ, მაშინ დამთავრდება ყველაფერი. წინა საუკუნის დასაწყისში ცხინვალში სამიოდე ოსური ოჯახი იყო. უმეტესად იქ ქართველები, სომხები და ებრაელები ცხოვრობდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ცხინვალი ოსებს მისცეს როგორც ადმინისტრაციული ცენტრი (ანუ ავტონომიის დედაქალაქი), ის ოსური ქალაქი გახდა და ქართველების შევიწროება დაიწყო.

გასული საუკუნის 10-იან წლებში აფხაზები გუდაუთის რესპუბლიკას ითხოვდნენ, ოსები — ჯავის რესპუბლიკას. მიეცათ... როგორ შეიძლებოდა მთელი შიდა ქართლის და აფხაზეთის მიცემა?! დღეს ეს პრობლემა მოსაგვარებელია. ხშირად მესმის, როგორ დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიებიო. რუსების ჩარევის გარეშე ეს საქმე არ გამოვა. ამერიკა ვერ ეტყვის რუსეთს, დათმე ეს ტერიტორიაო, რადგან დაფარული დიპლომატიის თვალსაზრისით ამიერკავკასია მისი გავლენის სფეროა. თანაც ზესახელმწიფოებზე (აშშ, რუსეთი, ჩინეთი) არც ერთი საერთაშორისო კანონი არ მოქმედებს — რაც უნდათ, იმას გააკეთებენ. ამერიკა იმ შემთხვევაში დაათმობინებს რუსეთს ამ ტერიტორიებს, თუ ძალიან დიდ რამეს გაუკეთებს საქართველო. ან რუსეთი რატომ დათმობს? არ ურჩევნია, აკონტროლოს ეს ტერიტორიები, შავ დღეში ჰყავდე და ნერვები მოგიშალოს?.. აგვიჩემებია დამოუკიდებელი ვართო. ფორმალურად კი ვართ დამოუკიდებელი, მაგრამ რაში გამოვიყენეთ დამოუკიდებლობა? მიჭირს თქმა, მაგრამ კულტურულ-იდეოლოგიურად საბჭოთა დროს უფრო დამოუკიდებელი ვიყავით. იდეოლოგია მარტო კომუნიზმსა და ფაშიზმში არ არის. ამერიკელებს რომ აქვს იდეოლოგია, ისეთი უნდა. მინახავს როგორ კოცნიან ბავშვები ამერიკის დროშას, ფიცს როგორ დებენ. რატომ არ გვაქვს ასეთი ნაციონალისტური ელემენტები? კულტურის მხრივაც ასე ვართ. ამერიკელებს დიდი კულტურა, შესანიშნავი ლიტერატურა და ფილოსოფია აქვთ. ამას გავცნობოდით, გვესწავლა, მაგრამ ჩვენ დაბალხარისხოვან ფილმებს გვაჩეჩებენ, გაუთავებელი მტლაშამტლუშითა და ამაზრზენი შინაარსით. რა ამბავია ასეთი მიმბაძველობა და ამერიკანიზმი? ისეთ რაღაცებს ვკიდებით, რაც თავად ამერიკაშიც არ მოსწონთ. ვახუშტის აქვს ნათქვამი: „ავსა და კარგზე ადვილად მიმდევარი ქართველი... რამეთუ სახელისა თვისისათვის არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსაო“. ჩვენს ქვეყანას ნამდვილი ქართველი სჭირდება და არა ამერიკანისტი. თავის დროზე დაშლილი საქართველო რუსებმა გააერთიანეს (ეს გრიგოლ რობაქიძემაც თქვა). რუსებმა გვითხრეს: თუ არ გინდივართ, ისე გაგიშვებთ, როგორც ჩაგვბარდითო და გაგვიშვეს ასე ტერიტორიებდაკარგული. უმთავრესი ყოველთვის ეროვნულის მოფრთხილება უნდა იყოს.

რატომ არ ძრავენ სიტყვას იმაზე, თუ როგორი იქნება ქართული კულტურის მომავალი? კულტურა მარტო თეატრი და კინო არ არის. რატომ ხდება, რომ თეატრი და კინო ყველა მთავრობის დროს გაფურჩქნულია? იმიტომ, რომ იმას ასრულებს, რაც მთავრობას უნდა. ნამდვილი ხელოვანი ლორკა იყო. ეს დახვეწილი ესთეტი ესპანეთის სოფლებში დადიოდა თავისი თეატრით და გლეხებს აჩვენებდა სპექტაკლებს. ჩვენი რეჟისორები კი რას დგამენ? კარგია მსოფლიოს რომ დაანახვებ — შექსპირის დადგმა შემიძლიაო, მაგრამ თეატრი მარტო ამისთვის ხომ არ არის. თეატრში უნდა დაიდგას „ყვარყვარე“. კარგია, რომ დაიდგა ლაშა თაბუკაშვილის „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“. ეს სპექტაკლი იმიტომ მოეწონათ, რომ მასში ახალგაზრდობის მტკივნეული პრობლემა დაისვა. ამას უნდა აკეთებდეს თეატრი. ილიას დროს თეატრში, სცენაზე, დროშები შემოჰქონდათ, რაც რუსებს ძალზე აღიზიანებდათ... თეატრი საზოგადოების განწყობილებას უნდა ასახავდეს. ჩვენი თეატრი კი, სამწუხაროდ, საზოგადოების განწყობილებას ვერ სწვდება, — თეატრი ცალკეა, საზოგადოება — ცალკე. თეატრს არ უნდა მთავრობას აწყენინოს და ამიტომ იდგმება ნეიტრალური სპექტაკლები. ეს არ არის რობაქიძის „ლამარას“ მსგავსი წარმოდგენები, რომელსაც მთელი დარბაზის აყვანა შეეძლო.

მისახედი და საპატრონო უპირველესად ქართული ენა გვაქვს. სულ მეგონა, ჟურნალისტიკა დაამკვიდრებს ქართულ ენას-მეთქი, მაგრამ რასაც ვხედავ, საშინელებაა. საშინელი მეტყველების სტილი დამკვიდრდა. ამბობენ: „მაპატიე“. არადა, ქართულად და სწორად „მომიტევე“ უნდა თქვა და „უკაცრავად“. „მოხდა აყვანა“, „მოხდა გაკეთება“, — არ სჯობია, თქვა, — „აიყვანა“, „გააკეთა“. ქართული ზმნის ენაა, დიდი კორდინატი ზმნაა, ზმნაშია ყველაფერი და ამას კლავენ. საბჭოთა დროს ვებრძოდით ამას. გაზეთ „კომუნისტში“ იწერებოდა წერილები, ენას გავუფრთხილდეთო და ახლა, როდესაც თავისუფალი ვართ, რამ გააგიჟა ეს ხალხი?! ქართული ანბანიდან „ჰ“ მოსპეს და ხშირად დავცინი პაეს მტრებს: „მივდივარ გუმანურ გოლივუდში გონორარის ასაღებადო“. ამათ შემხედვარეს ერთი ანდაზა მაგონდება — უნახავმა რა ნახაო... საშინელებაა ყოველივე უცხოურით ასეთი ალტაცება.

არაერთი წეს-ჩვეულებაა მოსაფრთხილებელი და შესანარჩუნებელი. თუნდაც უფროს-უმცროსობა ავიღოთ. 16 წლის ლაწირაკი ვიყავი, ბიძაჩემის მეგობრებთან, 50 წლის კაცებთან ერთად ვიყავი სუფრაზე. მახსოვს, ბესო ოქროპირიძე, საოცრად განათლებული კაცი, ვენაში ჰქონდა დამთავრებული უნივერსიტეტი, მეუბნება — ბატონო თამაზ, თქვენს აზრს არ ვიზიარებო. უფროსები პატივს გცემდნენ და კაცად გაგდებდნენ. ეს არის ძველი ქართული ტრადიცია, რომელიც არ უნდა დავკარგოთ. ჩემზე 1 წლით უფროსებისადმიც საოცარი მოკრძალება მქონდა. იცით, უმცროსებს როგორ უხაროდათ, უფროსებს რომ უნდა მომსახურებოდნენ? რომ ვიტყოდით — სიგარეტს მოვწევდითო, მოგიტანთო, უცებ გავარდებოდნენ ჩვენზე უმცროსები.

**— ბატონო თამაზ, ბოლო დროს ცუდად რა გაკეთდა ან რა არის უპირველესად გასაკეთებელი?**

— მთაწმინდა იფარება, რაც არ მომწონს. ამას წინათ კაცი გამოვიდა და თქვა: სასტუმრო „აჭარის“ წინ ცათამბჯენი უნდა აშენდეს, რომელიც თბილისის ყველა კუთხიდან გამოჩნდებაო. აქამდე მთაწმინდა ჩანდა თბილისის ყველა კუთხიდან, ახლა კი აღარ ჩანს. ჯერ იყო და, გვერდით ააფარეს რაღაც საზიზღარი შენობა. მისი ამშენებელიც და ნებართვის მიმცემიც — პირდაპირ ვიტყვი — სასტიკად უნდა დაისაჯონ. არის ისეთი რაღაცები, რაც ერს ეკუთვნის და ვინც მას უდიერად შეეხება, საკადრისად უნდა მიეზღოს. თავისუფლების მოედანზე რომ სახლი ააშენეს, ისიც ფარავს მთაწმინდას. ახლა განუკითხავად აშენებს ყველა. რად გინდა თბილისის ცენტრში

# „საშინელებაა ყოველივე უცხოურით ასეთი ალტაცება“

## „ერის კუთვნილებას ვინც უდიერად შეეხება, საკადრისად უნდა დაისაჯოს“

შეშინული კოლოფი, რომელიც არაფერი იქნება? რატომ გიხარია ეს, ე. ი. გორსალა ხარ, ხომ?! გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთი კედელი მინის არის და იცით, რომ იმ მხარეს არავინ დადის? გაითვალისწინონ ეს მათ, ვისაც შეშინული ცათამბჯენის აშენება ახარებთ. რატომ არის, რომ რესტორანში ყველა კედელთან ზის (შუაში მაშინ დასხდებიან, თუ ადგილი არ არის). ფროიდს აქვს ეს ახსნილი — კედელთან „კალთის განცდა“ აქვთ ადამიანებსო.

**— პოლიტიკოსებს რას ურჩევდით?**

— ვურჩევდი, რომ მეტად განათლებულნი იყვნენ. მათ შემხედვარეს ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პოლიტიკური განათლება არ აქვთ. სანამ ახალი ხელისუფლება მოვიდოდა, ერთი წლით ადრე ვთქვი, კარგად მეტყველებენ ზურაბ ჟვანია, მიხეილ სააკაშვილი და ქალბატონი ბურჯანაძე-მეთქი. პოლიტიკოსი სულ უნდა კითხულობდეს და საკუთარ დასკვნებს აკეთებდეს. უნდა იცოდეს სოციოლოგია — საზოგადოება როგორ არის აწყობილი. ხელისუფლებამ, პოლიტიკოსმა ერს საკუთარი თავის რწმენა უნდა დაუბრუნონ. ფინეთის ასდღიანი ომის მაგალითს მოგიყვანთ, რომელიც სტალინის დროს მოხდა. მაშინ ფინელმა გენერალმა მანერჰეიმმა გამოაცხადა, — არ გვინდა დასავლეთი, მათი დახმარება მაშინ მოვა, როდესაც ფინეთის საქმე დამთავრებული იქნება, თავად მივხედოთ საკუთარ თავსო. ამ ბრძოლაში 30 ათასი ფინელი და 100 ათასი რუსი განადგურდა. ეს ომი ზამთარში დაიწყო და ფინელებმა ხერხი იხმარეს, საბჭოთა არმიის სამზარეულოები მოსპეს. ცხელი კერძი რომ ვერ ჭამეს, რუსები გაიყინნენ. დიდმა რუსეთმა ვერაფერი მოუხერხა ამ ოთხმილიონიან ქვეყანას. ეს გასათვალისწინებელი მაგალითია...

ხელისუფალი საქართველოს ყველა კუთხეს უნდა იცნობდეს. უნდა იცოდეს, რა არის აჭარა, სამეგრელო, სვანეთი და როგორ მოექცე ამ ხალხს. მახსოვს, ზვიად გამსახურდიას დროს რომ იყო ალტყინება, აჭარის ავტონომიაც გავაუქმოთო. გვერდზე გავიყვანე ზვიადი და ვუთხარი, არ შეიძლება ასე მოქცევა — ეს საკითხი რუსეთმა და თურქეთმა უნდა გადაწყვიტოს (ყარსის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც ასლან აბაშიძემ ხელმეორედ წამოატივტივა). თავად აჭარლებმა რომ მოითხოვონ, მაინც ვერ გავუუქმებთ ავტონომიას-მეთქი.

სხვათა შორის, რაც ჟორდანიას უნდა გაეკეთებინა, იმას სააკაშვილი აკეთებს. ჯარის შექმნა, ხალხში ენთუზიაზმის გაჩენა, დარაზმვა, ენერგიულობა ძალიან მომწონს. აბა, აქამდე ყველაფერი ბებრული და სკლეროტული იყო. დიდ საქმეს არის შეჭიდებული ეს ხელისუფლება, აფხაზეთისა და შიდა ქართლის დაბრუნება რომ უნდა. როდესაც ასეთ დიდ საქმეს ეჭიდები, მოსახლეობა არ უნდა დაარბიო, არსებობის საშუალება არ უნდა მოუსპო. კი, უნდა შემოეყვანათ ავტობუსები, მაგრამ ისე, რომ სამარშრუტო ტაქსების მძღოლები არ გაენაწყენებინათ, არ გაემწარებინათ. იმიტომ, რომ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დასაბრუნებლად ხვალ იმ მძღოლებმა უნდა იბრძოლონ.

დღეს დიდ პრობლემად იქცა ნარკომანია. ჩვენი თაობის ახალგაზრდებიც „ნარკომანები“ ვიყავით, ოღონდ ღვინის. უნივერსიტეტი რომ დავამთავრეთ, ვერსად მოვეწყვეთ (სამუშაო რომ არ მქონდა, „დარმაედს“ და „ხონსკი ბაირონს“ მეძახდნენ შინაურები). რა უნდა გვეკეთებინა? ვსვამდით და დარდს ამით ვიქარვებდით. მიკვირს, საიდან ვშოულობდით ფულს. მაშინ კარგი და იაფი იყო ღვინო — 1 მანეთი და 20 კაპიკი ღირდა. ახლა ღვინოს ვერ მიეკარები, ყველა არაყს სვამს. ჩემს შვილიშვილს ვეუბნები, ნუ დალევ არაყს-მეთქი. არ არის ღვინო და აბა, რა ქნან. სტუდენტებისთვის გააკეთონ კარგი და იაფი ღვინო! ამ საკითხს არავინ აქცევს ყურადღებას. გლეხს კილოგრამ ყურძენში 50 თეთრსაც არ აძლევენ. ქლიავი როგორ უნდა ღირდეს ყურძენზე ძვირი. გააკეთონ იაფი ღვინო და უთხრას ხელისუფლებამ ახალგაზრდობას — არაყს და ნარკოტიკს კი ნუ ეტანებით, ღვინო დალიეთო. დამკვიდრდეს ეს სტილი ახალგაზრდებში — კარგი ღვინის დალევა ცუდი იქნება? აი, ამითაც შეიძლებოდა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა.

მომწონს, პატრიოტული სიმღერების და მარშების კონკურსი რომ გამოცხადდა. ეს ეროვნული მეომრული სულის გაღვიძებას წაადგება. გერმანელებმა გააკეთეს მარშებზე აქცენტი პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ... აბა, დაუკვირდით, ამ ბოლო 15 წლის განმავლობაში თუ შექმნილა მეომრული, სიძლიერის დამკვიდრებისკენ წამახალისებელი სიმღერები. კარგია, რომ ხელისუფლებამ ამას მიაქცია ყურადღება...

დასასრულ, ოპოზიციაზეც მინდა ვთქვა — რატომ გაიხადეს მთავარ საქმედ ხელისუფლების ლანძღვა? ოპოზიციონერობა ხელისუფლებასთან მუდმივ კინკლაობას არ ნიშნავს. თუ ხელისუფლებას რამე ეშლება, მწვავედ გააკრიტიკე, ხოლო თუ კარგს აკეთებს, გამოდი და დაუჭირე მხარი. რატომ ჩამოყალიბდა ხელისუფლება და ოპოზიცია მოკინკლავე კასტად? ახალი ქვეყნის აშენებას მჩქეფარე ენერგია სჭირდება. შესაძლოა, წვრილმანი შეცდომები ჰქონდეს ხელისუფლებას, მაგრამ არსებითი, დიდი შეცდომების დაშვება არ შეიძლება — ეს ჩვენი დამარცხება იქნებოდა. ამას წინათ პრეზიდენტმა ბრძანა, არ იქნება გარჩევა, ვინ ქართველია, ვინ სომეხი და ვინ აზერბაიჯანელი, რადგან ყველანი საქართველოს მოქალაქეები არიანო. მაგრამ საქართველოს მოქალაქე ხომ უნდა ნიშნავდეს ისეთ ადამიანს, რომელმაც იცის ქართული, რომელსაც ეს ქვეყანა უყვარს და მის ადათ-წესებს პატივს სცემს. რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ერი თუ ამას გააკეთებს, კი ბატონო, ამას რა აჯობებს. მაშინ კი მართლაც შეიძლება ქართველისგან არ გამოარჩიო...

**იზო რუკაძე**


სკოლის წიგნები!!!
მისამართზე მიტანით

ნუ დაიწყებთ ძებნას ბაზრობებსა თუ ნაცნობ-მეგობრებში
თქვენ მხოლოდ დარეკეთ და შეგვიკვეთეთ
ნებისმიერი კლასის სახელმძღვანელო!
ჩვენი კურიერები მას სახლში ოპერატიულად მოგართმევენ.
შეგიძლიათ შეუკვეთოთ სხვადასხვა სახის რვეულები და მხატვრული ლიტერატურაც

☎ 33-26-73; 42-43-40; „ცხელი წიგნები“
შპს ელვასერვისი

სასკოლო ლიტერატურის გამომცემლობები:
„საქართველოს მაცნე“
„არტანუჯი“
„ინტელექტი“
„დიოგენე“
„პედაგოგიკა“
„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
„დია“
„ელფი“
„კონა“
„ლოგოსპრესი“
„მერიდიანი“
„ჯი.სი.აი“
„განათლება“
„პირველი სხივი“



## ექსკლუზივი

კოკოითის რეჟიმი მილიტარისტულ განწყობილებას ველარ მალავს და რუსეთისგან ნაბოძები ფულით იარაღდება. გარდა იარაღის შეძენისა, კოკოითის ხელდასხმით იქმნება შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც ქართულ სოფლებს ნელ-ნელა უახლოვდებიან.

ოსურ წყაროებზე დაყრდნობით, „კვირის პალიტრამ“ მოიპოვა ექსკლუზიური ინფორმაცია, რომელიც იუწყება, სად რომელი სამხედრო დაჯგუფებაა განლაგებული. ჩვენი წყაროს ცნობით, ფრისის მთასთან 20-30-კაციანი ჯგუფია დაბანაკებული დიმა ტაბოევის მეთაურობით. ვითომ მოხალისეები არიან. აქ ახლახან ტრანშეები გათხარეს და შუქიც შეიყვანეს, ანუ მეზობელი სოფლებიდანაც კარგად ჩანს ბანაკი. მამისაანთუბანში, პლასტმასის ყოფილ საამქროში, ბალა ბესტაევის დაჯგუფება, ე. წ. „ოპოლჩენცები“ დგანან. დაახლოებით, 100-120 კაცი, რომელთაც მამისაანთუბნიდან თანდათან დაიწყეს ერგნეთისკენ გადანაცვლება და იქ მდგომ ქართულ სპეცრაზმებს ზურგში მოექცნენ (სპეცრაზმები ამჟამად გამოყვანილია. — ავტ.).

კოკოითის ხელისუფლების განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობს ბალა ბესტაევი, ცხინვალის სადგურის უფროსი, ის ეროვნულ გმირად არის შერაცხული. ეს კაცი აკონტროლებს მოხალისეებს, რომლებიც ნომინალურად არ ექვემდებარებიან თავდაცვის სამინისტროს. სინამდვილეში ეს კონტროლირებადი დაჯგუფებაა, რომელიც კოკოითს ექვემდებარება. ბალა ბესტაევს შტაბი ცხინვალში, ბაღების ქუჩა №60-ში აქვს მოწყობილი (ყოფილ უსინათლოთა საზოგადოების შენობაში). შტაბის ხელმძღვანელი ბოთიზ ბიჩენოვია.

მამისაანთუბნიდან (ცხინვალის გარეუბანი) ნიქოზამდე მთელი ფრონტის ხაზი 46 კვადრატად არის დაყოფილი. თითოეულ კვადრატში პოსტია, სადაც 3-3 მოხალისე დგას. ამ უკანონო პოსტების ხელმძღვანელი სამხრეთ ოსეთის საბაჟოს უფროსი კოტე კაბისოვი გახლავთ.

ქართული სპეცსამსახურების ინფორმაციით, ცხინვალის სადგურის გადაღმა, საკონსერვო ქარხნის საწყობებში მძიმე ტექნიკაა გადამალული. ებრაელების უბანში, ისაკის ქუჩაზე, ერთ-ერთი ებრაელის სახლში, რომელიც ბალა ბესტაევმა მიითვისა, სასტუმროა მოწყობილი. სასტუმროში კონსპირაციულად ცხოვრობენ ის რუსი ოფიცრები, რომელთაც ქალაქში გამოჩენა არ უნდათ. სავარაუდოდ, ისინი რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლები არიან. ე. წ. „ბამის“ დასახლებაში, ყოფილი სატყეო მეურნეობის შენობაში, ბალა ბესტაევს ოფისი აქვს. კომუნისტების დროს ცხინვალში ვერტმფრენების პოლკი იდგა. აქ სწორედ ამ პოლკის ოფიცრების დასახლება იყო. ახლა დასახლების რეაბილიტაცია დაიწყეს — გაზი და დენი შეჰყავთ. საინტერესოა, ვისთვის ამზადებენ მას, რატომ მიდის იქ გამალებული მუშაობა?

ოსებს არც ცხინვალის ქართული სოფლები რჩებათ უყურადღებოდ. თამარაშენთან ტრანშეაა გათხრილი. იქ მყოფი მოხალისეების უფროსი ვოვა ქელეხსაევია. ტრანშეებია გათხრილი „ტექსტილის“ დასახლებაშიც, აქაურ დაჯგუფებას დიმა ტასოევი ხელმძღვანელობს. ეს გახლავთ სრული პროფილით აღჭურვილი სანგრები(!).

სოფელ კურსებშიც, იქ, სადაც ადრე „მაგთის“ ანძა იდგა, მოხალისეები დგანან. ხეითის ციხესთან ე.წ. ოსეთის თავდაცვის სამინისტროს სათვალთვალო პუნქტია. ისინი აკონტროლებენ დიდი ლიახვის ხეობიდან გამომავალ გზას, რომელსაც ქართველები შემოვლით გზას უწოდებენ. აქვეა რუსული პოსტიც.

სამუშაოები მიდის ჯავაშიც. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, აქ სეპარატისტები თავიანთი ე.წ. თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურის ჩაყენებას აპირებენ. ხმა გავრცელდა, ეს ვითომდა რუსი მოხალისეების რუსულ-ოსური პოლკი იქნებაო. მათთვის იქ ინფრასტრუქტურა მზადდება და გზა გაჰყავთ. ამისთვის 1,5 მლნ რუბლი გამოყვეს რუსებმა (სხვათა შორის, მოხალისეებს ზოგჯერ ფულის გადახდას უგვიანებენ. ამით გაღიზიანებულები ზაფხულში კოკოითის რეზიდენციას მიადგნენ — ხელფასი მოგვეცითო). ჯავის მისადგომებთან, სოფელ ზივგომში, ტურბაზაა. როგორც ამბობენ, აქ მძიმე ტექნიკა დგას. ტურბაზაში იქაურებსაც კი არ უშვებენ სპეცსაშვების გარეშე. ჯავის რაიონის სოფელ მსხლებში, სამსართულიანი, ორსადარბაზოიანი შენობის სარდაფში, ბუნკერია მოწყობილი, რომელიც აღჭურვილია კავშირგაბმულობით, დენითა და გაზით. იქაურობა ტყვია-წამლითა და პროდუქტებით არის სავსე. ეტყობა, ეს საბაზო შენობაა. ექსტრემალურ სიტუაციაში სეპარატისტული ხელისუფლება იქ გადაინაცვლებს და აქედან შეეცდება მართოს სიტუაცია. ოსების თქმით, ეს არის შენობა „დლია ჟიზნეობესპეჩენია რუკოვოდსტვა“.

ტბეთის ზემოთ (ის ჯავისკენ მდებარეობს), ღრუბელას ხევში სამხედრო ბაზაა მოწყობილი, იმდენად გასაიდუმლოებულია, რომ ეუთოს დამკვირვებლებსაც არ უშვებენ. ბაზას მავთულხლართი აქვს შემოვლებული და კაცმა არ იცის, იქ რა ხდება... სოფელ გერში, წმინდა გიორგის ეკლესიაში მოსალოცად ჩასული მომლოცველებიც კი არ გაატარეს. ეტყობა, იქაც რაღაც აქვთ მოწყობილი. გერის იქით მდებარე სოფელ გუდისში (ეს ოსების სოფელია) ქართველები ვერ შედიან.

მაინც რისთვის ემზადებიან ასე გულმოდგინედ ოსები? სეპარატისტული ხელისუფლება განგებ ქმნის ისტერიულ სიტუაციას, რაც შეიძლება მეტი ფინანსების მისაზიდად. მეორე ვერსიით, ყველაფერ ამას მიზანმიმართულად აკეთებს ოსური კი არა, რუსული მხარე, საიმისოდ, რათა სამხედრო პლაცდარმი გაიმაგროს სამხრეთ კავკასიაში, თუკი ბაზების გაყვანამ მოუწია. ანალოგიური რამ ხდება აფხაზეთშიც, მიუხედავად იმისა, რომ გუდაუთის ბაზა გაყვანილია. სამხრეთოსური ჯარი არ არის ის ძალა, რომელსაც რეალური წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია ქართული მხარისთვის, მაგრამ მათთან ბრძოლას არავინ აპირებს.

ეს არის ის, რისი თქმაც საჭიროდ ჩავთვალეთ. ღიმილისმომგვრელი იყო ოსების ზედმეტი ეგზალტირებაც და დამოუკიდებლობის დღეს კოკოითის წრეგადასული აღფრთოვანება, მალე რუსეთს შევუერთდებითო. ეტყობა, ჩრდილოეთიდან ჩამოსულმა „დიდმა სტუმრებმა“ გაახალისეს.

ოსური წყაროს ინფორმაციით, მიტინგზე უბრალო ხალხის მისაყვანად ოსურმა ხელისუფლებამ 1000-1000 რუბლი გაიღო (ეს არც დაუმალავთ. — ავტ.).

ოსების ფანტაზია კიდევ უფრო შორს წავიდა. კულტურულ ღონისძიებასაც მისცეს პოლიტიკური ელფერი. ზეიმის დღეებში ცხინვალის თეატრში სახალხო სასამართლო გაიმართა. სცენაზე, რკინის გისოსებმილმა, ჟორდანიას, გამსახურდიასა და მიხეილ სააკაშვილის ფოტოების გვერდით ჰიტლერისა და მუსოლინის სურათები ეკიდა. ჰყავდათ ბრალმდებელიც. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი მოწმის სახით გამოცხადდა ალან ჩოჩიევი (კაცი, რომელიც „ადამონ ნიხასის“ სათავეებთან იდგა, შემდეგ კი გაფლანგვის მუხლით კარგა ხანს იჯდა ციხეში), რომელმაც მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა ე. წ. ქართულ ფაშიზმზე. როგორც ამბობენ, ამ ზეიმზე დიდი ფული დაიხარჯა...

კოკოითი მომავალ წელს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება. ამიტომ განაწყენებული ხალხის შემორიგებას ცდილობს. ცდილობს დიდი ლიახვის ხეობის ქართული მოსახლეობის დაყოლიებას, რომ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები გახდნენ. თურმე მკაცრი ბრძანებაა გაცემული ცხინვალში, — ჩასულ ქართველს არავინ არაფერი არ უნდა დაუშავოს. მოსახლეობას ჰპირდებიან, თუ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას აღიარებთ, სავიზო რეჟიმს მოგიხსნით და რუსეთში პროდუქტის გატანაშიც დაგეხმარებითო(!).

ვრცელდება კიდევ ერთი ინფორმაცია, რომ რუსეთი კოკოითის შემცვლელს ამზადებს. ეს არის ე.წ. ოსეთის შს მინისტრი მინძაევი, რომელიც ჩრდილო ოსეთიდან ჩამოიყვანეს. მინძაევი თეიმურაზ მამსუროვის ახლობელია. ასე რომ, კოკოითს სერიოზული კონკურენტი ეყოლება მომავალი წლის არჩევნებზე. მამსუროვისთვისაც, რომელსაც ხელი აქვს მოწერილი ორი ოსეთის გაერთიანებაზე, მომგებიანი იქნება, თუ თავისი კაცი ეყოლება ცხინვალში.

კოკოითის სეპარატისტული რეჟიმი, ჩანს, ილუზიების ტყვეობაშია და რუსეთისაც მეტისმეტად სჯერა. ამიტომ არის დიდ გულზე. რატომ ავიწყდებათ სეპარატისტებს, რომ რუსეთს თავისი პრობლემებიც მრავლად აქვს კავკასიაში. ისე, ძალიანაც ნუ დაიარხეინებენ გულს!

**P.S.** დაბოლოს, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საქართველოს ხელისუფლებამ კარგად იცოდა, სადაც გაათია ღამე ცხინვალში სტუმრობისას სერგეი ბაღაფშმა. ექსპერტი მამუკა არეშიძე ჩვენთან საუბარში აცხადებს — „ბაღაფში ღამეს ცხინვალის პურის ქარხნის დირექტორის სახლში, პუშკინის ქუჩაზე რომ ათევდა, მე ვიცოდი და ქართულ სპეცსამსახურებს არ ეცოდინებოდათ? თუ რამის გაკეთება უნდოდათ, გააკეთებდნენ... ასე რომ, რუსული პრესის ისტერია — ქართველებს პროვოკაციის მოწყობა უნდოდათო, — თითიდან გამოწოვილია“.

*მარი ზანდუკელი*

# რისთვის ემზადებიან?!

## სეპარატისტებმა ტრანშეები გათხარეს და იქ შუქიც კი შეიყვანეს...




სეპარატისტთა სამხედრო დაჯგუფებების განლაგების სქემა

# ახალი საშუალება ყაჩაღების არსენალში



## ისინი არასოდეს ნადირობენ შემთხვევით ადამიანებზე(?!)

თბილისში ახალი სახის დამნაშავეები გამოჩნდნენ. არც ჯიბეში უძვრებიან მოქალაქეებს, არც იარაღის მუქარით აყაჩაღებენ და არც ბინებს უტეხენ — საძილე საშუალებებით გაჟღენთილი ცხვირსახოცებით ნადირობენ საკბილოზე. ერთი ფაქტის მოწმე თქვენი მონა-მორჩილიც გახდა.

გასულ ხუთშაბათს, დილადრიან, თბილისის ერთ-ერთ ბაზრობას ვეწვიე. ხალხი კანტიკუნტად ჩანდა. კუთხეში, ტანსაცმლის სექციასთან, 50-ოდე წლის კაცი იდგა. ხან მწარედ გმინავდა, ხან ვიღაცას უშვერი სიტყვებით აგინებდა. ბაჩო მეგრელიშვილი აღმოჩნდა — ტანსაცმლით მოვაჭრე. იმ დილით ყაჩაღებს საქონელიც წაურთმევიათ და ფულიც.

დაზარალებულმა გვიამბო:

— ყოველ ხუთშაბათს, ალიონზე, ლილოში მივდივარ. ვიღებ საქონელს და აქ ცოტა მეტ ფასად ვყიდი. დღესაც ასე მოვიქეცი. მზეც არ იყო ამოსული, როცა ლილოში საქმე მოვილიე და ბაზრობაზე მოვედი. ფუთები დახლზე დავაწყვე და ის იყო, საქონლის დახარისხებას უნდა შევდგომოდი, რომ შორიახლო სამი ახალგაზრდა შევნიშნე. ჩემკენ მოდიოდნენ. ვიფიქრე, ესენიც ვაჭრები არიან-მეთქი და საქმიანობა გავაგრძელე. ჩემს ზურგს უკან გაჩერდნენ. უცებ ხმა მომესმა, — ნახე, ბიჭო, ვიღაცას ფული დაუკარგავსო. გამიელვა — მე ხომ არ ამომივარდა ჯიბიდან-მეთქი. იქვე მართლაც ეგდო ცხვირსახოცში გახვეული რაღაც, შეკვრა, საიდანაც მართლაც მოჩანდა ფული. დავმშვიდდი, რადგან ჩემი არ იყო. ერთ-ერთმა შეკვრა აიღო. ჯიგარო, შენი ხომ არ არისო და შეკვრა სახესთან მომიტანა. მაშინვე გონება დავკარგე. როცა გონს მოვეგე, დახლზე აღარც ფუთები ეწყო და ჯიბეებიც გამოცარიელებული მქონდა.

— **კი, მაგრამ ვერავინ მოგეშველათ?**

— მე ყველაზე ადრე მოვდივარ ბაზრობაზე. ირგვლივ არავინ იყო და ვინ დამეხმარებოდა! ათასი ლარის საქონელი წაიღეს და 600 ლარამდე ფული. ყველაფერი ვერ ვიყიდე ლილოში და ამიტომ ფულიც შემომრჩა. აღარ ვიცი, ვის მივმართო. ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი, რომ მკითხონ, იმ ხალხის სახეც არ მახსოვს. თავიც მტკივა. იმდენი ფულიც არ დამრჩა, რომ ექიმთან წავიდე...

იქვე თავმოყრილი მოვაჭრეები დაზარალებულს ამშვიდებდნენ და ექიმთან მისასვლელად ფულს სთავაზობდნენ. მათთან საუბრისას გაირკვა, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის. მსგავსმა დანაშაულმა ბოლო ხანს საგრძნობლად იმატა. მოვაჭრეებმა არ იციან, როგორ აიცილონ საფრთხე. ერთადერთი ხერხი — ერთად ყოფნაა, რადგან ამგვარი მეთოდით კაცის გაძარცვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ის მარტოა. სამართალდამცველები ოფიციალური კომენტარისგან თავს იკავებენ. თუმცა, როგორც შევიტყვე, კარგად არიან ინფორმირებული ამგვარი დანაშაულობების თაობაზე.

რამდენადაც ცნობილია, ეს ჯგუფი მხოლოდ ერთ ბაზრობაზე არ მუშაობს, სხვა ბაზრობებსაც სტუმრობს ხოლმე და ზოგჯერ ქუჩაშიც ეძებს მარტოხელა სამიზნეს. ხელწერის მიხედვით, თბილისში საძილე საშუალებებით შეიარაღებული მხოლოდ ეს ერთი ჯგუფი უნდა „მუშაობდეს“. კიდევ ერთი დეტალი: ისინი არასოდეს ნადირობენ შემთხვევით ადამიანებზე — გროშებზე „საქმის გაკეთება“ არ ღირს. ეტყობა, წინასწარ, საგულდაგულოდ სწავლობენ საკბილოს, მის საქმიანობას, ფინანსებს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ მოქმედებას.

— **რამდენი ხანია, რაც თბილისში ეს ჯგუფი გამოჩნდა?** — ვკითხე მოვაჭრეებს.

— უკვე რამდენიმე თვეა. ამ ხნის მანძილზე, რაც ვიცით, უკვე ათამდე „საქმე“ დაუგროვდათ. შესაძლოა, მეტიც იყოს. არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რაც მათ გამოაშკარავებას უშლის ხელს. შეიძლება ეს პირები სულაც არ ეწევიან კრიმინალურ ცხოვრებას და ყოვლად უწყინარ საქმიანობას მისდევენ. ჩვეულებრივი დამნაშავეები მსგავს „ტექნიკურ საშუალებებს“ იშვიათად იყენებენ, უფრო დანის ტრიალს ამჯობინებენ ხოლმე. ასე რომ, შეიძლება მათ შორის ძებნას აზრიც არ ჰქონდეს. ისე კი, ნებისმიერი დამნაშავის აყვანა შეიძლება და უახლოეს მომავალში ამ ჯგუფსაც ეს ბედი ელის.

**P.S.** „კვირის პალიტრა“ შეეცადა მედიცინის მუშაკებთან გაერკვია, რა ნივთიერება შეიძლება ყოფილიყო ცხვირსახოცზე, რომელსაც მსგავსი ეფექტის მოხდენა შეუძლია და მომენტალურად თიშავს ადამიანს. დამნაშავეთა დაკავებამდე ზუსტი პასუხის გაცემა ნაადრევია. რაც შეეხება ქლოროფორმს (რომელსაც, სავარაუდოდ, დამნაშავეები იყენებენ), მედიკოსთა თქმით, იგი წარმოადგენს ძლიერ ანესთეზიოლოგიურ საშუალებას, რაც უმცირეს დროში იწვევს ადამიანის გათიშვას. საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნული ნივთიერება თავისუფლად არ იყიდება და აფთიაქებში მისი შეძენა შეუძლებელია.

*დავით დევიძე*

# რუსი „ცისფერჩაფხუტიანები" — რუსული სამხედრო ბაზების კვალდაკვალ




ისევე, როგორც რუსულ სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით, რუსი „ცისფერჩაფხუტიანების" საქმიანობის მწვავე კრიტიკაში საქართველოს პარლამენტი ერთსულოვანია.

მისასალმებელია, რომ საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას, წინასგან განსხვავებით, ჰყოფნის გამბედაობა, თამამად განაცხადოს, — რუსეთის „სამშვიდობო" ძალები როგორც ცხინვალის რეგიონში, ისე აფხაზეთში, ერთიანი საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ ირჯებიან და რაც მალე დატოვებენ ჩვენს ტერიტორიას, მით უკეთესიაო.

„კვირის პალიტრას" არაერთხელ დაუწერია, რომ სამმხრივი სამშვიდობო ძალების რუსული და ჩრდილოოსური ბატალიონები ცხინვალის რეგიონში, ხოლო აფხაზეთში — „მშვიდობის შემნარჩუნებელი კოლექტიური ძალები", ფაქტობრივად, ის რუსი მესაზღვრეები არიან, რომლებიც ცხინვალისა და სოხუმის სეპარატისტულ ხელისუფლებებს იცავენ.

ვიდრე ცხინვალის მისადგომებთან და ენგურის პირას რუსი „ცისფერჩაფხუტიანები" იდგებიან, სეპარატისტები თავს უფრო უშიშრად იგრძნობენ და თავიანთი რეჟიმების განსამტკიცებლად დროის მოგებას ეცდებიან.

ეს დაადასტურა შარშანდელი აგვისტოს მოვლენებმა ცხინვალის რეგიონში, სადაც რუსმა „ცისფერჩაფხუტიანებმა" შეასრულეს არა მარტო ქართული დანაყოფების შემკავებლის, არამედ სეპარატისტების იარაღით მომმარაგებლის როლიც.

და ეს ასე იქნება მანამ, ვიდრე ცისფერჩაფხუტაფარებული რუსული სამხედრო დანაყოფები საქართველოში დარჩებიან.

ამიტომაც გასაგებია, საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებული ის დადგენილება, რომელიც რუსული სამშვიდობო მისიის შეწყვეტას ცხინვალის რეგიონში 2006 წლის 10 თებერვლიდან, ხოლო აფხაზეთში — 15 ივლისიდან მოითხოვს.

ქართველი პარლამენტარები ამ დადგენილებაში საზოგადოებას თამამად აცნობენ, რომ რუსი „ცისფერჩაფხუტიანების" ქმედებები უკიდურესად უარყოფითად ფასდება, რადგან ეს ე.წ. სამშვიდობო ძალები, გარეული არიან კონტრაბანდულ საქმიანობაში (ქართველი სამართალდამცავები ამის დამადასტურებელ ფაქტებს ბოლო დროს თითქმის ყოველდღე ავლენენ), იარაღით, ტყვია-წამლითა და ნარკოტიკებით ვაჭრობაში და, რაც მთავარია, არ ძალუძთ აღკვეთონ კონფლიქტის ზონებში მოსახლეობის გატაცების, ცემისა და მკვლელობის შემთხვევები.

ქართველი პარლამენტარების, აღმასრულებელი ხელისუფლების, მოსახლეობის უმეტესი ნაწილისა და თვით პრეზიდენტის განწყობა რუსი „ცისფერჩაფხუტიანების" მიმართ გასაგებია, მაგრამ საკითხავია, განხორციელდება თუ არა ისევე შედარებით მშვიდად რუსი „ცისფერჩაფხუტიანების" გაყვანის პროცესი, როგორც ეს რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის შემთხვევაში მიმდინარეობს?

აჭარისა და ახალქალაქისგან განსხვავებით, საიდანაც რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა უკვე დაწყებულია, სეპარატისტული ცხინვალი და სოხუმი ბოლომდე კბილებით დაიცავენ რუს „ცისფერჩაფხუტიანებს" და არ მისცემენ ოფიციალურ თბილისს მათი საქართველოდან გაძევების საშუალებას.

სამწუხაროდ, სეპარატისტებს ამ საქმეში ის ხელშეკრულებებიც ეხმარება, რომლებზეც ხელი ექსპრეზიდენტ შევარდნაძესა და მისი ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ მოწერილი. ამ დოკუმენტებში სეპარატისტები კონფლიქტის მხარეებს წარმოადგენენ და მათი თანხმობის გარეშე სამშვიდობო ძალების გაყვანა ან ჩანაცვლება ძალიან ძნელია.

თუკი საქართველოს ხელისუფლებამ მართლაც მოახერხა კონფლიქტის ზონებიდან რუსი „ცისფერჩაფხუტიანების" გაყვანა, შეიძლება ამას ახალი პროვოკაციები მოჰყვეს. უფრო ინტენსიურად დაიწყება მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცება, დახოცვა, რაც ოფიციალური თბილისისგან ადეკვატური კონტრზომების მიღებას მოითხოვს. კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად შეყვანილ პოლიციასა თუ სამხედრო დანაყოფს დაუპირისპირდებიან სეპარატისტების შეიარაღებული რაზმები, რამაც, შეიძლება საბოლოო ჯამში, ახალი კონფლიქტის დაწყებამდე მიგვიყვანოს. ეს კი საუკეთესო კოზირი გახდება კრემლისთვის (სადაც პირველი თავად მოითბობს ხელს, როგორც ამას აქამდე აკეთებდა) — არ გინდოდათ რუსი „ცისფერჩაფხუტიანები"? დაგიხოცავთ ერთმანეთიო!

რეალურად კი მოსკოვი აქტიურ სამხედრო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საინფორმაციო დახმარებას აღმოუჩენს სეპარატისტებს. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს მოწინააღმდეგეებმა „ორი ფრონტის" გეგმაც გაითამაშონ, თუკი შეიარაღებული შეტაკებები ერთდროულად წარიმართება, როგორც პატარა და დიდი ლიახვის ხეობებში, ისე მდ. ენგურის გასწვრივ.

სეპარატისტებს, რა თქმა უნდა, რუსეთის გენშტაბის ოფიცრების დახმარებით, შედგენილი აქვთ გეგმები, თუ სად მიიტანონ პრევენციული იერიშები.

ცხინვალის რეგიონში კოკოითის რეჟიმს უკვე გააჩნია რუსეთიდან შემოტანილი „გრადის" ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, რომლებიც მომგებიანი პოზიციებიდან გორის შემოგარენს სწვდებიან.

თავის მხრივ ცხინვალის დაბომბვით შეშინებულ ბაღაფშს წამოსცდა, — ზუგდიდზე აფხაზთა შესატევად ბრძანება გავეციო.

ჩვენ არავის ვაშინებთ, თუმცა შეიძლება სწორედ გორსა და ზუგდიდზე გაბედონ თავდასხმა სეპარატისტებმა.

მოვლენების ამ მხრივ განვითარების შემთხვევაში საქართველოს შეიარაღებული ძალები, რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილი არ დარჩებიან და საპასუხო დარტყმებს მიაყენებენ მოწინააღმდეგეს.

საერთო ჯამში, მივიღებთ ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტს, შესაძლოა ორ ფრონტზეც, ანუ საქართველოს ეკონომიკა მხოლოდ ომზე იმუშავებს. კონფლიქტი, სავარაუდოდ, რამდენიმე თვე გაგრძელდება, რადგან ქართულ არმიას გაუჭირდება ბლიცკრიგის ჩატარება — ყოველ ახალნაყიდ ათ ტანკზე რუსეთი სეპარატისტებს სამ-ოთხჯერ მეტს მიაწოდებს.

რაც უფრო გახანგრძლივდება შეიარაღებული კონფლიქტი, მით მეტად დაძაბუნდება ქართული ეკონომიკა. ომში გარდაუვალი დანაკარგებით უკმაყოფილო დარჩება საზოგადოებაც. სეპარატისტები, მოსკოვის დახმარებით, კვლავ ეცდებიან მთელ მსოფლიოს აუწყონ აგრესორი ქართველების ამბავი, უკვე დაჟინებით მოითხოვენ რუსეთთან შეერთებას, რასაც შეიძლება მოსკოვის გაცხადებული თანხმობაც მოჰყვეს.

ამ პირქუშ სცენარს უკეთესი ვარიანტიც გააჩნია. მხოლოდ მოლაპარაკებებით და შეთანხმებების საფუძველზე გაგვყავს კონფლიქტის ზონებიდან რუსი „ცისფერჩაფხუტიანები", როგორადაც არ უნდა გაგვიჭირდეს, არ წამოვეგებით სეპარატისტებისა და მოსკოვის პროვოკაციებზე. დიდ ფულად სახსრებს ვდებთ გორის რეგიონისა და ცხინვალის გარშემო არსებული ქართული სოფლების (თუ შესაძლებელია, ოსური სოფლებისაც) ასაღორძინებლად, რათა როგორც სეპარატისტებმა, ისე ცხინვალის ჩვეულებრივმა მცხოვრებლებმაც დაინახონ, რომ ქართველები მათკენ შემართული ლულებით კი მიდიან, არამედ ნორმალური ცხოვრების აღდგენას სთავაზობენ.

აფხაზეთის მიმართულებით იგივე კეთდება სამეგრელოში და, უპირველესად, ზუგდიდში.

აჭარის რეგიონის წარმატებულ საკურორტო ზონად გადაქცევა კი შეუმჩნეველი არ დარჩებათ იმ აფხაზებს, რომლებიც ომის დაწყებამდე ამ ძალზე მომგებიან ბიზნესს ეწეოდნენ...

იქ, სადაც ტანკი ვერ გავა, თავის საქმეს ფული გააკეთებს...

**P.S.** ასეა თუ ისე, რუსი „ცისფერჩაფხუტიანების" გაყვანა რუსული სამხედრო ბაზების გაყვანაზე უფრო საშური საქმეა, რადგან ისინი „ყინავენ" კონფლიქტის ზონებს. ეს კი მხოლოდ სეპარატისტების რეჟიმების გაძლიერებაზე მუშაობს.



# რუსულმა ოფიციოზმა და მასმედიამ ეს ამბავი სათავისოდ გამოიყენეს

## ჯავშანმანქანები ქუთაისში ოთხი თვე, ბრეზენტის გარეშე, ღია ცის ქვეშ იდგნენ...



თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის უკრაინაში ამასწინანდელი ვიზიტის დროს უკრაინულმა მხარემ თავი შეიკავა ახალი ხელშეკრულებების დადებაზე, რომელიც ქართული არმიისთვის დამატებითი შეიარაღების შესყიდვას ეხებოდა.

ეს ექსკლუზიური ინფორმაცია „კვირის პალიტრას" კიევში, უკრაინის სამხედრო უწყებასთან დაახლოებულმა წყარომ მიაწოდა. წყარო აღნიშნავს, რომ უკრაინა მსოფლიოს 30 ქვეყანაში ყიდის იარაღს და დღემდე არ გახვეულა ისეთ სკანდალში, როგორშიც საქართველოსთვის მიყიდული ქვეითთა საბრძოლო მანქანების გამო აღმოჩნდა.

როგორც ვვარაუდობდით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბის ხელმძღვანელობის მიერ ატეხილმა „БМП-ების სკანდალმა", სამწუხაროდ, მართლაც შეაფერხა ქართულ-უკრაინული ურთიერთობები სამხედრო საქმეში. ჩვენმა საერთო მეზობელმა — რუსეთმა — მშვენივრად ისარგებლა ამით. რუსულმა ოფიციოზმა და მასმედიამ, ერთი მხრივ, მსოფლიო იარაღის ბაზარზე სახელი გაუტეხეს უკრაინას (რუსეთის ერთ-ერთ კონკურენტს საბჭოური წარმოების იარაღის ბიზნესში), როგორც არასაიმედო იარაღის გამყიდველს, მეორე მხრივ კი, მწარედ დასცინეს თბილისს — არც ხეირიანი იარაღის შესყიდვა შეგიძლიათ და არც მისი წესიერი მოხმარებაო!

ამ სკანდალთან დაკავშირებით, „კვირის პალიტრისთვის" ცნობილი გახდა დამატებითი ფაქტები; ამიტომ, გამოძიების დამთავრებამდე, თავს უფლებას მივცემთ, განვაცხადოთ: — უკრაინაში შესყიდული ჯავშანმანქანების მწყობრიდან გამოყვანა არასწორმა და ზოგჯერ დანაშაულებრივმა ექსპლუატაციამ გამოიწვია.

ამას ადასტურებს შემდეგი მაგალითები: გორის ბრიგადაში ჯავშანმანქანის ძრავაში МТ-16П-ის ტიპის ზეთის ნაცვლად ჩაასხეს სხვა ზეთი (ზოგიერთი ინფორმაციით, სპეციალურად განზავებული რედუქტორის ზეთი). დიზელის ძრავა, ცხადია, მწყობრიდან გამოვიდა. ფაქტის მისაჩქმალად, ზეთი ძრავიდან მთლიანად ჩამოწურეს, მის მაგივრად უკვე საჭირო ზეთი ჩაასხეს და საბრძოლო მანქანა ისევ ფარეხში დააყენეს, ვითომ არ უმუშავიაო.

გორის ბრიგადაშივე, ჯავშანმანქანების გადაადგილებისას, მძღოლ-მექანიკოსმა მეთაურს მოახსენა, რომ ხელსაწყო ძრავის გადახურებას უჩვენებდა და საჭირო იყო БМП-2-ის გაჩერება. მეთაურის ბრძანებით, ჯავშანმანქანამ სვლა განაგრძო, რასაც მალევე მისი ძრავა „შეეწირა".

ქართულ არმიაში დღესაც მოქმედებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის — თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის 2000 წლის 2 თებერვლის №13 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჯავშანსატანკო შეიარაღებისა და ტექნიკის ექსპლუატაციის ორგანიზაციის სახელმძღვანელო". ამ სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ „სამხედრო ნაწილების სხვა მარკის მანქანებზე გადაიარაღების დროს პირადი შემადგენლობის გადამზადება ხდება 45-დღიან შეკრებებზე. მეცადინეობის ხელმძღვანელი ოფიცრების მომზადება კი 30-დღიან შეკრებებზე, მთელი პირადი შემადგენლობის შეკრებამდე".

არადა ორფოლოში, ჯავშანსატანკო სწავლებაზე ეკიპაჟების დაუკომპლექტებლობის გამო, რამდენიმე ჯავშანმანქანის მძღოლ-მექანიკოსის სავარძელზე ორი კვირის გაწვეული ჯარისკაცები ისხდნენ!

ჩვენი ინფორმაციით ქუთაისის ბრიგადაში 2005 წლის იანვრიდან მაისამდე, 4 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ახალნაყიდი ჯავშანმანქანები ღია ცის ქვეშ, დამცავი ბრეზენტის გარეშე იდგნენ. მანქანებში მოხვედრილმა წვიმის წყალმა ძრავები მწყობრიდან გამოიყვანა, რადგან გამოყენების წინ არ ჩატარებულა მათი შესაბამისი მომსახურება.

რაღა შორს წავიდეთ. „კვირის პალიტრას" ხელში ჩაუვარდა დოკუმენტები, რომლებშიც შავით თეთრზე წერია, — უკრაინიდან ჩამოტანილი ჯავშანმანქანები სრულიად გამართულია და დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის სრულ მზადყოფნაშიაო.

ლაპარაკია БМП-2-ტიპის საბრძოლო მანქანების ტექნიკური აღწერისა და მიღება-ჩაბარების აქტებზე, რომლებზეც ხელი მოწერილი აქვთ გორის, ვაზიანისა და ქუთაისის ბრიგადების პასუხისმგებელ ოფიცრებს!

ერთიც: ორფოლოს პოლიგონზე, ჯავშანსატანკო სწავლების დაწყების წინ, გენშტაბის უფროსის ბრძანების საფუძველზე შემოწმდა სწავლებაში მონაწილე ჯავშანსატანკო ტექნიკის მზადყოფნა და სამხედრო ნაწილების მეთაურებმა პატაკებით მოახსენეს გენშტაბის უფროსს ტექნიკის მზადყოფნის შესახებ. მეთაურები არ ცრუობდნენ — სწავლების დაწყებამდე ტექნიკა გამართული იყო...

# МиГ-29

## საქართველოზე გამოვააარე...



როდესაც პენტაგონი თავის პილოტებს საბჭოთა ასებთან საბრძოლველად ამზადებდა, მოწინააღმდეგის მოქმედების იმიტირებისთვის „აგრესორად" მონათლულ F-5-ის ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავების ესკადრილიას იყენებდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკელ პილოტებს საშუალება მიეცათ, ნამდვილ МиГ-ებსა და Су-ებს დაპირისპირებოდნენ ნევადის ცაში.

ამისთვის პენტაგონის წარმომადგენლები ხშირად მიმართავენ კომპანია Red Air-ის მფლობელს, მილიონერ დონ კირლინს.

კირლინი მსოფლიოში პირველი კოლექციონერია, რომელსაც ყოფილი სოციალისტური ქვეყნების რეაქტიული თვითმფრინავების ყველაზე დიდი პარკი აქვს.

მის კოლექციაში საბჭოთა МиГ-21-ის, ჩეხური L-39-ისა და L-59-ის გარდა, თვით МиГ-29-ც კი არის. ამერიკული F-16-ის მთავარ მეტოქედ მიჩნეულია სწორედ МиГ-29.

МиГ-29-სთან არის დაკავშირებული სკანდალური ამბავი, რომელსაც ამერიკელი მილიონერი ჰყვება.

— ყირგიზეთში, სხვა თვითმფრინავებთან ერთად, ერთი საფრენად ვარგისი МиГ-29-ც შევიძინე, თუმცა მისი ამერიკაში ჩატანა ძალიან გამიჭირდა. დაშლილი МиГ-29 საქართველოს გავლით რკინიგზით გადამქონდა. ტვირთი დამიკავეს. ათობით ათასი დოლარი დამჭირდა ქართველი ჩინოსნების მოსასყიდად, რათა ჩემი თვითმფრინავი დაებრუნებინათ. შემდეგ ის ესტონეთში გადავგზავნე, საიდანაც, ბოლოს და ბოლოს, აშშ-ში მოხვდა.

ამერიკელი ბიზნესმენი არ აკონკრეტებს, როდის განახორციელა ეს სატრანზიტო ოპერაცია. საეჭვოა, ყირგიზეთში დარჩენილი ყოფილიყო საფრენად ვარგისი МиГ-29. ასევე, ცოტა უცნაურია, როგორ მოახერხა დონ კირლინმა თვითმფრინავის საქართველოდან ესტონეთში გადაგზავნა...

ისეთმა სერიოზულმა უწყებამ, როგორიც პენტაგონია, დონ კირლინს თვითმფრინავების გამოყენებისთვის 840 ათასი დოლარი გადაუხადა, რადგან ამ ამერიკელ მილიონერს უფრო მეტი საბჭოთა МиГ-ი ჰყავს, ვიდრე აშშ-ის მთავარ სამხედრო უწყებას. ისე, თუკი ამერიკელი მილიონერი მაინც მართალია, საინტერესოა, რომელმა ქართველმა ჩინოსანმა ჩაიჯიბა МиГ-29-ის გაპარებაში აღებული ქრთამი?!

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# შიშს დიდი თვალები ჰქონია

მოსკოვში ერთიათად ეჩვენებათ ქართული არმიისთვის შესყიდული ტექნიკა. ცნობილმა რუსულმა გაზეთმა „ნეზავისიმაია გაზეტამ" დაბეჭდა სტატია სათაურით: „ქართული არმია ელვის სისწრაფით იკრებს ძალას".

სტატია საკმაოდ პროფესიონალურად ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ იზრდება ქართული სამხედრო ბიუჯეტი და როგორ იარაღდება ქართული არმია.

ამ სტატიის სრულ ანალიზს არ ვაპირებთ, მხოლოდ რამდენიმე ციტატას მოვიყვანთ: „მაკედონიამ და ბულგარეთმა საქართველოს მიაწოდეს 7 მოერიშე Су-25. უზბეკეთში რამდენიმე МиГ-23, ხოლო ჩეხეთში სასწავლო-საბრძოლო L-159 იყიდეს". „ჩეხეთმა, თვითმფრინავების ნაწილების სანაცვლოდ, საქართველოს 120 ტანკი გადასცა. აშშ თბილისისთვის 77 საბრძოლო ტექნიკის მიცემას აპირებს".

„მზადდება ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საქართველო ეგვიპტეში 90 ათას ავტომატს შეიძენს ქართველი რეზერვისტების შესაიარაღებლად..." ეს ამონარიდები იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ასეთი რამ ბუნებაში არ მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, არაფერი გვსმენია უზბეკეთში ნაყიდ МиГ-23-ებზე, ისევე როგორც ჩეხეთიდან ჩამოყვანილ 120 ტანკზე.

ამ რუსული სტატიის არსი ჩვენი აზრით უფრო ის არის, რომ ყველას, პირველ რიგში კი, საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არსებულ სეპარატისტულ ხელისუფლებებს აჩვენოს — თბილისი გამალებით იარაღდება და თავდასხმას გიპირებთო. ეს კი სეპარატისტულ რეჟიმებს აიძულებს, უფრო მეტი იარაღი სთხოვონ მფარველ რუსეთს, რითაც ისინი კრემლზე უფრო დამოკიდებული ხდებიან.

საერთო ჯამში კი, წაგებული ისევ საქართველო აღმოჩნდება, რადგან გამალებული შეიარაღება იმხელა არსენალს აგროვებს, რომელიც, ადრე თუ გვიან, ამოქმედდება.

# რას მოგვიტანს ათჯერ გაზრდილი მოსაკრები

## საპარლამენტო კომიტეტის მომზადებული კანონცვლილება დასახვეწია



პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა მოამზადა პროექტი „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრების შესახებ" კანონში ცვლილების შესახებ. ის ითვალისწინებს სამხედრო სამსახურის 18 თვით გადავადებისთვის მოსაკრების 2000 ლარამდე გაზრდას. ამასთან, გადავადება მხოლოდ 25 წლამდე შეიძლება. 25-დან 27 წლამდე ახალგაზრდას კი მაინც წაიყვანენ ჯარში სავალდებულო სამსახურის გასავლელად.

ამჟამად, ჯერ კიდევ მოქმედებს კანონი, რომლის თანახმადაც 18-დან 27 წლამდე ახალგაზრდას ჯარში გაწვევის გადავადება შეუზღუდავად შეუძლია წელიწადში 200 ლარის მოსაკრების გადახდის შემდეგ.

თუკი საპარლამენტო კომიტეტის მიერ მომზადებული ცვლილება დამტკიცდება, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას?

გასაგებია, რომ სახელისუფლებო გუნდი ცდილობს, რაც შეიძლება მეტმა საქართველოს მოქალაქემ მოირგოს ჯარისკაცის ფორმა და თავის თავზე გამოსცადოს, რას ნიშნავს სამშობლოს დაცვა. ეს, ცხადია, მისასალმებელია, რადგან საზოგადოება და ჯარი უსათუოდ უწყვეტად უნდა იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, რაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას აუცილებლად გაზრდის.

თუმცა, ისმის კითხვა: — რა ვქნათ, თუკი ჯარში გაწვეულთა რიცხვს 8-10-ჯერ აღემატება გასაწვევთა რაოდენობა?

თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დღეისათვის შეიარაღებულ ძალებში 21.468 სამხედრო მოსამსახურე ირიცხება, საიდანაც სავალდებულო სამხედრო სამსახურს 10.880 სერჟანტი და რიგითი გადის. დანარჩენი...

წლეულს, გაზაფხულზე, შეიარაღებულ ძალებში 5.414 ახალგაზრდა გაიწვიეს, არადა გასაწვევი კონტინგენტის საერთო რაოდენობა (სტუდენტების, ავადმყოფების, დედისერთების თუ „გმირი" მამების გამოკლებით) 40 ათასს მაინც აღემატება.

პრეზიდენტმა — უმაღლესმა მთავარსარდალმა სავარაუდოდ, ამ კვირას უნდა განსაზღვროს შეიარაღებულ ძალებში, შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოში, შსს-ს საზღვრის დაცვის დეპარტამენტსა და სამთავრობო დაცვის სამსახურში საშემოდგომოდ გასაწვევი საქართველოს ახალგაზრდა მოქალაქეთა რაოდენობა. ალბათ ეს ციფრი ახლაც 5-6 ათასი იქნება.

გამოდის, რომ დაახლოებით 40 ათასი კანდიდატიდან ჯარში, გულითაც რომ უნდოდეთ, მხოლოდ 5-6 ათასი ახალგაზრდა მოხვდება. რა ქნან დანარჩენებმა?! თუკი კანონში ცვლილების შეტანა გაწვევის დაწყებამდე მოესწრო, ვინ და რამდენმა ახალგაზრდამ შეიძლება გადაიხადოს 2000 ლარი ჯარში გაწვევის გადასავადებლად?

200 ლარი არ არის უსაშველო თანხა და უმრავლესობას ერჩივნა, ბანკში ჩარიცხული თანხის დამადასტურებელი ქვითარი მიეტანა ყოფილ კომისარიატებში და არა ქრთამი. თუკი ეს თანხა ათჯერ გაიზრდება, ხომ არ გახშირდება ქრთამის მიცემა, რადგან 500-600 ლარად ზოგიერთი ხელმრუდე ჩინოსანი ახალწვეულის პირად საქმეს კარადაში მიმალავს, თანაც უშიშრად — გეგმის შესასრულებლად კონტინგენტი მაინც საკმარისია!

ამ და კიდევ სხვა მიზეზების გამო, რჩება შთაბეჭდილება, რომ კანონში შესატანი ცვლილებები ჯერ საბოლოოდ არ არის დახვეწილი და შეთანხმებული ყველა საჭირო ინსტანციასთან.



# „რა გინდა, მამაჩემი დავაჭერინოთ?“



გამოფენამ დიდი სენსაცია მოახდინა. ამდენი მნახველი, ალბათ, არ ახსოვს თბილისის საგამოფენო დარბაზებსა და მუზეუმებს, სადაც ქართველი მხატვრების შესანიშნავ ფერწერულ ტილოებთან ერთად მსოფლიოში აღიარებულ, ნებისმიერი სკოლისა და მიმდინარეობის შედევრებს იხილავდა ხელოვნების მოყვარული. ამასთან, ასლებს კი არა, არამედ გოიას, მანეს, რემბრანდტის ნამუშევრების ორიგინალებს. მაგრამ ამ გამოფენამ დამთვალიერებლები უჩვეულო ექსპონატებითაც მიიზიდა. ეს იყო გამოფენა-კოქტეილი, სადაც ვენეციური ბროლის სასმისები, ჩეხური ჭაღები, ქალისა და მამაკაცის თეთრეული და ათასი სხვა ძვირფასი სამკაული და საოჯახო ნივთი დაეხვავებინათ. მნახველთაგან არავინ გამოთქვამდა პროტესტს ამგვარი შეუსაბამობის გამო, რადგან გამოფენის ორგანიზატორი შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო და ექსპონატებიც ნაქურდალი ნივთები გახლდათ. ვერნისაჟი შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობაში მოეწყო და ნებისმიერ მსურველს შეეძლო ენახა, თუმცა უპირატესობა დაზარალებულებს ენიჭებოდათ, ისინი, ასე ვთქვათ, „საპატიო სტუმრის“ სტატუსით იყვნენ მიწვეული. იმ დღეებში ბევრმა თბილისელმა (და არა მარტო მათ) კვლავ იხილა თვეების თუ წლების წინ დაკარგული საკუთარი ნივთები თუ საოჯახო რელიკვიები. სტატიის ავტორი თავად არის მოწმე მათი სევდანარევი სიხარულისა. ისიც კარგად ახსოვს, როგორი თავგამოდებით ცდილობდა რამდენიმე თაღლითი თავისად გაესაღებინა ჯერჯერობით „უპატრონო“ ძვირად ღირებული ექსპონატი. სწორედ იმ დღეებში გამოფენის ორგანიზატორს, სისხლის სამართლის სამძებროს უფროსს, ბატონ დავითს შევხვდი, რომელმაც ასეთი რამ მიამბო:

— კარგა ხანია გვსაყვედურობდნენ იმ ბანდაზე, თბილისსა და დასავლეთ საქართველოში რომ დათარეშობდა და აქამდე ვერაფრით მოვიხელთეთ. ბანდას თან ერთი ლამაზი გოგო დაჰყვებოდა. ამას წინათ ერთმა სანდო კაცმა გამანდო, — ეგ გოგო ერთი იმერელი მეღვინის ქალიშვილი უნდა იყოს. ლამაზი გოგოა, არც ქონება აკლია, არც განათლება და თაყვანისმცემლები, მაგრამ რად გინდა, თუ ქურდი ან ბანდიტი არ არის, კაცს ახლოს არ იკარებს და თავს ბედნიერად თვლის, როცა „საქმეზე“ მიჰყავთ. თუმცა ეს ადრე იყო, ახლა პირიქით, მგონი, დიდ „საქმეებს“ თვითონ გეგმავს და წარმართავს კიდეც. თქვენც დააკვირდით, ღმერთმა ქნას, ვცდებოდეო. გამახსენდა, რომ რამდენიმე თვის წინ იმერეთის ერთ-ერთი ღვინის ქარხნის დირექტორად ერთი ჩემი ბავშვობის დროინდელი მეგობარი დანიშნეს. სამსახურებრივი მივლინება მოვიმიზეზე და სახლში მივადექი — აბა, შენს უნახავად ხომ არ წავიდოდი-მეთქი (ამ დროს ნამდვილად გულახდილი ვიყავი) და როცა ერთმანეთის მოკითხვას მოვრჩით, სამეგობროზე ჩამოვუგდე სიტყვა. მათ შორის იმ გოგოს მამის გვარიც დამისახელა. სასხვათაშორისოდ ვუთხარი, ის გოგო, მგონი, შავ საქმეებშია გარეული-მეთქი. ჩემს მასპინძელს არ უარუყვია, მითხრა, ვიცი, შავ დღეშია ჩემი ძმაკაციო.

— მგონი, ერთადერთი ვარ, ვისაც თავის დარდს ანდობს. გუშინაც მაჩვენა წერილი, ის ალქაჯი ათი ათას დოლარს სთხოვს მამამისს. თან ემუქრება, თუ ამას არ გააკეთებ, შენც ყელს გამოგჭრი, დედაჩემსაც და ძმებსაც ზედ მოგაყოლებთო. წარმოგიდგენია, რა დღეში ჩავარდებოდა ამის წამკითხავი? თანაც ეს პირველი წერილი კი არ არის. თვე ისე არ გავა, ერთი-ორჯერ რომ არ წალღიტოს ოჯახს კარგა მოზრდილი თანხა. სხვა რა გზა აქვთ, აძლევენ.

— კი, მაგრამ გოგო ხომ იმ ბანდის საქმეებში გადის. მაშასადამე, წილსაც იღებს. მამამისის ფული რაღაში სჭირდება?

— იმაში, რომ თამაშობს და უმოწყალოდ აგებს. იცის, წაგებულს ლამაზი თვალებისთვის არავინ აპატიებს და ვალს მამის ფულით ისტუმრებს. საწყალი კაცი იქამდე მივიდა, მეუბნებოდა, მადლობელი ვიქნები, თუ დაიჭერენო.

— მერე განაცხადოს და დაიჭერენ, რა დიდი ამბავი მაგას უნდა?!

— ეშინია, ან თვითონ გოგო, ან მისი ამფსონები ამოუწყვეტენ ოჯახს.

— თუ ასეა, მე ავიღებ ამ საქმეს და ისე ვიზამ, მამამისზე ეჭვს არავინ მიიტანს. შეგიძლია დღესვე შემახვედრო.

— მადლს იზამ, დავით. შენ აქ დამელოდე, ახლავე მოვიყვან...

კაცი დიდი ხნისა არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ დარდსა და ნაღველს ისე გაეტეხა, ჩემ წინ ცხოვრებისგან დაჩიავებული ერთი საბრალო არსება იდგა, რომელიც საკუთარი შვილისგან თავის დახსნას, შველას მთხოვდა მე, უცხო კაცს.

— აი, ბატონო დავით, რა დღეში ჩამაგდო ამ გოგომ. მიმძიმს, მაგრამ რა ვქნა, ბიჭები მყავს მისახედი. უბედურებად ისიც ეყოფათ, ასეთი და რომ ჰყავთ.

— ახლა რას აპირებთ?

— თანახმა ვარ, დაიჭირონ, ეს კიდევ ერთი თავის მოჭრა იქნება ჩემი ოჯახისთვის, მაგრამ გარეთ მის ამგვარ ყოფნას, მირჩევნია, ციხეში იჯდეს. ოღონდ მე არ უნდა გამოვჩნდე, თორემ ბიჭებს დამიხოცავენ.

— კარგი, მაშინ ასე მოვიქცეთ. ეჭვი რომ არ აიღონ, თქვენ ფული, ანუ მოთხოვნილი თანხა გადაეცით ქალიშვილს, მაგრამ მანამდე ნება მოგვეცით, ფული ქიმიურად დავამუშაოთ. ამით ბანდას კვალში ჩავუდგებით და მხოლოდ თქვენს ქალიშვილს კი არა, ყველას დავიჭერთ. თქვენზე კი, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ეჭვს ვერავინ აიღებს...

## არაჩვეულებრივი გამოფენა და „საპატიო სტუმრები“

> ეგ გოგო ერთი იმერელი მეღვინის ქალიშვილი უნდა იყოს. ლამაზი გოგოა, არც ქონება აკლია, არც განათლება და თაყვანისმცემლები, მაგრამ რად გინდა, თუ ქურდი ან ბანდიტი არ არის, კაცს ახლოს არ იკარებს და თავს ბედნიერად თვლის, როცა „საქმეზე“ მიჰყავთ. თუმცა ეს ადრე იყო, ახლა პირიქით, მგონი, დიდ „საქმეებს“ თვითონ გეგმავს და წარმართავს კიდეც.

მამა-შვილის შეხვედრა მეტრო „ისანთან“ დაინიშნა. კაცს იმის შიში ჰქონდა, შეხვედრის ადგილამდე არ მიმიშვებს, არ მენდობა, სადმე გზაში დამხვდება და იქ წამართმევს ფულსო. საბედნიეროდ, შეხვედრა დათქმულ ადგილას შედგა. სამი მანქანით მიაცილებდა შვილთან შესახვედრად მიმავალ მამას ჩემი ხალხი. ფოტოაპარატით ყველაფერი დავაფიქსირეთ (მათ შორის, ფულის ხელიდან ხელში გადაცემის მომენტიც), ოღონდ მამის სახის გარდა. ამ წუთიდან ჩემი ბიჭები აჩრდილებივით დაჰყვებოდნენ გოგოს, ისე, რომ ერთხელაც არ აუღია ეჭვი. ამ შეხვედრის გარეშე მისი პოვნა გაგვიჭირდებოდა, რადგან თვითონაც არ იცოდა, სად ათევდა ღამეს. ფულის აღებას მისი მეგზური, ვილაც სახეგაცრეცილი ახალგაზრდა ბიჭიც ესწრებოდა, რომელმაც მანქანით მოიყვანა გოგო. მანქანას კი ნომერიც ჰქონდა, ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა ჩვენთვის. შეხვედრიდან წამოსული წყვილის მანქანა დიღომში, რკინიგზის საავადმყოფოსთან გაჩერდა. ქალ-ვაჟი საავადმყოფოში შევიდა და ვიდრე დაბრუნდებოდნენ, ავტოინსპექტორებად გადაცმულმა ჩვენმა ბიჭებმა მანქანებისა და მძღოლების შემოწმება დაიწყეს. მართალია, იმ ახალგაზრდამ ჩვენებს სხვისი დოკუმენტები შეაჩეჩა, მაგრამ ამათ ხმაც არ ამოუღიათ. სამაგიეროდ, საღამოს უკვე ვიცოდით, რომ ის მკვლელობისთვის ძებნილი ავლაბრელი გარიკა გასოიანი იყო (აქ და შემდგომში გვარ-სახელები შეცვლილია). შევიტყვეთ ისიც, რომ სწორედ გარიკას გამო დაშორებია თამილა ადრინდელ სიყვარულს, ერთ-ერთს იმ ტყუპი ქურდი ძმებიდან, მეტსახელად ფირანები რომ შეერქმია ვილაცას. ტყუპი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს, მაგრამ ეს დიდ უხერხულობას არ უქმნიდა მათ საახლობლოს, რადგან იშვიათად ხვდებოდნენ ბაჩოს მეორე ძმას, ნიკოს, რომელიც მატარებელში ქურდობდა და სოჭთან ახლოს ცხოვრობდა ვილაც ლუსიასთან ერთად.

იმდენი სდიეს ჩვენმა ბიჭებმა თამილასა და გარიკას, ვიდრე საღამოს რესტორან „არაგვში“ არ ამოყვეს თავი. თამილა და გარიკა მეზობელ სუფრას სამ წყვილთან ერთად უსხდნენ. მოგვიანებით, ცეკვა რომ გაჩაღდა, ჩვენმა სულხანმა „თავი ველარ შეიკავა“ და თამილა გაიწვია საცეკვაოდ.

> შენი არაფერი მინდა, ისე მომეწონე, ფულს იქით მოგცემ, ოღონდ ამაღამ არ გამოვა. ამაღამ ამასთან უნდა წავიდე, თორემ მომკლავს. ეტყობა, შენ გარიკას არ იცნობო. ვინ მიგდია გარიკა, გინდა ახლავე „ლიმონკას“ შევუგდებ მაგიდის ქვეშ და ყველას ერთიანად ამოვხოცავ. მთავარია, შენ გინდოდეს და მერე ვნახოთ, ვინ უფრო მაგარიაო, არწმუნებს სულხანი. თამილასაც სწორედ ასეთი კაცები მოსწონს...

სულხანი ნაღდი „შავი“ გეგონება — ფიზიონომიაც შესატყვისი აქვს და მანერებიც. რაც გინდა, მთხოვე და ამაღამ ჩემთან უნდა წამოხვიდეო, ეუბნება თურმე ქალს. არაო, — პასუხობს თამილა, — შენი არაფერი მინდა, ისე მომეწონე, ფულს იქით მოგცემ, ოღონდ ამაღამ არ გამოვა. ამაღამ ამასთან უნდა წავიდე, თორემ მომკლავს. ეტყობა, შენ გარიკას არ იცნობო. ვინ მიგდია გარიკა, გინდა ახლავე „ლიმონკას“ შევუგდებ მაგიდის ქვეშ და ყველას ერთიანად ამოვხოცავ. მთავარია, შენ გინდოდეს და მერე ვნახოთ, ვინ უფრო მაგარიაო, არწმუნებს სულხანი. თამილასაც სწორედ ასეთი კაცები მოსწონს, მაგრამ იმ ღამეს მაინც გარიკას გაჰყვა და დასრულდა კიდეც ამით მათი რომანი. ეს ამბავი ფირანა-ბაჩოს რომ გაეგო, ალბათ, დიდად გაიხარებდა, მაგრამ მისთვის რა ხეირი იყო, — ამიერიდან ქალის გული მილიციის უფროს ლეიტენანტს, სულხან სიბაშვილს ეკუთვნოდა.

ქეიფი რომ ჩათავდა, თამილასა და გარიკას თანამეინახეებსაც დავუწყეთ თვალთვალი. შეიძლებოდა, მათი საშუალებით საქმისთვის დამატებითი სამხილები მოგვეპოვებინა. თამილას მეგობარი ქალი, ვინმე ლამარა, ერთი ფეხმსუბუქი ქალბატონი გამოდგა, დანარჩენები — გარიკას თანამოსაქმეები...

— უფროსო, მგონი, მაგრად შევტოპე, ახლა რა ვქნა? დღეს პაემანი მაქვს თამილასთან, საღამოს ხუთ საათზე, — მეუბნება სულხანი და უხერხულად იშმუშნება.

— რა უნდა ქნა და უნდა შეხვდე. აბა, ქალს ქუჩაში ხომ არ ალოდინებ, მაგრამ რომანტიკული პაემნები ნამდვილად არ გვაძლევს ხელს. მოუბოდიშე, სადღაც როსტოვთან ჩემი მეგობარი ქურდი მოუკლავთ და იქ უნდა გავფრინდე რამდენიმე დღით-თქო და დროებით გაშორდი. ისე კი გამუდმებით ანკესზე იყოლიე. ჯერ არ ვიცით, დაგვჭირდება თუ არა კიდევ შენი და თამილას შეხვედრა.

— რა გაეწყობა, რაც დამავალეთ, იმას გავაკეთებ. ისე კი ძალიან მაგარი ქალია, დიდ ცოდვაში დგამთ ფეხს, მასთან შეხვედრის ნებას რომ არ მაძლევთ, — შემომხედა შეყვარებულმა სულხანმა.

— აბა, აბა, ასეთები არ იყოს! ხომ იცი ჩვენი ცხოვრების წესი — ჯერ სამსახური, მერე სხვა დანარჩენი. ჯერჯერობით შენი გამოჩენა არ ივარგებს. მეტისმეტად სარისკოა...

მოკლედ, დამნაშავეებს კვალში ვედექით. საქმეში მილიციის ადგილობრივი განყოფილებებიც ჩავრთეთ და ბანდის წევრების ვინაობას ვადგენდით.

მეორე დღის სამ საათზე ინება გარიკამ გარეთ გამობრძანება, მაგრამ ეზოში გამოვიდა თუ არა, თავის მანქანას გვერდი აუარა და იქვე კუთხეში მიყენებული „ჟიგულის“ საჭეს მიუჯდა. სწორედ ამ დროს მანქანას სანომრე ფირნიშს უცვლიდა ვილაც ორი ახალგაზრდა. საქმეს რომ მორჩნენ, გარიკას მანქანა გააცილეს იქაურობას.

— ეს რაღას უნდა ნიშნავდეს, უფროსო, — რაციით მეკითხება ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომელი.

— იმას, რომ არ მოეწონა გუშინდელი შეხვედრა ავტოინსპექტორებთან და ფრთხილობს. დღეს კი მანქანა მოაპარინა თავის „შესტიორკებს“ და ჰგონია, რომ „კუდი“ მოიშორა.

გარიკამ ბაზარი მოიარა. პროდუქტები იყიდა და ჩანთებით ხელდამშვენებული დაბრუნდა „ხავერაში“. თამილამ მის მოსვლამდე დატოვა ბინა, მას სულხანთან პაემანზე მიეჩქარებოდა.

ამასობაში კი ჩვენმა ნაცნობმა ლამარამ მაღაზიაში საყიდლებზე შეირბინა, გამყიდველს ასდოლარიანი გადაახურდავებინა (მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ვალუტის გადამცვლელი პუნქტები), რაღაცები იყიდა და უკან დაბრუნდა. ნახევარი საათის შემდეგ ობეხეესის სამსახურმა იმ უბნის მაღაზიებში ყალბი ფულის ამოსაღები ოპერაცია დაიწყო და მართალია სხვებშიც აღმოაჩინეს „ყალბი“ წვრილ-წვრილი კუპიურები, მაგრამ იმ მაღაზიაში „ნაპოვნი“ ასდოლარიანი „განსაკუთრებული შემთხვევის“ რანგში აიყვანეს და ისეთი ამბავი ატეხეს, ლამის გული გაუხეთქეს მაღაზიის დირექტორს. არადა, რა ყალბი, რის ყალბი, ნაღდი ფული იყო, მაგრამ ზედ ჩვენგან დადებული ქიმიური სალებავის კვალია და სწორედ ეს გვაინტერესებს. იმდენი ქნეს, გამყიდველმა ასდოლარიანის მომტანი ქალი დაასახელა (ვითომ ჩვენ არ ვიცოდით). ქალს უხმეს და ყალბი ფულის დამზადებაში დადეს ბრალი. იმანაც თავის დასაცავად იკივლა:

— ეს ფული ისეთი კაცის მოცემულია, სისულელეა ამის მტკიცება, მაგრამ თუ მაინც ასეა, გამოდის, ისიც მოუტყუებიათ.

— თუ ასეთი პატიოსანი კაცია, რატომ არ ამბობთ ვინ არის? ამით თქვენც დაილუპებით და მასაც დაღუპავთ. იქნებ ვილაც აჩეჩებს იმ კაცს ყალბ დოლარებს და ცოდვა არ არის, ამას რომ გადაჰყვეს? — ჩასძახიან ქალს და ისიც ხელს თამილასკენ იშვერს.

ჩვენც თამილას გაჩხრეკის საბაბი გვეძლევა და ბინაში უამრავ ნაქურდალს ვნახულობთ, თუმცა დოლარები არსად ჩანს. რაკი მამამისის ბედის სასწორზე შეგდება არ შეიძლება, ჯერჯერობით, ისევ ყალბ ფულს ედავებიან. თამილას კი, რაკი ბინაში დოლარები არ აღმოაჩნდა, ნაქურდალი კი ობეხეესს „არ აინტერესებს“, ჰგონია, თავი ქუდში აქვს და აქეთ შეუტია, — ვილაცის პახმელიაზე მიჭერთ, ეგრე არაფერი გამოვაო.

— ნურც ასე გაცხარდებით, თამილა. თქვენი დაქალი ამბობს, რომ ფული მის კავალერთან წააგეთ და შემდეგ ყალბი კუპიურებით გადაუხადეთ.

— რაო? ეგ საკენკი ეზოში ქათმებს დაუყარეთ. ასე არ ყოფილა და რომც ყოფილიყო, ლამარა ამას არ იკადრებდა.

— კარგი. აბა, ვნახოთ, იკადრებს თუ არა თქვენი ლამარა იმავეს გამეორებას. შემოიყვანეთ ქალბატონი, — ბრძანებს ჯგუფის ხელმძღვანელი. მისი შემოსვლა და თამილას აკივლება ერთი იყო. ლამარას სიტყვის თქმა არ აცალა და გააფთრებით შეუტია.

— შე კახპა, გაფუჭებულო (ხომ გაგიგიათ, ჩემი შენ გითხარიო), რა გინდა, მამაჩემი დავაჭერინო?

...და უცებ ენა ჩაუვარდა ქალს. აშკარა იყო, წამოსცდა და როცა მიხვდა, რაც გააკეთა, კედლისკენ გაქანდა თავით, მაგრამ ბიჭებმა მოასწრეს, დაიჭირეს და დარტყმა არც ისე ძლიერი აღმოჩნდა. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მამამ კი არ გასცა შვილი, პირიქით, შვილმა ჩაუშვა. ეს კი მთელი სიცოცხლე „გრეხად“ დააწვებოდა. ამას ნაღვლობდა და არა იმას, მამაჩემს არაფერი ვავნოო. აი, ამის შემდეგ მიგვიწვია ობეხეესმა თამილას ბინაში, — მგონი, ნაქურდალ ნივთებს გადავეყარეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო. იქნებ მობრძანდეთ. ხომ იცით, ჩვენ ამისა არაფერი გაგვეგებაო და ჩვენც დიდსულოვნად მივიღეთ ესტაფეტა. თამილას უკვე მკვდრისფერი ედო. კარგად იცოდა, რომ ყალბი ფულისთვის არავინ გაასამართლებდა. ბოლოს და ბოლოს, ამისთვის მამამისი აგებდა პასუხს, ახლა კი საქმე დამძიმდა და აშკარად იგრძნო ციხის სუნი. მით უმეტეს, როცა ის სამი ბინაც გავჩხრიკეთ, სადაც მის პარტნიორებს ჰქონდათ მოწყობილი ბუნაგები. სამივედან დიდძალი ნაქურდალი ამოვიღეთ, მაგრამ ყველაზე მეტი ფირანა-ბაჩოს სარდაფში ვნახეთ. არადა, ბაჩო თითქოს ჩამოშორებული იყო ბანდას. არც იმ დღეებში გამოჩენილა, მაგრამ გარიკა რომ თავის საბრძოლო არსენალითა და ნაქურდალით მეგობრებთან ერთად გამოვაბრძანეთ სახლიდან, იყვირა:

— ფული, მული სისულელეა. ფირანა-ბაჩომ ჩაგვიშვა. თამილა ვერ გამოიგლოვა. არადა, ამ ქალში ჩემი წილის ნახევარიც დავუთმე!

აი, თურმე რატომ ჰქონდა ბაჩოს ყველაზე მეტი ნაქურდალი. თუმცა თვითონ ბაჩო დაგვემალა. ამ ამბიდან ერთი თვის შემდეგ ვილაც მისივე წრისას სამალავში მიუკითხავს ბაჩოსთვის. მას კი შემთხვევით იქ მყოფი ტყუპისცალისთვის უთქვამს, შენ გახედეო. მასაც გამოუხედავს და ტყვია დაუხლიათ შუბლში. ბაჩო მიხვდა, რომ ნიკო მასში შეეშალათ და იმავე დღეს გადაიკარგა. აშკარა იყო, გარიკა იძიებდა შურს „ჩამშვებზე“. ახლა ბაჩო სასწრაფოდ უნდა აგვეყვანა, ვიდრე მასაც მოკლავდნენ. როგორც იქნა, სოჭის ახლოს, ხოსტაში ვიპოვეთ ძმის საყვარლის, ლუსიას სახლში. ქალი დარწმუნებული იყო, რომ ნიკო დაბრუნდა. მოგვიანებით გვითხრა, თბილისის მოვლის შემდეგ ცოტა გაუხეშებული მეჩვენაო.

მთელი ორი თვე ვაგროვეთ ამ ჯგუფის ნაქურდალ-ნაყაჩაღარი, მათ შორის ბევრი გაყიდული ნივთიც მოვიძიეთ და ეს გამოფენა მოვაწყვეთ. არ ვიცი, მოსწონთ თუ არა მნახველებს, მაგრამ მე კმაყოფილი ვარო, — მითხრა პოლკოვნიკმა.

ვაჟა გაგაშელი

# „დეპუტატი მურადხანოვი უშვერი სიტყვებით ლანძღავს საქართველოს“

## „მივმართე სააკაშვილს, რომ მურადხანოვი გვერდში არ დაეყენებინა“



ამირან ხურცია



ქემალ მურადხანოვი

ქვემო ქართლში ავტონომიის შექმნის აუცილებლობაზე საჯაროდ არავინ ლაპარაკობს, მაგრამ ექსპერტების აზრით, ანტიქართული ძალებისთვის ამ სანუკვარ გეგმას, სამწუხაროდ, დღემდე არ დაუკარგავს აქტუალურობა. ქვემო ქართლი სამცხე-ჯავახეთთან ერთად იმ რეგიონად ითვლება, სადაც უცხოურ სპეცსამსახურებს ყველაზე უფრო ეადვილებათ ქვეყნის წინააღმდეგ სხვადასხვა ბერკეტის ამოქმედება. კერძოდ, აზერბაიჯანული მოსახლეობის უმეტესობა უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ სახელმწიფომ მათ მიწები არ დაურიგა. მიწას კი, რადგან ისინი სოფლის მეურნეობას მისდევენ, მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. უკმაყოფილებას გამოთქვამენ ასევე ანტიტერორისტული თუ ანტიკონტრაბანდული ოპერაციების ჩატარების გამო. მათი თქმით, სახელმწიფო მათგან უფრო მეტს ითხოვს, ვიდრე აძლევს. ერთი სიტყვით, შეიქმნა აზრი, რომ ქვემო ქართლში აზერბაიჯანელები დაჩაგრული არიან. შესაბამისად, დროდადრო ისევ გაისმის „აზერბაიჯანის ავტონომიის“ შექმნის მოთხოვნა. უკანასკნელად ეს გარდაბნის რაიონში, ვახტანგისში ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციის დროს მოხდა. თუმცა რამდენადაც დღეს ეს მოთხოვნა აბსურდულია, ავტონომიაზე საუბარი სწრაფადვე შეწყდა. მაგრამ რა შეიძლება დაემუქროს საქართველოს ხვალ? როგორც საქმეში ჩახედულნი ამბობენ, ახალი სეპარატისტული მარცვალი რომ არ გაღვივდეს, სერიოზული სამუშაოების ჩატარებაა აუცილებელი.

„კვირის პალიტრასთან“ საუბრისას საქართველოს აზერბაიჯანელთა კავშირის ეროვნებათაშორის ურთიერთობის განყოფილების გამგე **ამირან ხურცია** მწვავე განცხადებას აკეთებს. მისი თქმით, ხშირად აზერბაიჯანელთა შორის უკმაყოფილების გაზრდას ჩვენი პოლიტიკოსები და არასწორი პოლიტიკა უწყობს ხელს: — ამ რამდენიმე ხნის წინ ბაქოში ჩვენმა პარლამენტარმა ქემალ მურადხანოვმა განაცხადა, რომ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები უმძიმეს მდგომარეობაში არიან. მურადხანოვი პირველად როდი აკეთებს მსგავს განცხადებას. ორი წლის წინ ჩვენმა აქტივისტმა ბაქოში გამომავალი გაზეთი „ზერკალო“ მოგვიტანა. გაზეთში მურადხანოვი უშვერი სიტყვებით ლანძღავს საქართველოს და ლაფში სვრის.

## „ეს კაცი ბაქოში ანტიქართულ განცხადებებს აკეთებს“

**„მურადხანოვის წინააღმდეგაც აღძრა აზერბაიჯანის პროკურატურამ საქმე – 1992-94 წლებში ნავთობბიზნესში საქმიანობდა, აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოჰქონდა ნავთობპროდუქტები და აქედან სომხეთში გაჰქონდა(?!). აზერბაიჯანს კი ამ დროს ყარაბაღის გამო სომხეთთან ომი ჰქონდა. მურადხანოვს სწორედ ეს გაუხსენეს, მაგრამ მერე რატომღაც საქმე შეწყდა. დღეს მურადხანოვი ბაქოში ისევ დაუბრკოლებლად ჩადის და ანტიქართულ განცხადებებსაც ძველებურად აკეთებს.“**

— **კერძოდ, რას ამბობს?**

— ამბობს, რომ აზერბაიჯანელთა უფლებები ხშირად ირღვევა და თუ მდგომარეობა არ გამოსწორდება, რამდენიმე წელიწადში საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი აზერბაიჯანელიღა დარჩება, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ნავთობსადენის საქართველოზე გატარება იმიტომ არჩია, რომ აქაურ აზერბაიჯანელთა მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ საქართველოში ეს არავის ანაღვლებსო. ამას ამბობს საქართველოს პარლამენტის წევრი, რომელიც წესით, ამ ქვეყნის ძლიერებისთვის უნდა იბრძოდეს. მაშინვე ვთქვი, თუ არ აილაგმა მურადხანოვის გამოხდომები, საქართველოში ეთნოკონფლიქტი გარდაუვალია-მეთქი. მივმართე კიდეც სააკაშვილს, რომ გვერდში არ დაეყენებინა. სხვათა შორის, აზერბაიჯანში ფიქრობენ, რომ მურადხანოვი რუსეთის ინტერესებს იცავს, მათი კაცია.

— **ე. ი. თქვენ პარლამენტის წევრს რუსეთის ინტერესების გატარებაში ადანაშაულებთ?**

— ამას თვითონ აზერბაიჯანში ამბობენ. ბაქოში გამომავალ გაზეთში „გოლოს მირა“ წერდნენ, რომ იგი შემჩნეულია გრუ-ს აგენტებთან სიახლოვეში. მურადხანოვი ბოლნისელი სალმან იბრაჰიმოვის ახლობელია. იბრაჰიმოვი ბაქოში დააპატიმრეს და რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის ბრალდებით გაასამართლეს. სხვათა შორის, მურადხანოვის წინააღმდეგაც აღძრა აზერბაიჯანის პროკურატურამ საქმე — 1992-94 წლებში ნავთობბიზნესში საქმიანობდა, აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოჰქონდა ნავთობპროდუქტები და აქედან სომხეთში გაჰქონდა(?!). აზერბაიჯანს კი ამ დროს ყარაბაღის გამო სომხეთთან ომი ჰქონდა. მურადხანოვს სწორედ ეს გაუხსენეს, მაგრამ მერე რატომღაც საქმე შეწყდა. დღეს მურადხანოვი ბაქოში ისევ დაუბრკოლებლად ჩადის და ანტიქართულ განცხადებებსაც ძველებურად აკეთებს. სხვათა შორის, „გოლოს მირაში“ სხვა რამეც დაიწერა: 2001 წელს ბაქოში ჩატარდა მსოფლიო აზერბაიჯანელთა კონგრესი, რომელსაც საქართველოდან წარგზავნილებიც დაესწრნენ. მაშინ ითქვა, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ ქართველებმა და აზერბაიჯანელებმა ერთ ქვეყანაში მეგობრულად იცხოვრონო. ამის მერე რუსეთის სპეცსამსახურებმა ჰოლანდიაში მოაწყვეს მსოფლიო აზერბაიჯანელთა კიდევ ერთი კონგრესი(!), სადაც განსაკუთრებით აქტიურობდნენ აზერბაიჯანელთა ირანული ორგანიზაციები. საქართველოდან კონგრესს ესწრებოდა ქემალ მურადხანოვი, სადაც კიდევ გაიმეორა, რომ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს გადარჩენა სჭირდებათ. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, ამ კაცს ქვეყნისთვის სარგებლის თუ ზიანის მოტანა უნდა. მიკვირს, თუ აზერბაიჯანში ასეთი თვალით უყურებენ ამ კაცს, ჩვენ რატომ ვსვამთ პარლამენტარის სავარძელში? სააკაშვილის გუნდში რომ აღმოჩნდა, არც მაშინ შეუწყვეტია ბაქოში ვიზიტები და მსგავსი განცხადებების გაკეთება. თუ აზერბაიჯანელებს პრობლემები აქვთ, შეხვდეს და ესაუბროს, მაგრამ ამას ქვეყნის გარეთ აკეთებს. რამდენიმე თვის წინ აზერბაიჯანელთა შეკრებაზე გამოვიდა და განაცხადა: რასაც აზერბაიჯანელი მოსახლეობა ახალი მთავრობისგან მოელოდა, არ გამართლდაო. იოლი წარმოსადგენია, რა დამოკიდებულება ექნება აზერბაიჯანს საქართველოს მიმართ, როცა მისი პარლამენტარისგან ასეთ განცხადებებს ისმენს.

ჩვენ ვიმკით იმას, რაც ბოლო წლებში დავთესეთ. წინა ხელისუფლების პრინციპი ასეთი იყო: შენ მე არჩევნებზე მომეცი ხმა და მერე რაც გინდა, ის აკეთეო. აზერბაიჯანელი მოსახლეობაც შეჩვეული იყო ამას, — აკეთებდა, რაც უნდოდა, მაგრამ იცოდა, არჩევნებზე მმართველი პარტიისთვის უნდა მიეცა ხმა. სახელმწიფოც რეგიონში გაგზავნიდა ისეთ ჩინოვნიკს, რომელსაც ჯიბის გასქელების გარდა არაფერი აინტერესებდა. ასე შეიქმნა სტერეოტიპი, რომ ქვემო ქართლი მეწველი ძროხაა და დიდი ფულის შოვნა შეიძლება. ხოლო რამდენად უწყობს ხელს სტერეოტიპი იმას, რომ აზერბაიჯანელებმა ქართული სახელმწიფოს ნამდვილ მოქალაქეებად იგრძნონ თავი, ეს არავის ანაღვლებს. ასეთივე მიდგომაა დღესაც: რამდენიმე დღის წინ შევიტყვე, რომ სართიჭალის მუღანლოში სოფლის ყრილობა უნდა ჩატარებულიყო. როგორც გაირკვა, ერთ-ერთ აზერბაიჯანელს ტყუილუბრალოდ ჩაგრავდნენ და ამან თანასოფლელთა უკმაყოფილება გამოიწვია. ვახტანგისის მოვლენები რომ არ განმეორებულიყო, გადავწყვიტეთ, გენერალური პროკურორი ჩაგვეყენებინა საქმის კურსში. შევადგინეთ წერილი, სადაც ვწერდით, რომ ხალხი უკმაყოფილოა და რადგან საქმე აზერბაიჯანელებს ეხება და საკითხი ფაქიზ მიდგომას მოითხოვს, საჭიროა დროული ზომების მიღება. მოკლედ, გენპროკურატურაში იმ იმედით მივედი, რომ გენპროკურორს შევხვდებოდი და დაწვრილებით ვუამბობდი ყველაფერს. ერთი საათი ვიწვალე და კანცელარიას ძლივს ჩავაბარე წერილი. გამოვდივარ და რას ვხედავ: ჟურნალისტებით არის გენპროკურატურის შესასვლელი გადაჭედილი. მინისტრს ვილაც მოქალაქე ედავება და იმას იღებენ ოპერატორები. დღეს ეს აინტერესებს საზოგადოებას. სად არის სახელმწიფო ინტერესები? ამაზე მეტს არ უნდა ვაკეთებდეთ? დღეს თუ ვახტანგისში გაისმა ანტისახელმწიფოებრივი მოთხოვნა, ხვალ შეიძლება ეს სოფელ-სოფელ აიტაცონ. ამას ახლავე უნდა მიხედვა.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)


# თუ ტვინის დახმარება სჭირდება...

ჯეოვიტი

თანამედროვე ცხოვრების ტემპი ყოველდღიურად მატულობს, ხოლო მისი დაწევა წლების მანძილზე სულ უფრო რთულია. თითქოს, ახალგაზრდობასთან ერთად მიდის რეაქციის სისწრაფე და მახვილგონიერებაც. გულს ნუ გაიტეხთ – დღეისათვის ექიმებმა უკვე იციან, თუ როგორ დაეხმარონ ასეთ ადამიანებს.

ჩვენ ხშირად გვავიწყდება თარიღები, ტელეფონის ნომრები, ვაცდენთ მნიშვნელოვან შეხვედრებს და ვთვლით, რომ ამის მიზეზი გადაღლილობაა. როგორც ცნობილია, ადამიანის ტვინი შესაძლებლობების მხოლოდ 10%-ს იყენებს. გონებრივი დატვირთვა – ვარჯიში უფროა ტვინისთვის, ვიდრე მნიშვნელოვანი დეტალების დავიწყების მიზეზი. სხვა საქმეა, როცა ტვინი „ჟანგბადით შიმშილს“ განიცდის – არ იღებს „საწვავის“ საკმარის რაოდენობას პროდუქტიული მუშაობისთვის. სწორედ ამ შემთხვევაში გვიწევს დავთმოთ ერთი, იმისათვის რომ დავიმახსოვროთ მეორე, ხოლო საპასუხოდ, არასასურველ პირობებში წარმოიშობა სხვა უსიამოვნო სიმპტომებიც – თავის ტკივილი, ინტელექტის დაქვეითება, გაღიზიანება.

ჟანგბადის ნაკლებობის ძირითადი მიზეზი – ასაკობრივი ცვლილებებია, პირველ რიგში კი – ათეროსკლეროზი. როდესაც ტვინის სისხლძარღვების კედლებში ლაგდება ქოლესტერინი, ვითარდება ათეროსკლეროზული ფოლაქი, სისხლძარღვი შეცვლილი სტრუქტურით ვერ უზრუნველყოფს ტვინის ჟანგბადით მომარაგებას. ტვინის „ჟანგბადით შიმშილი“ უკვალოდ არ ქრება: ქვეითდება მეხსიერება, შრომისუნარიანობა; დროთა განმავლობაში ვითარდება ენცეფალოპათია და ასაკობრივი გონებასუსტობაც (მარაზმი) კი. სისხლის მიწოდების უკმარისობა საფუძვლად უდევს, ისეთ მძიმე დაავადებას, როგორიცაა იშემიური ინსულტი. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ტვინის ჰიპოქსიის პირველივე სიმპტომებისას იმ პრეპარატების მიღებამ, რომლებიც აუმჯობესებენ ტვინის სისხლით მომარაგებას, შესაძლოა თავიდან აგვაცილოს მეხსიერების დარღვევები.

უპირველეს ყოვლისა, სრულფასოვნად უნდა უზრუნველვყოთ ტვინის სისხლით მომარაგება და შესაბამისად, ჟანგბადით.

უკანასკნელ წლებში შემუშავებული და პრაქტიკაში გატარებული იქნა პრეპარატები, რომლებსაც ამის უნარი გააჩნია. ტვინისთვის სისხლის მიწოდების ერთ-ერთ ასეთ ბუნებრივ კორექტორს წარმოადგენს „DHA ომეგა-3 ნეირომინზი“:

- ეფექტიანად არეგულირებს ქოლესტერინისა და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დონეს სისხლში (ქოლესტერინის რთული ეთერების გახსნის ხარჯზე);
- აწესრიგებს სისხლძარღვოვანი ეპითელიის სტრუქტურას;
- ხელს უწყობს ანტიაგრეგატულ ეფექტს;
- აუმჯობესებს თავის ტვინის მიკროცირკულაციას.

საბოლოო შედეგი – ტვინისათვის ჟანგბადის შეუფერხებელი მიწოდება და ნერვული უჯრედების დაცვა ნგრევისაგან.

„DHA ომეგა-3 ნეირომინზი“ – კარგად ათვისებადი პრეპარატია, არ გააჩნია გვერდითი ეფექტები, არ ურთიერთქმედებს სხვა პრეპარატებთან; შექმნილია ბუნებრივი სუბსტრატებისგან.

„DHA ომეგა-3 ნეირომინზი“ – გახდის თქვენს ცხოვრებას ნათელს, მეხსიერებას – მტკიცეს, ხოლო აზროვნებას – სწრაფს.

თავის ტვინის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ბუნებრივი სტიმულატორია – „მემორი კომპლექსი“, რომლის ეფექტიანი მოქმედებაც განპირობებულია, მის შემადგენლობაში შემავალი გინკგო ბილობას ექსტრაქტით, ასევე B ვიტამინების კომპლექსით, მიკროელემენტებით (მათ შორის, სელენი) და ფოსფოლიპიდებით.

ორივე პრეპარატის კომპლექსური მიღება უაზრუნველყოფს ტვინს არა მარტო ჟანგბადით, არამედ ყველა აუცილებელი ელემენტითა და ვიტამინით, რითაც იცავს მას ნაადრევი დაბერებისგან, ენცეფალოპათიისა და, რაც მთავარია, ინსულტისგან.

სანამ „DHA ომეგა-3 ნეირომინზით“ და „მემორი კომპლექსით“ მკურნალობას გადაწყვეტდეთ, სასურველია უარი თქვათ ისეთ მავნე ჩვევებზე, როგორებიცაა მოწევა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება, რომ აღარაფერი ვთქვათ ნარკოტიკებზე; სწორად იკვებეთ და ისეირნეთ სუფთა ჰაერზე.

კომპანია „ჯეოვიტი“ გთავაზობთ ტვინის გამაჯანსაღებელ პროგრამას. ეს პროგრამა ითვალისწინებს სპეციალისტის უფასო კონსულტაციას, რომელიც თითოეულ პაციენტს ინდივიდუალურად შეურჩევს მკურნალობისა თუ პროფილაქტიკის კურსს.




„ჯეოვიტი“ მის: ილია ჭავჭავაძის გამზ.41
ასევე დავით ტატიშვილის სამედიცინო-გამაჯანსაღებელი ცენტრი „ნაუტილუსი“, მის: ილია ჭავჭავაძის გამზ.78
აფთიაქები თამარაშვილის ქ.№1, თამარ მეფის გამზ.№19
სპეციალისტების ყოველდღიური კონსულტაცია: 29-20-91
899 10-99-20; 899 14-35-56.
. ზუგდიდი, გამსახურდიას გამზ. 29, აფთიაქი „ციბა“. ტელ: 5-13-45

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადიანები უნგრეთის ცის ქვეშ



ალექსეი II დადიანს გადასცემს სიგელს

## უნგრეთის პირველი მეფის საქართველოში შექმნილი გვირგვინი და ქართველის მიერ გადარჩენილი რევოლუციის ლიდერი

„მიწის ყივილი" ქართველს უცხოეთის ცის ქვეშ სამუდამოდ ვერ ტოვებდა, ამიტომ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმა ქართული კოლონიები და სათვისტომოები ძალიან იშვიათი იყო. ქართველი უმთავრესად საკუთარ სამშობლოს ახმარდა ნიჭსა და ძალას, მაგრამ ხდებოდა საპირისპიროც. სამაგალითოდ კმარა დადიანების საგვარეულოს წარმომადგენელთა მოღვაწეობა უცხოეთში.

„დადიანების სასახლეთა ფონდი" უკვე რამდენიმე წელია, აქტიურად ცდილობს, მოიძიოს ყველა მასალა სამეგრელოს მთავართა ოჯახის წევრების უცხოეთში მოღვაწეობის შესახებ. მოლდავეთსა და რუსეთში ქართველი თავადების მიერ გაწეული უზარმაზარი კულტურულ-საალმშენებლო საქმიანობის შესახებ უცნობ მასალებს სამი წლის წინ პირველად „კვირის პალიტრის" (№9, 2002) მკითხველი გაეცნო.

ამჯერად გთავაზობთ დადიანების უნგრეთში მოღვაწეობის დღემდე თითქმის უცნობ ფაქტებს. იგი საქართველოს კულტურის სამინისტროს სამუზეუმო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ინგა ქარაიამ უნგრეთში მოღვაწე ქართველების საშუალებით მოგვაწოდა.

უნგრეთში პირველი დადიანი, სახელად გიორგი, 1741 წლის ხელნაწერშია მოხსენიებული. ის მე-18 საუკუნეში საქართველოდან ტახტის მემკვიდრეობისთვის ატეხილი დავის გამო გაქცეულა ჯერ თურქეთში, შემდეგ კი ევროპაში. უნგრელები დადიანის გვარს შემოკლებით „დადანის" სახით წერენ და გამოთქვამენ.

მიშკოლცის ბერძნული საზოგადოების 1741 წლის ხელნაწერიდან ირკვევა, რომ ეს საზოგადოება 12 ვაჭარს ჩამოუყალიბებია. ქალაქის ქრონიკის მიხედვით საბუთებზე 5-მა მოაწერა ხელი, მათ შორის გიორგიმ. მას შემდეგ დადიანის ფაქსიმილე ყველა საქმიან ქაღალდზე ჩანს.

ისტორიული წყაროებით — მიშკოლცის წმინდა სამების მართლმადიდებლური ტაძარი თავის მამულში აუშენებიათ დადიანებს.

მოგვიანებით ქალაქის ქრონიკაშივე მოხსენიებულია ბუდაპეშტის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისა და მასთან არსებული ორთოდოქსული ეპარქიის ერთ-ერთი დამაარსებელი ნაუმ დადიანი. ბუნებრივია, იგი ამავე ეპარქიის წევრიც იქნებოდა. სავარაუდოა, რომ თავადმა ნაუმმა ააგო ბუდაპეშტისა და მიშკოლცის ტაძრები, რადგანაც მათი აშენების ნებართვა ნაუმის მოღვაწეობის პერიოდში, კერძოდ, 1783 წელსაა გაცემული.

შემდგომი წლების ხელნაწერებში დადიანების გვარი უკვე აღარ ჩანს, თუმცა, მე-19 საუკუნის II ნახევარში მოიხსენიება ვინმე შანდორ (იგივე სანდრო, ალექსანდრე) დადიანი (1851-1926).



მიკლოშ დადიანის საფლავი

სკოლის დამთავრების შემდეგ შანდორი სამხედრო სამსახურში შესულა, საუკუნის ბოლოს კი მიშკოლცში დაბრუნებულა და მდიდარი მემამულის, ქსიპკოვიჩის ასული, ერზიბეტი, შეურთავს ცოლად.

შანდორი თურმე წლების განმავლობაში ზრუნავდა მრევლზე. ამიტომ ისტორიულ საბუთში მისი ღვაწლი ასეა შეფასებული: „დადიანმა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ყველაფერი გააკეთა ეკლესიის საჭიროებისთვის".

შანდორსა და ერზიბეტს 1900 წელს შეეძინათ პირველი ვაჟი შანდორი, 1902 წელს მიკლოში (ნიკოლოზი), 1904 წელს მარია (მარიამი), 1906-ში — იანოში (ივანე). ცნობები მხოლოდ მიკლოშზე შემორჩა. ეს უკანასკნელი წინაპრების მიერ აშენებულ ეკლესიას 1930 წელს ჩაუდგა სათავეში და მას თითქმის ნახევარი საუკუნე ხელმძღვანელობდა. ეს მაშინ გმირობის ტოლფასი გახლდათ, რადგან უნგრეთში უკვე სოციალისტური მმართველობა იყო და სხვა დიდგვაროვანთა მსგავსად, დადიანების ოჯახსაც ჩამოართვეს წოდება, აჰყარეს პატივი...

მიკლოში 1975 წელს გარდაიცვალა. მისი დაკრძალვის დღეს მიშკოლცის ტაძარში უამრავი ხალხი შეიკრიბა. მოამაგის ცხედარს ცხარე ცრემლით დასტიროდა გლეხობა, რომელთა დიდი ნაწილი ერთ დროს დადიანების მამულში ცხოვრობდა და მუშაობდა. ისინი დაუფარავად ამბობდნენ, რომ თავადი იყო მათი მარჩენალი მეპატრონე და მზრუნველი მამა.

არც მიკლოშის ვაჟსა და სეხნიას დაკლებია ტანჯვა-წამება, მაგრამ არასოდეს წუწუნებდა, მეგობართა შორის მხოლოდ კურიოზებს იხსენებდა და მათ ცხოვრების გაკვეთილს უწოდებდა. როცა კომუნისტურ უნგრეთში მართლმადიდებლური ეპარქიის ხელმძღვანელი და ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მოძღვარი ილია ზუარდისა უკურნებელი სენით დაავადდა, იგი თითქმის ყველამ მიატოვა. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მას მხოლოდ სამი მეგობარი შერჩა, მათ შორის მიკლოშ დადიანი, რომელიც ავადმყოფ მღვდელმთავარს ღამეებს ერთოთახიანი ბინის იატაკზე უთენებდა.

მართლმადიდებლური უნგრეთის წინაშე დადიანის ღვაწლი განუზომლად დიდი იყო. ეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა, უწმინდესმა ალექსი მეორემაც დაადასტურა, რომელიც მიკლოშს ტაძარში საგანგებოდ ეწვია და საპატიო სიგელი გადასცა.

ქართველი თავადი 1995 წელს ისე გარდაიცვალა, რომ ისტორიული სამშობლო ვერ ნახა. ეპარქიის ხელმძღვანელმა ილია ზუარდისამ გამოსათხოვარი სიტყვა ასე დაიწყო: „რის თქმასაც ვაპირებ, ნურავინ ჩამომართმევს ჩვეულებრივ გამოსასალმებელ მონოლოგად, არამედ მიიღეთ ძმის აღიარებად იმ არაჩვეულებრივ ადამიანზე, ვის ცხედარსაც გარშემო ვუდგავართ.

დადიანების ოჯახს ჩვენს სამშობლოში ბერძნული წარმოშობისად იცნობდნენ. ცოტა ხნის წინ გაირკვა, რომ დადიანები ბერძნები კი არა, ქართველები ყოფილან. დადიანი ქართველთა დიდებული და სახელოვანი გვარია.

სიტყვა „გამოსალმება" ვახსენე და ახლა ვფიქრობ: საჭიროა კი, გამოვემშვიდობოთ იმას, ვინც ასე გვიყვარდა, ვინც ასე ახლოს იყო ჩვენს გულებთან? ჩვენ ხომ ვგრძნობთ, რომ ნიკოლოზ დადიანი ახლაც ჩვენს შორისაა.

დაბოლოს, აღდგომისა და სამუდამო სიცოცხლის რწმენის განსამტკიცებლად იმედიანად ვიმეორებ არაჩვეულებრივ ლოცვას: „უფალო, ნუ მოგვცემ უფლებას, იმ ადამიანის გარდაცვალების გამო მწუხარება, რომელიც იმ ქვეყნად წავიდა, იმაზე დიდი იყოს, ვიდრე მადლიერება, რომ ის ჩვენს შორის ცხოვრობდა და ჩვენი თანამედროვე იყო".

ქართველებისა და უნგრელების ურთიერთობის ისტორია ამით არ მთავრდება. 1993 წელს უნგრეთის ერთ-ერთ გაზეთში ისტორიკოს კადარ ზოლტანის სენსაციური სტატია გამოქვეყნდა. მეცნიერი ასაბუთებს, რომ უნგრეთის სახელმწიფოს დამაარსებლის, გამაქრისტიანებლისა და პირველი მეფის, იშტვან-სტეფანე I-ის (997-1038) გვირგვინი ქართველმა ოსტატებმა შექმნესო.

ეს ოქროს უნიკალური ხელოვნების ნიმუში უნგრელების ერთ-ერთი ყველაზე დიდი რელიკვიაა. მას „წმინდა გვირგვინს" უწოდებენ. ისტორიული წყაროებით, სამეფო რეგალია დამზადებულია დასავლეთ საქართველოში, 303-795 წლებს შორის. გვირგვინი იშტვანის მეფობის დროს ხელმეორედ ქართველებს, კერძოდ, ხახულის კარედი ხატის (X-XII ს.ს.) ოსტატებს შეუმკიათ. სწორედ ამით აიხსნება გვირგვინზე მოთავსებული მინანქრის მედალიონებისა და ხახულის ტრიპტიქონის დიდი მსგავსება.



წმინდა გვირგვინი

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ქართველ-უნგრელთა ურთიერთობიდან. 1849 წელს ჰაბსბურგებმა ცარისტულ რუსეთს უნგრეთის რევოლუციის ჩახშობაში დახმარება სთხოვეს. იმპერატორმა ამისთვის ბუდაპეშტში რუსების არმია გაგზავნა, რომლის ერთ-ერთ ქვედანაყოფს ალექსანდრე ბეჟანის ძე ბუჩიკაშვილი მეთაურობდა.

აჯანყებულთა განადგურების ოპერაციის დაწყების წინა დღეს ბუჩიკაშვილს შემთხვევით შეხვდა უნგრელი ბერი, რომელმაც ქართველთან საუბარში საკუთარი ერის ბედი რუსეთისგან ჩაგრული საქართველოს ბედს შეადარა და აჯანყებულების შეწყალება სთხოვა.

ბანაკში დაბრუნებულმა მეთაურმა საკუთარი ჯარისკაცები აქეიფა, დაათრო და ამით აჯანყების ჩახშობის ოპერაციის დაწყება 10 საათით დააგვიანა. ამ ხანში კი უნგრეთის რევოლუციის ლიდერმა კოშუტ ლაოშმა სამშვიდობოს გასვლა მოასწრო. ეს უნგრელ ხალხს დღესაც ახსოვს და შორეული საქართველოსადმი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს.

***გიორგი კალანდია***
***ისტორიკოსი,***
***დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის თავმჯდომარე***

# რას გვეტყვი, მამაო?

**— ვიცი, რომ ბზას მომავალ ბზობამდე ინახავენ, მაგრამ მე გარემოებების გამო, ბზის ნაადრევად გადაგდება მომიხდა. ცოდვა ხომ არ ჩავიდინე?**

— ბზას ბზობიდან ბზობამდე ინახავენ, როგორც სიმბოლოს უფლის იერუსალიმში შესვლისა, როცა მთელი იერუსალიმი მას ფეხქვეშ რტოებს უფენდა. მას სიმბოლურად სიწმინდის დატვირთვა აქვს და ხატებთან ათავსებენ. მაგრამ ბზა არ არის ისეთი საეკლესიო სიწმინდე, რომელსაც წლების განმავლობაში ვინახავთ და ვლოცულობთ. ამიტომაც სავალდებულო არ არის წლიდან წლამდე შევინახოთ. მით უმეტეს, თუ დაზიანდა... მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გადააგდოთ ის ნაგავში. შეარჩიეთ სუფთა ადგილი და დაწვით ან მიწაში დაფალით...

**— მსოფლიოში უამრავი კატაკლიზმი ხდება, ჩვენ კი ხშირად ვამბობთ, რომ საქართველო გადარჩება. რასთან არის დაკავშირებული ეს აზრი?**

— ეს აზრი დაკავშირებულია იმასთან, რომ ქართველებს ძალიან ბევრი დიდი წმინდანი მეოხად გვყავს უფლის წინაშე. ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და უფალს დედა ღვთისაც შესთხოვს ჩვენს მფარველობას... გარდა ამისა, საუკუნეების განმავლობაში ჩვენი წინაპრები მოწამებრივად ცხოვრობდნენ და ღვთისა და ერის წინაშე პირნათელი იყვნენ...

არსებობს წმ. მამების არაერთი წინასწარმეტყველება (მათ შორის რუსი მამებისა), ივერიის გაბრწყინების შესახებ. მაგრამ ჩვენ გადავრჩებით არა მხოლოდ იმიტომ, რომ გენეტიკურად ქართველები ვართ, არამედ მაშინ, თუკი წინაპრების მსგავსად ქრისტიანულ ცხოვრებას გავაგრძელებთ. ხოლო გადარჩენა გულისხმობს როგორც მიწიერ, ისე სულიერ გადარჩენას... გადარჩენა ამქვეყნად ჩვენი ცხოვრების წესით იწყება...

**— ჩემს დისშვილს ბაბუის სახელი, პეტრე დაარქვეს. ამბობენ რომ რამდენიმე წმინდა პეტრე არსებობს, გთხოვთ მოკლედ გვიამბოთ მათ შესახებ.**

— შეიძლება ითქვას, რომ პეტრე ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სახელია და ამ სახელით იმდენი წმინდანი აღესრულა, რომ ერთად მათ შესახებ თხრობა შეუძლებელია. ამიტომაც შევეცდებით, მოგითხროთ იმ მართალი პეტრეს შესახებ რომელიც ამ თვეში — 5 ოქტომბერს მოიხსენიება (ძვ. სტ. 22 სექტ.)... მართალი პეტრე იმპერატორ იუსტინიანეს დროს (527-565) ხარკის ამკრეფი იყო. ერთხელაც როგორღაც მან პური მიუგდო გლახაკს, რომელმაც თავი მოაბეზრა მოწყალების თხოვნით... ღამით ხარკის ამკრეფმა სიზმრად ნახა თითქოს გარდაიცვალა და ანგელოზები მის საქმეებს უფლის სასწორით სწონიდნენ. კეთილი საქმეების მხარეს კი დასადები არაფერი იყო, გარდა გლახაკისთვის გადაგდებული პურისა. გაიღვიძა პეტრემ და ცხოვრების წესი შეცვალა — გლახაკებს უშურველად და დაუმადლებლად ეხმარებოდა. ამ დროს ძილში იესოც გამოეცხადა — სწორედ იმ სამოსელით შემოსილი, რომელიც პეტრემ ერთ მათხოვარს უბოძა.. მაშინ წმინდანმა მთელი ქონება გლახაკებს დაურიგა და თავის მონას უბრძანა, თვითონაც მონად გაეყიდა. აღებული ფული კი მოწყალებად გაეცა. მონად გაყიდული მართალი მრავალი წლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა ბატონს...

ერთხელაც ის ვაჭრებმა იცნეს და თავის ბატონს მის შესახებ უამბეს... პეტრემ უჩუმრად ქალაქის დატოვება განიზრახა და წასვლის წინ სასწაულიც აღასრულა: ყრუ-მუნჯ მონას უბრძანა კარის გაღება. მონამ მისი ბრძანება შეისმინა და ამეტყველდა კიდეც. ასე გაუჩინარდა წმინდანი და მის შესახებ არავის აღარაფერი სმენია... მისი ცხოვრების ამბავი კი თავის ჩანაწერებში, ალექსანდრიელმა პატრიარქმა იოანე მოწყალემ შემოგვინახა.

**— რამდენად არის გამართლებული, როცა საეკლესიო ჯვარი გამოსახულია აფთიაქებზე. ის ხომ საეკლესიო დაწესებულებაა.**

— რატომ არ უნდა იყოს გამართლებული? ჯვარი ხომ ადამიანის ხსნისა და გადარჩენის სიმბოლოა, სადაც ჯვარია, იქ სიცოცხლეა... აფთიაქში კი ღვთის ნებით შექმნილი ისეთი პრეპარატები იყიდება, რომელიც ადამიანის გადარჩენასთან არის დაკავშირებული...

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***



# „დავრდომილები და უპოვარნი ყოველდღე ერთმანეთს ვეხმიანებით. თქვენც შეგვეხმიანეთ..."

## აჭარის მთიანეთში ტუბერკულოზის ახალი ფორმა მძვინვარებს?!

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

— თავი მუმია მგონია, — მეუბნება და ოდესღაც ხალისიან სახეზე მსხვილი ცრემლი ჩამოსდის. — კაცი აღარა ვარ! — ასე ფიქრობს მერაბი აფხაზეთის ომში დაინვალიდების შემდეგ. სამი შვილი ჰყავს — 15, 13 და 12 წლისანი. ცოლი ორი წლის წინ დამეღუპა. თითქოს ჩემი ჭირი არ მეყოფოდა, ავთვისებიანმა სიმსივნემ გამომაცალა ხელიდან შვილების გზაზე დაყენების უკანასკნელი იმედი. ახლა ბავშვები ღვთის ანაბარა არიან... მათხოვრობენ, რომ პურის ფული მაინც იშოვონ. არაყიც კი არა მაქვს, რომ დავლიო და გავითიშო... შვილების მრცხვენია, როდესაც მათ ვუყურებ, ვგრძნობ, როგორ მომისროლა სანაგვეზე სახელმწიფომ, რომელსაც თუ მოუნდა, ხვალ ჩემს სამ ბიჭს გადააქცევს საზარბაზნე ხორცად. თუ გადარჩებიან, ბოდიში თქვენთან და ფეხებზე დაიკიდებს...

მერაბი მხატვარი იყო. როცა სამშობლოს გაუჭირდა, ფუნჯი გადადო, ავტომატი აიღო და... ასე ასწავლიდნენ — სამშობლოს რითაც სჭირდები, იმით უნდა გამოადგეო. — აღარ ვჭირდები სამშობლოს?! — კითხულობს.

### სურათი III

მზია ძაძამიძე I ჯგუფის ინვალიდია. მისი ამბავი უთუოდ შეგძრავთ. ასეთი რამ უცხოეთში რომ დამართნოდა ვინმეს, უზარმაზარ კომპენსაციას მიიღებდა.

— 28 წლის წინ მშობიარობისას დამიზიანდა მენჯ-ბარძაყის სახსარი. ორი ოპერაციის შემდეგ გამიკეთეს ხელოვნური სახსარი, რომლითაც თითქმის 21 წელი დავდიოდი (ოღონდ ხელჯოხით).

რამდენიმე წლის წინ სახსარი გამოსაცვლელი შეიქნა. ღუდუშაურის კლინიკაში მირჩიეს ოპერაციის გაკეთება. ძალიან ცნობილ ქირურგს მივმართე. წინასაოპერაციო ექოსკოპიური შემოწმება გულგრილად ჩამიტარდა, რის გამოც, მხოლოდ ოპერაციის დროს აღმოაჩინა, რომ ხელოვნური სახსრის ჩასადგმელი ფოსო არ მქონია, რომელიც ხელოვნურ სახსართან ერთად უნდა მოემზადებინა (ოპერაციის წინ). ჭრილობა სახსრის ჩადგმის გარეშე დამიხურა. ამ მდგომარეობაში ვერანაირად ვეღარ შევძლებდი გადაადგილებას. თუმცა, დამამშვიდა, მალე ცრუ სახსარი გაგივითარდება და ხელჯოხის დახმარებით ივლიო. იმის შემდეგ დიდი დრო გავიდა. ვეღარც ფეხზე გავიარე და ტკივილებიც დღემდე მტანჯავს. ოპერაციიდან შვიდი თვის შემდეგ განაწყენებულმა მივაკითხე ქირურგს და პასუხი მოვითხოვე. ღრიალით აქეთ დამდო ბრალი, — არ ვარჯიშობ და როგორ გაივლიო. როგორ უნდა მევარჯიშა სახსრის გარეშე. ცოტა ხანში მას სამედიცინო კონფერენციაზე ბრალი დასდეს ჩემ გამო, თუმცა, არავის დაუსჯია. თანაც მატყუებდა, რომ მხოლოდ გერმანიაში შემეძლო ოპერაციის გაკეთება 8.600 ევროდ, მაშინ როდესაც „არამიანცის" ქირურგიულ განყოფილებაშიც შეიძლება ჩემი შველა 6.140 ლარად. ეს თანხა არ გამაჩნია, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში კი ხელოვნური სახსრის ჩასმის პროგრამა დახურულია, ანუ ერთ ლარსაც არავინ ჩამირიცხავს ფეხზე დასადგომად. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის გამო ქირურგს უჩივლეს და პაციენტის მეორე ოპერაციისთვის თანხა გადაახდევინეს. რა ვქნა, მეც სასამართლოს მივაკითხო? როდესაც ძალა აღმართს ხნავს და ჩემს დამაქცევარ ქირურგს ჯიბე ფულით აქვს სავსე, მე მოვერევი სასამართლოთი?!

## „იცით რას ნიშნავს ინვალიდისთვის, წამლის ყიდვა რომ არ შეუძლია?!"

### სურათი IV

ნუნუ ხვადაგაძეს ცხოვრება ტრაგედიად მათ უქციეს, ვისაც წესით მისი ჯანმრთელობა უნდა დაეცვა. ათეული წლებია, ცხოვრება ყოველდღე ემსხვრევა, მაგრამ იმ ოპტიმიზმს, რომელიც მის დაუძლურებულ სხეულს სხვათა დასახმარებლად ამოძრავებს, ბევრ ჯანსაღ ადამიანშიც კი ვერ ნახავთ.

ნუნუ ექიმებმა სიყმაწვილეში დაასახიჩრეს, დაინვალიდდა, აუტანელ ტკივილებთან და საავადმყოფოში სულისშემძვრელ „თავგადასავლებთან" ერთად უკვე რამდენიმე ათეული წელი გამოიარა. ცალი ფეხი ატროფირებული აქვს. მეორე დაზიანებული ხერხემლის გამო დატვირთვას ვეღარ უძლებს. „დავიწყე გამაყუჩებლების კეთება, რამაც ღვიძლი დამიზიანა, მიდგება წყალი, რომელსაც დროდადრო ვიღებ. გადავიტანე ინფარქტი, მაქვს ჩიყვი, ინსულინდამოკიდებული დიაბეტი, დამიზიანდა მხედველობა და მაინც არ ვეპუები ავადმყოფობას. ვებრძვი ტკივილს ჩემებურად — ჩამოვაყალიბე არასამთავრობო ორგანიზაცია ინვალიდი ბავშვების დასახმარებლად. „ჯანსაღი თაობა" — ასე ჰქვია ჩემს ორგანიზაციას, რომელიც აჭარის მაღალმთიან რაიონებში აწარმოებს 6-იდან 17 წლამდე ბავშვების სამედიცინო გამოკვლევებს. უკვე ვიყავი ქედაში და მალე მივდივარ შუახევში", — მიამბობს ქალბატონი ნუნუ, რომელიც განწირული ბავშვებისათვის დახმარების მოსაძებნად უკანასკნელ ძალებს არ იშურებს და ხელჯოხზე დაყრდნობილი ოთარაანთ ქვრივივით დადის.

### სურათი V

ნუნუ ხვადაგაძემ დამაფიქრებელი სინამდვილის შესახებ გვიამბო: — იმას, რაც ქედაში ვნახე, ვერავინ დაიჯერებს. ვიყავი სოფელში, სადაც 14 წელია თეთრხალათიანი ადამიანი არ უნახავთ. შემძრა 8 წლის ბავშვის სიტყვებმა, — ღამით რომ დავწვები, ვფიქრობ, ღმერთო, რა იქნება, დილა არ გათენდესო. ბავშვებში წარმოუდგენელი დეპრესიული ფონია. დაავადებულია მათი 20%. ტუბერკულოზის უმძიმესი ფორმებია გავრცელებული. დაავადებულთაგან მხოლოდ ორის ჩამოყვანა მოვახერხე თბილისში. ბედნიერი ვარ იმით, რომ ისინი მაინც დავაყენეთ ფეხზე. მე შევძელი მათი შველა და ხომ წარმოგიდგენიათ, რა შეუძლია კომპეტენტურ უწყებას.

ერთმა ქველმოქმედმა ფეხის და ხერხემლის ოპერაციისთვის მომცა თანხა. ამ ფულით ექიმთა ბრიგადა წავიყვანე ქედაში — ბევრი ნაცნობი იყო და უსასყიდლოდაც წამომყვნენ. იციან, რომ ჩემთვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავს (ტირის. — ავტ.). ექიმებს ვთხოვე, ვისაც რა წამლის წამოღება შეგიძლიათ, არ დაიზაროთ-მეთქი. ხალხს იქ იოდინოლი, ენდემური ჩიყვისთვის სამკურნალო ყველაზე იაფი პრეპარატიც კი არ ჰქონდათ... აჭარიდან დაბრუნებულმა ბევრგან დავრეკე მათთვის დახმარების გასაწევად, მაგრამ...

საქართველოში 200 000 ინვალიდია, ანუ ქვეყნის მოსახლეობის 5%. აჭარის მთიანეთში დაავადებული ბავშვებიც მალე ინვალიდობის ჯგუფს მიიღებენ და მათი ჯანმრთელობის გამოსწორების აღარანაირი შანსი აღარ იარსებებს. არადა, დღეს კიდევ შეიძლება სავალალო პროცესების შეჩერება.

ბავშვებმა არ იციან, რას ნიშნავს სიტყვა ნათლობა. რა ძალა აქვს რწმენას. ხის ჯვრები მქონდა თან წაღებული. ვაძლევდი და ვუხსნიდი, როდესაც მოინათლებით, ნათლია თქვენი სულისა და სხეულის სიჯანსაღეზე მშობელივით იზრუნებს-მეთქი. — წამალსაც გვიყიდისო? — თვალებგაფართოებული მეკითხებოდნენ და მთხოვდნენ მომენათლა ყველა მათგანი. რა უნდა მექნა?..

საერთაშორისო ფონდებიდან მნიშვნელოვანი დაფინანსება მოდის მაღალმთიან რეგიონებზე, მათ შორის, აჭარაზეც, თუმცა, დახმარება იქამდე ვერ აღწევს. არადა, სერიოზული მიხედვა სჭირდება ამ რეგიონს. ახლა გაჩნდა ტუბერკულოზის ახალი ფორმა, რომელიც დიაბეტსაც იწვევს. თანაც, ტუბერკულოზი სწრაფად ვითარდება. ერთ თვეში აღნობს კაცს. აჭარის მაღალმთიან რაიონებში ისეთი კლიმატური პირობებია, რომ ხელს უწყობს დაავადების გავრცელებას. ამასთან, იგი გადამდებია. დასნებოვნებული ბავშვი ხდება ინფექციის წყარო ოჯახში, კლასში... ბევრმა არც კი იცის, რომ ტუბერკულოზი აქვს. სოფელ მელისში დედამ მოიყვანა შვილი და გვითხრა, ყოველ საღამოს მაღალი სიცხე აქვსო — ტუბერკულოზის აქტიური ფორმა აღმოაჩნდა. გასინჯვის შემდეგ დადგინდა, რომ მისი და-ძმებიც დაავადებული არიან.

### გვიშველეთ!

ამერიკული კომპანია „ჯენერალ ელექტრიკის" მენეჯერი ინვალიდია, ახალგაზრდა კაცს მხოლოდ შუათითების ხმარება შეუძლია, რისი საშუალებითაც კომპიუტერზე მუშაობს. ყველა პირობა აქვს შექმნილი იმისათვის, რომ თავისი ინტელექტუალური პოტენციალი მაქსიმალურად გამოიყენოს. ჩვენთან კი უამრავი ჭკვიანი, შესაძლოა გენიოსებიც, „მიგდებული" გვყავს ინვალიდობის გამო.

თქვენ არ იცით, რას ნიშნავს ინვალიდისთვის, წამლის ყიდვა რომ არ შეუძლია. ამერიკის საელჩოში მითხრეს, სიამოვნებით დაგეხმარებით, რადგან ცივილიზებული მსოფლიოსთვის ინვალიდთა დახმარება პრიორიტეტულია. ყველაფერს გავაკეთებთ თქვენთვის, ოღონდ სახელმწიფო უნდა დაგიდგეთ გარანტად, რომ ჩვენ მიერ გადახდილი თითოეული ცენტი მხოლოდ ინვალიდებს მოხმარდებაო.

მტანჯავს იმის შეგრძნება, რომ არ შემიძლია ინვალიდებისთვის ტკივილგამაყუჩებლების მიცემა, ვერ ვეხმარები ყავარჯნებისა და ეტლების შეძენაში... ნუთუ არ შეიძლება ყველამ ერთად გამოვიჩინოთ გულისხმიერება და ინვალიდებს დავეხმაროთ. ამას მხოლოდ მათი ტკივილის გათავისება სჭირდება. თუ კვირაში ერთხელ მაინც იფიქრებ იმაზე, რას ჭამს ეს ხალხი და... მათზე ზრუნვას დაიწყებ, არა მარტო მათ, არამედ შენს ცხოვრებასაც გაალამაზებ. იცით, რას ნიშნავს კაცთმოყვარეობა და სათნოება? — ჩვენ დავრდომილები და უპოვარნი ყოველდღე ერთმანეთს ვეხმიანებით და ვკითხებით — დღეს სადილი გაქვს? მშიერი ხომ არ რჩები? უკანასკნელ ლუკმას ვუნაწილებთ ერთმანეთს და ყოველდღე გაოცებული ვართ ღვთის სასწაულით. ამ ლუკმას უფალი აკურთხებს ყოველდღე, არ თავდება, ყველას გვყოფნის...

**P.S.** ამ წერილზე მუშაობისას დიდხანს ვფიქრობდი, მივსულიყავი თუ არა ოფიციალურ პირებთან. ბოლოს გადავიფიქრე. რა უნდა მეკითხა ან რა უნდა ეპასუხათ? განა ეს სურათები მათთვის ნაცნობი არ არის? იქნებ არც არის, ისინი ხომ საათობით ალოდინებენ და ხშირად არც ხვდებიან მისაღებში გაჭირვებით მისულ ინვალიდებს. სად გაიგებენ, რა სტკივა ამ ხალხს? როგორც ჩანს, ფეშენებელურ ოფისებში, თანამედროვე დიზაინით მოწყობილ კაბინეტებში, ძვირფას მანქანებში ინვალიდობის ახალი ფორმა გამოვლინდა. აქ მოკალათებული ადამიანები რეალობის აღქმის უნარს კარგავენ, მათთვის ცხოვრება საამურია და ვერ წარმოუდგენიათ, რას განიცდიან ისინი, ვის შესახებ პასუხისმგებლობაც სასურველ სკამზე მოკალათებისას აიღეს.

*ეკა ლომიძე*


ევროპული დონის პოლიგრაფია

ფერადი ბეჭდვა „ჰეიდელბერგის" გერმანულ დანადგარებზე

შპს „გოდოლი"



ნებისმიერი სახის ნაბეჭდი პროდუქცია

ხარისხი
ოპერატიულობა
ფასი

ტელ: 56-40-56
877-43-04-57

ონიქსი
გრანიტი
პარკეტი
მარმარილო
რბილი იატაკი
ხელოვნური ქვა
ხალიჩები
კერამოგრანიტი
კაუჩუკის იატაკები

შპს. ფენიქსი
www.phoenix.ge

თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. 12ა
ტელ.: +995 32 339 777
ფაქსი: +995 32 335 888
E-mail: info@phoenix.ge

ავერსი AVERSI

ულტრათანამედროვე ქართული ფარმაცევტული საწარმო „ავერსი-რაციონალი"

აცხადებს მიღებას შემდეგ თანამდებობებზე:

● ფარმაცევტ-ანალიტიკოსი

*განათლება:* უმაღლესი ფარმაცევტული.
*აუცილებელი მოთხოვნები:* რუსული და ინგლისური ენების ცოდნა.
*სასურველია:* ლაბორატორიული გამოცდილება, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

● მომარაგების მენეჯერი

*განათლება:* უმაღლესი ფარმაცევტული, სამედიცინო ან ეკონომიური.
*აუცილებელი მოთხოვნები:* რუსული და ინგლისური ენების, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.
*სასურველია:* მამაკაცი, საკუთარი ავტომობილით.

● რეგისტრაციის მენეჯერი

*განათლება:* უმაღლესი სამედიცინო ან ფარმაცევტული.
*აუცილებელი მოთხოვნები:* რუსული და ინგლისური ენების, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

● დოკუმენტაციის მენეჯერი

*განათლება:* უმაღლესი ფარმაცევტული ან სამედიცინო.
*აუცილებელი მოთხოვნები:* რუსული და ინგლისური ენების, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.
*სასურველია:* დოკუმენტაციასთან მუშაობის გამოცდილება.

მსურველებმა უნდა წარადგინონ:
- ფერადი ფოტოსურათი 3/4, 1ც;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- დიპლომის ასლი;
- სერთიფიკატის ასლი;
- დახასიათება (სასურველია).

მისამართი:
აღმაშენებლის გამზირი №148/2, III სართული, ოთახი №306.
ტელ: 91-02-38.

# საქართველომ რუსი სამშვიდობოების მოშორება გადაწყვიტა

**время**

საქართველომ თავის ტერიტორიაზე რუსი სამშვიდობოების ყოფნა-არყოფნის საკითხი პრაქტიკულად დაიყვანა და ულტიმატუმის ნიუანსი შესძინა — თუ თბილისსა და ორ ამბოხებულ რესპუბლიკას შორის კონფლიქტის მოგვარების საქმეში მოსკოვი სასწრაფოდ ვერ მოახერხებს, მაშინ რუსეთის სამშვიდობო მისია სამხრეთ ოსეთში შეწყდება 2006 წლის 10 თებერვალს, აფხაზეთში კი 2006 წლის 1-ელ იულისამდე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ მოსკოვს დაავალა, 2005 წლის 1-ელ დეკემბრამდე შეიმუშაოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მდგომარეობის მონიტორინგის ოფიციალური „საგზაო რუკა“. ყოველივე ამის თაობაზე პარლამენტი შესაბამის დადგენილებას ოქტომბრის დასაწყისში მიიღებს.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ მოსკოვში, პრესკონფერენციაზე განაცხადა: — რუსი სამშვიდობოები, ფაქტობრივად, უარს ამბობენ თავიანთი მანდატის შესრულებაზე. ამ განცხადების მიზეზი კი 20 სექტემბერს, სამხრეთ ოსეთში ჩატარებული სამხედრო აღლუმი იყო. დამოუკიდებლობის დღე სხვა დროსაც აღუნიშნავთ ოსებს, მაგრამ ამჯერად თბილისმა გადაწყვიტა, აღარ დაეხუჭა თვალი იმაზე, რომ სამხედრო ტექნიკის აღლუმი ცხინვალში დაგომისის მოლაპარაკების დარღვევას ნიშნავს. ცხინვალში, აღლუმზე, „ცისფერჩაფხუტიანთა“ გენერალ-მაიორ მარატ კულახმეტოვს აშკარად განზე ეჭირა თავი და ჟურნალისტებს არ უპასუხა [illegible]




[illegible] ქრონიკული მოუწესრიგებლობის შემთხვევაში, მათი გაყვანის ან შეცვლის მექანიზმი ხელშეკრულებებში არ დევს.

რა უნდა ქნას საქართველომ ტერიტორიული მთლიანობის მოსაპოვებლად, თუ თბილისი სამხრეთ ოსეთს ერთიან სახელმწიფოში მაქსიმალურ უფლებებს სთავაზობს, ცხინვალი კი ჯიუტად ითხოვს დამოუკიდებლობას? „ვფიქრობ, შევარდნაძემ შორსმჭვრეტელობა არ გამოიჩინა და თავიდანვე შეცდა, როცა დაგომისში ჩვენთვის არახელსაყრელ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ახლა კი ჩვენ გამოსავალს ძებნა გვიწევს, შევარდნაძე მაშინ არავის არაფერს ეკითხებოდა, თვითონ წყვეტდა ყველაფერს. კონფლიქტი გაიყინა. წინ როგორ უნდა წავიდეთ, არავინ იცის. წლები მიდის, წინსვლა კი არ ჩანს,“ — ამბობს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე 1990-იან წლებში თენგიზ სიგუა.

ოფიციალური თბილისის მკაცრი პოლიტიკური შეტევა სამშვიდობოების მიმართ საქართველოდან რუსული ბაზების განდევნას ჰგავს.

[illegible] აშშ-ის მონაწილეობა ამ პროექტში პრაქტიკულად გადაწყვეტილია.

# სამცხე-ჯავახეთის სომხებს რუსეთის სპეცსამსახურები მართავენ?

**REGNUM**

„საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხების მოთხოვნა, რეგიონისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭების შესახებ, რუსეთის დაზვერვის დავალებით ხდება, — ამბობს პოლიტოლოგი რასიმ მუსაბეკოვი, — აქამდე სომხები საქართველოში ფრთხილად იქცეოდნენ, მაგრამ ბოლო ხანს რუსეთის დაზვერვა მათ უბიძგებს, საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენონ. ოფიციალური მოსკოვი, ახალი კონფლიქტის კერის გაღვივებით, საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების გადატანას ცდილობს“. რასიმ მუსაბეკოვმა დასძინა, რომ თავად სომხეთშიც არიან დაინტერესებული ძალები, რომლებიც მეტი დივიდენდების მოსაპოვებლად რუსეთის დაზვერვას ეხმარებიან.

პოლიტოლოგმა ზარდუშტ ალიზადემ დაადასტურა კოლეგის აზრი: „ეს საკითხი დღის წესრიგში შეიტანა სომეხი დაშნაკების ლიდერებთან შეკრულმა რუსეთის დაზვერვამ. რუსეთის სომხური დიასპორა სამშობლოს ბედით არის დაინტერესებული და უარს არაფერზე იტყვის, ოღონდ კი რუსეთმა მხარი დაუჭიროს, სათანადოდ შეაფასოს მათი მოღვაწეობა“. მანვე აღნიშნა, რომ საქართველოს მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები ყველა სომეხს როდი აქვს. ეს უკანასკნელნი ჯავახეთში მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას ითხოვენ.

„სომხებს რეგიონში მეორე მტრის შეძენა სულაც არ უნდათ. ეს მიზანი მოსკოვის მომხრე სომხებს აქვთ როგორც სომხეთში, ასევე რუსეთში,“ — განაცხადა მან.

ერევანში მყოფმა ქართული დელეგაციის მეთაურმა, პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, — ჯავახეთში ავტონომიის მოთხოვნით მოსახლეობის მცირე ნაწილი გამოდის. ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოში სამი ავტონომია იქნება: აჭარის, აფხაზეთის და ცხინვალის (სამხრეთ ოსეთი). საქართველოს ყველა მოქალაქეს, მათ შორის სომხებს, აფხაზებს, ოსებს, თანაბარი პირობები შეექმნებათ სოციალური, ეკონომიკური და სულიერი განვითარებისთვისო. ნოღაიდელმა ინფორმაცია გააკეთა იმის შესახებ, რომ 2006 წელს დაიწყება საინვესტიციო პროგრამა „ჯავახეთის“ რეალიზაცია ორი მიმართულებით: სამცხე-ჯავახეთის თბილისთან, ასევე სომხეთის თურქეთთან დამაკავშირებელი გზების მშენებლობა და სკოლების ინვესტირება. ნოღაიდელის თქმით, სომხურმა მხარემ გამოთქვა ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონების სკოლების ინვესტირების სურვილი, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა კი განაცხადა, რომ საქართველოს შემადგენლობაში სამცხე-ჯავახეთის ავტონომიის საკითხი მხოლოდ მაშინ წამოიჭრება ხოლმე, როცა ეს ვიღაცას სჭირდება.

შეგახსენებთ, რომ 23-24 სექტემბერს ახალქალაქში ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის საინვესტიციო ჯგუფის „ინტეგრაცია, მაგრამ არა ასიმილაცია“, მესამე კონფერენცია თემაზე „ჯავახქის სტატუსი საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურაში“. კონფერენციამ მიიღო მიმართვა საქართველოს ხელისუფლებისადმი, სადაც ითხოვენ, მეტწილად სომხებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთისთვის ავტონომიის მინიჭებას, თვითმმართველობის ფართო უფლებებს და რეგიონში მეორე ოფიციალური ენის — სომხურის აღიარებას.

# თბილისში პუტინს კვლავ ელიან

**ინტერვიუ რუსეთში საქართველოს ელჩთან, ირაკლი ჩუბინიშვილთან**

**Газета СНГ**

*— ბოლო წლების ქართულ-რუსული ურთიერთობა საქანელას ჰგავს. გაზაფხულზე თითქოსდა მდგომარეობა გამოკეთდა — თბილისმა და მოსკოვმა რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის გრაფიკიც კი შეადგინეს. ზაფხულში ორივე მხარე გაყუჩებული იყო, ახლა კვლავ გამწვავდა სიტუაცია სამხრეთ ოსეთის გამო. რა ხდება?*

— რუსეთი საქართველოს კარგი პარტნიორია, ვფიქრობ, მსგავსი ამბები ჩვენ შორის არ უნდა ხდებოდეს. ამავე დროს, რუსეთი უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების მოგვარებაში. თუ მოსკოვმა ამ პროცესში შუამავლობა იკისრა, მაშინ უფრო მარჯვედ უნდა იმოქმედოს და არა ასე პასიურად. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პერიოდულად აღმოცენებული გაუგებრობების მიუხედავად, ჩვენს ქვეყნებს მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები აკავშირებთ.

რუსი სამშვიდობოები თუ თავის მოვალეობას ვერ ასრულებენ, რაღა აზრი აქვს მათ იქ ყოფნას? ვფიქრობ, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მომხდარი პროვოკაციები შემთხვევითი არ არის. არის ხალხი, ვისაც ხელს აძლევს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გამწვავება.

*— ბოლო დროს აღარაფერი ისმის რუსულ-ქართული „დიდი ხელშეკრულების“ ხელმოწერაზე. თქვენი აზრით, რატომ შეჩერდა მუშაობა ამ მნიშვნელოვან დოკუმენტზე?*

— სულაც არ შეჩერებულა. ხელშეკრულება თითქმის მზად არის, ორივე მხარის დიპლომატები აქტიურად მუშაობენ. ხელშეკრულების მთავარი პუნქტები შეთანხმებულია და ხელმოსაწერად მზადდება; მაგრამ ამისთვის მნიშვნელოვანი, ხელსაყრელი მიზეზია საჭირო, მაგალითად, რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში. მიხეილ სააკაშვილმა ყაზანში, დსთ-ის სამიტზე, კიდევ ერთხელ მიიწვია ვლადიმირ პუტინი თბილისში. სამწუხაროდ, ჯერჯერობით პასუხი არ ისმის, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ვიზიტი შედგება. ეს ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის.

*— რუსეთში ელჩად დანიშვნა თქვენი დიპლომატიური დებიუტია...*

— გულახდილად გეტყვით, ამ დანიშვნას არ ველოდი. რასაკვირველია, პრეზიდენტის მადლობელი ვარ ასეთი ნდობისთვის. მე კი ძალ-ღონეს არ დავიშურებ ჩვენი ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

**იბეჭდება შემოკლებით**

# ივანოვი უარს ამბობს...

**BBC**

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა უარი განაცხადა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან სამშვიდობოების გაყვანის საკითხის განხილვაზე მანამ, სანამ ამ წინადადებით არ მიმართავს ყველა მოკონფლიქტე მხარე — ე.ი. თბილისი, სოხუმი და ცხინვალი...

„სამშვიდობოები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში იმყოფებიან შესაბამისი მანდატის საფუძველზე, რომელიც გაცემულია ორი მხარის მიერ — აფხაზეთისა და საქართველოს, ასევე სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს მიერ. იმისათვის, რომ სამშვიდობოებმა იქაურობა დატოვონ, ორი მხარის თანხმობა მაინც არის საჭირო. თუ ასე იქნა, თანახმა ვარ, ეს საკითხი განვიხილო,“ — ამბობს რუსეთის თავდაცვის მინისტრი. ივანოვის აზრს კვერს უკრავენ თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ლიდერები. ედუარდ კოკოითი და სერგეი ბაღაფში ერთხმად აცხადებენ: — ჩვენ დიდად ვაფასებთ რუსეთის სამშვიდობო მისიას ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში. რუსეთის სამშვიდობოები მშვიდობის გარანტი არიან. მათი გაყვანა მხოლოდ სიტუაციის გამწვავებას გამოიწვევსო.

თბილისში ივანოვის განცხადებამ სრულიად საპირისპირო რეაქცია გამოიწვია. იქ მიაჩნიათ, რომ ივანოვის ნათქვამი სეპარატიზმის აშკარა მხარდაჭერაა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში კონფლიქტების მოგვარების ხელის შეშლას. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე გაბაშვილი აცხადებს: „ივანოვი დიპლომატი რომ ყოფილიყო, ეცოდინებოდა, — სახელმწიფოს იმ ნებისმიერი დოკუმენტის დენონსირება შეუძლია, რომელიც მის ტერიტორიას ეხება. მან უნდა იცოდეს, რომ რუსეთის ხელისუფლება ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ თუ მოსკოვში ეს პოზიცია შეიცვალა, მაშინ ჩვენ საქმე აშკარა აგრესიასთან გვექნება“.

„სხვა ქვეყნის ტერიტორიის ანექსიის გამართლება სხვადასხვანაირად შეიძლება, მაგალითად, ისე, როგორც ამის გაკეთებას ბატონი ივანოვი ცდილობს“, — ასკვნის გაბაშვილი და დასძენს, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებამ მეტი არგუმენტი შემატა პარლამენტის გადაწყვეტილებას საქართველოდან სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე.

# გამოსასყიდი — 1100 დოლარი

**НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА**

საქართველოში სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებისთვის სახელმწიფოს მიერ დაკანონებული თანხა გაათმაგდება. ექსპერტების აზრით, ქართულ ჯარს ეს ფული არაფრად წაადგება, რადგან ამასაც უთუოდ მოიპარავენ.

გამოსასყიდით ჯარიდან გათავისუფლება პოსტსაბჭოურ სივრცეში დაკანონებულია ყირგიზეთში (550 დოლარი), უზბეკეთში (140 დოლარი), სომხეთში (180 დოლარი ყოველ გაწვევაზე), თურქეთში 1999 წლიდან ამ საქმეს 10 ათასი დოლარი სჭირდება, სამსახურის ვადის ორ თვემდე შემცირებას — 8 ათასი დოლარი.

2002 წლიდან საქართველოში დაკანონდა ჯარში სამსახურის გადავადება წელიწადში 200 ლარად (დაახლოებით 110 დოლარი). ახლა ეს თანხა 2000 ლარს მიაღწევს ანუ 1100 დოლარს, რომლის გადახდას მოსახლეობა ალბათ ველარ შეძლებს. ამ ქვეყანაში 1 კგ შაქარი 1 ლარი ღირს, 200 გ კარაქი — 2 ლარი, მასწავლებლის საშუალო ხელფასი კი 100 ლარია.

რუსეთში წვევამდელებისთვის გამოსასყიდის შემოღება არაერთხელ სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. ექსპერტების აზრით, ქართული გამოცდილების გაზიარება რუსულ არმიას სარგებელს ვერ მოუტანს, მით უფრო, რომ სამხედრო უწყების ბიუჯეტი სისტემატურად იზრდება. ფედერალური პოლიტსაბჭოს წევრის, ბორის ნემცოვის აზრით, ვლადიმირ პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში სამხედრო ბიუჯეტი ექვსჯერ გაიზარდა, ამიტომაც გენერლებს ხელს აძლევთ წვევამდელების რაოდენობის გაზრდა. სწორედ ამას აპირებს თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი.

გარდა ამისა, გამოსასყიდი ლეგალიზებულიც რომ იყოს, ფულს მაინც მოიპარავენ. „არ ვიცი, საქართველოში რას ხმარდება ეს თანხა, მაგრამ ჩვენთან რომ კორუმპირებული ჩინოსნების ჯიბეში მოხვდება, ცხადზე ცხადია,“ — ამბობს ჯარისკაცთა დედების კავშირის თავმჯდომარე ვალენტინა მელნიკოვა.

**გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა**





**ალმა მატერი**

**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას სამაგისტრო პროგრამებზე**

- ბიზნესის ადმინისტრირება MBA
- სახელმწიფო მართვა MPA

*სპეციალიზაცია:*
სახელმწიფო მართვა და პოლიტიკური ფილოსოფია

- სამართალმცოდნეობა LLM

*სპეციალიზაცია:*
სისხლის სამართალი და კრიმინოლოგია
სამოქალაქო სამართალი
საერთაშორისო სამართალი

- ანგლისტიკა MA
- ტელეჟურნალისტიკა MA

პროგრამები ითვალისწინებს საერთაშორისო ინტეგრირებულ პროგრამებში მონაწილეობას, აგრეთვე სტაჟირებას 4 თვით შეერთებულ შტატებში ბინისა და ხელფასის უზრუნველყოფით.

მის: თბილისი, ჯანო ბაგრატიონის №6
ტელ: 38-44-06; ფაქსი: 25-29-81



**საგამომცემლო სახლი „კვირის პალიტრა“ აცხადებს კონკურსს რეკლამის მენეჯერის თანამდებობაზე**

*მოთხოვნები:*
✔ ასაკი – 30 წლამდე;
✔ კომუნიკაბელური
✔ სასურველია კომპიუტერის ცოდნა.
*ანაზღაურება: ხელფასი + საკომისიო.*

გთხოვთ, თქვენი ავტობიოგრაფია (CV) ქართულ ენაზე, ფოტოსურათი 3X4 მოგვაწოდოთ ელ. ფოსტით: reklama@kvirispalitra.com ან მისამართზე: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).

*საბუთების მიღების ბოლო ვადაა 10 ოქტომბერი*

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვიცინიან

4 წლის **გიორგი ტაბიძე** გულამოსკვნილი ტიროდა. მაგული ბებო ეკითხება:

— რა იყო, ბებო, ვინ გაგაბრაზა.

გიორგი ეუბნება:

— აუ, ახლა ამანაც გაიგო, რომ ვტირივარ!

***

ერთხელ, სეირნობის დროს 3 წლის **გიორგი ნათიძემ** მამას უთხრა:

— მამიკო, მეძილება!

მამამ შეუსწორა:

— შვილო, „მეძილება" კი არა „მეძინება".

— რატომ, მამიკო? „ძინი" ხომ „ძილი" არ არის? — მოულოდნელი პასუხის შემდეგ მამამ დუმილი არჩია.

## I იპოვე ორი ერთნაირი ბოსტნეული



## II

ნუმერაციის მიხედვით შეიტანე უჯრებში ქვემოთ მოცემული ნახატების სახელწოდებათა პირველი ასოები და გრაფებში ამოიკითხავ ერთ ხალხურ სიბრძნეს






ყოველკვირეული ჟურნალი პატარებისათვის

იგავი

## მელა და ყვავი

ყვავი ხეზე იჯდა და პირში ყველის ნაჭერი ეჭირა. მელამ ყველის სუნი აიღო, ხესთან მიცუნცულდა და აღტაცებით შესძახა:

— ამას რას ვხედავ! გაგონილი მქონდა, რომ შავი ბუმბული გესხა, მაგრამ, ღმერთო, რა საოცრად თეთრი ყოფილხარ! თვით გედიც არ იქნება შენებრ სპეტაკი! გევედრები, მომეცი ნება, რომ ცოტა ხანს შენი მშვენიერებით დავტკბე. ისეთი ლამაზი ხარ, ისეთი, ენით ვერც კი გამოვთქვამ. ვფიქრობ, მხოლოდ გარეგნული მშვენიერებით არ იქნები შემკული, რაკი ბუნებამ ინება, შენი უპირატესობა სხვა ფრინველთა შორის, უეჭველად ანგელოზის ხმაც მოგცა. ჩვენს ბაღნარში შენსა და ბულბულზე უკეთესი მგალობელი ალბათ არც იქნება ვინმე.

ამ სიტყვებით დიდად გახარებული ყვავი გალობის გუნებაზე დადგა და სასიმღეროდ პირი დააღო, მაგრამ უეცრად პირიდან ყველი გაუვარდა.

მელამ ყველს პირი დასტაცა, შესანსლა და ყვავს სიცილით უთხრა:

— ამ ყველის ნაჭერმა უფრო მაამა, ვიდრე შენმა ხმამო.

## ენის გასატეხი

ხმელი ფიჩხი ფიჩხებს ნედლებს,
ისე ეფიჩხ-ედრებოდა,
ჩხირკვედელა ჩხირით კედლებს
როგორც ეჩხირკვედლებოდა.

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

## ზღაპრების სახლი

„კვირის პალიტრის" „ზღაპრების სახლმა" უკვე 55-ზე მეტი ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე — ⊕ და სია აჩვენეთ მშობლებს:

1. ◯ მელია და მწყერჩიტა
2. ◯ ქალთევზა
3. ◯ ნაცარქექია
4. ◯ მძინარე მზეთუნახავი
5. ◯ კომბლე
6. ◯ ირმისა
7. ◯ ჩიპოლინო
8. ◯ წითელქუდა
9. ◯ ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ◯ ხუთკუნჭულა
11. ◯ მაკნატუნა
12. ◯ თოვლის დედოფალი
13. ◯ ბრემენელი მუსიკოსები
14. ◯ ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. ◯ სამი გოჭი
16. ◯ თორმეტი თვე
17. ◯ სიზმარა
18. ◯ მაუგლი
19. ◯ ჩექმებიანი კატა
20. ◯ მგელი და შვიდი თიკანი
21. ◯ ნამცეცა
22. ◯ ნახევარქათამა
23. ◯ სამი ფორთოხალი
24. ◯ გოგონა და ურჩხული
25. ◯ წიქარა
26. ◯ ალადინი
27. ◯ ლორების მწყემსი
28. ◯ მძლეთამძლე
29. ◯ ქოჩორა რიკე
30. ◯ უფლისწული ბაყაყი
31. ◯ ბულბული
32. ◯ რიკი-ტიკი-ტავი
33. ◯ კონკია
34. ◯ მახინჯი იხვის ჭუკი
35. ◯ კატა, მამალი და მელა
36. ◯ ცეროდენა
37. ◯ გაუცინარი პრინცესა
38. ◯ ველური გედები
39. ◯ გაქვავებული სამეფო
40. ◯ გოგონა და სამი დათვი
41. ◯ წითელი ფეხსაცმელები
42. ◯ მოჯადოებული კატა
43. ◯ მეჩონგურე
44. ◯ თხისყურებიანი მეფე
45. ◯ ბურატინოს თავგადასავალი
46. ◯ ლომი და კურდღელი
47. ◯ მოჯადოებული ტყე
48. ◯ არვიცას ამბავი
49. ◯ ჯიუტი სპილუკა
50. ◯ შრომის ფასი
51 ◯ ვარსკვლავბიჭუნა
52. ◯ გენერალი ფანტა-გირო
53 ◯ კოკროჭინა
54 ◯ სამი და
55 ◯ ზარმაცი მზეთუნახავი
56 ◯ ასფურცელა

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის" საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

# „ოსტრაკოდა გია“

## „საქართველოში მარტო გასართობად არაფერს აკეთებდნენ“



ხშირად მსახიობი იმდენად საინტერესოდ ცხოვრობს, მისი ნაამბობი კარგი წიგნივით გაიტაცებს მსმენელს. **გია ბურჯანაძეს** მარჯანიშვილის თეატრის სცენიდან, კინოეკრანიდან არაერთხელ მოუხიბლავს მაყურებელი, არანაკლებ მომხიბლავია მისი ცხოვრებაც. გაოცებული დავრჩი, როცა გავიგე, რომ ბატონი გია გეოლოგიურ ექსპედიციებშიც კი დადიოდა.

— ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ხშირად მიხდებოდა გასტროლებზე ან გადაღებებზე სიარული, მაგრამ მოგზაურობის ხიბლი გაცილებით ადრე, ვიდრე მსახიობი გავხდებოდი, მანამ შევიგრძენი. ყმაწვილობიდანვე მიყვარდა საქართველოს მთასა და ბარში სიარული, ამიტომ გეოლოგებთან ერთად დავდიოდი ექსპედიციებში. ეს იყო სამეცნიერო, გეოლოგიური და არა საზოგადოებრივი პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვახტანგ ანანიაშვილი. ჩვენ გვერდით იზრდებოდა ცნობილი ბალერინა ნინო ანანიაშვილიც, რომელსაც ძალიან უყვარდა მამის ექსპედიციებში ყოფნა. ბევრი რამ ვნახე გეოლოგებთან ერთად... მერეც, ვიდრე ქვეყანაც დაწყნარებული იყო, მეგობრებთან ერთადაც დავდიოდი ხან სვანეთში, ხან თუშეთში...

— **გეოლოგის პროფესიასაც ხომ არ დაეუფლეთ?**

— როგორ არა. უმცროსი მეცნიერი მუშაკის მოვალეობას ვასრულებდი ექსპედიციაში. შრეებად დაყოფილ კლდეს გაშიშვლებებს ეძახიან. ავდიოდით სხვადასხვა ხეობაში და გაშიშვლებების მიხედვით ვადგენდით, რომელი პერიოდის ნალექი იყო ამა თუ იმ ქანის წარმოშობის საფუძველი... ვპოულობდით ნამარხ ფლორასა და ფაუნას, საქართველოს ტერიტორია უძველეს დროში ხომ წყლით იყო დაფარული. ვსწავლობდით საქართველოს უძველეს ბიოლოგიურ შრეებს, ვადგენდით ბიოლოგიურ რუკებს. ეს ძალიან საინტერესო იყო. ვპოულობდით ნამარხ თევზს, ოსტრაკოდებს (ეს ნიჟარიანი ცხოველი იყო). ჩემი სახელობის ოსტრაკოდაც კი არსებობს „ოსტრაკოდა გია“ — მეგობარმა გეოლოგებმა დაარქვეს...

— **სულაც არ მიკვირს, თქვენ რომ გეოლოგებთან ერთად დადიოდით, მაგრამ ნინო ანანიაშვილი როგორ ახერხებდა ამას?**

— მშვენივრად დარბოდა და დახტოდა კლდეებზე. ბავშვობიდან იყო მიჩვეული. ბალერინობის პერიოდშიც ხშირად ხლებია მამას ექსპედიციაში...

— **მოგზაურობისას განსაკუთრებით რა დაგამახსოვრდათ?**

— აფხაზეთში დავყავით კარგა ხანი. აფხაზეთი ხომ მთაა, რომელიც ზღვაში ჩადის. ულამაზესი ხეობებია იქ... სხვათა შორის, უკვე მაშინ იგრძნობოდა საშიშროება ამ კუთხის დაკარგვისა. მყავდა ახლო მეგობარი აფხაზებიც.

თბილისში, ვაკეში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ არასოდეს ვყოფილვარ დაშორებული ბუნებას. სხვები რომ არდადეგებზე დაგომისში ითხოვდნენ წასვლას, მე სვანეთში ან ხევსურეთში ხეტიალი მერჩია. სამეგრელოში უახლოესი მეგობარი მყავს. მასთან ხშირად ჩავდიოდი. ნახევრად იქ ვარ გაზრდილი, ბიჭობა იქ გავატარე. სხვათა შორის, იქ გამოვცადე რა არის ცხენის მოპარვაც!

— **რას ბრძანებთ, ცხენი მოგიპარავთ?!**

— აბა, რა! მარტვილის რაიონში მოვიპარე ფირცხალავას ცხენი. თეთრი იყო, რუხი ლაქებით. ეტყობა, ისეთი ცხენი იყო, პატრონის გარდა ზურგზე არავის ისვამდა. მდინარე ნუღელას პირას გადმომაგდო და გაიქცა. ორი ნეკნი ჩამემტვრა.

— **ცხენი პატრონს დაუბრუნდა?**

— რა თქმა უნდა. ცხენს გასაყიდად კი არ ვიპარავდით, ერთი ორი დღე ვაჯირითებდით და გავუშვებდით.

— **დიდი თავგადასავლები გქონიათ... მთაშიც ხომ არ წასულხართ მყინვარის დასალაშქრად?**

— როგორც არაპროფესიონალი, წავსულვარ მთაშიც. ბენგურიანის მწვერვალზე ავსულვარ. ეს ისეთი შეგრძნებაა, მსგავსს სხვაგან ვერ განიცდი. მთაში არავინ გკითხება, რატომ მიდიხარო. იციან, რაც არის. სცენისა არ იყოს, ერთხელ თუ შედგი ფეხი, მერე ველარ მოეშვები. შეიძლება ფიზიკურად ვერ შეძლო მწვერვალზე ასვლა, მაგრამ სიმაღლეზე ასვლა სულ მოგინდება. მთაში ღამით მიდიან, რომ დღის მანძილზე მოასწრონ ასვლა-ჩამოსვლა. წარმოიდგინეთ, ადიხარ ნელ-ნელა, მზეც ამოდის, ნათდება და ზემოდან დაჰყურებ ქვეყნიერებას. როგორ უნდა გადმოსცე სიტყვით ეს ყველაფერი?

— **მართლაც არაჩვეულებრივი განცდაა, მაგრამ ისეთი დიდი რისკი და ხიფათია, ყოველ წუთში შეიძლება სიკვდილს ჩახედო თვალებში.**

— სიკვდილთან ახლოს ის უფროა, საწამლავს რომ იკეთებს ვენაში სადარბაზოებში ან თავქუდმოგლეჯილი რომ დაქრის მანქანით.

— **ბატონო გია, წარმოშობით საიდან ხართ?**

— წარმოშობით ბაღდათელი ვარ, მაგრამ ბურჯანაძეების ერთი შტო ლეჩხუმშიც ცხოვრობს. მამაჩემის ბაბუა მღვდელი იყო. ლეჩხუმში, სოფელ საკოპალიანოსა და სალეთოდიანოს შორის ეკლესიაა, იქ წირავდა, იქვეა დაკრძალული. ის სოფლები 50-იან წლებში დაიმეწყრა და ახლა იქ აღარავინ ცხოვრობს. დარჩენილია მხოლოდ ეკლესია და მის გვერდით — ბაბუასეული სახლი. ძალიან ლამაზია ყველაფერი, მაგრამ გულსაკლავია დაცლილი სოფლის ნახვა. მიკვირს, რომ ლეჩხუმში ხალხი არ დადის სამოგზაუროდ. ენა ვერ აღწერს, ისეთი მშვენიერია იქაურობა.

— **წლევანდელი ზაფხული როგორ გაატარეთ, სად იმოგზაურეთ?**

— ხევსურეთში ვიყავი, დოლს დავესწარი. აღმოსავლეთ საქართველოში დოლს თავისი რიტუალი აქვს, — მიცვალებულთა სულის მოსახსენიებლად იმართება. ხევისბერი ჯერ დოლს დალოცავს, გამოიტანს ტაბლას, რომელზეც დევს პური, არაყი, დალოცავს მონაწილეებს და იწყება შეჯიბრი... სხვათა შორის, სამეგრელოში მარულაც რიტუალური ხასიათისაა. საქართველოში მარტო გასართობად არაფერს აკეთებდნენ.

— **თქვენც მონაწილეობდით დოლში?**

— მე კარგად ვიცნობ კლასიკური ცხენოსნობის სახეობებს, ხევსურეთში სულ სხვანაირი ცხენოსნობაა. ჯერ ერთი, იქ ტანმორჩილი ცხენები ჰყავთ, მათზე ჩემი დაჯდომა ცოტათი სასაცილოცაა. თანაც ხევსურეთში უბელო ცხენზე სხდებიან. მათ ტარებას სხვა ცოდნა უნდა. ახალგაზრდობაში უბელო ცხენითაც დავდიოდი, მაგრამ ახლა ველარ ვივლი...

— **რაკი ვიცი, ცხენოსნობა ძალიან გიყვართ, ამიტომ გეკითხებით: გამორჩეული ცხენი თუ გყოლიათ?**

— მყავდა. ოღონდ ის ცხენი ცოცხალი აღარ არის. ხომ იცით, ცხენს რომ ფეხი მოსტყდებოდა ან დაბრმავდებოდა, წვალებისგან უნდა ეხსნა პატრონს, ამიტომ ვქირაობდით კაცს, რომელიც მოკლავდა ცხენს, მერე კი პატივით დავკრძალავდით. ახლა უცხოეთში უკვე შემოვიდა ცხენზე თაბაშირის დადება... ადრე არც იქ იცოდნენ...

— **დღესაც ჯირითობთ?**

— მყავს ცხენი, რომელიც მეგობრებმა მაჩუქეს. ცოტა ფიცხია, ფაშატია, უნდა დედობა გამოსცადოს, ამიტომაც ანჩხლობს. ჩემი კარგი მეგობარია...

— **თუ შეიძლება გაიხსენეთ რაიმე გამორჩეული შემთხვევა.**

— ხარაგაულიდან არის გადასასვლელი წყალგამყოფ ქედზე ახალციხისაკენ. მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, მანქანით ავსულიყავით ქედზე. დაგვავიწყდა ბენზინის მომარაგება და უკან მომავალთ ბენზინიც გაგვითავდა. დავრჩით ულრან ტყეში. ნადირი რომ დავაფრთხოთ, უნდა ვიმღეროთო, — გვითხრა მეგობრის მამამ. მთელი ღამე სიმღერაში გავატარეთ.

ქართული მრავალხმიანი სიმღერა ისეთი რამეა, მეგობრის მხარდაჭერასაც გაგრძნობინებს და მტერსაც აფრთხობს. აღმოჩნდა, რომ კარგი დრო გავატარეთ იმ ღამით.

საქართველოში ყველა კუთხე-კუნჭული განსაკუთრებულია. ვილაცას ჰგონია, მხოლოდ მთაშია სილამაზე. უბრალოდ, თბილისი-ხაშურის ტრასა გადის ქართლის ისეთ მონაკვეთზე, რომ მაინცდამაინც არ მოგხიბლავს, თორემ აბა, ნახეთ კასპი, სამაჩაბლო, თეთრიწყაროს მხარე, ყინწვისი...

— **ისტორიული გმირის განსახიერების დროს ნანახი თუ გიწყობდათ ხელს?**

— საქართველო ძალიან არის შეცვლილი, სადაც არ უნდა მიხვიდე, მაინც ვერ ნახავ, მაგალითად, გიორგი I-ის დროს ესა თუ ის ადგილი როგორიც იყო. ის თურმე აჯამეთის გაუვალ ტყეებში ნადირობდა, ახლა სადღაა აჯამეთში გაუვალი ტყეები? ერთხელ, ჭიათურაში სპექტაკლები გვქონდა სათამაშო. ყური მოვკარი, ვილაცამ თქვა, ჯრუჭის მონასტერში შეიძლება ავიდეთო. გამახსენდა, რომ არსებობს ჯრუჭის ოთხთავი და ძალიან მომინდა მონასტრის ნახვა. თურმე სულ მხოლოდ 60 კილომეტრი გვაშორებდა ჯრუჭს. ვთხოვე ჩემს მეგობარს — შოთიკოს, მანქანით წაგვიყვანე-მეთქი. იქ მანქანით ვერ ავალთო. არა უშავს, სადამდეც მივალთ, მივიდეთ-მეთქი. წავედით მე, შოთიკო და მარინა ჯანაშია. ფეხით სიარულიც მოგვიწია. ვნახეთ ჯრუჭის მონასტერი, დანგრეული, მიტოვებული.. ძალიან დავიღალეთ, მაგრამ ღირდა ამად. რა თქმა უნდა, რასაც ნახულობ, უკვალოდ არ ქრება. ცხოვრებაშიც და როლის განსახიერებაშიც გეხმარება... ზემო ბეთანიაში გვქონდა გადაღებები. რომ დამთავრდა, წამოვედი. ბევრი ვიბოდიალე. ამასობაში განვიმდა. გამიჭირდა. მივადექი მონასტერს. იმ დროს ბეთანიის ბიბლიოთეკა გაძარცული იყო და მის აღდგენაზე მუშაობდნენ. მხოლოდ ორი ბერი ცხოვრობდა იქ. ძველი წიგნები მაჩვენეს, დამათვალიერებინეს მონასტერი, დამაპურეს, სენაკში მომასვენეს. ვისაუბრეთ... დილით ტაძარში შემიყვანეს, სანთელი დავანთე და წამოვედი... არაჩვეულებრივი იყო ის დღე ჩემთვის.

— **ბატონო გია, გისმენთ და ცოტა მიკვირს, რომ მაინცდამაინც მსახიობობა აირჩიეთ პროფესიად...**

— მეც მიკვირს... ვფიქრობდი, გამოგონილ სამყაროში უფრო შევძლებდი ჩემი შინაგანი სამყაროს სულის გადმოცემას და სხვებისთვის გაწილებას.

— **ახლა რას ფიქრობთ?**

— ახლა იმდენად შეიცვალა სამყარო, ადამიანი, უკვე აღარ ვიცი. ველარც იმდენ ხეტიალს ვახერხებ. ფიზიკურადაც მიჭირს. უამრავი პრობლემა მიჩნდება, რომელიც ახალგაზრდობაში არ მქონია. ბევრი ტრავმა მაქვს გადატანილი. ადრე, გეოლოგებთან რომ დავდიოდი, 30-კილოიან ზურგჩანთას ბუმბულივით ვატარებდი, შატილიდან ბარისახომდე 48 კილომეტრს ცხენით გავივლიდი. ახლა ერთი საათი რომ ვივარჯიშებ, ვიღლები, ძვლებიც დამტვრეული მაქვს ახალგაზრდობაში და იმიტომ.

— **როგორ მოახერხეთ...**

— ძალიან ხიფათიანი ვარ... მთაწმინდაზე, გადმოსახედიდან გადმოვხტი... 9-10 მეტრის სიმაღლიდან ქვაფენილს დავენარცხე. მაშინ დავიმტვრიე მენჯის ძვლები... ცალი ფეხი მოსკოვში მოვიტეხე.. ახლა იმ ადგილს რომ ვნახულობ მთაწმინდაზე და ძირს ვიყურები, ვფიქრობ, ნეტავ, ცოცხალი როგორ გადავრჩი-მეთქი. მერე 6 თვე ვიწექი საავადმყოფოში. ვისწავლე რა არის ტკივილი, ტკივილის მოთმენა, ლოდინი... კარგად მესმის იმ ადამიანებისა, ვისაც სტკივა.

— **ქალიშვილის მამა ბრძანდებით, თორემ გკითხავდით, თქვენნაირად რომ მოიქცეს თქვენი ვაჟი, რას იტყვით-მეთქი.**

— ყველაფერი უფლის ნებაა. კაცმა თვითონ უნდა განიცადოს ყველაფერი. შინ კაცად ვერ ჩამოყალიბდები. რაც მოსახდენია, მაინც მოხდება...

— **ასე თამამად გიშვებდნენ მშობლები ცხოვრების გასაცნობად?**

— მიშვებდნენ. კალათბურთელი ვიყავი და მიჩვეული ვიყვნენ ჩემს შინიდან გასვლას. რა თქმა უნდა, უჭირდათ კიდეც. კი მეუბნებოდნენ: შენ რა იცი, ჩვენ რა გვაქვს გადატანილი შენ გამოო. ხან ერთი კვირით ვიკარგებოდი. მობილური მაშინ არ იყო და არაფერი. მთავარია მშობელი დარწმუნებული იყოს, რომ მისი ვაჟი ცუდად არ იკარგება, წამლისა და აზარტული თამაშის გამო... საქართველოში კი უნდა იაროს, აბა, რა! შინ ჩაკეტილ ბიჭს მეტი საფრთხე ელის. ასეთებს ცხოვრების აღქმა აქვთ შესუსტებული და უფრო მეტად უცდებათ ფეხი უკულმართობისკენ, ან სულით კომკავშირლები ხდებიან და ამას პოლიტიკურ მოღვაწეობაში ამჟღავნებენ, ქვეყანა კი ამით ზარალდება.

— **თქვენ არასოდეს გაგჩენიათ იმ საცდურების გასინჯვის სურვილი, ზემოთ რომ ჩამოთვალეთ?**

— საავადმყოფოში რაც მე წამალს მიკეთებდნენ, მეტი რა გინდათ! მაგრამ... სამყაროს მრავალფეროვნების აღქმის სურვილი გაცილებით უფრო ძლიერია. ნადირობა არ მიყვარს, თევზაობა არ მიყვარს, მაგრამ ხეტიალი — იცოცხლეთ! კი ბატონო, ბევრი ხიფათი გადამხდენია, მაგრამ რაც ვნახე და განვიცადე, იმითი ვსაზრდოობ.

— **დარწმუნებული ვარ, ბევრი არ გიცნობს და გაუკვირდება, როცა წაიკითხავს თქვენს თავგადასავალს (თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ მცირე ნაწილია მისი ცხოვრებისა).**

— რაც მე გიამბეთ, ეს ყველაფერი თეატრის სცენაზე ნათლად ჩანს. შეიძლება მსახიობი დიდი ვერ იყოს, მაგრამ თავისი რაც აქვს — ცოდნა, გამოცდილება და პიროვნული ხიბლი, სცენაზე აუცილებლად გამოჩნდება...

***ლელა ჯიყაშვილი***







**დამწყებ მეწარმეთა საყურადღებოდ!**
**გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი**

მესამედ აცხადებს დამწყებ მეწარმეთა შერჩევას ბიზნეს-ინკუბატორის პროექტში მონაწილეობის მიზნით. ბიზნეს-ინკუბატორის მიზანია ხელი შეუწყოს მცირე მეწარმეთა საქმიანობას უფასო ბიზნეს-კონსულტაციებისა და შეღავათიანი საბანკო სესხების გზით.

პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თბილისში რეგისტრირებულ დამწყებ მცირე მეწარმეებს (რეგისტრაციის ხანგრძლივობა არაუმეტეს 2 წლისა. მაგრამ არანაკლებ 6 თვისა).

მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ბიზნეს-ინკუბატორის ცენტრალურ ოფისს 2005 წლის 21 ოქტომბრამდე მისამართზე: თბილისი, მელიქიშვილის გამზირი №12, ტელ 22-14-11; 22-12-87

# „ჩემ ცოლს ქე უნდა თავი მევიკლა, მარა არ მოვასტრებ მაგას“

გურიაში ნათესავებთან ბათუმიდან მომავლებმა გამოვიარეთ. აგაბო ბიძიას ვესტუმრეთ, ღონიერ გლეხკაცს, სიჭარმაგეშიც რომ წუთით არ ისვენებდა, სახლიც სავსე ჰქონდა და ბელელიც... თავწაკრული დაგვხვდა ბერიკაცი ეზოში. არ შევუმჩნევივართ, ვიღაცას უყვიროდა გაცეცხლებული: — ენა დეიმოკლე, თვარ გინდა, ნამზითვ ხის ჩემოდანზე შემომჯდარი გადაგიყვანო თავისახლსო!..

— რატო ის დღე და საათი არ დეიქცა, თვალები რომ დემეფსო და შენი ცოლობა ვიფიქრეო! — ეს უკვე თალიკო დეიდას ხმა იყო.

— ჩეიგდე, დედაკაცო ენა-თქვა!.. — ღვინის დოქს სტაცა ხელი ბერიკაცმა და გამეტებით მიაფშენა ხეს.

— გაპარვის დროა! — თვალებზე ქუდი ჩამოიფხატა გოჩამ, ჩემმა თანამგზავრმა და თავისი დაფეხვილი „ჟიგულისკენ“ გააპარა მზერა.

ასეც მოვიქცეოდით ალბათ, ბებერ ბარდლას რომ არ აეტეხა ყეფა და აურზაური.

— რომელი ხარ! — შუბლი მოიჩრდილა ხელისგულით აგაბო ბიძიამ და ჩვენკენ წამოვიდა. მეტი გზა არ იყო და ჭიშკარი შევაღეთ.

...გაუხარდა რომელია, ისე გასძახა ცოლს, — გამოდი, ქალო, ნახე, რა ოქროს სტუმრები მოსულანო! — თითქოს წუთის წინ გაგდებით არ დამუქრებოდა.

ვერ მოვითმინე და ვკითხე: — რა გჭირთ, ყველა თქვენს სიყვარულზე ლაპარაკობს და ამ სიბერეში რა თვალი გეცათ?!

— რავა, გეიგონეთ ჩვენი ხმა თუ?! — დაირცხვინა აგაბო ბიძიამ.

— ჭიშკართან კარა, ჩოხატაურის გამგეობაშიც გეიგონებდენ, ისე ღრიალობდი!.. — უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა თალიკო დეიდამ.

აგაბო ბიძიამ „ჩვენი ხათრით“ თვალების გადაბრიალება აკმარა ცოლს: — წაი, მოშიებულები იქნებიან ბალღები, ვერ გეიგონე რა თქვეს, ბათომიდან მოვდივართო!..

მოკლედ, იმ ღამით წასვლა გადაგვაფიქრებინეს...

— არ მეტყვით, რა ცეცხლი მოგეკიდათ?! — ცოლ-ქმრის ჩხუბის მიზეზით დავინტერესდი.

— უფროსი ძმა გამიგიჟდა, ცოლს ეყრება...

— ვინ, ნოდარი ბიძია?! — თვალები გადმოსცვივდა გოჩას.

— ჰო, იჩხუბეს რაცხაზე, არც ამან დათმო, არც მაყვალამ დოუთმო, — შენ მომინელე და იცოდეს ხალხმა, რას ვუძლებდი 50 წელიწადიო! შეუყარა სოფელი და გადარია კაცი. იმანაც, ოჯახიდან რომ ქალის ხმა გავა, ის ქალი სახლში გასაჩერებელი არ არის, ვუბრუნებ პატრონსო!..

— 70 წელს მიტანებული დედაბერი ვის უნდა დაუბრუნოს, ნუ გადამრიეთ! — აღარ იცოდა გოჩამ, ეტირა თუ ეცინა...

— ახლა გოგოებმა წეიყვანეს თბილისში, მარა ორი დღე ძმისშვილებთან ათევდა ღამეს, მართლა არ უშობდა სახლში ნოდარიე!..

— ერთი სისხლი გაქვთ, თქვენ მოგვსპეთ და დაგვაბერეთ უდროოდ!.. — ისევ იფეთქა თალიკომ.

— ჰაიტ! — მაგიდას მუშტი დაჰკრა აგაბო ბიძიამ, — სუს, ქალო-თქვა, ჯერ არ ყოფილა ჩვენი ოჯახიდან ქალის ხმამაღალი ლაპარაკი გაცდენოდეს ჭიშკარს, ხვარ გგონია, თბილისში გაგიშობ მონატრებულ შვილებთან!.. — არ ცხრებოდა ბერიკაცი.

ცრემლი ჩასდგომოდა თვალებში სამზადში შესულ თალიკოს.

...ჭიშკარი ღილინ-ღილინით („კაცი რო გაღარიბდება, / ცოლს დოუწყებს ჯავრობასო“...) შემოაღო ნოდარმა, რომელსაც მწუხარებისა არაფერი ეტყობოდა:

— ა, ელაპარაკე ახლა ამას! — შუბლში ხელი იტკიცა აგაბო ბიძიამ და ჩვენი დანახვით გახარებულ ძმას ზურგი აქცია...

— გამასტორა ხო მიწასთან?! — შემოგვლიმა მოკითხვის მერე და ძმაზე გვანიშნა.

— კი, ყველაფერი ვიცით! — დავუდასტურე.

— დაგრჩა ქურში შენი ამყავებული ადესა თუ გადმევიტანო ჩემი მირონი? — გვერდულად გადახედა ძმას ნოდარმა.

— ნასვამი ხარ უკვე?! — გადაირია აგაბო.

— მომწყინდა მარტოობა და დავლიე, მივეპარე ცოტა... ჩემს ცოლს ქე უნდა, თავი მევიკლა, მარა არ მოვასტრებ მაგას, მაგის ჯინაზე თვარ მევიყვანო გალმელი ლორიას ქვრივი, კაცი არ ვყოფილვარ! ახლაც მაგიზა მევედი, მაშვლად უნდა გამეგზავნო! — გაიღიმა „სასიძომ“ და ახლა გოჩას გადახვია ხელი.

— მანქანით თუ ხარ, შენ წამიყვანე გალმა სოფელში ქალის გადასანახულებლად!..

თალიკომ სუფრა გადააფარა მსხლის ძირში ქვის მაგიდას და თუმცა მაზლს წარბშეკრულმა გახედა, სიტყვა ვერ აკადრა. ნოდარს არ გამოჰპარვია რძლის „ირიბი“ მზერა...

სულ მალე სუფრა გაიშალა, ჩიტის რძე რომ არ აკლდა, ისეთი. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა და რომ გვეგონა, ისევ მხიარულს იტყოდა რამეს, საოცარი სევდა მოჰყვა ნოდარის სადღეგრძელოს: — მართლა კი არ გავაბდღლებულვარ, 80 წლისამ რომ გავაგდე ცოლი კარში, მარა შემეშინდა... არ ყოფილა ჯერ ჩვენს გვარში, მეზობელს რომ გეეგოს ცოლ-ქმრის ჩხუბი და კამათი... რეიზა გამომაჭენა გზაშარაზე... წყნარად შევეხვეწე, — რადგან ჩვენმა შვილმა რძლად დაგვისვა, იმ გოგოს აუგი აღარ გამაგონო, რაც არ უნდა იყოს, ჩემი შვილიშვილების დედაა-თქვა! იმას რავა იცავ, შენც მაგისთანა ოხერი ხარო! — აკივლდა და შემიყარა ხალხი... — განათხოვარი ქალი რავა მეიყვანაო! არ გოუმართლა, ნარკომანი გამოდგომია პირველი ქმარი და თავს ხვარ შეაკლავდა! რვა წელიწადია ჩვენი რძალია და გოუშრო სისხლი, წარბი არ გოუხსნია, იმ დღესაც ატირებული გოუშვა ქალაქში, ვერ მევითმინე და ქე ვუყვირე... უყვარს ჩემს შვილს, ორი ანგელოზი გოუჩინა, იმათ შემოევლოთ ბაბუა და... მეც მიყვარს ჩემი მაყვალე, არ გამიხარია იმ ჩხუბის მერე, მარა, სიყვარულის დოუნახაობას არ ვაპატიებ, აპა!..

...მეზობელი შემოვიდა მობილური ტელეფონით და თალიკო დეიდას მიაწოდა: — თბილისიდან გირეკავენო!..

— შენ შემოგევლე, შენი ჭირიმე, რავა ხარო, — თაფლად დაიღვარა ქალი და ეჭვმა ყურები დააცქვეტინა აგაბო ბიძიას, — აღარ იტყვი, ვის ესიყვარულებიო?

...თალიკოს კი ხმა გაებზარა და თავსაფრის ყურით ცრემლი მოიწმინდა. — არ იდარდო რამე, კარგად არის, არაფერს გოვუჭირვებო!..

ყველანი ერთად მივხვდით, ვინც იყო ყურმილის იქითა მხარეს. ნოდარმა თავი ჩაღუნა და ახლა გოჩამ გადახვია ხელი: — მიდი, დაელაპარაკე, მოიკითხეო!..

— ჯერ ბოდიში მეიხადოსო! — გაჯიუტდა კაცი, მერე კი დაუმატა, — რას ჯავრობთ, მოვა, აპა სად წავა... შეშინებულზე აწი ჭკვიანად მეიქცევაო!..

ისევ შეივსო ჭიქები და, — სიყვარულს გოუმარჯოსო!.. — ერთხმად წამოიძახეს „შეყვარებულმა“ ბერიკაცებმა.

...მთელი ღამე თუთუნს აბოლებდა ჯავრიან გულზე აგაბო ბიძია.

ათჯერ მაინც ადგა თალიკო: — წავალ, დავხედავ, გული აწუხებს ზოგჯერ, გლახათ არ გახთესო... მივხვდი, ისევ ძველებურად უყვარდათ ერთმანეთი და ამ სიყვარულის დაკარგვის ეშინოდათ...

მეორე დღეს გოჩამ მითხრა, — ეს რა ვნახე, ნოდარი ბიძია მთელი ღამე თავისი ბებერი ცოლის სურათს ელაპარაკებოდა, ჩვენი ცალ-ცალკე ყოფნა რავა იქნება, გასკტა გულიო!..

P.S. ნოდარის ცოლი ჩვენი წამოსვლიდან ორიოდე დღეში დაბრუნებულა შინ და დიდი ქეიფიც გამართულა. გული დამწყდა, რომ მეც იქ არ ვიყავი...

*ინგა ჯაყელი*




## ვეტერინართა რჩევა

*როგორ ვკვებოთ ჩვენი ძაღლი ისე, რომ ის ჯანმრთელიც იყოს და ხალისიანიც?*

თქვენს შეკითხვებს პასუხობს ვეტ-სამკურნალო “კომპანიონი”-ის ვეტ-ექიმი გენა სიმონოვი






თქვენ სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ! მშრალი მზა საკვები ძაღლებისათვის დიდი სიფრთხილით მუშავდება სპეციალისტების მიერ და მასში გათვალისწინებულია თქვენი ოთხფეხა მეგობრების ყველა მოთხოვნილება. ის შეიცავს სწორად დაბალანსებულ ნატურალურ კომპონენტებს და მინერალებს, აგრეთვე ვიტამინებს საჭირო რაოდენობითა და პროპორციებით. თქვენი ძაღლისათვის მრავალფეროვანი საკვებიდან მე გირჩევდით პაშტეტიან პედიგრის ბალიშებს. ის ისეთი გემრიელია და სასარგებლო, რომ ყველაზე განებივრებული ძაღლიც კი სიამოვნებით მიირთმევს მას. ჩვეულებრივი, შინ დამზადებული საჭმლიდან მზა, მშრალ საკვებზე გადასვლის ყველაზე სწორი გზა ერთის მეორეთი ნელ-ნელა ჩანაცვლებაა. ეს პროცესი 5-10 დღის განმავლობაში გრძელდება. ყოველდღიურად 1/5-ით შეამცირეთ ძველის და გაზარდეთ ახალი საკვების რაოდენობა. ასე ძაღლი უფრო კარგად ეჩვევა ახალ საკვებს. მშრალი საკვები მხოლოდ არგებს თქვენს ძაღლს!

თუ დავითვლით ძაღლისათვის შინ მოსამზადებელი პროდუქტებისა და მშრალი საკვების ყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს აღმოვაჩენთ, რომ ძაღლის მზა, მშრალი საჭმელით კვება გაცილებით იაფია. ჯერ ერთი, მშრალი საკვები უფრო ნოყიერია და ძაღლს მისი ნაკლები რაოდენობა ჰყოფნის. თანაც ბაზარზე მზა საკვების მრავალფეროვანი არჩევანი ნამდვილად იძლევა სასურველი ფასის მქონე საკვების შერჩევის საშუალებას. სრულფასოვანი, ბალანსირებული, ხარისხიანი საკვები ყოველთვის არ ნიშნავს ძვირს.

PEDIGREE®-ის საკვები მსოფლიოში აღიარებული კომპანია მარსის პროდუქტია. მწარმოებელი კომპანიისათვის უმნიშვნელოვანესია ნედლეულსა და მის ტექნოლოგიურ დამუშავებაზე ზრუნვა. სწორედ ამიტომ, თუ თქვენ გნებავთ ძაღლი სწორად და იაფად კვებოთ, მე თქვენ ამ მარკის მზა პროდუქტებს გირჩევთ. ისინი შემუშავებულია ძაღლების ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით.

| საკვები | დღიური კალორიულობა | საკვების სადღელამისო ნორმა გრ. | 1 დღის რაციონის ღირებულება ლარებში | 1 თვის რაციონის ღირებულება ლარებში |
|---|---|---|---|---|
| ფაფა, ბოსტნეული, ხორცი + ვიტამინები | 1040 | 410 | 1,58 | 47,4 |
| მშრალი საკვები PEDIGREE® | 1040 | 306 | 0,90 | 27 |

გათვალისწინებულია 21 კგ-მდე ძაღლისათვის. საზომად შეიძლება გამოყენებულ იქნას 250 მილიგრამიანი ჭიქა, რომელიც შეესაბამება PEDIGREE®-ს პროდუქტის დაახლოებით 90 გრამს.

Pedigree



ჯანმრთელი ძაღლის ბედნიერი ცხოვრისთვის!

# მამულ-დედული



## შემოდგომა ძალაშია...

დადგა შემოდგომა. ჩვენს მამულ-დედულში უამრავი სამუშაოა. გარდა იმისა, რომ ჭირნახული უნდა დავაბინაოთ, აქედანვე უნდა ჩავუყაროთ საფუძველი მომავალი წლის მოსავალს.

*ბოსტანში ტარდება შემდეგი აგროტექნიკური ღონისძიებები:* მავნებლობისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა, მინერალური სასუქების შეტანა, მორწყვა.

*ღია გრუნტში ითესება:* წიწმატი, ქინძი, ცერეცო, სალათა, თვის ბოლოკი, ჩინური ბოლოკი, სამწვანილე ხახვი, ისპანახი.

*საჩითილედ ითესება:* ყვავილოვანი და თეთრთავიანი კომბოსტო.

*ახლა შეიძლება ავილოთ:* ყველა სახის მწვანილი, პამიდორი, კიტრი, წიწაკა, ბადრიჯანი, გოგრა, ყაბაყი, საზამთრო, ნესვი, პრასი, ლობიო, ზაფრანი...

*ბაღში იკრიფება:* ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ლეღვი, იბერტყება კაკალი, იკრიფება ნუში და თხილი. თხილის მოსავლის ასაღებად ყველაზე მოხერხებულია მის ძირში ცელოფნის ან ბრეზენტის დაფენა და ჩამობერტყვა. თხილი თხლად უნდა გაიშალოს და პერიოდულად აირ-დაირიოს. ასე სჭირდება კაკალსა და ნუშსაც.

თუ ზღმარტლი გიდგათ, ისიც მოკრიფეთ და გაშალეთ ხახალზე. ნურც ხურმას და კარალიოკს დატოვებთ დიდხანს, თორემ შეიძლება ფრინველის კერძი გახდეს.

თუ ბოლო 2 წლის მანძილზე სასუქი არ შეგიტანიათ, ახლა მაინც შეიტანეთ. ხეებს ძირები გამოუბარეთ და 2-3 ვედრო ნაკელი დაუყარეთ. ამობარვა აუცილებელია 25-30 სმ-ზე. ამით, გარდა ნიადაგის გაფხვიერებისა, ხელს ვუწყობთ მავნებლების განადგურებას.

ატმის ფოთლის სიხუჭუჭის წინააღმდეგ ფოთოლცვენის შემდეგ მცენარეს და შტამბის გარშემო ნიადაგს შეასხურეთ შარდოვანას 5%-იანი ხსნარი, ახალგაზრდა ხეებს — 4%-იანი.

*ვენახში იკრიფება:* რქაწითელი და კახური მწვანე. შესაბამისად, იწურება ყურძენი და ივსება ქვევრები. ასე რომ, შემოდგომა ძალაშია.

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

### როგორ მოვიცილოთ კრაზანები

**— მაინტერესებს, თუ არსებობს რაიმე საშუალება მომრავლებული კრაზანებისგან თავის დასაღწევად?**

***მკითხველი***

— შემოდგომაა, კრაზანები ამ დროს კიდევ უფრო აქტიურად „გვესხმიან თავს“. გთავაზობთ მეთოდს, რომლითაც მართალია ერთხელ და სამუდამოდ ვერ მოიცილებთ მათ, მაგრამ რაღაც შეღავათი მაინც გექნებათ.

ღია ფერის მინის ბოთლში ჩაასხით მცირეოდენი ლუდი, ვაშლის წვენი და წყალში გახსნილი საფუარი. ასევე შეიძლება წყალში გახსნილი მურაბის სიროფიც. კრაზანები სულ მალე მინის ბოთლში „გადასახლდებიან“.

### რა უნდა იცოდეს დამწყებმა მეფუტკრემ?

**— გთხოვთ, თქვენს რუბრიკაში მოგვითხროთ იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს დამწყებმა მეფუტკრემ.**

***მკითხველი***



— პირველ რიგში ის, რომ მეფუტკრეობა საკმაოდ შრომატევადი, მაგრამ შემოსავლიანი დარგია. ასევე ისიც, რომ მეფუტკრეობის პროდუქტები: თაფლი, ცვილი, დინდგელი, ყვავილის მტვერი, შხამი და ა. შ. უძვირფასესია როგორც მნიშვნელობით, ისე ანაზღაურების თვალსაზრისით.

დამწყები მეფუტკრისთვის ძალიან ბევრი საკითხის გაცნობაა საჭირო, რაც „მამულ-დედულის“ რამდენიმე გვერდშიც არ ჩაეტევა. გირჩევთ შეიძინოთ სპეციალური ლიტერატურა მეფუტკრეობის შესახებ, რომელიც უამრავია. გარდა ამისა, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მეფუტკრეობის საზოგადოებას, სადაც უანგაროდ შეგასწავლიან მეფუტკრეობის „ანბანს“.

## საპონელა, ანუ საპოვნელა



ფურისულასებრთა ოჯახში შემავალი ეს ერთწლიანად ცნობილი მცენარე, ჩვენში ზოგჯერ ორ წელსაც ძლებს. გავრცელებულია მთელ ევროპაში. საქართველოში გვხვდება: აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, ქართლში, კახეთში, მესხეთში, თრიალეთში. ე. ი. თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულში. ჩვენში ორი სახეობაა — ნარინჯისფერ-წითელ ყვავილიანი (ან მარჯნისფერი) და ცისფერყვავილიანი. გვხვდება ველობებზე როგორც სარეველა ნათესებში, ასევე ბუჩქნარებს შორის. იმდენად მომხიბვლელია თავისი ღერო-ფოთლებითა და ულამაზესი ყვავილებით, რომ დიდი ხანია უმღერიან კიდეც. სხვათა შორის, მისი ლათინური სახელწოდება „ანაგალის“ ბერძნული სიტყვიდან მოდის და ღიმილს ნიშნავს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ამ სილამაზეს გულგრილად ვერ ჩაუვლი. თუმცა საპოვნელასაც აქვს არცთუ ისე პატარა ნაკლი — შხამიანია! საკმარისია მისი თესლი მოხვდეს შინაური ფრინველის საკვებში, რომ...

საპონელა სამკურნალწამლო მცენარეც გახლავთ. მისი მიწისზედა ნაწილები შეიცავენ საპონინებს, გლიკოზიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს და ნაყენი გამოიყენება როგორც შარდმდენი, ამოსახველებელი და ჭრილობების შემახორცებელი საშუალება.

## ჩიტბატონას სახელიც შესაფერისი აქვს...



ამ გვარიდან საქართველოში მოიპოვება ერთი სახეობა, რომელსაც ყოფენ ორ ქვესახეობად: კავკასიური და ჩვეულებრივი ჩიტბატონა.

ამ ულამაზეს ჩიტს სახელიც შესაფერისი აქვს — ჩიტბატონა. ალბათ სილამაზისა და საამური გალობის გამო თუ შეარქვა ხალხმა ეს სახელი, თორემ „ძალ-ღონით“ ნამდვილად არ გამოირჩევა.

გავრცელებულია მთელ ევროპაში, სკანდინავიაში, ბრიტანეთში, აზორისა და კანარის კუნძულებზე. სამხრეთით ვრცელდება მაროკოდან ეგვიპტემდე, მცირე და წინა აზიაში, ირანში, ავღანეთში. ჩრდილოეთ ნაწილიდან გადამფრენია, ხოლო სამხრეთში — მობინადრე. საქართველოში კავკასიური ჩიტბატონა მობინადრეა, მაგრამ ახდენს სეზონურ მომთაბარეობას. ჩვეულებრივი ჩიტბატონა კი მოზამთრეა.

ბუდობს ტყისპირებსა და ბუჩქნარებში, ბაღებსა და პარკებში, წიწვიან კორომებში. ზამთარში ინაცვლებს მინდვრებსა და ჭალებში, მაღალ ბალახნარებსა და ნარიან ადგილებში. მისი ძირითადი საკვები სარეველა მცენარეთა — ნარის, ბურბუშელას, ბირკას, ოროვანდის, მჟაუნასა და სხვათა თესლია. ზაფხულში მწერებსაც ეტანება, განსაკუთრებით ბარტყების გამოსაკვებად.

მაღალი ხეების ჰორიზონტალურ ტოტებზე დედალი აკეთებს მოხდენილსა და მაგარ ბუდეს. მამალი ბუდის გაკეთებაში არ მონაწილეობს. პირველი ბარტყობა მიმდინარეობს მაისის მეორე ნახევარში, ხოლო მეორე — ივნის-ივლისში. დებს 4-5 კვერცხს, საინკუბაციო პერიოდია 13-14 დღე.

ჩიტბატონას დიდი სარგებლობა მოაქვს მავნებლებისა და სარეველა მცენარეების განადგურებით. ლამაზი გარეგნობისა და სასიამოვნო გალობის გამო ბევრი „ემტერება“ და გალიებშიც კი ათავსებენ.

## პირშუშხა — საუკეთესო საწებელი



პირშუშხა („ხრენი“) კომბოსტოსნაირთა მრავალწლიანი მცენარეა. მისი ძირხვენებისგან მზადდება საუკეთესო საწებელი. უმატებენ სალათებსაც. მისი ფოთლები გამოიყენება კიტრისა და პამიდვრის დასამწნილებლად. პირშუშხაში შემავალი ეთერზეთი ხელს უწყობს კუჭის წვენის გამოყოფას და აუმჯობესებს მადას. მას ურჩევენ ნიკრისის ქარის, მარილების დაგროვებისა და რევმატიზმის დროს. იგი ითვლება კარგ შარდმდენ საშუალებად, მაგრამ დიდი რაოდენობით მიღება აღაგზნებს თირკმელებს.

პირშუშხა დაბალი ტემპერატურის მიმართ გამძლეა. ზრდას იწყებს ნიადაგის შეთბობისთანავე და გრძელდება გვიან შემოდგომამდე.

პირშუშხასთვის ნიადაგი უნდა დამუშავდეს ღრმად. 10 კვმ ფართობზე უნდა შევიტანოთ 6-8 კგ გადამწვარი ნაკელი, 300 გ ამონიუმის გვარჯილა, 400 გ სუპერფოსფატი და 200 გ კალიუმის მარილი. ირგვება შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე. დასარგავად ილებენ 0,5 სისქის და 20-40 სმ სიგრძის ძირებს, რომელსაც მოვაცილებთ ბუსუსა ფესვებს, დავრგავთ ვერტიკალურად და ნავაყრით მიწას არა უმეტეს 3 სმ სისქეზე.

როდესაც ფოთლების სიგრძე 20 სმ-ს მიაღწევს, ტარდება რიგთაშორისების გაფხვიერება. მოსავალი აიღება გვიან შემოდგომით, ძლიერი სიცივეების დაწყებამდე. ვთხრით ბარით. წვრილ ძირებს ვინახავთ დასარგავად.

## როდის გადავრგოთ ფინიკის პალმა?



**— მაქვს ფინიკის პალმის ნერგები. მაინტერესებს, შეიძლება თუ არა მათი გადარგვა შემოდგომით.**

***გ. ნადარეიშვილი, თბილისი***

— ფინიკის პალმის გადარგვა შემოდგომით დაუშვებელია, რადგანაც მისი ფესვები ადვილად ზიანდება, ხოლო ზამთრის განმავლობაში უხმება ფოთლები, ზოგი კი საერთოდაც ხმება. ამიტომ უმჯობესია ფინიკი გადარგოთ გაზაფხულზე.

## მოზაიკა

* * *

*მას შემდეგ, რაც მათემატიკური მეთოდებით შეიმუშავეს ფრინველების აღრიცხვა, ზოოლოგებმა დაიანგარიშეს, რომ ფინეთში XX საუკუნის 90-იან წლებში ბუდობდა ყველანაირი სახეობის ფრინველის 32 მილიონი წყვილი.*

* * *

*ზოგიერთი სახეობის კენგურუს ახალშობილი 750 მილიგრამს იწონის. ე. ი. 30000-ჯერ ნაკლებს, ვიდრე დედა კენგურუ.*

* * *

*1961 წელს დანიური კომპანია „აქსელ ეგედეს“ კუთვნილმა ღორმა 34 გოჭი გააჩინა.*

* * *

*ინგლისელი პატ რობინსონის განთქმული ჯიშის თხის წონა 181 კგ იყო, სიმაღლე 111 სმ, სიგრძე — 167 სმ.*

* * *

*წყნარ ოკეანეში ოთხი ათასი მეტრის სიღრმეზე ბინადრობს თევზის სახეობა, რომელსაც ხახაში მანათობელი ორგანო აქვს. როცა მოშივდება, პირს აღებს და ნათურას „ანთებს“. ლიფსიტები კი სინათლეს „ეტანებიან“.*

* * *

*სხვადასხვა ზომის აკვარიუმში ერთი და იმავე ასაკისა და სახეობის თევზები სხვადასხვანაირად იზრდებიან. ერთნაირი კვების პირობებშიც დიდი აკვარიუმის თევზი ბევრად ასწრებს ზომაში მცირე ზომის აკვარიუმის ბინადარს.*

* * *

*ექიდნებსა და იხვნისკარტებს სხეულის ტემპერატურა 25 გრადუსამდე აქვთ, რომელიც სხვადასხვა პირობის მიხედვით ხან დაეცემა, ხან მოიმატებს 7-8 გრადუსითაც კი.*

*აქლემის სხეულის ტემპერატურა ღამით 34 გრადუსამდეა, შუადღის პაპანაქებაში კი 40 გრადუსამდე ადის.*

## მკითხველის ფოტო



— ეს ჩემი ბოჩოლაა!..

***გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ***

### რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ. გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

# არც ისე ცოტანი ვართ, რომ ვინმეს თვალში ვეპატარავოთ




„დედასამშობლოდან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ ქართველებთან კავშირის გაღრმავება, მათში ეროვნული სულისკვეთების განმტკიცება და სამშობლოში დაბრუნებისათვის ხელშეწყობა, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და ამაში ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა,“ — განაცხადა სრულიად საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მისი ლოცვა-კურთხევით გამართული ფესტივალის, „ჩვენებურების“ გახსნის წინ. თუმცა, როგორც ირკვევა, აქაურებზე მეტად ამ დაახლოებისათვის, ცხრა მთას იქით მცხოვრები ჩვენებურები უფრო ირჯებიან. სამწუხაროდ, ჩვენს ბიზნესმენებს და სახელმწიფო ორგანიზაციებს ჯერაც ძალიან უჭირთ ასეთი, მართლაც პატრიოტული ღონისძიებებისათვის თანხების გაღება. მაშინ, როდესაც ფესტივალზე ჩამოსული ქართული დიასპორების წარმომადგენლებისთვის თითქმის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თითოეულ ასეთ შეკრებას. ფერეიდნელებთან, ლაზებთან და სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ ქართველებთან ურთიერთობა წამიერი აღფრთოვანებისა და სადღეგრძელოების თქმის დონეზე არ უნდა დავიყვანოთ, ჩვენ ხომ მართლაც არა ვართ იმდენი, რომ ერთმანეთისთვის ხმის მიწვდენა გაგვიჭირდეს. ჩვენი დიასპორების წყალობით კი არც ისე ცოტანი ვართ, რომ ვინმეს თვალში ვეპატარავოთ. ფესტივალის მნიშვნელობაზე ემიგრანტი ქართველების საქართველოში ხანმოკლე სტუმრობისას გამოთქმული აღფრთოვანებაც კმარა, თუნდაც ასეთი: „ჩვენი გადარჩენის საიდუმლო უძველეს სიმღერაშია, რომელსაც ქრისტიანობამ საუკუნეთა განმავლობაში მისტიკური ძალა შესძინა. ქართული სიმღერის წყალობით ჩვენ პატივს გვცემენ ნებისმიერ ქვეყანაში და აღარ გვიყურებენ როგორც დაქცეული ქვეყნიდან საშოვარზე გამოქცეულ ბრბოს. სიამოვნების მომგვრელია, როდესაც უცხოელს ვუხსნით საქართველოს შესახებ და ისიც ღიმილით გეკითხება, — ეს რომელი ჯორჯიიდან ხართ, ამერიკის თუ იმ ქვეყნიდან, სადაც საოცრად მღერიან და ცეკვავენო. ამ დროს თუ წაიღიღინა კიდეც შენი მშობლიური ჰანგი, შეიძლება გული საგულედან ამოგივარდეს. ასეთი რამ უკვე არც ისე იშვიათად ხდება. ქართველებს უძველესი კულტურით გვცნობენ“. მართლაც, თუ არა ქართული სიმღერის სასწაულებრივი ძალა, აბა სხვანაირად როგორ შეიძლება ახსნა ის ფაქტი, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველოსგან მოწყვეტილი ფერეიდნელები დღესაც ქართულად მღერიან და მერე როგორ. ისინი ამ ფაქტს ასე ხსნიან — უფალმა იცოდა, რომ მრავალი განსაცდელი ელოდა ქართველ ერს, ამიტომაც მოგვცა გასაოცარი სიმღერის ნიჭი, ენას თუ აგიკრძალავენ და დაგავიწყებენ, ღიღინს ვერავინ აგიკრძალავს და ასე შეძლებთ გადარჩენასო. გადავრჩით კიდეც...

მოკლედ, ამ ფესტივალით 1-ელიდან 7 ოქტომბრამდე საქართველო ქართველთა დიდ შეკრებას ზეიმობს. მასში ევროპისა და აზიის ქვეყნებში გაბნეულ ქართველთა ანსამბლები და სოლისტები მონაწილეობენ. ფესტივალს არა აქვს მხოლოდ მუსიკალური ხასიათი. ის ფორუმის ფუნქციასაც ითავსებს, რადგან საფესტივალო დღეებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდება სამეცნიერო კონფერენცია „ქართველები საზღვრებს გარეთ“. ამასთან, გაიმართება ჩვენებურების ნამუშევართა გამოფენა. ფესტივალის პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი, ქალბატონი გიული ალასანია საფესტივალო დღეებს საქართველოს გაერთიანების დღეებს უწოდებს. ასოციაციის „ქართული კულტურა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ“ ხელმძღვანელი **დარეჯან კუხიანიძე** კი ასე იხსენებს შარშანდელ „ჩვენებურებს“:

— მართლა მეგონა, რომ საქართველოს გაერთიანება დაიწყო, როდესაც ფესტივალზე მომღერლები გალიდანაც კი ჩამოვიდნენ. აფხაზებიც და ქართველებიც საშინელ სიცივეში ენგურზე ფეხით გადმოვიდნენ და სამების ახალგახსნილ ტაძართან მღეროდნენ. ეს იყო ძალზე ამაღელვებელი სცენა... რაც შეეხება ემიგრანტებს, როგორც ჩანს, სამშობლოს გარეთ მცხოვრებ ქართველთა საქართველოსადმი ლტოლვას განაპირობებს მათი ემიგრანტობის ისტორიაც, არაერთი მათგანი ხომ თავის მშობლიურ მიწასთან ერთად გახდა ემიგრანტი. მოგეხსენებათ, ასეთია მაჭახელას ხეობაში, ტაო-კლარჯეთში, ლაზეთში მცხოვრებ ქართველთა ბედი. ამ ადგილებიდან ჩამოსულები განსხვავებული მენტალიტეტის ხალხია, სულ სხვა ტკივილი და სიყვარული აქვთ ყოველივე ქართულის და მით უფრო სიმღერის მიმართ. 400 წლის წინ გადასახლებული ფერეიდნელისთვის და მე-20 საუკუნის მიწურულს საქართველოდან წასული ემიგრაციისთვის ერთნაირი არ გახლავთ ნოსტალგია. თითქოს მათი საქციელი გვასწავლის, როგორ უნდა გადავრჩეთ გლობალიზაციის ეპოქაში, რომ სხვა ერების მასაში არ ავითქვიფოთ.

თურქეთში მცხოვრები ქართველი მომღერლები უკვე ხშირად ჩამოდიან საქართველოში. მათ შორის ბაიარ გუნდარიძე და ლაზი ბიროლი. საპატრიარქოს „კოლხური კულტურის ცენტრის“ წარმომადგენელი **გიორგი ანდრიაძე** მიიჩნევს, რომ ლაზებს გამორჩეული ყურადღება სჭირდებათ საქართველოდან: — ბიროლ თოფალ ოღლუ ჩვენი დიდი ხნის მეგობარია, კონცერტებშიც მიიღო მონაწილეობა. ამჯერად ფესტივალის დასრულების შემდეგ საპატრიარქოს სტუდიაში რამდენიმე აქაურ მომღერალთან ერთად ჩაწერს ჭაბუკა ამირანაშვილის სიმღერებს, რომელიც მიხეილ ლაბაძის ლაზურ ენაზე დაწერილ ლექსებზე შეიქმნა. ბიროლი პირველად 2 წლის წინ მოვიწვიეთ ამერიკაში მცხოვრებ ლაზთან ერთად. ეს ლაზიც ძალზე საინტერესო ვინმეა. მამამისს ქუთაისის საპატივცემულოდ დაურქმევია მისთვის ქუთაი. ამერიკაში ლაზურ მუსიკას უწევს პოპულარიზაციას. ბიროლი დადის ლაზურ სოფლებში და სიმღერებს იწერს, საქართველოში რომ ჩამოვიდა, აქაც გვთხოვა ფოლკლორის ნიმუშები ჩამაწერინეთო. ანჩისხატის მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელს მალხაზ ერქვანიძეს ვთხოვეთ, მისთვის ჩონგურზე დაკვრა ესწავლებინა. ორი დღის განმავლობაში გულმოდგინედ მეცადინეობდნენ. ბიროლმა ყველაფერი კამერით გადაიღო და გვითხრა, — აქ მოსმენილ ჩონგურზე ნამღერს ჩემს რეპერტუარში ჩავსვამო. ახლა ვნახავთ, როგორ შეასრულა დანაპირები. ვუყიდეთ ძველი ქართული ჩონგურები და ჭიანური.

სამწუხაროდ, თურქეთში მცხოვრები ქართველებისა და ლაზური სათვისტომოების ურთიერთობა ერთგვარად დისტანციურია. ჩვენი კოლხური კულტურის ცენტრი ყველაფერს აკეთებს მათ დასაახლოებლად, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სამწუხაროდ, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა თურქეთში ლაზურ დიასპორას საკმაო ყურადღებას ვერ უთმობს. ფესტივალი ერთადერთი ღონისძიებაა, სადაც ლაზები მოიწვიეს. სხვა შემთხვევაში ისინი ქართულ სითბოს თითქმის ვერ გრძნობენ. ახლახანაც თურქეთში ქართული სიმღერის დღეები ჩატარდა, მაგრამ იქ არ წარმოუდგენიათ არც ერთი ლაზური სიმღერა. არადა, ლაზური სიმღერები უყვართ თურქეთშიც და საქართველოშიც.

„ჩვენებურები“ ჩემთვის მნიშვნელოვანია იმითაც, რომ საერთო ქართულ დიასპორაში ლაზები მის განუყოფელ ნაწილად არიან ჩართული...

# ძილისპირულისთვის დაწერილი ამბები

## „ის ანაგურელი ბიჭი რას აკეთებდა, ან ალიფაშამ რატომ გვიღალატაო...“

„დედასიმღერა“ — ასე ჰქვია ქართული ხალხური სიმღერის შესანიშნავი შემსრულებლისა და ლოტბარის, **გომარ სიხარულიძის** წიგნს, რომელიც პატარა შვილიშვილს, მარიამს ძილისპირულისთვის შეუთხზავს. მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიოს მსგავსად საქართველოში „ჰარი პოტერის“ ბუმია, ანაგურელი ბიჭის, ცანგალასა და გოგონას და სხვა სიმღერების პერსონაჟების „თავგადასავლებს,“ ალბათ უცხოელი ჯადოქარი ბიჭის ამბებზე ნაკლებად არ უნდა მოხიბლოთ ჩვენი პატარები, თანაც ასე ქართული ხალხური სიმღერა უფრო შეუყვარდებათ. მოკლედ, [illegible]:

— 4 წლის წინ, მოხდა ისე, რომ საქმეების გამო პატარა მარიამისთვის არავის ეცალა და მისი მოვლა-გართობა მე დამევალა. ჩემმა მეუღლემ გამაფრთხილა, შუადღისას არ დაიძინებს, თუ ზღაპარს არ მოუყვებიო. ერთ მშვენიერ დღეს შემომელია ზღაპრები და იავნანასა და სხვა ხალხურ სიმღერებს ჩუმად ჩავღიღინებდი ყურში და ისიც მშვენივრად იძინებდა. მაგრამ უეცრად გამომიცხადა: — ბაბუ, ცანგალა და გოგონა ვინ არიან, ან ის ანაგურელი ბიჭი რას აკეთებდა, ან ალიფაშამ რატომ გვიღალატაო და ა.შ. მეც ოდესღაც მოსმენილის, წაკითხულისა და ფანტაზიის წყალობით რაღაცები შევთხზე, რაც ძალიან მოეწონა „შემკვეთს“. მას შემდეგ გავიდა ორი წელი, მარიამი სკოლაში წავიდა და ისევ გამომიცხადა, — შენ რომ ამბებს მიყვებოდი, დამიწერე, ჩემს მეგობრებს უნდა წავაკითხოო. აი, მაშინ კი მივხვდი, რა შარშიც გავყავი თავი. მარიამს ოჯახის დანარჩენი წევრებიც აჰყვნენ და მიმაჯაჭვეს ამ საქმეს. კარგა ხანს ვიმტვრიე თავი, არ ვიცოდი, საიდან დამეწყო, მაგრამ ერთ დღესაც იქუხა თავში რაღაცამ და წამოვიდა...

**— ამ მოთხრობებში თქვენი ცხოვრებისეული ამბებია გამოყენებული, ცნობილ ადამიანებთან ურთიერთობებს იხსენებთ.**

— როგორ შეიძლებოდა არ გამომეყენებინა ის ამბები, რაც უშუალოდ სიმღერებთან არის დაკავშირებული და ამავე დროს [illegible] წარმოადგენს. ერთხელ, წყნეთში, სუფრასთან, ნოდარ დუმბაძემ უტკბილესი ხმით წამოიწყო, — შენც გურული, მეც გურული, ორივე ვართ მოდღურულიო. წიგნში ვწერ: ნეტავ თქვენც მოგესმინათ, ბავშვებო, ის, რაც, სამწუხაროდ, აღარ განმეორდება, მაგრამ მჯერა, მოვა დრო და თქვენც ლამაზად გაიხსენებთ თქვენს ამბებს-მეთქი.



**— „შემკვეთი“ თუ გაკონტროლებდათ მუშაობის პერიოდში?**

— გამუდმებით თავს დამტრიალებდა. ისე გამათამამა, რომ გადავწყვიტე, წიგნისთვის თან დამერთო დისკიც, რომელზეც ყველა ის სიმღერაა ჩაწერილი, წიგნში რომ არის მოთხრობილი. წერისას გადავწყვიტე, ისტორიისკენაც მიმემართა პატარების ყურადღება. გავიხსენე ქიზიყის ისტორია, რომ ეს იყო უბატონო კუთხე, განთქმული უბადლო სიმღერებით, რომ აქედან იყვნენ საქართველოს ბულბული ვანო სარაჯიშვილი, ევროპაში ცნობილი მომღერალი მიხეილ ნანობაშვილი — მიშელ დარიალი, ნიკო ფიროსმანი, ვასო გოძიაშვილი, ჰამლეტ გონაშვილი და სხვები. მათ ჰყავდათ დიდი წინაპრები და ერთ-ერთი მათგანი იყო ანაგელი ბიჭი, რომელზეც გაჩნდა სიმღერა „შენ, ბიჭო, ანაგურელო.“

რომ გავიძახით, შეგვჭამა სექტებმაო, ამიტომ უნდა ავაღორძინოთ მივიწყებული ტრადიციები, რაც ჩვენს სულს გააძლიერებს და მერე იაროს სექტანტმა კარდაკარ რამდენიც უნდა. ბავშვებმა სკოლიდანვე, დედაენასთან ერთად უნდა ისწავლონ ქართული სიმღერა, სხვანაირად ქართული ჯიში, გენი დაკნინდება. ჩვენი წინაპრები უსაქმურები კი არ იყვნენ, სიყრმიდანვე რომ აჩვევდნენ ქართულ ჰანგებს პატარა ქართველებს.

ღმერთს ვთხოვ, საქართველოში არ მოშალოს ერთმანეთის სიყვარული და თანადგომა. ეს თვისებები თუ დაგვაყენებს ფეხზე, ეს თუ გვიბიძგებს მუდმივი წინსვლისაკენ.

***გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ***

# „პუბლიცისტი“ — №1 თქვენი მეგობარი

## ახალი პოზიცია ქართულ მედიაში

ქართული ჟურნალ-გაზეთების მრავალრიცხოვანი და ერთფეროვანი სპექტრი მალე ახალი გამოცემით გამდიდრდება. ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „პუბლიცისტი“ უთუოდ დააინტერესებს მათ, ვისაც სიყვითლეშერეული ჟურნალების კითხვა მოჰბეზრდა და ბეჭდვითი მედიასაშუალების სახით საჭირბოროტო საკითხებზე საინტერესო მოსაუბრეს ეძებს. რუბრიკების მრავალფეროვნება, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ჯანსაღი კრიტიკა, თემების ღრმა ანალიზი, მრავლისმთქმელი ფოტოკოლაჟები, რეპორტაჟები და პროფესიონალი ავტორები გვმოვნებიანი, ფიქრსა და განსჯას ჩვეული მკითხველის მისაზიდად აუცილებელ წინა პირობას ქმნის. „პუბლიცისტი“ ყოველი თვის მიწურულს გამოიცემა და გადაშლისთანავე გაგაოცებთ ელეგანტურობითა და ალეგორიულობით. გარეკანზე გამოსახული წითელი ვარდების გრძელ ღეროებზე მავთულის ეკლების გაჩენის მიზეზს ჟურნალში განთავსებულ სტატიებში შეიტყობთ. ვფიქრობთ, ავტორებმა წარმატებით გაართვეს თავი ჟურნალის შექმნის იდეას.

„პუბლიცისტის“ დამფუძნებელი და რედაქტორი პაატა ციკოლია: — მოგეხსენებათ, როგორი დანაწევრებულია ჩვენი საზოგადოება, ერთმანეთს ვერ ველაპარაკებით, ან ვჭორაობთ, ან ვყვირით. თითქოს მშვიდი განსჯისა და სწორი დასკვნის გაკეთების უნარი დავკარგეთ. ვფიქრობ, ამისგან თავის დაღწევაში საზოგადოებას მასმედიის საშუალებები უნდა დაეხმაროს. სამწუხაროდ, დღეს კარგი სიტყვა (აზრიანი) უთქმელი რჩება, რადგან მათი მთქმელები საქმეში არიან ჩართული, არ სცალიათ და არც ჩვევად აქვთ, რომ თვალში შეგეჩხირონ. ჩემ ირგვლივ ასეთი ადამიანები საკმაოდ არიან. ამიტომაც გადავწყვიტე, კარგის მთქმელებისთვის ასპარეზი მიმეცა და კარგ გამგონებს გასჩენოდათ მოსაუბრე ახალი ჟურნალის სახით. მე ასე წარმომიდგენია ჟურნალისა და მკითხველის ურთიერთობა: სტატიების სახით დაბეჭდილი ჭკვიანი კაცის ნაფიქრალი უფრო დამაფიქრებელი უნდა გახდეს მკითხველისათვის. წაკითხულმა უნდა უბიძგოს იმისაკენ, რომ რაც წაიკითხა, ის დოგმატური ჭეშმარიტება კი არ არის, არამედ ბიძგი სწორი გზისკენ მიმავალი. სწორ გზას კი კრიტიკული მსჯელობით, ღრმა ანალიზითა და ასე მიღებული დასკვნებით თუ მოვძებნით, თორემ აგრესია გონებას დაგვიბნელებს და უფრო გააძლიერებს ჩვენში ფეხმოკიდებულ უიმედობას. მინდა, ჩვენი ჟურნალი საზოგადოებას სწორი პოზიციების ჩამოყალიბებაში დაეხმაროს. ამიტომ თხრობის სტილიც, ენაც გასაგები უნდა იყოს ნებისმიერი მკითხველისთვის. არ უნდა იგრძნობოდეს სნობური, ზევიდან დამყურე დამოკიდებულება. კრიტიკულად, მაგრამ ჭკვიანურად განხილულმა სატკივარმა კი არ უნდა დაგვალონოს, მისი განკურნების გზის საძიებლად უნდა გვიბიძგოს თითოეულს. ვფიქრობ, ეს იქნება მნიშვნელოვანი ბიძგი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის...

მაშ ასე, „პუბლიცისტის“ პირველი ნომერი გახმაურებულ, მაგრამ ძალიან აქტუალურ თემებზე საკამათოდ გიწვევთ. გიორგი კერესელიძის სტატია „პოსტრევოლუციური საქართველოს“ შესახებ უთუოდ მოგაგონებთ სარკეს, რომელსაც მხოლოდ მოყვასი თუ მოგიტანს, მურით მოთხვრილი სახე რომ დაგანახვოს. აქ გაეცნობით მოსაზრებას ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომელთაც მავანთა მიმართ მათი მლიქვნელური და მამებლური პოზიციის გამო ავტორი კლოუნადას უწოდებს. შეგექმნებათ საინტერესო წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რით შეიძლება დასრულდეს ჩვენი ხელისუფლების უსაზღვროდ გაგრძელებული რევოლუციური განწყობილება. გიორგი მიქანაძის დახმარებით გავარკვევთ, რატომ იზრდება საქართველოში საწვავზე ფასები ხელოვნურად და რომ არაფერ შუაშია „კატრინა“.

მამუკა ნებიერიძის „სარკინიგზო ომები კავკასიაში“ ყარსი-ახალქალაქისა და აფხაზეთზე გამავალი ჩრდილოკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის გავჯანჯლებული პროექტების ბნელ მხარეებს ააშკარავებს. „პუბლიცისტში“ გაეცნობით ნინო ჩაჩავას მოსაზრებას იმის შესახებ, რატომ იქნებოდა გამართლებული ნინო ანანიაშვილის საბალეტო სასწავლებლისთვის არა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის, არამედ მერიის შენობის გადაცემა.

საპარლამენტო უმრავლესობისგან თითქმის დისიდენტად შერაცხული დავით ზურაბიშვილის ანალიტიკური სტატია განათლების რეფორმის შესახებ, შესაძლოა ზურაბიშვილი-ნაციონალების დაპირისპირების კიდევ ერთ სტიმულატორად იქცეს. ჟურნალის პირველ ნომერში დაბეჭდილი ფოტორეპორტაჟი ციხიდან ნებისმიერ მკითხველში მძაფრ ემოციას გამოიწვევს. ჟურნალის დამფუძნებლისა და




რედაქტორის პაატა ციკოლიას აზრით, „პუბლიცისტისთვის“ ფოტოჟურნალისტიკის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტია. ფოტო ხშირად სტატიაზე მეტს ამბობს. ფოტოს ზოგჯერ უფრო მეტად შეუძლია დააფიქროს და სწორ გზაზე დააყენოს კაცი“.

„პუბლიცისტი“ 6 ოქტომბერს წარდგება თქვენ წინაშე და, ვიმედოვნებთ, ეს იქნება მკითხველთან დიდი მეგობრობის დასაწყისი.

R

# პელტროუ პოლიგლოტს ზრდის...



გვინეტ პელტროუ არა მარტო შესანიშნავი მსახიობია, არამედ მეტად განათლებული ადამიანიც — კალიფორნიის უნივერსიტეტში ანთროპოლოგია შეისწავლა. გვინეტი ცდილობს, მისი პატარა ქალიშვილი ეიპელი, დედას არ ჩამორჩეს და აკვნიდან დააწყებინა სწავლა. მსახიობი გოგონას ელაპარაკება მშობლიურ ინგლისურ ენაზე და ესპანურზე, რომელსაც სრულყოფილად ფლობს — პელტროუ ხომ ესპანეთში კარგა ხანს ცხოვრობდა. ისეთი პირი უჩანს, რომ ეიპელი პოლიგლოტი იქნება, პატარამ ადრეც დაიწყო ლაპარაკი და ერთი წლის ბავშვისთვის საკმაოდ მდიდარი ლექსიკა აქვს, ხან ინგლისურად ეღუღუნება მშობლებს და ხან ესპანურად.

*იტოგი №38*

# თეთრი იყო, გახდა ვარდისფერი

ინგლისელ ცოლ-ქმარ უორსერებს თოვლივით ქათქათა ფისო ჰყავდათ. ერთ დილით ბრუმასი სეირნობიდან ვარდისფერი დაბრუნდა. პატრონებმა ჯერ იფიქრეს, ვილაცამ იხუმრა და შეღებაო და სასწრაფოდ ვეტერინარულ კლინიკაში გააქანეს, სადაც ექიმებმა საფუძვლიანად შეამოწმეს, მაგრამ საღებავის კვალი ვერ აღმოაჩინეს. ეგებ ქუჩაში ნაჭამმა საჭმელმა შეუცვალა ფერიო, იფიქრეს, მაგრამ ცხოველს ორგანიზმში არც ტოქსინები აღმოაჩნდა. კატა საღსალამათია. ეტყობა, მხოლოდ თვითონ იცის, სად და როგორ გავარდისფრდა.

*ტაიმი*

# ევროპის მოტაცება

სპეციალისტები და ანტიკვარები გაოგნებული და შეშინებული არიან — დაუდგენელი ორგანიზებული ჯგუფი მსოფლიო ბიბლიოთეკებიდან და კერძო კოლექციებიდან იპარავს უიშვიათეს რუკებს. თითქოს ვილაცამ პერეს-რევერტეს „საიდუმლო მერიდიანში“ აღწერილი გეგმის განხორციელება გადაწყვიტა. ბოლოს, ბოროტმოქმედებმა უნიკალური რუკები ბრიტანეთის მუზეუმიდან 2005 წლის ზაფხულში გაიტანეს. მძარცველებმა XVI-XVII საუკუნეების წიგნებიდან სამი რუკა ამოჭრეს, რომელთა ღირებულებაც ათეულათასობით გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. მუზეუმმა რუკების დაკარგვა მხოლოდ სექტემბერში აღმოაჩინა.



ბრიტანეთის მუზეუმის მძარცველების ხელწერა ძალიან ჰგავს ბოსტონის და ნიუ-იორკის ბიბლიოთეკებისა და იელის უნივერსიტეტის მძარცველთა ნახელავს.

ანგარიშგასაწევია ის, რომ ქურდებმა ზუსტად იციან, რა და სად უნდა ეძებონ, თითქოს ვილაცის დაკვეთას ასრულებდნენ. მოპარული რუკების უმეტესობაზე გამოსახულია ადრეული, ძველი და ახალი სამყარო.

*ხანი*

# ამერიკელთა ახალი პროექტი

ამერიკელი ეკოლოგები და ბიოლოგები უნიკალურ პროექტზე მუშაობენ: აფრიკის ველური ცხოველების შტატებში გადასახლება უნდათ, რადგანაც მათი რიცხვი ყოველწლიურად მცირდება და აუცილებელია შეიქმნას დაბლობ და მთიან რაიონებში ნაკრძალები, სადაც გაუშვებენ ლომებს, ავაზებს, სპილოებს... ცხოველთა გადასახლება მეცნიერებს მხოლოდ ექსპერიმენტისთვის არ მოუფიქრებიათ — აფრიკაში ბრაკონიერობა მძვინვარებს, ფერმერები ცხოველებს დევნიან და სულ უფრო და უფრო მეტ მიწებს ითვისებენ. აშშ-ის მთავრობას ეს რთული პროექტი ჯერ არ განუხილავს, მაგრამ ცნობილ ამერიკელებს შორის ის უკვე პოპულარობით სარგებლობს. ტედ ტერნერს, ტელეკომპანია სი-ენ-ენის გარდა, უზარმაზარი მიწებიც აქვს, სადაც ცხოველებს სიამოვნებით შეუშვებს.

*ნიუ ზუიქი*

# ვაშინგტონს დაუბრუნებენ სახეს

ამერიკის უდიდესი უნივერსიტეტები გაერთიანდნენ, რათა გადაჭრან აშშ-ის ისტორიის მთავარი საკითხი: სინამდვილეში მართლა ისე გამოიყურებოდა შტატების პირველი პრეზიდენტი, როგორც დოლარის ბანკნოტებზეა გამოსახული?




ლაზერის მეშვეობით გამოიკვლევენ ვაშინგტონის გამოსახულებებს, მისი კბილების პროთეზებს, სახის და სხეულის ნილბებს, თმის ნიმუშებს, სათვალეს, ტანსაცმელს, პირად ნივთებს. გეგმის თანახმად, 2006 წლისთვის შეიქმნება სამი მანეკენი — ყოფილი პრეზიდენტის ნატურალური მოდელები ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში — 19, 45 და 57 წლის ასაკში. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ისინი განსხვავებული იქნებიან: მაგალითად, 20 წლის ასაკში ჯორჯ ვაშინგტონი წითური იყო და კბილების ცვენაც ამ დროიდან დაეწყო. ხანდაზმულობაში უფრო მკაცრი იერი ჰქონდა, რისი მიზეზიც კბილების პროთეზის ტარებით გამოწვეული უხერხულობა და ტკივილი იყო.

*ოგონიოკი №35*

# კონდიციონერი აღარ იარსებებს

ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯში გამოიგონეს მინის საფარი, რომელიც კაცობრიობას იხსნის შენობის კონდიცირებისა და გათბობის პრობლემისაგან. უნიკალური აფსკი სითბურ გამოსხივებას მხოლოდ მაშინ ატარებს, როცა ტემპერატურა 29 გრადუსზე ნაკლებია. თუ უფრო მაღლა აიწევს, ნივთიერების ელექტრული სტრუქტურა იცვლება და ამ დროს აფსკი გაუმჭვირვალე ხდება ინფრაწითელი გამოსხივებისთვის.

იაფი ტექნოლოგიით მინაზე აფსკის გადაკვრა საშუალებას იძლევა, დაიზოგოს თანხები კონდიციონერსა და გასათბობ მოწყობილობაზე უარის თქმით.

*ნიუს რუ*

# ჩემი დიდი თურქული ქორწილი



ეს მართლაც მეფური საჩუქარი იყო ღარიბი შეყვარებულებისთვის. ანკარის ხელისუფლებამ დიდი ქორწილი გადაუხადა იმ 205 ახალგაზრდას, რომელთაც ოჯახის შექმნა უნდოდათ, მაგრამ მოკრძალებული ცერემონიისთვისაც კი არ ჰქონდათ ფული. დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა საკუთარი ხარჯით გამოაწყო საქორწილოდ ყველა ნეფე-პატარძალი, გაშალა ულამაზესი და უხვი სუფრა. ქორწინების სახლში რეგისტრაციის შემდეგ გაიმართა ლხინი მხოლოდ ახალდაქორწინებულებისთვის. ნათესავები და მეგობრები ამ ზეიმს შორიდან უყურებდნენ.

*გარდიანი*

# დანაძლევდნენ... ბუშზე!

აშშ-ის ორმა მოქალაქემ რატომღაც აითვალწუნა პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, რაზედაც მათი უცნაური საქციელი მეტყველებს. ისინი დანაძლევდნენ, რომ თუ ერთი მათგანი ექვს თვეში სამჯერ პრეზიდენტის წინ გაშიშვლდებოდა, ნაგებული ერთ ყუთ ლუდს კისრულობდა. მოკამათეები არ შეუშინდნენ პრეზიდენტის გაძლიერებულ დაცვას და დაიწყეს დასახული გეგმის განხორციელება. პირველად პრეზიდენტმა შიშველი მოკამათე იხილა ვაშინგტონის ცენტრალურ პარკში, ხეივანში ხეების დარგვისას. მონაძლევე ბუჩქებში გაშიშვლდა და პრეზიდენტს ცხვირწინ ჩაუარა... პოლიციაში დაკითხვებისა და ჯარიმის შემდეგ იგი გაათავისუფლეს და მაშინვე მორიგ „ოპერაციაზე“ დაიწყო ფიქრი... ბუში დაესწრო ერთ-ერთ საფეხბურთო მატჩს. აზარტული მოკამათე შუა თამაშში მოედანზე შიშველი გავარდა და პრეზიდენტის ლოჟას ჩაუქროლა. მესამედ ბუშის ნახვა საგრძნობლად გართულდა, მაგრამ მაინც შეაღწია დარბაზში, სადაც ბუში საზეიმო სიტყვას წარმოთქვამდა. ამჯერად კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ერთი ბოტასიღა ჰქონდა გასახდელი, როდესაც დაცვამ დაიჭირა... და ნაძლევიც წააგო.

*ოკნა №33*

# მწვანე ტურიზმი



თურქებმა „გახსნეს“ თავისი ტურისტული ინდუსტრიის კიდევ ერთი საიდუმლო კუთხე. ეს არის შავი ზღვის სანაპიროზე, პონტოს მთების ძირში, რიზეს ვილაიეთში, ველური ყვავილებით მოჩითული ჰემსინის ველი. აქ თითქოს დრო გაჩერებულა. ეს ხალხი „ლმობიერი“ ისლამის მიმდევარია და თავისი წარსულით ამაყობს. ეკოტურიზმის მოყვარული აქაურობას გულგრილად ვერ დაათვალიერებს. ხელუხლებელი ბუნება ხიბლავს თვალს, ტურისტებს საუკუნოვან ხის სახლებში ეპატიჟებიან, ძველი წეს-ჩვეულებების თანახმად მასპინძლობენ, ნატურალურ პროდუქტებს მიართმევენ. ყველაზე მეტად ჰემსინის ველს ისრაელელი ტურისტები ეტანებიან. მათ მოსწონთ რამდენიმე საუკუნით უკან დახევა — არ ხმარობენ თანამედროვე ტექნიკურ თუ ელექტროსაშუალებებს, საათებს, ფოტოაპარატებს, ელექტროსაპარსებს და რამდენიმე დღით მაინც ერწყმიან ბუნებას...

*ეკონომისტი*

# „კატრინა“ „იაკუძამ“ მოაწყო?!

აიდაჰოს შტატის ქალაქ პოკატელოში მცხოვრებმა მეტეოროლოგმა სკოტ სტივენსმა სენსაციური განცხადება გააკეთა. ის ამტკიცებს, რომ „კატრინა“ ბუნებრივი მოვლენა არ ყოფილა, ეს იყო იაპონელი განგსტერების შურისძიება 1945 წლის აგვისტოში ჰიროსიმისა და ნაგასაკის დაბომბვისათვის.

სტივენსის აზრით, „იაკუძამ“ 1976 წელს საბჭოთა მეცნიერების მიერ გამოგონილი გიგანტური ელექტრომაგნიტური გენერატორების საშუალებით „მოაწყო“ ეს ქარიშხალი. ეს საოცარი ხელსაწყოები გამოასხივებენ 3-დან 30 მეგაჰერცამდე სიხშირის ხმოვან ტალღებს. 80-იანი წლების ბოლოს „ქარიშხლის გამომწვევი“ ტექნოლოგია რუსებმა სხვა ქვეყნებს მიჰყიდეს და, ბოლოს და ბოლოს, იგი სისხლისმსმელი და შურისმაძიებელი „იაკუძას“ ხელში მოხვდა.

ასეთი მოულოდნელი დასკვნა სკოტ სტივენსონმა ქარიშხლის დღეებში ხელოვნური თანამგზავრებიდან გადაღებული სურათების ყურადღებით შესწავლის შედეგად გააკეთა. ამ სურათებზე ნათლად ჩანს, რომ „კატრინას“ ჰქონდა აგრიგალების უამრავი წერტილი, რაც ჩვეულებრივ ქარიშხალს არ ახასიათებს. აიდაჰოელმა მეტეოროლოგმა იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ ახალი ორლეანის თავზე ღრუბლები ჩვეულებრივისაგან განსხვავდებოდნენ... სწორედ ასეთ ღრუბლებს წარმოქმნიან აღნიშნული გენერატორები.

*მირ ნოვოსტეი №39*

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „ქვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში მურმან ჯინორიას სიტყვებს ამოიკითხავთ..




**დ.** სამეცნიერო ხარისხი; **ა.** ყველაზე გრძელი ჩანჩქერი მსოფლიოში; **ი.** სუფთა მოგება ძიუდოში; **ს.** ტბა სომხეთში; **ვ.** ქალაქი, სადაც მიმდინარეობს შექსპირის „რომეო და ჯულიეტას მოქმედება“; **ე.** სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **ნ.** ის, რაშიც მოტაცებულ ქალს ახვევდნენ კავკასიელები; **ე.** მეგრული კერძი; **თ.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **პ.** ჰომეროსის „ილიადას“ პერსონაჟი, ტროას უფლისწული, რომელმაც მოიტაცა სპარტის მეფის, მენელაოსის ცოლი, მშვენიერი ელენე, რაც გახდა ტროას ომის საბაბი; **ა.** დაავადება, რომელსაც სულის ხუთვის შეტევები ახასიათებს; **ლ.** ძველი ფრანგული ფულის ერთეული; **ი.** მგალობელი ფრინველი; **ტ.** ამერიკელი მოკრივე; **რ.** საოჯახო ხელსაწყო, რომელშიც მსხვილი, მოგრძო ქვით ნაყავენ მარილს, ნიგოზს და ა.შ.; **ა.** კრეტის მეფის მინოსის ასული, რომელმაც თეზევსს ჯადოსნური ძაფის გორგალი მისცა ლაბირინთიდან თავის დასაღწევად; **ს.** ქალის მაღალი სასიმღერო ხმა; **თ.** ხელსაწყო, რომლითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ამოწმებენ; **ა.** რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; **ნ.** დინამიტის გამომგონებლის გვარი; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **თ.** მართლმსაჯულების ქალღმერთი, რომელსაც ფილოსოფოს ბემეს თქმით, ხელში მახვილი რომ არ ეჭიროს, სასწორს თავზე გადაამტვრევდნენ; **ა.** ტროპიკული ხილი; **დ.** ზღაპრული ურჩხული.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
**ს.** სიბილა; **ა.** ატრია; **ო.** ორბიტა; **ც.** ცთომილი; **ა.** ანცი; **რ.** რუმბი; **ი.** იკებანა; **ა.** აბზაცი; **პ.** პრალა; **ა.** აორტა; **ლ.** ლიე; **ი.** იუბილე; **ტ.** ტრასა; **რ.** როდინი; **ი.** იკაროსი; **ს.** საბრინა; **ფ.** ფორტუნა; **ე.** ელბა; **რ.** რიონი; **თ.** თასმა; **ა.** ატამანი; **გ.** გაზონი; **ა.** აბრაზია; **მ.** მეისონი; **ა.** აქცია.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ბრბოც მეზარება და ბრბოს აზრიც.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თქვენთვის, ქალბატონებო!

ნათქვამია, ცოლ-ქმარს ერთმანეთზე არც ახლობელი ჰყავს ვინმე და არც დიდი მტერიო.

სამწუხაროდ, განქორწინების შემდეგ ზოგიერთი ქალი შვილს მამისადმი სიძულვილით ზრდის — უვარგისი კაცია, შენც კი აღარ ახსოვხარ, ახლა სხვა ქალთან ცხოვრობსო. ბავშვიც იჯერებს, რადგან პატარისათვის დედა სიმართლისა და სიკეთის ხატია.

ოჯახურ კონფლიქტსა და უსიამოვნებაზე სხვადასხვა დროს, ორი, ერთმანეთისთვის უცხო ადამიანი (ქალი და მამაკაცი) მესაუბრა. გადავწყვიტე, ეს საუბარი მკითხველისთვის გამეცნო.

## მოდით და, გამამტყუნეთ...

**მზია (32 წლის):** — ორი წელია მე და ჩემი ქმარი ცალ-ცალკე ვცხოვრობთ, თუმცა ოფიციალურად ჯერ არ განვქორწინებულვართ...

აღარც შერიგების იმედი მაქვს, რადგან გელამ ძალიან მატკინა გული.

— *ასეთი რა მოხდა?*

— ერთ ოჯახში გავიცანით ერთმანეთი. სიმპათიური ბიჭი იყო, დამოუკიდებელი მეგონა, რადგან მუშაობდა და ცალკე ცხოვრობდა. როცა ხელი მთხოვა, დიდხანს აღარ მიფიქრია, რადგან მინდოდა, რაღაც პრობლემებისთვის თავი დამეღწია.

— *ცნობილია, როცა ანგარებით თხოვდება ქალი, პირველსავე დაბრკოლებაზე უჩნდება უკიდურესად მწვავე პროტესტის გრძნობა. კატეგორიულად სთხოვს მეუღლეს პრობლემების მოგვარებას, თუ არადა, გაგეყრებიო, ემუქრება.*

— რაც ჩვენ შორის უსიამოვნება ჩამოვარდა, ახლობლები ხშირად მეკითხებიან ხოლმე: ხომ არ გცემდა, ან ცუდი სიმთვრალე ხომ არ ჰქონდაო. არა, ბატონო, არც მცემდა და არც ცუდი სიმთვრალე ჰქონდა. მიკვირს, ამ ორი რამის გარდა, სხვა არაფერი არსებობს, რამაც ადამიანზე შეიძლება შეხედულება შეგაცვლევინოს?

— *ეს ადამიანი თქვენი შვილების მამაა. რამ გატკინათ გული, რომ ასე გიჭირთ პატიება?*

— თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო. გელა ყურადღებიანი ქმარი იყო. არც საჩუქრებს მაკლებდა, ყველგან ერთად დავდიოდით. როცა გოგონა გაგვიჩნდა, ცოტა გაგვიჭირდა, სეირნობასაც მოვუკელით და ხელგაშლილობასაც. ამასობაში ჩემს მამამთილს ინფარქტი მოუვიდა. მისი მკურნალობა და ოჯახის ტვირთი გელას დააწვა კისერზე, თითქოს მის გარდა სხვა შვილი არ ჰყავდათ.

— *კიდევ რამდენი შვილი ჰყავთ?*

— მაზლიც მყავს და მულიც, მაგრამ რატომღაც გელა მიაჩნდათ (და ახლაც ასეა!) მარჩენლად. სანამ არ გვიჭირდა, ხმას არ ვიღებდი, მერე ჩვენც გაგვეზარდა ხარჯი და, რა დასამალია, არ მსიამოვნებდა, როცა გელას ხელფასი რამდენიმე ნაწილად იყოფოდა.

— *თუკი ქმრის მშობლებს პენსიის გარდა სხვა შემოსავალი არ გააჩნდათ, მშიერს ხომ არ დაყრიდა თავისიანებს?*

— მშობლებზე კიდევ თვალს დავხუჭავდი, მაგრამ მული და მაზლი? ისინი ხომ სრულწლოვანი იყვნენ, ემუშავათ, ვინ უშლიდათ? იცოდნენ, როდის იღებდა გელა ხელფასს და მეორე ან მესამე დღეს კარს მოგვადგებოდნენ. ცოტა ხანს ვითმინე, მერე კი ველარ შევიკავე თავი: გელას ცოლ-შვილი ჰყავს სარჩენი, ახალგაზრდა ოჯახი გვაქვს, თქვენ კი ძმას ფულს ართმევთ, როგორ არ გრცხვენიათ-მეთქი. ეწყინათ. ეტყობა, მშობლებს გაუზვიადეს და საღამოს ჩემმა დედამთილმა დარეკა, საყვედურებით აავსო მარჩენალი შვილი. გელა კი მე დამეტაკა, რა უფლებით ელაპარაკე ჩემს და-ძმას ასე, ყელში როგორ უნდა გადამივიდეს ლუკმა, როცა ვიცი, მათ შიათო. სანამ ვცოცხლობ და სანამ მათ უჭირთ, ყოველთვის დავეხმარებიო და ა.შ. გავმწარდი: ეგენი ისე არიან მიჩვეული შენს დახმარებას, რომ არასოდეს გაანძრევენ ხელს და ნუთუ სიკვდილამდე ასე უნდა ვიცხოვროთ-მეთქი. გადაირია, გარდერობი ლამის გადმოანგრია და ტანსაცმელი ზედ დამაყარა, სულ უმადური და გაუმაძღარი მეძახა, ბოლოს, დააყოლა: ამის მერე შენთან ვერ გავჩერდებიო. ადგა და წავიდა მშობლებთან, დამტოვა წლინახევრის ბავშვთან ერთად. ერთი კვირის მერე შევეხმიანე — ბავშვი ექიმთან მყავს წასაყვანი-მეთქი (არ მომიტყუებია, მართლა არ იყო ლიზი კარგად). ამჯერად გაპატიებ, მაგრამ ეს იქნება ბოლო კონფლიქტიო, — მკაცრად გამაფრთხილა. ერთი სიტყვით, შევრიგდით. მალე ბიჭი გაგვიჩნდა. თითქოს ჩვეულებრივად გაგრძელდა ცხოვრება, მაგრამ მივხვდით, რომ ის ბზარი არ იყო გამქრალი.

— *დედამთილ-მამამთილთან და მაზლ-მულთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?*

— ნელ-თბილი. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ჩემს ქმარს ბევრი ჩემთვის მიუღებელი თვისება აღმოაჩნდა.

— *მაინც რა, ის, რომ მშობლებს და და-ძმას ეხმარებოდა?*

— ჩემმა მაზლმა რომ ცოლი მოიყვანა, გელას ფული არ ეყო ქორწილისთვის, ჩემს ოქროულობას ხელი დაავლო და ლომბარდში ჩააბარა. ამას რომელი ქალი აიტანდა?

— *დაკარგეთ ოქროულობა?*

— არა, მაგრამ გული ხომ დამწყდა? მერე და გაამზითვა... ერთი სიტყვით, იგი ჩემზე წინ აყენებდა მშობლებს და და-ძმას. ამიტომაც გული გამიცივდა. ოჯახის დანგრევაზე ფიქრი ნელ-ნელა შემომიჩნდა. ორი წელია ცალ-ცალკე ვცხოვრობთ, ახლა საბოლოოდ გადავწყვიტე განქორწინება. იქნებ ამის მერე მეტი ყურადღება მიაქციოს თავის შვილებს.

— *გელა არასოდეს გყვარებიათ?*

— სიყვარულით არა, მაგრამ პატივს ყოველთვის ვცემდი...

— *რომ გყვარებოდათ, ასე იოლად არ გადაწყვეტდით განქორწინებას. გელა რას ამბობს?*

— მაშინვე დამთანხმდა გაშორებაზე. ბინას მე და შვილებს გვიტოვებს.

— *თვითონ ისევ მშობლებთან ცხოვრობს?*

— დიახ. ამხელა კაცია და დედ-მამის უნებართვოდ ნაბიჯს ვერ გადაუდგამს. მის მშობლებს ყოველთვის მიაჩნდათ, რომ გელა უკეთესს იმსახურებდა. ჰოდა, ჰყავდეთ ახლა.

— *გულისწყრომა გალაპარაკებთ. დრო გაივლის, ყველაფერს სხვა თვალით შეხედავთ. ბოლოს და ბოლოს, თქვენც გელით სიდედრ-დედამთილობა და ვერ დავიჯერებ, არ გესიამოვნოთ, თქვენი შვილები თუ ერთმანეთს დაეხმარებიან ჭირსა და ლხინში.*

— არ ვიცი, მომავალში რა იქნება, მაგრამ მეეჭვება, ოდესმე აზრი შევიცვალო.

**ნუგზარი (36 წლის):** — ვფიქრობდი ხოლმე, ოჯახის შესანარჩუნებლად კაცმა ყველაფერი უნდა გააკეთოს და საერთოდ, კაცზეა დამოკიდებული ცოლის ავკარგიანობა-მეთქი. არ ყოფილა მთლად იოლი ანჩხლი ქალის მოთოკვა, ამიტომაც გავეცალე. ჩემმა ცოლმა ქვეყანა შემიყარა: ოჯახის შენახვა არ შეუძლია, მაგრამ თავის საამებლად არაფერს იკლებსო.

თავის მართლებას არ ვაპირებ, უბრალოდ, მოგიყვებით ჩემს ამბავს და მკითხველმა განსაჯოს მტყუან-მართალი.

28 წლის ვიყავი, ლია ცოლად რომ შევირთე. ოჯახში დედამთილ-მამამთილის გარდა, მულიც დახვდა. ნანა თავს ევლებოდა რძალს, მაგრამ ლიამ მაინც აითვალწუნა. სულ ეჩვენებოდა, რომ ჩემი მშობლები ნანას მეტ ყურადღებას აქცევდნენ, ვიდრე მას. არაერთხელ მითქვამს: ეჭვიანობას თავი დაანებე და შეეგუე იმ აზრს, რომ რძალი შვილზე მეტად არ ეყვარებათ, თუმცა ნანაზე წინ ყოველთვის შენ გაყენებენ, რომ რამეზე გული არ დაგწყდეს-მეთქი. მართლაც, ლიას ყოველთვის დიდი ამბით უხდიდნენ დაბადების დღეს. ნანას დაბადების დღეს კი იოლად გადააგორებდნენ ხოლმე. ჩემს დას არ სწყინდა ეს, რადგან მიაჩნდა, რომ ოჯახის ახალ წევრს მეტი სითბო და ყურადღება ესაჭიროებოდა.

ბავშვი რომ შეგვეძინა, მთლად აიყარა გული ჩემიანებზე და დღედაღამ ჩამჩიჩინებდა, როდემდე ვიცხოვროთ „კოლმეურნეობაში“, გავიყოთო. ეტყობა, ჩემიანებსაც მობეზრდათ მასთან ლოლიავი და შემომთავაზეს, ბინა გავუყიდოთო. ასეც მოვიქეცით. ლია მაინც უკმაყოფილო იყო. ჩვენც და მათაც ოროთახიანი რატომ უნდა გვქონდეს, ერთიანი არ ეყოფოდათო? შინ დაღლილი ვბრუნდებოდი, ლია კი მოხსნიდა გუდას პირს: ნატა რა ბედნიერია, მის ქმარს ესა და ეს უყიდია მისთვის, თიკო კი კვიპროსზე მიჰყავს ქმარს დასასვენებლადო... მოკლედ, მის გარდა ყველას „მაგარი“ ქმარი ჰყავდა.

მიკვირდა, ამ პატარა გოგოს (6 წლითაა ჩემზე უმცროსი) ამდენი ბოღმა საიდან აქვს-მეთქი. ნებისმიერი კინკლაობის დროს ვცდილობდი, წყნარად და მშვიდად მომეგვარებინა საქმე, მაგრამ... ყელში ამომივიდა მისი გაუთავებელი პრეტენზიები. მერე ჩემს თავს გამოვუტყდი, რომ ლია, როგორც ქალი, აღარ მაინტერესებდა. სამსახურში ერთ ქვრივ ქალს დავუმეგობრდი. სასიამოვნო გარეგნობაც ჰქონდა და ხასიათითაც მომეწონა. გავიდა დრო და თეა შემიყვარდა. მასთან ყველაფერზე შემეძლო გულახდილად მელაპარაკა, მაგრამ ლიაზე არასოდეს. შვილი რომ არა, არც დავფიქრდებოდი, ისე გავეყრებოდი ლიას, ლევანიკო არ მეთმობოდა. ვიცოდი, გაშორების შემდეგ ბავშვს არც დამანახვებდა.

ბოლოს, ლია ყოველგვარ ზღვარს გადავიდა, ჩემიანებს მისდგა და ლანძღავდა. ვერ გავიგე, რა უნდოდა, რას ერჩოდა? ერთხელ, მოთმინების ძაფი გამიწყდა, ჩავალაგე ჩემი ნივთები და თეასთან გადავბარგდი. ჩემმა ცოლმა ეს რომ გაიგო, გადაირია. ჯერ შინ მოგვივარდა, მერე სამსახურში. ქარიშხალი დაატრიალა. ეგ არ იკმარა, მის მშობლებთან მივიდა და თეას სულ გათახსირებული ეძახა, მერე ჩემიანებს ჩამოუარა — თუ თქვენს შვილსა და ძმაზე გული შეგტკივათ, ჩამოაშორეთ იმ უწესო ქალს და დააბრუნეთ ოჯახში, თორემ ისეთ რამეს გავაკეთებ, სიზმარშიც რომ არ უნახავსო. შეშინებულმა მშობლებმა მთხოვეს, შეურიგდიო, მაგრამ აღარ შემეძლო ლიას ატანა. მასთან ერთად გატარებული დღეები რომ მახსენდებოდა, საკუთარი თავი მეზიზღებოდა...

ახლა მე და თეა ერთად ვცხოვრობთ, მშვიდად და ტკბილად, მალე შვილს ველოდებით, მაგრამ უსაშველოდ მტკივა გული, ლევანი რომ მახსენდება. ლია კარგა ხანს მიმალავდა ბავშვს. ვიძალე, ლამის ძალით შევუმტვრიე სახლის კარი. ბიჭი შეცვლილი დამიხვდა. ტირილით მითხრა, — წადი, არ მინდა შენთან, აქ აღარ მოხვიდეო. რაღას ვიზამდი? ჩემი სისხლი და ხორცი დედამისის პირით მელაპარაკებოდა. ახლობლები მამშვიდებენ: არა უშავს, გავა დრო, გაიზრდება ლევანი და თავად მოგძებნისო. ღმერთმა ჰქნას, მაგრამ მე ხომ ახლაც მინდა ჩემს შვილთან ყოფნა? ჩემი ცოლყოფილი ვერ ხვდება, რომ ლევანის სულს აზიანებს. ალბათ ჩემი ბრალიც არის, რომ თავის დროზე მას ბევრი დავუთმე.

მოდით და გამამტყუნეთ, რატომ დაანგრია ოჯახიო.



**მიკვირდა, ამ პატარა გოგოს ამდენი ბოღმა საიდან აქვს-მეთქი.**

---

**ჩვენ გვწერენ**

## ოცდაათი წლის შემდეგ...

ამბავი, რომელიც მინდა მოგითხროთ, 30 წლის წინ მოხდა, — მაშინ 22 წლისა ვიყავი. ჩვენი ოჯახი რაიონში ცნობილი იყო. მამაჩემს, გ.ი.-ს კარგი სახელი ჰქონდა, მისი ქალიშვილების (ერთ-ერთი მე გახლავართ) ხელის სათხოვნელად საიდან არ მოდიოდნენ.

„ის“ თბილისელი იყო. ნათესავმა გამაცნო და დანახვისთანავე გულში ჩავუვარდი. მალე, ხელის სათხოვნელად დედასთან ერთად, ოჯახში გვესტუმრა. მეც მომწონდა ჩემზე 5 წლით უფროსი დავითი (პირობითად ასე დავარქმევ), მაგრამ იმ პერიოდში ერთდროულად ორ ფაკულტეტზე ვსწავლობდი და გათხოვება სულაც არ მეჩქარებოდა, ამიტომ დავითი უარით გავისტუმრე. სხვებისგან ვიცოდი, რომ ეს ძალიან განიცადა.

გავიდა დრო. ორივე დავოჯახდით. არ გამიმართლა — ქმარს მალე გავშორდი. წარმოუდგენელი იყო მის გვერდით ცხოვრება — პათოლოგიური სიმთვრალე ჰქონდა. მამა მალე გარდამეცვალა. ფუფუნებაში გაზრდილს ძალიან გამიჭირდა, მაგრამ შვილისთვის რომ არაფერი მომეკლო, ორ ადგილზე ვმუშაობდი.

ხუთი წლის წინ დავითს მეუღლე გარდაეცვალა. სხვათა შორის, ის და ჩემი მეუღლე ადრე მეგობრობდნენ. როცა დავითი თბილისიდან ჩამოდიოდა, იმ უბანში ბინავდებოდა, სადაც ჩემი ქმარყოფილი ცხოვრობდა. ასე რომ, ჩვენი შვილები თითქმის ერთად გაიზარდნენ. დავითის ერთი შვილი საზღვარგარეთ ცხოვრობს, მეორე კი მამამისმა თავის ბიზნესში ჩართო და ერთად მუშაობენ. დავითის ამბავს წლების მანძილზე შორიდან ვიგებდი, გულით მიხაროდა, რომ კარგი ოჯახი შექმნა.

დიდი ხნის მერე, სრულიად შემთხვევით, მეგობართან შევხვდით ერთმანეთს. ჩემი ხმა რომ გაიგო, ძალიან გაიხარა. მე კი სევდა მომგვარა მისმა დანახვამ. ახლაღა მივხვდი, რა ცუდად მოვიქეცი. თავის დროზე რომ ვერ დავაფასე ღირსეული კაცის სიყვარული და ბედნიერებას კარი მივუხურე.

გვიან მაინც აღვადგინეთ ურთიერთობა. ერთხელ მან თავისი ბიძაშვილი გამაცნო. ეს ის ქალია, ოცდაათი წლის წინ რომ მიყვარდა, ახლა ჩემ გვერდითაა და ამიერიდან სულ ჩემთან იქნებაო, — უთხრა. თურმე მისი ბიძაშვილი შორიდან მიცნობდა. ჩემი ქმარყოფილი მისი მაღაზიის ხშირი სტუმარი ყოფილა, სადაც არაყს და ღვინოს ყიდულობდა.

ეტყობა, ბიძაშვილმა საკმაოდ დიდხანს უჩიჩინა დავითს: რად გინდა ლოთის ნაცოლარი, ეს ამბავი რომ გახმაურდეს, ღმერთმა იცის, რა დღეს დაგაყრის ის კაციო...

რამდენიმე დღის შემდეგ დავითი ძალიან ცივად შემხვდა, თითქოს რაღაც აწუხებდა, თვალს ვერ მისწორებდა. მივხვდი, მისი ბიძაშვილის ლაპარაკმა შედეგი რომ გამოიღო.

დრო გავიდა და მან თანდათან უკლო ჩემთან შეხვედრას, ბოლოს კი საერთოდ შეწყვიტა. ძალიან მენატრებოდა, შევეხმიანე, მაგრამ საქმეები მოიმიზეზა. ვიცი, რომ ერიდება ჩემი ქმარყოფილის. ასეა თუ ისე, ისინი ხომ ოდესღაც მეგობრობდნენ, მაგრამ ისიც ხომ უნდა გაითვალისწინოს, რომ მე ქმარს მის გამო კი არ დავშორდი, არამედ აუტანელი ურთიერთობის გამო, თანაც 25 წლის წინ.

ძვირფასო რედაქციავ და მკითხველო, იქნებ დამეხმაროთ გამოსავლის მოძებნაში. ახალგაზრდობა ჩემმა ნაქმრევმა ჩამამწარა. ახლა, როცა ძლივს ვიგრძენი, რა არის ბედნიერება, ისევ მან უნდა წამართვას? განა მე არ ვიმსახურებ სიყვარულსა და ბედნიერებას?

*ქეთი*

---

## სასწაული თვისებების ქვები



ზევრმა არ იცის, რომ ძველად ადამიანები ძვირფას ქვებს ფრიად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მიაჩნდათ, რომ თითოეულ მათგანს თავისი მაგიური დანიშნულება ჰქონდა. გარდა იმისა, რომ ქვა ძვირფასი იყო და მას „პატრონსაც თვალსაც“ უწოდებდნენ, ესა თუ ის „თვალი“ განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენდა მის მატარებელ ადამიანზე.

**საფირონი** ითვლებოდა „მონაზვნის ქვად“. ამ ქვით დამშვენებულ სამკაულებს მონაზვნები ატარებდნენ, რადგან მიიჩნეოდა, რომ იგი ადამიანის ორგანიზმს სექსუალური ვნებისგან ათავისუფლებდა და ხელს უწყობდა ლოცვისას გონების კონცენტრაციას. საფირონი დღემდე ითვლება „ამაღლებულ“ ქვად.

**ამეთვისტო** ძველი ტრადიციის მიხედვით სიყვარულის ქვად არის მიჩნეული. ამ თვალს ვაჟი ჩუქნიდა შეყვარებულს. ამეთვისტო ადამიანის სამშვინველიდან განდევნის ძველი სიყვარულის ნარჩენებს და ახლის მისაღებად ადგილს ათავისუფლებს. ამიტომაც ამ საჩუქრით შეყვარებული ვაჟი თავისი სიყვარულის ადგილს იმკვიდრებს გოგონას გულში.

**ცირკონი, ანუ იაკინთი** უკანასკნელ დრომდე მოიაზრებოდა „კურტიზანი ქალების ქვად“. მას მიეწერებოდა ჩასახვის საწინააღმდეგო მოქმედების უნარი. არასასურველი ჩასახვა ხომ კურტიზანი ქალებისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა.

**ლალი** — მუდმივი და ულალატო სიყვარულის ერთადერთი სიმბოლიკაა. ნამდვილი ლალის ქვა დღეს იშვიათად გვხვდება, ამიტომაც ამბობენ: ერთადერთი და ულალატო სიყვარული აღარ არსებობს და იმიტომაც გაქრა ნამდვილი ლალიო.

*რუბრიკა მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა*

*ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 27-25-61*



**38-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:** 1. მასმედია; 2. სეკატორი; 3. კეტი; 4. დუელი; 5. ყადი; 6. დონორი; 7. იაბო; 8. ბარიბალი; 9. რეკვიემი; 10. აფრიკა; 11. კობა; 12. გაჯი; 13. იუკო; 14. მოპედი; 15. მანერა; 16. ლასტი; 17. ვიკონტი; 18. ვოლფრამი; 19. ტირიფი; 20. ვიგვამი; 21. ბურვილი; 22. ბრამსი; 23. ჰონორარი; 24. ბინოკლი; 25. რეტირადა; 26. პეგასი; 27. გორი; 28. ჩამიჩი; 29. რაპირა; 30. დაისი; 31. იენა; 32. იამატო; 33. კამა; 34. მახათი; 35. რეპინი; 36. ვარამი; 37. ლიბრეტო; 38. რუკა; 39. ფლატე; 40. ჯამე; 41. რეფერი; 42. კვახი; 43. ჩადი; 44. ქიმი; 45. აია; 46. მინორი; 47. სენეკა; 48. მარაბუ; 49. გრიმასა; 50. ასკერი; 51. გეგი; 52. თოლია; 53. პინია; 54. კირკაჟი; 55. ნობელი; 56. ბაიანი; 57. მიმი; 58. რადა; 59. ოსკარი; 60. ტეკილა; 61. თრომბი; 62. ალეფ; 63. ბრიგადა; 64. ბია; 65. სვავი; 66. მალა; 67. აჟანი; 68. ალაზანი.
1. მარი ფრანსუა არუე; 2. ვაგნერი; 3. მორდეხაი ლევი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

შეადგინა ვანო კაჭახიძე

## ორშაბათი 3 ოქტომბერი

10.0018.00 პროფილაქტიკა საზოგადოებრივ არხზე; 18.00 „მთავარი"; 18.30 დოკ. „ჰოლივუდი და დანაშაული"; 19.00 ტ. „ქალი მეგობარი"; 20.00 „მთავარი"; 20.45 „ბაბილინა"; 21.00 ტელე სერ. „ანასტასია"; 22.00 დ.ფ „ლედი-დი" 23.00 დეტექტიური „ეჭვი"; 0.00 კინოსამყარო „ძველმოდური კომედია" 1.45 საინფორმაციო გამოშვება

19.00 ბაბილინა; 19.15 ტ.„ნვრილვარსკვლავთა ღამე"; 19.40 „ახალი პროექტი" მხატვარი ე. კალანდაძე; 20.05 სპექტაკლი „ვაზის ყვავილობა".

07.30. დილა 08.00 მულტ. სერ. „ლუი" 10.00 სერ. „ოცნების კოშკები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.20 სერ. „გრძნობათა ტყვეობაში" 13.30 „სერიული მკვლელობები" 15.25 მულტ. სერ. „ლუი" 16.00 სერ. „მეამბოხე სულები" 16.50 სერ. „ოცნების კოშკები" 18.30 პატრული 19.00 სერ. „მეამბოხე სულები" 19.50 სერ. „გრძნობათა ტყვეობაში" 22.00 სერ. „სამშობლო გველოდება" 23.00 მხ. ფილმი „უსიტყვო ქიდილი" 01.50 კურიერი 02.10 პატრული

07.00,,იმედის" დილა 08.00„ქრონიკა" 08.00 09.00 10.00 — „ქრონიკა" 10.10 „ჩემი შეყვარებული" 30-ე სერია 11.00,„დროება" 12.40„TV-მარკეტი" 13.00„ქრონიკა" 13.15 მხ/ფილმი: „სამანიშვილის დედინაცვალი" 14.00 15.00 17.00, 18.00. 19.00 20.00 23.05, 02.00„ქრონიკა". 14.05 მხ/ფილმი: „სამანიშვილის დედინაცვალი" 15.20 „მოჯადოება" 226-ე სერია 16.05 „მოჯადოება" 226-ე სერია 16.15„იმედის" მელოდიები 16.25„TV-მარკეტი" 16.40 დ/ „გორდონის ზვიგენები," „ვეშაპისებრი ზვიგენები-ზვიგენი-ბუმბერაზე" II

## სამშაბათი 4 ოქტომბერი

7.30 „ადრე" 10.00 დ.ფ „დლედი"; 11.00 ტელე „ანასტასია"; 12.00 „მთავარი"; 12.20 ანიმაცია „მონსტრების პლანეტა"; 12.45 ანიმაცია „ჯოვანას სიზმრები"; 13.00 „სარჩევი"; 14.00 ტელე „ქალი მეგობარი"; 15.00 „მთავარი" ოსურ ენაზე; 15.20 ანონსი; 15.30 „მთავარი" რუსულ ენაზე; 15.45 „პოლმარკი" ტ. „მარტოხელა მტრედის დაბრუნება"; 16.30 დეტექტიური „ეჭვი"; 17.30 საბ. „ინსპექტორ გაჯეტის მოგზაურობა"; 18.00 „მთავარი"; 18.30 დოკ.ფილმი „მითხარი როგორ"; 19.00 ტ. „ქალი მეგობარი"; 20.00 „მთავარი"; 20.45 „ბაბილინა"; 21.00 ტელე სერ. „ანასტასია"; 22.00 დოკ.ფილმი „ყინულის კაცის მკვლელობა"; 22.50 დეტექტიური „ეჭვი"; 23.50 მშობლიური კინო „ორფეოსის სიკვდილი"; 1.10 საინფორმაციო გამოშვება;

19.00 ბაბილინა; 19.15 ტ.„ნვრილვარსკვლავთა ღამე"; 19.40 „პროფესიონალი" მეხანძრეები; 20.05 კინოსეანსი „ლაზარეს თავგადასავალი"

07.30. დილა 08.00 მულტ. სერ. „ლუი" 10.00 სერ. „ოცნების კოშკები" 11.00 სერ. „სამშობლო გველოდება" 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.20 სერ. „გრძნობათა ტყვეობაში" 13.30 მხ. ფილმი „დედა" 15.25 მულტ. სერ. „ლუი" 16.00 სერ. „მეამბოხე სულები" 16.50 სერ. „ოცნების კოშკები" 18.30 პატრული 19.00 სერ. „მეამბოხე სულები" 19.50 სერ. „გრძნობათა ტყვეობაში" 22.00 ღამის შოუ 23.00 მხ. ფილმი „დედის ისტორია" 00.40. კურიერი 01.00 პატრული

07.00„იმედის" დილა 08.00 09.00 10.00 12.00 13.00, „ქრონიკა" 10.10 „ჩემი შეყვარებული" 31-ე სერია 11.15 „საბრალო ნასტია" 29-ე სერია 12.25„იმედის" მელოდიები 12.40„TV-

## ოთხშაბათი 5 ოქტომბერი

7.30 „ადრე"; 10.00 დოკ.ფილმი „ყინულის კაცის მკვლელობა"; 11.00 ტელე „ანასტასია"; 12.00 „მთავარი"; 12.20 ანიმაცია „მონსტრების პლანეტა"; 12.45 ანიმაცია „ჯოვანას სიზმრები"; 13.00 „სარჩევი"; 14.00 ტელე სერ. „ქალი მეგობარი"; 15.00 „მთავარი" სომხურ ენაზე; 15.20 ანონსი; 15.30 „მთავარი" რუსულ ენაზე; 15.45 „პოლმარკი" ტ.ს „მარტოხელა მტრედის დაბრუნება"; 16.30 დეტექტიური „ეჭვი"; 17.30 საბ. „ინსპექტორ გაჯეტის მოგზაურობა"; 18.00 „მთავარი"; 18.30 დოკ. „სიჩქარე"; 19.30 ტ. „ქალი მეგობარი"; 20.00 „მთავარი"; 20.45 „ბაბილინა"; 21.00 ტელე სერ. „ანასტასია"; 22.00 დ.ფ „მოგზაურობა დედამიწის ცენტრიდან"; 23.00 „ახალი პროექტი" „გზა დიდგორისკენ"; 23.30 დეტექტიური „ეჭვი"; 0.30 კინოსამყარო „მოპარული დიდება"; 2.00 საინფორმაციო გამოშვება;

19.00 ბაბილინა; 19.15 ტ.„ნვრილვარსკვლავთა ღამე"; 19.40 „ისტორიანი" გიორგი ბრწყინვალე; 20.05 სპექტაკლი „ოდელია დელა"

07.30. დილა 08.00 საბავშვო სერ. „რეინჯერები" 10.00 სერ. „ოცნების კოშკები" 11.00 ღამის შოუ 12.00 15.00, 17.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.20 სერ. „გრძნობათა ტყვეობაში" 13.30 მხ. ფილმი „სათამაშო" 15.25 სერ. „რეინჯერები" 16.00. სერ. „მეამბოხე სულები" 16.50. სერ. „ოცნების კოშკები". 18.30 პატრული 19.00 სერ. „მეამბოხე სულები" 19.50 სერ. „გრძნობათა ტყვეობაში" 22.00 „სასონარკვეთილი დიასახლისები" 23.00 მხ. ფილმი „პელის ეფექტი" რეჟ: ერიკ ბრესი როლებში: ეშტონ კატჩერი, ემი სმარტი 01.00. კურიერი 01.20 პატრული

07.00„იმედის" დილა 0 08.00 09.00 10.00 12.00 13.00, „ქრონიკა" 10.10 „ჩემი შეყვარებული" 32-ე სერია 11.00„ქრონიკა" 11.15 „საბრალო ნასტია" 30-ე სე-

## ხუთშაბათი 6 ოქტომბერი

7.30 „ადრე"; 10.00 დ.ფილმი „მოგზაურობა დედამიწის ცენტრიდან"; 11.00 ტელე „ანასტასია"; 12.00 „მთავარი"; 12.20 ანიმაცია „მონსტრების პლანეტა"; 12.45 ანიმაცია „ჯოვანას სიზმრები"; 13.00 „სარჩევი"; 14.00 ტელე „ქალი მეგობარი"; 15.00 „მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე; 15.20 ანონსი; 15.30 „მთავარი" რუსულ ენაზე; 15.45 „პოლმარკი" ტ.ს „მარტოხელა მტრედის დაბრუნება"; 16.30 დეტექტიური „ეჭვი"; 17.30 საბ. „ინსპექტორ გაჯეტის მოგზაურობა"; 18.00 ფესტივალი „ჩვენებურები" „მთავარი"; დოკ.ფილმი „მითხარი როგორ"; „ქალი მეგობარი"; 20.00 „მთავარი"; 20.45 „ბაბილინა"; 21.00 ტელე სერ. „ანასტასია" (სერია); 22.00 დ.ფილმი „ბრწყინვალე სოული"; 23.00 დეტექტიური „ეჭვი"; 0.00 მშობლიური კინო „ზოგი ჭირი მარგებელია"; 1.30 საინფორმაციო გამოშვება;

19.00 ბაბილინა; 19.15 „ნვრილვარსკვლავთა ღამე" 19.40 „მრწამსი" ოჯახი; 20.05 კინოსეანსი „გადაღების ერთი დღე"

07.30. დილა 08.00 საბავშვო სერ. „რეინჯერები" 10.00 სერ. „ოცნების კოშკები" 11.00 სერ. „სასონარკვეთილი დიასახლისები" 12.00 15.00, 17.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.20 სერ. „გრძნობათა ტყვეობაში" 13.30 მხ. ფილმი „ვერცხლისფერი ქორი" 15.25 საბავშვო სერ. „რეინჯერები" 16.00 სერ. „მეამბოხე სულები"16.50 სერ. „ოცნების კოშკები" 18.30 პატრული 19.00 სერ. „მეამბოხე სულები" 19.50 სერ. „გრძნობათა ტყვეობაში" 22.00 სერ. „ვირუსი სამოთხეში" 23.00 მხ. ფილმი „კუბი 2. ჰიპერკუბი"(18) რეჟ: ანჯეი სეკულა, როლებში: ნიკ კროუნი, ჯენეტ დევისი 01.00 კურიერი 01.20 პატრული

07.00„იმედის" დილა 08.00 08.00 09.00 10.00 11.00 13.00, „ქრონიკა" 10.10 „ჩემი

## პარასკევი 7 ოქტომბერი

7.30 „ადრე"; 10.00 დ.ფ „ბრწყინვალე სოული"; 11.00 ტელე „ანასტასია" (სერია); 12.00 „მთავარი"; 12.20 ანიმაცია „მედელაინი"; 12.45 ანიმაცია „ჯოვანას სიზმრები"; 13.00 „სარჩევი"; 14.00 ტელე „ქალი მეგობარი"; 15.00 „მთავარი" რუსულ ენაზე; 15.30 „პოლმარკი" ტ.ს „საოცრებათა კუნძული"; 16.30 დეტექტიური „ეჭვი"; 17.30 საბ.1 „ინსპექტორ გაჯეტის მოგზაურობა"; 18.00 „მთავარი"; 18.30 დოკ.ფილმი „სიჩქარე"; 19.00 ტ. „ქალი მეგობარი"; 20.00 „მთავარი"; 20.45 „ბაბილინა"; 21.00 ტელე სერ. „ანასტასია"; 22.00 დოკ. „მთვარის შვილები"; 23.00 მუსიკა კრის ბოტი; 0.15 კინოსამყარო „მეოცნებენი";

19.00 ბაბილინა; 19.15 „ნვრილვარსკვლავთა ღამე"; 19.40 სიცილის ოთახი; 19.50 ქართული ფოლკლორი; 20.00 აფხაზეთის ტელევიზია; 20.40 სპექტაკლი „მაურებელთათვის ამის ნახვა აკრძალულია".

07.30. დილა 08.00 საბავშვო სერ. „ბავშვები 402-ე ოთახიდან" 10.00 სერ. „ოცნების კოშკები" 11.00 სერ. „ვირუსი სამოთხეში" 12.00 15.00, 17.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.20 სერ. „გრძნობათა ტყვეობაში" 13.30 მხ. ფილმი „ვეფხვების მომთვინიერებელი" 15.25 საბავშვო სერ. „ბავშვები 402-ე ოთახიდან" 16.00 სერ. „მეამბოხე სულები" 16.50 სერ. „ოცნების კოშკები" 18.30 პატრული 19.00 სერ. „მეამბოხე სულები" 19.50 სერ. „გრძნობათა ტყვეობაში" 22.00 ღამის შოუ 23.00 მხ. ფილმი „გარყვნილები" რეჟ: გაბრიელ აგიიონი, როლებში: მიშელ ლაროკი, ჟერარ დარმონი 01.15 კურიერი 01.35 პატრული 02.00 მხ. ფილმი „სიკვდილი ჰოლივუდში"(18)

07.00„იმედის" დილა 08.00 09.00

## შაბათი 8 ოქტომბერი

7.45 „მთავარი" საინფორმაციო გამოშვება; 7.55 ფორმულა 1 (კვალიფიკაცია) (რეპორტაჟი იაპონიიდან); 9.00 მომავლის ცირკი; 10.00 ტელესპექტაკლი „ვაზის ყვავილობა"; 11.30 დოკ.ფილმი „მითხარი როგორ"; 12.00 „მთავარი"; 12.20 დოკ. ფილმი „კოიოტი უკანასკნელი გადარჩენილთაგან"; 13.20 მშობლიური კინო „ორფეოსის სიკვდილი"; 14.55 მუსიკა კრის ბოტი; 16.00 „პოლმარკი" ტ.ს „მარტორქის მოგზაურობა"; 17.00 „არტე" დოკ.ფილმი „საიდუმლო ცეცხლი"; 18.00 „მთავარი"; 18.10 „არქივიდან" ქართული ფოლკლორი; 18.30 დოკ. „ჯანსაღი კვების სტილი"; 19.00 დოკ. ფილმი „მოგზაურობა" ლონდონი; 20.00 „მთავარი" საინფორმაციო გამოშვება; 20.30 ტ. „სკოლის მეგობრები"; 21.30 „ბიოგრაფიული პორტრეტები" ოსკარ უაილდის ცხოვრება და სიყვარული; 22.30 დოკ. „სიჩქარე"; 23.00 კინოსამყარო „გაზაფხულის ერთი ნელინადი"; 1.00 საინფორმაციო გამოშვება;

19.00 ტელეზღაპარი „ლუდვიგი"; 19.15 „ნვრილვარსკვლავთა ღამე"; 19.40 კონცერტი „ჩვენებურები"; 20.30 კინოსეანსი „ცარიელი სივრცე"

08.00 კლასიკა 09.00 12.00 15.00 18.00, 21.00 კურიერი 09.30 საბავშვო „ვეტიქსი" 11.00 საბავშვო ფილმი 12.20 „გაიღიმეთ ფარული კამერაა" 12.50 მხ. ფილმი „ძაღლის გული"15.20 „სერიული მკვლელობები" 17.00 სერ. „ენტერპრაიზი" 18.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 19.20. მხ. ფილმი „გაქირავებული საქმრო" რეჟ.: კლერ კილნერი. როლებში: დებრა მესინგი, დერმოტ მალრუნი 22.00 შაბათის შოუ 23.00 ფსიქო მხ. ფილმი „სიჭაბუკის ღამი" რეჟისორი: მარკოტულიო ჯორდანო 02.00 კურიერი 02.20. მხ. ფილმი „მოსახვევი"

## კვირა 9 ოქტომბერი

8.00 „მთავარი" საინფორმაციო გამოშვება; 8.15 ანიმაცია „ზღარბ სონიქის თავგადასავალი"; 8.40 საბ. „მერი ქეითი და ეშლი ბერლინში"; 9.00 მომავლის ცირკი; 9.25 ფორმულა 1 (იაპონიის დიდი პრიზი) (რეპორტაჟი იაპონიიდან); 11.30 „ახალი პროექტი"; 12.00 „მთავარი"; 12.20 დოკ. ფილმი „ვულკანების გაშხირი"; 13.20 მშობლიური კინო „ზოგი ჭირი მარგებელია"; (6.10); 15.00 მუსიკა — ბეთჰოვენის მერვე სიმფონია; 15.30 „ჩვენი ექსპრესი"; 16.00 „პოლმარკი" „მარტორქის მოგზაურობა"; 17.00 „არტე" დოკ.ფილმი „მისის ცირკი"; 18.00 „მთავარი"; 18.10 დოკ.ფილმი „ნარსულის ხატების შერიგება"; 19.30 „გზაჯვარედინი"; 20.00 „მთავარი"; 20.30 ტ. „სკოლის მეგობრები"; 21.30 „ბიოგრაფიული პორტრეტები" „ფიდელ კასტრო ლიდერის ცხოვრება"; 22.30 დოკ. „სიჩქარე"; 23.00 კინოსამყარო „გაზაფხულის ერთი ნელინადი"; 0.30 საინფორმაციო გამოშვება;

19.00 ტელეზღაპარი 19.15 „ნვრილვარსკვლავთა ლამე"; 19.40 „რაციო" დ. რეიფილდი; 20.30 კინოსეანსი „ერთი ბედის ანოტაცია"

08.00 კლასიკა 09.00 12.00 15.00 18.00, 21.00 კურიერი 09.20 საბავშვო „ვეტიქსი" 11.00 საბავშვო ფილმი 12.20 ბი-ბი-სი-ს დოკუმენტური ფილმი 12.50 მხ. ფილმი „იდეალური ქმარი" 15.20 მხ. ფილმი „სინათლე ჩვენს ფანჯრებში" 17.00 სერ. „ენტერპრაიზი" 18.20 ბი-ბი-სი 19.20 მხ. ფილმი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" 22.00 გაიღიმეთ ფარული კამერაა 23.00 მხ. ფილმი „ტერმინატორი 2: განკითხვის დღე" რეჟისორი: ჯეიმს კემერონი, როლებში: არნოლდ შვარცენეგერი, ლინდა ჰამილტონი 01.20 პატრული დაიჯესტი 02.00. მხ. ფილმი „მოდილიანი"

09.00 11.00 13.00, „ქრონიკა" 09.10„იმედის" მელოდიები 09.20 ანიმაციური

# გასართობი ჟურნალი „TV კარუსელი" უკვე პარასკევობით!

# ჟურნალშია წლის ჰიტი - სუდოკუ! ამოხსენი!

სერია, I ნაწ. 17.10„იმედის" მელოდიები 17.30 სპ. პროგრამა „ოლიმპიური ინტერიერი" 18.05 „ჩემი შეყვარებული" 31-ე სერია 19.00„ქრონიკა" 19.05 „მოჯადოება" 227-ე სერია 20.55 „საბრალო ნასტია" 29-ე სერია 21.55„ნიკა ქავთარაძის შოუ" 23.45 მხ/ფილმი: „,ბოროტება" 01.30„TV-მარკეტი" 02.15„იმედის" მელოდიები

8:30 საინფორმაციო კოლაჟი 8:35 მუსიკა მზეზე. 9:15 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 9:45 „პატარა დიდი ბობი" 10:30 მხ. ფილმი „სასიკვდილო თამაში" 12:15 „სამყაროს უთვალავი ფერები" 12.45 ტელეჟურნალი „ჰოლივუდი დღეს" 13:00 ფეხბურთი: რეალ მადრიდი - მალიორკა 14:50 „ტაქსის მძღოლი" 15:40 იტალიური „კარაბინერები" 16:40 ფეხბურთი: ლივერპული - ჩელსი 18.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 19:00 „მზერა-პედლაინი" 19:15 „პატარა დიდი ბობი" 20:00 „მზერა" 20:45 იტალიური სერ. „კარაბინერები" 21:45 კრიმინალური „CSI" 22:30 საინფორმაციო კოლაჟი 22:35 მხ. ფილმი „გიჟი თავისუფალია" 00:00 მხ. ფილმი „მე ანა მქვია" (15)

10:00 TV-Shop 11:00 Style Tv 13:30 ინდ. მხ. ფილმი ცხოვრებაში ყველაფერი ხდება" 17:00 საინფომაციო პროგრამა დღეს 17:20 Style Tv 19:00 საინფომაციო პროგრამა დღეს 19:20 სტუდია სპექტრი 20:30 საინფომაციო პროგრამა დღეს 21:00 Style Tv 00:00 საინფომაციო პროგრამა დღეს 00:30 TV-Shop.

8.00 მუსიკა 8.30 „ახალი ამბები" 9.00 " ჩემი სამი და" 10.00 „ნკიპურტები" 10.15 კომედია „როგორ მოვიცილოთ თავიდან მამაკაცი 10 დღეში" 12.15 მხატვრული ფილმი „დაუნდობელი დიუკი" 14.30 „ახალი ამბები" 14.45 მხატვრული ფილმი „პირდაპირი ეთერი ბაღდადიდან" 16.45 მულტფ. 17.30 „ახალი ამბები" 18.00 „პროექტი მომავალი" 18.30 „ნოვოსტი" 19.30 „ჩემი სამი და" 20.30 „ახალი ამბები" 21.00 მუსიკა 21.30 „პროქცია" 22.00 დოკუმენტური ფილმი „კოდები" 23.00 რომანტიული კომედია „ექსტრემალური შეხვედრა" 00.00 „ახალი ამბები" 00.15 რომანტიული კომედია „ქსტრემალური შეხვედრა" 00.50 მხატვრული ფილმი „28 დღის შემდეგ„

05.00 Новости. 05.05 "Первая программа". 06.00 "Доброе утро!" 09.00 Новости. 09.10 Т/с "Остаться в живых". Фильм 13. 10.50 Т/с "Агент национальной безопасности". 12.00 Новости. 12.20 Х/ф "Миссия невыполнима 2". 14.30 Д/ф "Русское счастье". 15.00 Новости. 15.10 "Лолита. Без комплексов". 16.00 Т/с "Хозяйка судьбы". 17.00 "Федеральный судья". 18.00 "Вечерние новости". 18.10 "Кривое зеркало". 18.40 Х/ф "Адъютанты любви". 19.50 "Жди меня". 21.00 "Время". 21.30 Т/с "Убойная сила". 22.30 "Спецрасследование". "Дачный бунт". 23.40 "Ночные новости". 00.00 Х/ф "Адъютанты любви". 01.10 Триллер "Деревня проклятых". 02.40 Комедия "Юнга". 03.00 Новости. 03.05 Комедия "Юнга" (продолжение). 04.00 Д/ф "Нью-Йорк. Потерянные души".

მარკეტი" 13.15„იმედის" მელოდიები 13.40„ნიკა ქავთარაძის შოუ" 14.00 15.00 17.00, 18.00. 19.00 20.00 23.00, 02.05„ქრონიკა" 14.05 „ნიკა ქავთარაძის შოუ" 15.20 „მოჯადოება" 227-ე სერია 16.05 „მოჯადოება" 227-ე სერია 16.15„იმედის" მელოდიები 16.25„TV-მარკეტი" 16.40 დ/ „გორდონის ზვიგენები" „ვეშაპისებრი ზვიგენები, ზვიგენი- ბუმბერაზე" I სერია, I ნაწ. 17.10„იმედის" მელოდიები 17.30„ნაცნობი საქართველო" 18.05 „ჩემი შეყვარებული" 32-ე სერია 19.05 „მოჯადოება" 228-ე სერია 20.55 „საბრალო ნასტია" 30-ე სერია 21.55„პირველები" 23.30 მხ/ფილმი: „მეექვსე დღე" 01.35„TV-მარკეტი" 02.20„იმედის" მელოდიები

8:30 საინფორმაციო კოლაჟი 8:35 მუსიკა მზეზე. 9:15 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 9:45 „პატარა დიდი ბობი" 10:30 მხ. ფილმი „გიჟი თავისუფალია" 12:15 „სამყაროს უთვალავი ფერები" 12:45 ტელეჟურნალი „სცენა" 13:00 ფეხბურთი: სანდერლანდი - ვესტჰემი 14:50 „ტაქსის მძღოლი" 15:40 იტალიური „კარაბინერები" 16:40 ფეხბურთი: ჩარლტონი - ტოტენჰემი 18:30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 19:00 „მზერა-პედლაინი" 19:10 „ქვეყნის კიდეზე" 20:00 „მზერა" 20:45 იტალიური სერ. „კარაბინერები" 21:45 კრიმინალური „CSI" 22:30 საინფორმაციო კოლაჟი 22:35 მხ. ფილმი „მანიტუს მოკასინი" 00:00 მხ. ფილმი „ნინაალმდეგობა"

10:00 TV-Shop 11:00 Style Tv 17:00 საინფომაციო პროგრამა „დღეს" 17:20 Style Tv 19:00 საინფომაციო პროგრამა დღეს 19:20 სტუდია სპექტრი 20:30 საინფომაციო პროგრამა დღეს 22:00 მხ. ფილმი „ვინ მოკლა პამელა" 00:00 საინფომაციო პროგრამა დღეს 00:30 TV-Shop 01:30 Style Tv

8.00 მუსიკა 8.30 „ახალი ამბები" 9.00 „ჩემი სამი და" 10.00 „პროექტი მომავალი" 10.30 დოკუმენტური ფილმი „კოდები" 11.30 კომედია „გულების დამპყრობელი" 13.30 „დებატები" 14.30 „ახალი ამბები" 14.45 მხატვრული ფილმი „ველური ეშმაკები" 16.45 მულტ17.30 „ახალი ამბები" 17.50 „პროექცია" 18.30 „ნოვოსტი" 19.00 „სპორტი" 19.30 " ჩემი სამი და" 20.30 „ახალი ამბები" 21.00 მუსიკა 21.30 „გადარჩენილი სიტყვა" 22.10 კრიმინალური დრამა " სახელმწიფოს საკუთრება" 00.00 „ახალი ამბები" 00.15 მხატვრული ფილმი „პარიზი"

05.00 Новости. 05.05 "Первая программа". 06.00 "Доброе утро!" 09.00 Новости. 09.10 Т/с "Убойная сила". 10.20 Т/с "Агент национальной безопасности". 11.30 "Встань и иди". "Под знаком радуги". 12.00 Новости. 12.20 Х/ф "Русское лекарство". 13.30 М/с "Кряк-бряк". 13.50 "Спецрасследование". "Дачный бунт". 15.00 Новости. 15.10 "Лолита. Без комплексов". 16.00 Т/с "Хозяйка судьбы". 17.00 "Федеральный судья". 18.00 "Вечерние новости". 18.10 "Кривое зеркало". 18.40 Х/ф "Адъютанты любви". 19.50 "Пусть говорят" с А. Малаховым. 21.00 "Время". 21.30 Т/с "Убойная сила". 22.30 Д/ф "Тело государственной важности". 23.40 "Ночные новости". 00.00 Х/ф "Адъютанты любви". 01.10 Х/ф "Каллас навсегда". 03.00 Новости. 03.05 Х/ф "Каллас навсегда" (продолжение). 03.15 Комедия "Фрэнк Маклаcки - страховой агент".

რია 12.10 „საბრალო ნასტია" 30-ე სერია 12.25„იმედის" მელოდიები 12.40„TV-მარკეტი", 13.15 მხ/ფილმი: „18 წლის შემდეგ" 14.05 მხ/ფილმი: „18 წლის შემდეგ" 15.20 „მოჯადოება" 228-ე სერია 16.05 „მოჯადოება" 228-ე სერია 16.15„იმედის" მელოდიები 16.25„TV-მარკეტი" 16.40 დ/ „გორდონის ზვიგენები"-„მარკო-მეგობარი თუ მტერი? " მე-3 სერია, I ნაწ. 17.10„იმედის" მელოდიები 17.30 თამაში: „ათასიდან ერთი შანსი" 18.05 „ჩემი შეყვარებული" 33-ე სერია 19.00„ქრონიკა" 19.05 „მოჯადოება" 229-ე სერია 20.00„ქრონიკა" 20.55 „საბრალო ნასტია" 31-ე სერია 21.55„გვარიშვილი ნყობილება" 23.00„ქრონიკა" 23.45 მხ/ფილმი: „მეფე ჯონ" 01.25 „TV-მარკეტი" 02.10„იმედის" მელოდიები

8:30 საინფორმაციო კოლაჟი 8:35 მუსიკა მზეზე. 9:15 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 9:45 „ქვეყნის კიდეზე" 10:30 მხ. ფილმი „მანიტუს მოკასინი" 12:05 „სამყაროს უთვალავი ფერები" 12:35 ტელეჟურნალი „მოდა" 13:00 საფეხბურთო მიმოხილვა ინგლისი 14:05 კრიმინალური „CSI" 14:50 „ტაქსის მძღოლი" 15:40 იტალიური „კარაბინერები" 16:40 „დაკარგული ქვეყანა" 17:30 „სამყაროს უთვალავი ფერები" 18:30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 19:00 „მზერა-პედლაინი" 19:10 „ქვეყნის კიდეზე" 20:00 „მზერა" 20:45 იტალიური სერ. „კარაბინერები" 21:45 კრიმინალური „CSI" 22:30 საინფორმაციო კოლაჟი 22:35 მხ. ფილმი „თანამგზავრი ქალი" 00:00 მხ. ფილმი „მსახური ქალი ტიტანიკიდან"

10:00 TV-Shop 11:00 Style Tv 12:45 მხ. ფილმი ვინ მოკლა პამელა 17:00 საინფომაციო პროგრამა დღეს 17:20 Style Tv 19:00 საინფომაციო პროგრამა დღეს 19:20 სტუდია სპექტრი20:30 საინფომაციო პროგრამა დღეს 22:00 მხ. ფილმი მონიკა 00:00 საინფორმაციო პროგრამა დღეს 00:30 TV-Shop 01:30 Style Tv

8.00 მუსიკა 8.30 „ახალი ამბები" 9.00 " ჩემი სამი და" 10.00 „სპორტი" 10.25 კომედია „დაკარგულის ძებნაში" 12.15 მხატვრული ფილმი „მედოლე" 14.30 „ახალი ამბები" 14.45 მხატვრული ფილმი „ზეგ" 16.50 მულტ17.30 „ახალი ამბები" 18.30 „ნოვოსტი" 19.00 „პროექცია" 19.30 " ჩემი სამი და" 20.30 „ახალი ამბები" 21.00 მუსიკა 21.30 „მოგზაური" 22.00 დოკუმენტური ფილმი „კოლუმბია" 23.00 მხატვრული ფილმი „ლოს-ანჯელესის საიდუმლოება" 00.00 „ახალი ამბები" 00.15 მხატვრული ფილმი „ლოს-ანჯელესის საიდუმლოება"

05.00 Новости. 05.05 "Первая программа". 06.00 "Доброе утро!" 09.00 Новости. 09.10 Т/с "Убойная сила". 10.20 Т/с "Агент национальной безопасности". 11.30 "Встань и иди". "Возвращение в небо". 12.00 Новости. 12.20 Х/ф "Русское лекарство". 13.30 М/с "Кряк-бряк". 13.50 Д/ф "Тело государственной важности". 15.00 Новости. 15.10 "Лолита. Без комплексов". 16.00 Т/с "Хозяйка судьбы". 17.00 "Федеральный судья". 18.00 "Вечерние новости". 18.10 "Кривое зеркало". 18.40 Х/ф "Адъютанты любви". 19.50 "Пусть говорят" с А. Малаховым. 21.00 "Время". 21.30 Т/с "Убойная сила". 22.30 Д/ф "Приворотная магия". 23.40 "Ночные новости". 00.00 Х/ф "Адъютанты любви". 01.10 Комедия "Портрет совершенства". 03.00 Новости. 03.05 Комедия "Портрет совершенства" (продолжение). 03.15 Х/ф "Командир эскадрильи".

შეყვარებული" 33-ე სერია 11.15 „საბრალო ნასტია" 31-ე სერია 12.10 „საბრალო ნასტია" 31-ე სერია 12.25„იმედის" მელოდიები 12.40„TV-მარკეტი" 13.15,,იმედის" მელოდიები 13.40„გვარიშვილი ნყობილება" 14.00 15.00 16.00 17.00, 18.00 19.00 20.00 23.00, 02.05„ქრონიკა" 14.05„გვარიშვილი ნყობილება" 15.20 „მოჯადოება" 229-ე სერია 16.05 „მოჯადოება" 229-ე სერია 16.15„იმედის" მელოდიები 16.25„TV-მარკეტი" 16.40 დ/ „გორდონის ზვიგენები" „მარკო მეგობარი თუ მტერი? " მე-3 სერია, I ნაწ. 17.10,,იმედის" მელოდიები 17.30„არტ-ბულვარი" 18.05 „ჩემი შეყვარებული" 34-ე სერია 19.05 „მოჯადოება" 230-ე სერია 20.55 „საბრალო ნასტია" 32-ე სერია 21.55„ოთხი იუმორინა" 23.45 მხ/ფილმი: „მოვკლათ მეფე" 01.25„TV-მარკეტი" 02.10„იმედის" მელოდიები

8:30 საინფორმაციო კოლაჟი 8:35 მუსიკა მზეზე. 9:15 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 9:45 „ქვეყნის კიდეზე" 10:30 მხ. ფილმი „თანამგზავრი ქალი" 12:05 „სამყაროს უთვალავი ფერები" 12:35 ტელეჟურნალი „დები ტრევისი" 13:00 საფეხბურთო მიმოხილვა ესპანეთი 14:05 კრიმინალური „CSI" 14:50 „ტაქსის მძღოლი" 15:40 იტალიური „კარაბინერები" 16:40 „დაკარგული ქვეყანა" 17:30 „სამყაროს უთვალავი ფერები" 18:30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 19:00 „მზერა-პედლაინი" 19:10 „ქვეყნის კიდეზე" 20:00 „მზერა" 20:45 იტალიური „კარაბინერები" 21:45 კრიმინალური სერ. „CSI" 22:30 საინფორმაციო კოლაჟი 22:35 მხ. ფილმი „ვახშამი ბრიყვთან ერთად" 00:00 მხ. ფილმი „დევნა"

10:00 TV-Shop 11:00 Style Tv 12:45 მხ. ფილმი მონიკა 14:00 Style Tv 17:00 საინფომაციო პროგრამა „დღეს 17:20 Style Tv 19:00 საინფომაციო პროგრამა „დღეს 19:20 სტუდია „სპექტრი 20:30 საინფომაციო პროგრამა დღეს 22:00 მხ. ფილმი მეოთხე ანგელოზი 00:00 საინფომაციო პროგრამა დღეს 00:30 TV-Shop 01:30 Style Tv

8.00 მუსიკა 8.30 „ახალი ამბები" 9.00 " ჩემი სამი და" 10.00 დოკუმენტური ფილმი „კოლუმბია" 11.30 სათავგადასავლო ფილმი „ფავორიტი" 14.30 „ახალი ამბები" 14.45 კომედიური ბოევიკი „პიკის საათი" 16.40 მულტ17.30 „ახალი ამბები" 18.30 „ნოვოსტი" 19.00 „ქიტა-ქიტა" 19.30 " ჩემი სამი და" 20.30 „ახალი ამბები" 21.00 ბოევიკი „7 ნამი" 23.00 „ექსკლუზივი" 00.00 „ახალი ამბები" 00.15 დრამა „სხვანაირი ლოიალობა„

05.00 Новости. 05.05 "Первая программа". 06.00 "Доброе утро!" 09.00 Новости. 09.10 Т/с "Убойная сила". 10.20 Т/с "Агент национальной безопасности". 11.30 "Встань и иди". "Железная леди из Новокузнецка". 12.00 Новости. 12.20 Х/ф "Русское лекарство". 13.30 М/с "Кряк-бряк". 13.50 Д/ф "Приворотная магия". 15.00 Новости. 15.10 "Лолита. Без комплексов". 16.00 Т/с "Хозяйка судьбы". 17.00 "Федеральный судья". 18.00 "Вечерние новости". 18.10 "Кривое зеркало". 18.40 Х/ф "Адъютанты любви". 19.50 "Человек и закон". 21.00 "Время". 21.30 Т/с "Убойная сила". 22.30 Д/ф "Елена Майорова. Живая рана". 23.40 "Ночные новости". 00.00 Х/ф "Адъютанты любви". 01.10 Триллер "Месть". 03.00 Новости. 03.05 Триллер "Месть" (продолжение). 03.20 Т/с "Линия огня". 04.05 "Путешествия "Русского экстрима".

10.00 12.00 13.00, „ქრონიკა" 10.05 „ჩემი შეყვარებული" 34-ე სერია 11.00„ქრონიკა" 11.15 „საბრალო ნასტია" 32-ე სერია 12.10 „საბრალო ნასტია" 32-ე სერია 12.25„იმედის" მელოდიები 12.40„TV-მარკეტი" 13.15 მხ/ფილმი: „მოვკლათ მეფე" (ტ. როთი, რ. ევერეტი) 14.00 15.00 16.00 17.00, 18.00. 19.00 20.00 23.00 ქრონიკა" 14.05 მხ/ფილმი: „მოვკლათ მეფე" 15.20 „მოჯადოება" 230-ე სერია 16.05 „მოჯადოება" 230-ე სერია 16.15„იმედის" მელოდიები 16.25„TV-მარკეტი" 16.40 დ/ „გორდონის ზვიგენები „გალაპაგოსის ზვიგენები" მე-4 სერია, I ნაწ. 17.10„იმედის" მელოდიები 17.30„ვაკაჭი" 18.05 „ჩემი შეყვარებული" 35-ე სერია 19.05 „მოჯადოება" 231-ე სერია 20.30 „რეაქცია" 22.30 თამაში: „ათასიდან ერთი შანსი" 23.30 „უცნობი საქართველო" 0.05 მხ/ფილმი: „კარლიტოს გზა" 02.15 „TV-მარკეტი" 02.50 „ქრონიკა" 03.00 „იმედის" მელოდიები

8:30 საინფორმაციო კოლაჟი 8:35 მუსიკა მზეზე. 9:15 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 9:45 „ქვეყნის კიდეზე" 10:30 მხ. ფილმი „ვახშამი ბრიყვთან ერთად" 12:05 „სამყაროს უთვალავი ფერები" 12:35 შემეცნებით-გასართობი პროგრამა „ფოკუსის ისტორია" 13:00 საფეხბურთო მიმოხილვა ინგლისი, ესპანეთი 14:50 „ტაქსის მძღოლი" 15:40 იტალიური „კარაბინერები" 16:40 „დაკარგული ქვეყანა" 17:30 „სამყაროს უთვალავი ფერები" 18:30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 19:00 „მზერა-პედლაინი" 19:10 „ქვეყნის კიდეზე" 20:00 „მზერა" 20:45 იტალიური სერ. „კარაბინერები" 21:45 „კრიმინალური „CSI" 22:30 საინფორმაციო კოლაჟი 22:35 მხ. ფილმი „მოთამაშე"

10:00 TV-Shop 11:00 Style Tv 12:45 მხ. ფილმი მეოთხე ანგელოზი 14:00 Style Tv17:00 საინფომაციო პროგრამა დღეს 17:20 Style Tv19:00 საინფომაციო პროგრამა დღეს 19:20 სტუდია სპექტრი 20:30 საინფომაციო პროგრამა დღეს 22:00 მხ. ფილმი გუშინდელი სამიზნე 00:00 საინფომაციო პროგრამა დღეს 00:30 TV-Shop 01:30 Style Tv

8.00 მუსიკა 8.30 „ახალი ამბები" 9.00 "ჩემი სამი და" 10.00 სათავგადასავლო ფილმი „რობინ-ჰუდი" 12.30 მხატვრული ფილმი „როგორ მოვიქცე" 14.30 „ახალი ამბები" 14.45 კომედიური ბოევიკი „პიკის საათი" 16.40 მულტ17.30 „ახალი ამბები" 18.30 „ნოვოსტი" 19.10 „ხელხვავი" 19.30 "ჩემი სამი და" 20.30 „ახალი ამბები" 21.00 ინდური ფილმი „საყვარელ ადამიანებს ნუ დაშორდებით" 00.00 „ახალი ამბები"

05.00 Новости. 05.05 "Первая программа". 06.00 "Доброе утро!" 09.00 Новости. 09.10 Т/с "Убойная сила". 10.20 Т/с "Агент национальной безопасности". 11.30 "Встань и иди". "Амазонка". 12.00 Новости. 12.20 Х/ф "Русское лекарство". 13.30 М/с "Ведьма". 13.50 "Человек и закон". 15.00 Новости. 15.10 "Лолита. Без комплексов". 16.00 Т/с "Хозяйка судьбы". 17.00 "Федеральный судья". 18.00 "Вечерние новости". 18.10 "Кривое зеркало". 18.40 Х/ф "Адъютанты любви". 19.50 "Поле чудес". 21.00 "Время". 21.25 "КВН 2005". Высшая лига. Летний кубок. 23.40 "Золотой граммофон". 00.50 Х/ф "Адъютанты любви". 02.00 Комедия "Новичок". 03.40 Комедия "Отряд Беверли Хиллз".

09.00 11.00 13.00, „ქრონიკა" „12" 10.30„უცხო სუნელი" 11.00„ჩვენი ეზო" 11.20„რაო-რაო?" 11.30„დილის ფოსტა" 12.20„იმედითა შენითა" 12.40„TV-მარკეტი" 13.20 მხ/ფილმი: „მე არა, მას მოჰკითხეთ" 15.00 17.00, 19.00 23.00 ქრონიკა" 15.15 დ/„ჰოლივუდის ნყვილები" „დენის ქუეიდი და მეგ რაიანი" მე-13 სერია 16.15„TV-მარკეტი" 16.30„უცნობი საქართველო" 17.00„ქრონიკა" 17.10 „მოჯადოება" 231-ე სერია 18.00„ეტალონი" 19.00„ქრონიკა" 19.05 „მოჯადოება" 232-ე სერია 20.00 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-ყაზახეთი I-II ტაიმი 22.00„ალავერდი" მე-3 გადაცემა 23.00„ქრონიკა" 23.30 მხ/ფილმი: „ბაზა" 01.05„TV-მარკეტი" 01.40 მხ/ფილმი: ,,აზრთა მპყრობელი" 03.25„ქრონიკა" 03.35„იმედის" მელოდიები

8:30 საინფორმაციო კოლაჟი 8:35 მუსიკა მზეზე. 09:30 ანიმაციური „ისამანის ციხესიმაგრე" 10:00 მულტფილმი „პროსტოკვაშა" 11:00 სათავგადასავლო „დაკარგული. ქვეყანა" 12:00 შემეცნებით-გასართობი პროგრამა „ფოკუსის ისტორია" 12:30 ტელეჟურნალი „სცენა" 13:00 მხ. ფილმი „მოთამაშე" 15:30 იტალიური „სინიორ ვიანელო" 16:00 „პოლიციელი ქალები" 17:00 ტელეჟურნალი „დები ტრევისი" 17:30 კონცერტი ტიტო პუენტე 18:20 მხ. ფილმი „სანტროპე" 20:00 „მზერა" 20:30 ტელეჟურნალი „ჰოლივუდი დღეს" 21:00 მხ. ფილმი „შემოდგომა ნიუ-იორკში" 22:30 საინფორმაციო კოლაჟი 23:00 მხ. ფილმი „სახიფათო სიყვარული"

10:00 TV-Shop 11:00 Style Tv 12:45 მხ. ფილმი გუშინდელი სამიზნე 14:00 Style Tv 19:00 საინფორმაციო პროგრამა დღეს 19:20 Style Tv 20:30 საინფომაციო პროგრამა დღეს 22:00 მხ. ფილმი ირლანდიური კვარტალი 00:00 საინფომაციო პროგრამა „დღეს 00:30 TV-Shop 01:30 Style Tv

8.00 მუსიკა 8.30 „ახალი ამბები" 8.45 მულტფილმი 10.20 „ქიტა-ქიტა" 10.35 კომედია „ცენი და ცუნო" 12.20 იუმორისტული ნოველები „ვიცინოთ ერთად" 12.40 კომედიური ბოევიკი „ეშმაკი ქურდი" 14.30 თეატრი 17.30 „ახალი ამბები" 18.00 „დებატები" 19.00 დოკუმენტური ფილმი 20.10 „ფერისცვალება" 20.30 „ახალი ამბები" 21.00 მიუზიკლი „ნოტრ დამ დე პარი" 00.00 „ახალი ამბები" 00.15 თრილერი „მომკალი ნაზად„

06.00 Новости. 06.20 Х/ф "Принц Египта". 08.10 "Играй, гармонь любимая!" 08.50 "Слово пастыря". 09.10 М/с "С добрым утром, Микки!" 10.00 Новости. 10.10 "Три окна". 10.50 Д/ф "Вулкан". Фильм 1. "Раскаленные убийцы". 12.00 Новости. 12.10 "Здоровье". 13.00 Д/ф "Президентский полк". Фильм 2. 13.40 Детектив "Пять минут страха". 15.20 "9 рота". 15.50 Комедия "Привычка жениться". 18.00 "Вечерние новости". 18.20 "Субботний "Ералаш". 18.50 Футбол. Отборочный матч Чемпионата мира. Сборная России - сборная Люксембурга. Прямой эфир. 21.00 "Время". 21.20 Фестиваль юмора "Умора-2005". 23.00 Комедия "Милашка". 00.40 Комедия "Азбука футбола". 02.20 Триллер "Сумасшедший Гонконг". 04.10 Т/с "Линия огня".

ფილმი: „მზეთუნახავი და ურჩხული" I-II ნაწ. 10.20„რაო რაო? " 10.30„უცხო სუნელი" 11.00„თV ლოტო" 11.40„საკვირაო ჩ თვილი" 12.40„TV-მარკეტი" 13.00„ქრონიკა" 13.15 საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ჩოგბურთში„კოკა-კოლას" თასზე, ფინალური მატჩი მამაკაცებს შორის (პრეპ) 15.00 17.00, 19.00 21.00, „ქრონიკა" 15.15 დ/„ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" „გასაოცარი სამაშველო შემთხვევები" მე-7 სერია 16.15„TV-მარკეტი" 16.30 სპპროგრამა „ახი" 17.00„ქრონიკა" 17.20„პოლიციის აკადემია" 17.50„არტ-ბულვარი" 18.30„ვაკაჭი" 19.20 მხ/ფილმი: „არაჩვეულებრივი გამოფენა" 21.00„დროება" 22.30 მხ/ფილმი: „ფართე ნაბიჯებით" (12) 0.10„TV-მარკეტი" 0.45 მხ/ფილმი „გახსენება" 03.00„ქრონიკა" 03.10„იმედის" მელოდიები

8:30 საინფორმაციო კოლაჟი 8:35 მუსიკა მზეზე. 09:30 ანიმაციური „ისამანის ციხესიმაგრე" 10:00 მულტფილმი „კაზაკები" 11:00 სათავგადასავლო „დაკარგული ქვეყანა" 12:00 შემეცნებით-გასართობი პროგრამა „ფოკუსის ისტორია" 12:30 ტელეჟურნალი „მოდა" 13:00 მხ. ფილმი „შემოდგომა ნიუ-იორკში" 15:30 იტალიური „სინიორ ვიანელო" 16:00 „პოლიციელი ქალები" 17:00 ტელეჟურნალი „დები ტრევისი" 17:30 კონცერტი არაგონი 18:10 მხ. ფილმი „ბედის საჩუქარი" 20:00 „მზერა" 20:30 ტელეჟურნალი „ჰოლივუდი დღეს" 21:00 მხ. ფილმი „თამაში ოთხ ხელში" 22:30 საინფორმაციო კოლაჟი 23:00 მხ. ფილმი „მარადიული საჩუქარი"

10:00 TV-Shop11:00 Style Tv 12:45 მხ. ფილმი ირლანდიური კვარტალი 14:00 Style Tv 17:00 ვარსკვლავები გვამცნობენ 20:00 პროგრამა ილუზიონი ინდ. მხ. ფილმი ბაიკერები" (23:00 გადაცემა ჯაზპარნასი 00:45 მხ. ფილმი სამეფო ბრძოლა-2 02:00 Style Tv

8.00 მუსიკა 8.30 „ახალი ამბები" 8.45 მულტფილმი 10.15 „ნკიპურტები" 10.30 „მოგზაური" 11.00 „ფეხბურთი 11 საათზე" 12.00 სათავგადასავლო ფილმი „უკანასკნელი გმირი" 14.00 „გადარჩენილი სიტყვა" 14.45 „ფერისცვალება" 15.00 ბოევიკი „დეტონატორი" 16.45 „ექსკლუზივი" 17.30 „ახალი ამბები" 17.50 კომედია „პრინცესა ყინულზე" 20.00 იუმორისტული ნოველები „ვიცინოთ ერთად" 20.30 „ახალი ამბები" 21.00 დოკუმენტური ფილმი 22.30 „მხოლოდ კინო" 22.45 მელოდრამა „გახსოვდეს" 00.00 „ახალი ამბები" 00.15 მელოდრამა „გახსოვდეს" 01.00 დოკუმენტური ფილმი

05.40 Х/ф "Принцесса Лебедь. Тайна замка". 06.00 Новости. 06.10 Х/ф "Принцесса Лебедь. Тайна замка" (продолжение). 07.00 Комедия "Гость с Кубани". 08.20 "Армейский магазин". 08.50 М/с "Дональд Дак представляет". 09.20 "Умницы и умники". 10.00 Новости. 10.10 "Непутевые заметки". 10.30 "Пока все дома". 11.20 "Веселые картинки" с Ю. Гальцевым и Г. Ветровым. 12.00 Новости. 12.10 Д/с "Живой мир". "Путешествие жизни". 13.10 Комедия "Не может быть!" 15.00 Концерт к Дню работников сельского хозяйства. 16.50 "Невероятные приключения русских во Франции". "Большие гонки". 18.00 "Времена". 18.50 Х/ф "Пляж". 21.00 "Воскресное "Время". 21.45 Боевик "Люди Х". 23.40 Бокс. Бои сильнейших профессионалов мира. 00.10 "Суперчеловек". "Жестокий ринг". Фильм 3. "Бешеный бык". 01.05 Х/ф "Поллок". 03.15 Т/с "Линия огня". 04.00 Д/ф "Вера Мухина. Испытание".

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს



*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**დიდი ხანია, მარჯვენა ყურში მაქვს გამუდმებული შუილი (ხმაური). განსაკუთრებით ღამე ისე მძლიერდება, რომ არ მაძინებს. არაფერმა მიშველა. იქნებ მირჩიოთ რამე — საიდან არის წარმოქმნილი და იკურნება თუ არა?**

**ლ.ა. თბილისი**

უპირველეს ყოვლისა, მიმართეთ ოტოლარინგოლოგს (ყელ-ყურის ექიმს), რათა დადგინდეს, ხომ არ არის ყურში ხმაურის მიზეზი ყურის ანთება. ეს სიმპტომი ქრონიკული და მწვავე ოტიტის ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანია. თუ ოტიტის დიაგნოზი გამოირიცხა, მაშინ ნევროლოგის კონსულტაცია დაგჭირდებათ. ასეთივე სიმპტომატიკა ახასიათებს კისრის მალების ოსტეოქონდროზს, თავის ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზს. დიაგნოზის დასაზუსტებლად დაგჭირდებათ კისრის მალების რენტგენოგრაფია, ტვინის სისხლძარღვების ანგიოგრაფია და შესაძლოა უფრო სერიოზული გამოკვლევებიც. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი კომპეტენტური მკურნალობის დანიშვნა.

**ერთ ჟურნალში წავიკითხე, რომ კიბო არ არის უკურნებელი სენი. მაშ რატომ იღუპება ამდენი ხალხი სწორედ კიბოთი?**

**პატივისცემით, ა. გოგიშვილი**

კიბოს დიაგნოზი ადამიანებს სასოწარკვეთილებაში აგდებს, ბევრს არ სჯერა, რომ მისი მკურნალობა შესაძლებელი და აუცილებელია. ეს დაავადება მართლაც არ არის აბსოლუტურად უკურნებელი — დღეისათვის არსებული მკურნალობის მეთოდები ათასობით ადამიანს შველის. და მაინც ვერაფრით შევიტანეთ გარდატეხა კიბოთი ავადობისა და სიკვდილიანობის დინამიკაში. ამის მიზეზი ბევრია. მთავარი ის არის, რომ ადამიანები ცუდად არიან ინფორმირებული კიბოს თავიდან აცილების შესაძლებლობის შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ ცოტამ თუ იცის, როგორია სიმსივნის ადრეული გამოვლინებები — ასეთ დროს კი საჭიროა დაუყოვნებლივ მივმართოთ ექიმს. რაც უფრო დროულად გამოვლინდება სიმსივნე, მით ეფექტიანი იქნება მკურნალობა.

**რამდენიმე თვის წინ გამიკეთეს მხედველობის კორექციის ოპერაცია. ამჟამად ვარ ორსულად და ძალიან მეშინია, რადგან მინდა თავიდან ავიცილო საკეისრო კვეთა და ბავშვი ბუნებრივი მშობიარობით გავაჩინო. შესაძლებელია თუ არა ეს ასეთი ოპერაციის შემდეგ?**

**მარინა**

ამ საკითხის გადასაწყვეტად ძირითად კრიტერიუმს თვალის დისკისა და რქოვანას მდგომარეობა წარმოადგენს. თუ თვალის ფსკერზე, განსაკუთრებით მის პერიფერიებზე, დისტროფიული ცვლილებებია, ბუნებრივ მშობიარობაზე ნებართვა ამ ცვლილებების სიმძიმის ხარისხზეა დამოკიდებული. ბოლო წლების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ბადურაზე ცვლილებების არსებობისასაც კი, უმრავლეს შემთხვევაში შესაძლებელია ბუნებრივი გზით მშობიარობა. მშობიარობის ტაქტიკაზე ოფთალმოლოგი და გინეკოლოგი ერთად შეთანხმდებიან.

## კარაბადინი

**როდესაც ჩემი ბიჭუნა 7 თვის იყო, კუჭი ისე ძლიერად აეშალა, რომ საავადმყოფოში მოგვიწია წაყვანა. მაგრამ აშლილობა უკურნებელი აღმოჩნდა. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგაც ბავშვი თხლად და ხშირ-ხშირად გადიოდა კუჭში. პატარა ისე გამოიფიტა და გამოშრა, აღარაფრის იმედი აღარ მქონდა. ერთმა ნაცნობმა ქალმა გადამირჩინა — მან მომიტანა ქათმის კუჭი და მასწავლა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი: კუჭი გავჭერი და გავათავისუფლე შიგთავსისაგან, შემდგომ სუფთა ჯაგრისით კარგად გავრეცხე მისი შიგნითა, ყვითელი ზედაპირი. შემდეგ კი ეს ყვითელი ფენა ავაცალე, გამოვაშრე, ჩავდე ქაღალდის კონვერტში და ზემოდან ბოთლი გადავატარე, რათა კარგად დამეფხვნა. ამ ყვითელ ფხვნილს, რომელსაც გემო არ ჰქონდა, ვიღებდი ჩაის კოვზის წვერით, ვხსნიდი რძეში და ვასმევდი ბავშვს 3-4-ჯერ დღეში. 3 დღეში შვილი გამოცოცხლდა.**

**მას შემდეგ ჩემი შვილების, ოჯახის წევრებისა თუ ნათესავ-მეზობლებისათვის კუჭის აშლილობის შემთხვევაში ყოველთვის მომეპოვება საუკეთესო წამალი — ქათმის კუჭის აპკის ფხვნილი.**

**პატივისცემით, ანგელინა სარია**

*ექიმის კომენტარი:* ქათმის კუჭის გამოყენება ფაღარათის სამკურნალოდ ხალხური მედიცინის არაერთ წყაროში გვხვდება. ცნობილია, რომ ქათმის კუჭს საკმაოდ ძლიერი მომნელებელი თვისებები აქვს — ქათამი იკვებება მკვრივი, ძნელად მოსანელებელი მარცვლეულით, მიწით, კენჭებით, მაგრამ ამგვარი კვების მიუხედავად მონელების პრობლემები არ ექმნება. სავარაუდოა, რომ მისი ეს თვისებები იჩენს თავს აღნიშნული რეცეპტით დამზადებული წამლის მიღებისას.

**მშობიარობის შემდეგ ქალებს მკერდზე ნახეთქები უჩნდებათ ხოლმე, რაც მეტად მტკივნეულია, განსაკუთრებით ჩვილის წოვებისას. მინდა გასწავლოთ ნახეთქების სამკურნალო საშუალება: მაგრად მოხარშული კვერცხის გული წამოაცვით ჩანგალზე. ჩანგალი დაიჭირეთ სანთლის ალზე. კვერცხის გული დაიწყებს დნობას და მის ქვეშ მოთავსებულ თასზე ჩამოეწვეთება ცხიმი. ამ ცხიმით დაიზილეთ ნახეთქები. პროცედურა დღის განმავლობაში 8-10-ჯერ უნდა ჩაიტაროთ.**

**არანაკლებ უსიამოვნოა მასტიტი. წმინდად გახეხეთ 50 გრამი შავი სარეცხის საპონი, დაამატეთ ამდენივე ჭვავის ფქვილი, 1 ს/კ ზეთი და 1 ს/კ შაქარი. აურიეთ, დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და ხარშეთ დაბალ ცეცხლზე 2-3 წუთი. დაუმატეთ თაფლის სანთლის პატარა ნაჭერი. მიღებული მასა თბილ-თბილი უნდა დაიდოთ მკერდზე და ყოველდღიურად გამოიცვალოთ.**

**პატივისცემით, იზო სახვაძე**

*ექიმის კომენტარი:* კვერცხის გული ორგანიზმისთვის სასარგებლო უამრავი ორგანული თუ არაორგანული ნივთიერებითაა მდიდარი. ხალხურ მედიცინაში გვხვდება მისი გამოყენების შემთხვევები გარეგანი საშუალებების მოსამზადებლად.

რაც შეეხება მეორე რეცეპტს, — სარეცხის საპონი ანტისეპტიკური თვისებისაა, ხოლო ძირითადი სამკურნალო ეფექტი თაფლის სანთელს აკისრია, რომელიც ძლიერი ანთების საწინააღმდეგო ანტიბაქტერიული საშუალებაა.

**მოამზადა თამარ მამაცაშვილმა**

## მკითხველი — მკითხველს

**მაწუხებს გული. უკვე 20 წელია ვეწევი სიგარეტს. ექიმი მეუბნება, აუცილებლად უნდა დაანებო თავი მოწევასო. ვცდილობ, მაგრამ არაფერი გამომდის. მსმენია, რომ ხალხურ მედიცინაში არის საშუალებები ამ ჩვევისგან თავის დასაღწევად. თუ ვინმემ იცის ეს და შემეხმიანებით, მადლობელი დაგრჩებით.**

**პატივისცემით, ამირან კოჭლამაზაშვილი**

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## კრაზანა — მკურნალი

კრაზანა ძვირფასი სამკურნალო მცენარეა, მინდვრის ნამდვილი აფთიაქი, შეიცავს ეთეროვან ზეთს (0,1%), მთრიმლავ ნივთიერებას (10%) სპირტს, ალკალოიდებს, კაროტინს (56%-მდე), ვიტამინებს, ფისს, ნიკოტინურ მჟავას, ფლავონოიდებს, ასკორბინის მჟავას, ქიმიურ ელემენტებს: მოლიბდენს, სელენს, კადმიუმს, მანგანუმს.

კრაზანა ბრწყინვალე ანტისეპტიკური მცენარეა. მას აქვს კუჭის შემკვრელი და მატონიზებელი თვისება, ხელს უშლის ანთებით პროცესებსა და ხსნის გაღიზიანებას. მისი ექსტრაქტი ააქტიურებს სისხლის მოძრაობასა და ქონის ჯირკვლების სეკრეტორულ ფუნქციას, აწესრიგებს ცხიმოვან ბალანსს, ამაგრებს თმის ძირებსა და კვებავს თავის კანს, აუმჯობესებს თმის სტრუქტურას, აჩქარებს მის ზრდას და ხელს უშლის ქერტლის წარმოქმნას.

გარდა ამისა, კრაზანა აუმჯობესებს მადას, ასტიმულირებს საჭმლის მონელების ჯირკვლებს, აქვს შარდმდენი თვისება, ამიტომ რეკომენდებულია ნაღვლის ბუშტისა და სადინარების დისკინეზიის, ჰეპატიტის, ქოლეცისტიტის, გასტრიტის და მეტეორიზმის დროს. ეს ჯადოსნური მცენარე აუმჯობესებს ცხიმოვან ცვლას, რეკომენდებულია ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისთვის, გულისა და თავის იშემიური დაავადებების, ინფარქტისა და გულ-სისხლძარღვთა სხვა დაავადებების დროს.

სხვათა შორის, თუ კრაზანას ნაყენს ზაფხულში მიიღებთ, სწრაფად გაირუჯებით, რადგან ეს მცენარე მზის სხივებისადმი ძალიან მგრძნობიარეა; მაგრამ თუ მზეზე „დაიწვებით“, ისევ კრაზანას ზეთი გიშველით. გთავაზობთ მისი მომზადების წესს:

500გ კრაზანას ნედლ ყვავილს დაასხით 1 ლ მცენარეული ზეთი და 0,5 მშრალი ღვინო. გააჩერეთ 3 დღე, შემდეგ შედგით წყლის ორთქლზე, რათა ღვინო აორთქლდეს.

**ლიზა**

## მოზარდებს დიეტა ასუსტებს...



მოზარდები უმკაცრესი დიეტებით ორგანიზმს საბედისწეროდ ისუსტებენ. ამერიკელი მეცნიერების მონაცემებით, ბევრი 14-15 წლის ყმაწვილი უსიცოცხლოდ გამოიყურება. მომწიფების პერიოდში საკვების შეზღუდვა ძალიან საზიანოა. არადა ამ დროს მათ სჭირდებათ ბალანსირებული კვება, რომელიც გულისხმობს ვიტამინებითა და მინერალებით მდიდარ ნივთიერებებს. ზუსტად ამ პერიოდში ვითარდება და ყალიბდება სასქესო სისტემა. აუცილებელი ელემენტების დეფიციტს მოსდევს სწრაფი გადაღლა, ყურადღების დაქვეითება და სწავლაში ჩამორჩენა. მოზარდის კვების რაციონში უნდა იყოს E ვიტამინით, იოდით და ფოსფორით მდიდარი პროდუქტები. აუცილებელია ღვიძლი, კვერცხი, რძე, თევზი, ზღვის პროდუქტები.

**სანი**

## XXI საუკუნის დიეტური პროდუქტი

დიეტოლოგების აზრით, სოიის პროდუქტები ახლო მომავალში ჯანსაღი კვების საფუძვლად იქცევა. სოია ძალიან სასარგებლოა და გემრიელიც. მისი უჯრედისი კუჭ-ნაწლავისთვის ცოცხის როლს ასრულებს — ორგანიზმიდან გამოდევნის სხვადასხვა ტოქსინს, აწესრიგებს ნაწლავის მიკროფლორას და ხელს უშლის დისბაქტერიოზის წარმოშობას. დღეში ნახევარი ჭიქა სოიის მარცვალი დაბლა სწევს ქოლესტერინის დონეს სისხლში — ერთი თვის მანძილზე კი 7-10%-ით.

**დობრიე სოვეტი**

## თაფლიანი ჟენშენი

ქრონიკული დაავადებების გამწვავებისას, გადატანილი მძიმე სნეულებების შემდეგ, გონებრივი და ფიზიკური გადატვირთვის, ქრონიკული დაღლილობის, სტრესების, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებზე დამოკიდებული ადამიანების სამკურნალოდ ჩინელი მედიკოსები გვთავაზობენ თაფლიან ჟენშენს. ერთ ლიტრ თაფლს დაამატეთ 50-60გ მსხვილად გახეხილი ჟენშენის ფესვები, გააჩერეთ რამდენიმე კვირა, შემდეგ ამოიღეთ ფესვები და მიიღეთ 1 ჩ/კ ნაყენი დღეში ერთხელ, ერთი თვის განმავლობაში.

**ჟენსკიე დელა**



# მიირთვით გრეიპფრუტი

გრეიპფრუტის დიეტა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა წონაში დასაკლებად, თუ მას სწორად დაიცავთ, ერთ კვირაში დაიკლებთ სულ მცირე 3კგ.-ს.



**პირველი დღე**

*საუზმე:* გრეიპფრუტი ან მისი უშაქრო წვენი. 50გ უცხიმო ლორი, უშაქრო ჩაი ან ყავა.

*სადილი:* გრეიპფრუტი, ფინჯანი ბოსტნეულის სუპი ან უცხიმო ბულიონი. ორი ნაჭერი ორცხობილა.

*ვახშამი:* 300-400გ მოხარშული ან მოშუშული ბოსტნეული (კომბოსტო, ყაბაყი, კარტოფილი ან სიმინდი), უშაქრო ჩაი.

**მეორე დღე**

*საუზმე:* ხილის სალათი (გრეიპფრუტი, ფორთოხალი, ვაშლი), ჩაი ან ყავა ლიმონით.

*სადილი:* გრეიპფრუტი და 150გ (20-30%) ყველი, რომელიც შეგიძლიათ შეცვალოთ 50გ უცხიმო ხაჭოთი.

*ვახშამი:* 1/2 გრეიპფრუტი, 200გ მოხარშული ქათმის ხორცი, 2 ც პომიდორი, უშაქრო ჩაი.

**მესამე დღე**

*საუზმე:* გრეიპფრუტი ან მისი წვენი, 2 ც მოხარშული კვერცხი, უშაქრო ჩაი.

*სადილი:* გრეიპფრუტი და ლიმონის წვენით შეზავებული 250გ ბოსტნეულის სალათი, უშაქრო ჩაი ან ყავა.

*ვახშამი:* 100გ მოხარშული ხორცი, ლიმონის წვენით შეზავებული 200გ მწვანე სალათი, ჩაი 1 ჩ/კ თაფლით.

**მეოთხე დღე**

*საუზმე:* გრეიპფრუტი ან მისი წვენი 2 ს/კ ქიშმიშით, 4 ს/კ უცხიმო იოგურტით ან რძით შეზავებული 2ს/კ შვრიის ბურბუშელა.

*სადილი:* გრეიპფრუტი, სტაფილოს ან მწვანე ბოსტნეულის (კიტრი, წიწაკა, ბროკოლი, ნიახური, მწვანე სალათი და ა.შ.), მცენარეული ზეთით, ხორბლის დაღერღილი პურის 1 პატარა ნაჭერი.

*ვახშამი:* 250გ ქათმის ხორცი ან თევზი. პომიდორი ან ტომატი. გრეიპფრუტი ან მისი წვენი.

**მეხუთე დღე**

*საუზმე:* გრეიპფრუტი, მოხარშული კვერცხი და პომიდვრის წვენი.

*სადილი:* შემწვარი დიდი კარტოფილი კომბოსტოს ან ნებისმიერ მწვანე ბოსტნეულის სალათასთან ერთად (სულ 200გ).

*ვახშამი:* გრეიპფრუტი ან 200გ მოხარშული ან მოშუშული თევზი მწვანე ბოსტნეულის გარნირით. ჩაი 1 ჩ/კ თაფლით. მეექვსე და მეშვიდე დღეს გაიმეორეთ 5-დღიანი დიეტის ნებისმიერი მენიუ.

***დომაშნი დოქტორი***

**ვმკურნალობთ**
**ქრონიკულ პროსტატიტს**
პროფ. გუსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ გააჩნია, პოტენციის დაქვეითებას, ქლამიდიოზს, ტრიქომოდულ და სხვა უროგენიტალიურ ინფექციებს. დიაგნოსტიკა, ექოსკოპია თანამედროვე იაპონური აპარატურით.
მის: გამსახურდიას (პეკინი) №14
მე-8 პოლიკლინიკა, კაბ. №26, 9-13სთ.
☎ 8(93) 31 42 35

**ნევროზების, ნევრასთენიის**
ფსიქონევროზების, ფობიების (შიში), დეპრესიისა და აკვიატებული აზრების მკურნალობა გარანტიით, უნიკალური ჰომეოპათიური მეთოდით, რომელიც თავის ტვინში აწესრიგებს მიკრონეიროელექტრო პროცესებს, აღდგენს მის ნორმალურ ფუნქციონირებას.
*კონსულტაცია უფასოა.*
პუშკინის 10. ქალთა კონსულტაცია.
კაბ. №1. ვენდისპანსერის ზემოთ (12-17სთ).
☎ 899-96-33-15

**პირველად საქართველოში!**
**მხოლოდ ჩვენს კლინიკაში!**
**მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:**
სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.
**ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!**
მის: ქავთარაძის 16, სამკურნალო კომბინატი, სექსოლოგიური სამსახური. ტელ: 30 94 32; 893 75 77 07
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
**ანონიმურობა დაცულია!**

პრეპარატი **ფესი** გაძლევთ უნიკალურ შანსს
ფსორიაზი
ეგზემა
ნეიროდერმიტი
სებორეა
ენდეთ საუკუნოვან გამოცდილებას!
საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ყველაზე ეფექტური, არაჰორმონალური მალამოს საშუალებით
ცხელი ხაზი: 39 66 03

„ლიგა" სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
ფსიქოთერაპია
ტელ: 32 21 21; 31 73 24

**ხშირად გაწუხებს თავის ტკივილი. რა შეიძლება იყოს მიზეზი?**

***ლ. კვაჭაძე***

**თავის ტკივილის თვითდიაგნოსტიკა:** ნებისმიერი ხასიათის თავის ტკივილი, იქნება ეს შეტევითი, მწვავე, პულსირებადი თუ ყრუ, ერთნაირად დამთრგუნველად მოქმედებს ფსიქიკაზე. თავის ტკივილი შეიძლება რომელიმე დაავადების ერთ-ერთი გამოხატულება იყოს. ტკივილს ძირითადად იწვევს: ნერვული დაძაბულობა, თავის ტვინში განვითარებული სკლეროზული ცვლილებები, ჰიპერტონული (მაღალი არტერიული წნევა) და ჰიპოტონური (დაბალი არტერიული წნევა) დაავადებანი, შაკიკი, ნევრალგია, თავის ტრავმა, ალერგია, კისრის მალათა ოსტეოქონდროზი, ნეიროცირკულარული დისტონია (ნცდ).

თავის ტკივილის ეფექტიანი მკურნალობისთვის საჭიროა მისი გამომწვევის დადგენა. ხშირად ტკივილის საწინააღმდეგო მედიკამენტების მიღება ეფექტს არ იძლევა — საჭირო ხდება მიზეზის ზუსტად განსაზღვრა და მასთან ბრძოლა.

მოდით, ერთად გავარკვიოთ, რატომ გვტკივა თავი!

**მაღალი არტერიული წნევა, ნეიროცირკულარული დისტონია:**

— ტკივილის სიხშირე — დილით ან სხვადასხვა დროს;
— ტკივილის ხანგრძლივობა — დამოკიდებულია არტერიულ წნევაზე;
— ტკივილის ადგილი — საფეთქელი;
— რა ახდენს პროვოცირებას — სტრესი, ამინდის ცვალებადობა, გადაღლა — ქალებში მენსტრუაცია;
— თანდართული სიმპტომები — სისუსტე, ტკივილი გულის არეში, გულისრევა, ძილის დარღვევა;
— ტკივილის ხასიათი — მოჭერითი;
— ვინ განიცდის ტკივილს — ქალები საშუალო და მოხუცებულობის ასაკში, გონებრივად მომუშავენი;

**შაკიკი:**

— ტკივილის სიხშირე — სხვადასხვა დროს;
— ტკივილის ხანგრძლივობა — 8-24 საათი;
— ტკივილის ადგილი — საფეთქელი და თვალი ცალ მხარეს;
— რა ახდენს პროვოცირებას — გადაღლა, სტრესი, ამინდის ცვლილება;
— თანდართული სიმპტომები — მხედველობის დაქვეითება, თავბრუსხვევა, გულისრევა;
— ტკივილის ხასიათი — ჭრითი;
— ვინ განიცდის ტკივილს — ქალები, მემკვიდრეობით.

**ცერებროსკლეროზი** (თავის ტვინის სკლეროზი):

— ტკივილის სიხშირე — ხშირი;
— ტკივილის ხანგრძლივობა — საათობით;
— ტკივილის ადგილი — გაფანტული;
— რა ახდენს პროვოცირებას — სტრესი, გადაღლა, ამინდის ცვლილება;
— თანდართული სიმპტომები — მეხსიერების დაქვეითება, ძილის დარღვევა;
— ტკივილის ხასიათი — ყრუ;
— ვინ განიცდის ტკივილს — ადამიანი მოხუცებულობის ასაკში.

**ჰაიმორიტი, სინუსიტი:**

— ტკივილის სიხშირე — სინუსიტის გამწვავების დროს;
— ტკივილის ხანგრძლივობა — საათობით;
— ტკივილის ადგილი — ცხვირის ირგვლივ;
— რა ახდენს პროვოცირებას — სახის მიდამოს გაცივება;
— თანდართული სიმპტომები — სურდო, ხელით ზეწოლისას მტკივნეულობა;
— ტკივილის ხასიათი — მოჭერითი;
— ვინ განიცდის ტკივილს — ვინც ხშირად ცივდება, უვითარდებათ გრიპი.

**კისრის მალების ოსტეოქონდროზი:**

— ტკივილის სიხშირე — ხშირი;
— ტკივილის ხანგრძლივობა — საათობით;
— ტკივილის ადგილი — კეფა;
— რა ახდენს პროვოცირებას — თავის მოძრაობა, ხანგრძლივი უმოძრაობა;
— თანდართული სიმპტომები — ჭრიალის ხმა კისრის მიდამოში;
— ტკივილის ხასიათი — ყრუ;
— ვინ განიცდის ტკივილს — საშუალო და მოხუცებულობის ასაკში, ქალები.

## თავის ტკივილი ფსიქიკას თრგუნავს



**სამწვერა ნერვის ანთება:**

— ტკივილის სიხშირე — იშვიათი;
— ტკივილის ხანგრძლივობა — სხვადასხვა;
— ტკივილის ადგილი — ცალმხრივი;
— რა ახდენს პროვოცირებას — გადაცივება;
— თანდართული სიმპტომები — მტკივნეული მხარის მოძრაობის შეზღუდვა;
— ტკივილის ხასიათი — დარტყმითი;
— ვინ განიცდის ტკივილს — სიცივეში მომუშავენი, ნეიროვირუსის მქონენი.

**ნეიროვირუსით გამოწვეული ინფექცია:**

— ტკივილის სიხშირე — ხშირი;
— ტკივილის ხანგრძლივობა — საათობით;
— ტკივილის ადგილი — ლოკალური (ადგილობრივი);
— რა ახდენს პროვოცირებას — გრიპი, გაცივება;
— თანდართული სიმპტომები — შემცივნება, სახსრებში ტეხვის შეგრძნება;
— ტკივილის ხასიათი — ყრუ;
— ვინ განიცდის ტკივილს — ბავშვები, ადამიანი ნებისმიერ ასაკში.

**ტრავმა:**

— ტკივილის სიხშირე — მყარი;
— ტკივილის ხანგრძლივობა — საათობით, რამდენიმე დღე;
— ტკივილის დიაგნოსტიკა — ტრავმის ადგილას;
— რა ახდენს პროვოცირებას — თავზე შემოჭერა, გადაცივება;
— თანდართული სიმპტომები — გულისრევა;
— ტკივილის ხასიათი — მწვავე;
— ვინ განიცდის ტკივილს — ტრავმის მქონენი.

**ალერგია:**

— ტკივილის სიხშირე — სეზონური;
— ტკივილის ხანგრძლივობა — საათობით;
— ტკივილის ადგილი — კეფა, სახის მიდამო;
— რა ახდენს პროვოცირებას — ალერგენები ანუ ალერგიის გამომწვევი ფაქტორები;
— თანდართული სიმპტომები — სურდო, ქუთუთოების შეშუპება, ცრემლდენა;
— ტკივილის ხასიათი — ყრუ;
— ვინ განიცდის ტკივილს — განწყობას მემკვიდრეობითი ფაქტორი განსაზღვრავს.

***მაია მუხიგული***

**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**
**85** კომპლექტი ლარად!!!
ფასდაკლება პენსიონერებს და ინვალიდებს!
შპს „კონტრასტი"
ბოროზნის ქ. 4
☎ 35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55

# კიდევ ერთხელ ასკილის შესახებ

ასკილის ნაყოფი უხვად შეიცავს C ვიტამინს. ამ ვიტამინის დღეღამური ნორმისთვის სავსებით საკმარისია 2 ცალი ნაყოფის ჭამა.

სამკურნალო მიზნით გამოიყენება როგორც ნაყოფი, ისე ფესვები.

ასკილის პრეპარატებს ახასიათებს მატონიზებელი, ზოგადგამაჯანსაღებელი, ანთებსაწინააღმდეგო, სისხლის აღმდგენი, შარდმდენი, ნაღველმდენი, კუჭში გამხსნელი, ანტისკლეროზული თვისებები, ამაგრებს ძარღვების კედლებს, აძლიერებს ორგანიზმის დამცველ ძალებს, შველის იმპოტენციას და ხელს უწყობს ჭრილობების სწრაფად შეხორცებას, ხოლო ფესვებით დამზადებული წამლები — სისხლის შედედებას, ქვების დაშლას, არის ბრწყინვალე ნაღველმდენი და ანტისეპტიკური საშუალება.

**გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს:**

*ქოლეცისტიტის, გასტრიტისა და ავიტამინოზის დროს:*

1ს/კ დანაყილ ასკილს დაასხით 1ჩ/ჭ მდუღარე წყალი, მიიყვანეთ ადუღებამდე, თავდახურული გააჩერეთ 2-3 საათი, გაწურეთ ოთხფა მარლაში და მიიღეთ 1/4-1/3 ჩ/ჭ შემთბარი ნაყენი 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. კბილის მინანქარი რომ არ დაგიზიანდეთ, დალიეთ კოქტეილის ჩხირით, შემდეგ კი პირში წყალი გამოივლეთ.

*ცისტიტის, ნეფრიტის, გასტრიტის, ასთენიის, სისხლნაკლებობის, ათეროსკლეროზის, ბრონქიტის, ტუბერკულოზის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, ნევროზის დროს* — 3ს/კ დანაყილი ასკილი ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 0,5 ლ ქაფქაფა, მდუღარე წყალი, გააჩერეთ ერთი ღამე, შემდეგ გაწურეთ ოთხფა მარლაში და შეინახეთ მაცივარში. მიიღეთ 0,5 ჩ/ჭ შემთბარი ნაყენი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

*ჰიპერტონიის, ნაღველსა და შარდში ქვების დროს* — 6ს/კ დანაყილ ასკილის ფესვებს დაასხით 3ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 12-15 წუთით შედგით ნელ ცეცხლზე, გადმოდგით და გააჩერეთ 1 საათი, გაწურეთ, დაამატეთ ანადუღარი წყალი, რათა გახდეს იმდენი რამდენიც დასაწყისში იყო. მიიღეთ ჭამამდე ერთი საათით ადრე. მკურნალობის კურსია 10 დღე. გაიმეორეთ სამჯერ — ორკვირიანი შესვენებებით. ეფექტი გაძლიერდება, თუკი ასკილის ფესვების ნაყენის მიღების შემდეგ მიიღებთ მატიტელას ნაყენს: 1ს/კ მატიტელას ბალახს დაასხით 1/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1 საათი და გაწურეთ.



*ჰეპატიტისა და ქოლეცისტიტის დროს* ექიმები უნიშნავენ ხოლოსას (ასკილის ნაყოფის წვენი, აფთიაქში იყიდება) და კაროტოლინს (ასკილის ნაყოფის ზეთოვანი ექსტრაქტი), ეგზემის, ტროფიკული წყლულის, რადიაციის მაღალი დოზის შედეგად დაზიანებული კანის მკურნალობისათვის და ასევე სხივური თერაპიის დროს.

**დაიხსომეთ!** ასკილით დამზადებული წამლები არ შეიძლება მიიღოთ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, თრომბოფლებიტის, ენდოკარდიტის, დაქვეითებული სისხლის მიმოქცევის დროს.

***ცელებნიკი***

## ბაკიევის ყოფილი მომხრეები მის გადადგომას ითხოვენ



საკუთარმა შეცდომებმა, გაზრდილმა კორუფციამ ქვეყანაში უკმაყოფილება გამოიწვია. მრავალრიცხოვანი მიტინგების მონაწილეები ყირგიზეთის ახალარჩეული პრეზიდენტის ყურმანბეკ ბაკიევის გადადგომას ითხოვენ. მიტინგები ჯალალ-აბადის რაიონში დაიწყო. თავის დროზე სწორედ ამ რეგიონმა შეასრულა გადამწყვეტი როლი ყირგიზეთის „ტიტების რევოლუციის“ ლიდერად ბაკიევის არჩევაში. ამჟამინდელი ხელისუფლების არაფორმალური ლიდერი აკაევის ხელისუფლებას. ბაკიევს გარშემოეკრა კორუმპირებული და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს. ბაკიევს არა აქვს უფლება, იყოს ქვეყნის პრეზიდენტი, – აცხადებენ ოპოზიციის წარმომადგენლები. დეპუტატმა ჯ. ყარაბეკოვმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა: — ყირგიზეთის ისტორიაში ამაზე უარესი მმართველობა არ ყოფილა, ქვეყანას მაფიოზური კლანები მართავენ, მძვინვარებს კორუფცია, ძალოვანი სტრუქტურები თითქმის აღარ არსებობს, დანაშაული ყოველდღე ხდება.

პრეზიდენტმა ბაკიევმა აღიარა, — მართალია, ქვეყანაში ბევრი რამ არის გამოსასწორებელი, მაგრამ ბევრიც გაკეთდა, კორუფციასთან ბრძოლაში გარკვეულ წარმატებებს მივაღწიეთ. იმედი მაქვს, რომ ახალი მინისტრთა კაბინეტი გაცილებით უკეთ იმუშავებს და ყირგიზეთი დემოკრატიზაციის გზას დაადგება.

პრეზიდენტის მიერ წარდგენილ მინისტრთა კანდიდატურებს პარლამენტი ალბათ ერთხმად არ მიიღებს, რადგან დეპუტატების დიდი ნაწილი პრემიერ-მინისტრ ფელიქს ყულოვს ემხრობა. პრეზიდენტსა და პრემიერს შორის კი დაპირისპირება დღითი დღე მძაფრდება.

ანალიტიკოსების აზრით, ყურმანბეკ ბაკიევს ჯერჯერობით ნდობის ლიმიტი ბოლომდე არ ამოუწურავს და შესაძლოა საქმე გადადგომამდე არც მივიდეს.

***კომერსანტი***

## სოროსი ილჰამ ალიევს ურჩევს...

მოლაპარაკებები აზერბაიჯანის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, რომელიც აშშ-ის ელჩის რინო ჰარნიშის მოთხოვნით შედგა, უშედეგოდ დამთავრდა. მოლაპარაკებების მონაწილე სახალხო ფრონტის [illegible] თავმჯდომარემ ფ. მუსტაფაევმა ჟურნალისტებს განუცხადა: ხელისუფლებას არ სურს დიალოგი ოპოზიციასთან, ჩვენ ვითხოვთ, რომ ბაქოს ცენტრში მოგვცენ მშვიდობიანი აქციის გამართვის ნება, ისინი კი გარეუბანს გვთავაზობენ.

ანალიტიკოსების აზრით, ხელისუფალთა არგუმენტი — ქალაქის ცენტრში მიტინგი მოძრაობას ხელს შეუშლისო — სასაცილოა, რადგან, როცა თვითონ სურთ, [illegible]

[illegible] ცნობილი ფინანსისტი ჯორჯ სოროსი [illegible] ოპოზიცია აშკარად ემზადება საბრძოლველად, მაგრამ ეს არ სჭირდება აზერბაიჯანს, პრეზიდენტმა ყველაფერი უნდა იღონოს რევოლუციის თავიდან ასაცილებლად. რევოლუცია კი ხდება მაშინ, როცა ხელისუფლება ზღუდავს თავისი მოქალაქეების თავისუფლებას“, — დასძინა ფინანსისტმა.

***ბი-ბი-სი***

## 35-წლიანი ომი დამთავრდა




საგანგებოდ შექმნილმა საერთაშორისო კომისიამ დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავრობებს სენსაციური მოხსენება წარუდგინა. მასში ნათქვამია, რომ „ირამ“ იარაღი ჩააბარა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ირლანდიის რესპუბლიკის არმიამ დაამთავრა 35-წლიანი ომი. სისხლისმღვრელი ომი დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებასთან გაერთიანებული სამეფოდან ჩრდილოეთ ირლანდიის (ოლსტერის) გამოყოფას ისახავდა მიზნად. ახლა ამას ჩრდილოეთ ირლანდია უკვე არა ომით, არამედ პოლიტიკური მეთოდებით შეეცდება.

მრავალწლიანი შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების განზრახვის შესახებ „ირას“ ხელმძღვანელობამ განცხადება ივლისში გააკეთა. მასში ნათქვამი იყო, რომ არმიის ყველა ქვედანაყოფმა მიიღო იარაღის დაყრის ბრძანება, ორგანიზაცია დემოკრატიული დიალოგის გზაზე დგება და წყვეტს ტერორს, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

„ირას“ პოლიტიკური ფრთის, პარტია „შინფეინის“ ლიდერმა ჯერი ადამსმა განაცხადა, — არმიის მიერ იარაღის დაყრა სამაგალითო უნდა გახდეს დიდი ბრიტანეთის შემადგენლობიდან ოლსტერის გამოყოფის მოწინააღმდეგე იუნიონისტების პარტიისთვისო. თავად იუნიონისტები უნდობლად უყურებენ განიარაღების პროცესს. მათი თქმით, ეჭვს იწვევს ის, რომ არ არსებობს იარაღის განადგურების დამადასტურებელი ფოტომასალა. მართლა დაყარა თუ არა იარაღი „ირამ“, უახლოეს დროში გამოჩნდება.

***ნიუს რუ***

## ტიმოშენკოს საიდუმლო სტუმრობა



პრემიერობის პერიოდში იულია ტიმოშენკომ ორჯერ დააპირა რუსეთის დედაქალაქში გამგზავრება. პირველად გაზაფხულზე — აპრილში უნდა წასულიყო. საამისოდ ტანსაცმელიც კი შეუკვეთა თავის მოდელიერს. ბოლო წუთს გამგზავრება ჩაიშალა. მეორედ ზაფხულის დასაწყისში მოემზადა, მაგრამ არც მაშინ წასულა. გეშინიათ, რომ დაგაპატიმრებენ? — ეკითხებოდნენ ჟურნალისტები, რაზეც ტიმოშენკო მშვიდად პასუხობდა, — დიდი ხანია არავის და არაფრის არ მეშინია. აუცილებლად წავალ და ვიზიტის შედეგი კოლოსალური იქნებაო.

იულია ვლადიმიროვნა არ შემცდარა. მისი საიდუმლო სტუმრობა მოსკოვში მართლაც შედეგიანი აღმოჩნდა — რფ-ის გენერალური პროკურატურის ოფიციალურ საიტზე გაჩნდა ცნობა: „მოქალაქე ტიმოშენკო ნებაყოფლობით გამოცხადდა დაკითხვაზე, ჩვენება მისცა და ძიებას თანამშრომლობას დაჰპირდა“. ტიმოშენკო აღარ არის საერთაშორისო ძებნაში, მისი დაპატიმრების სანქცია გაუქმებულია.

***კომსომოლსკაია პრავდა***

## ევროკავშირი კრიზისიდან გამოსვლის გზებს ეძებს

ევროკავშირის მოწყობის საკითხი მთელი სირთულით მისი წევრი ქვეყნების წინაშე მაშინ წამოიჭრა, როცა საფრანგეთისა და ნიდერლანდების მოსახლეობის უმეტესობამ მხარი არ დაუჭირა ერთიანი კონსტიტუციის მიღებას.

ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა შვედმა მარგიტ ვალსტრემმა განაცხადა: — ევროკავშირი ზევიდან ქვევით იმართება, უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს ევროპის პოლიტიკური და ინდუსტრიული ელიტის წარმომადგენლები იღებენ. ვფიქრობ, მმართველობა ჰორიზონტალური უნდა იყოს და იდეებიც ხალხმა უნდა მოგვაწოდოსო.

ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსი დარწმუნებულია, რომ ევროკავშირს განვითარებისთვის ახალი იმპულსი სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა დაკნინდება.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის და ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი პარტიის ლიდერის ნ. სარკოზის აზრით, აჯობებს, ევროკავშირის ამჟამინდელი 25 წევრიდან გამოვყოთ 6 ქვეყანა, რომელიც იქნება ორგანიზაციის მუშაობის წარმმართველი. ეს ქვეყნებია: საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ესპანეთი და პოლონეთი. სარკოზი დარწმუნებულია, რომ საფრანგეთ-გერმანიის ტანდემმა, რომელიც აქამდე აძლევდა მიმართულებას ამ მასშტაბურ ორგანიზაციას, თავი ამოწურა.

„რჩეულთა კლუბში“ პოლონეთის, როგორც ევროკავშირის ახალი წევრის, მიღება შეიძლება განპირობებული იყოს ახალ და ძველ წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური წინააღმდეგობების აღმოფხვრის მცდელობით.


ევროკომისიის თავკაცი მანუელ ბაროზუ (შუაში)

***ლენტა რუ***

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი
«მზიური»
აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა
მიღებას პერსონალური კომპიუტერის
შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან V–XI კლასების მოსწავლეები
მის: უზნაძის (ყოფილი კამოს) №70, ტელ: 91-03-17; 95-45-75

## მოკლედ

**უკრაინის** პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო დიდი ბრიტანეთის ახალი ჯილდოს — „საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისათვის გაწეული ღვაწლის“ — პირველი ლაურეატი გახდა. იგი ლონდონის საერთაშორისო ურთიერთობების სამეფო ინსტიტუტმა დააარსა. დაჯილდოების ცერემონია 17 ოქტომბერს გაიმართება ლონდონის მერის რეზიდენციაში. ფიქრობენ, რომ იუშჩენკოს ჯილდოს თავად დედოფალი ელისაბედ II გადასცემს.

**იტალიის** პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი და კომპანია „ფინინვესტის“ რამდენიმე ყოფილი ხელმძღვანელი, რომლებსაც ბრალი ედებოდათ ყალბი საბუღალტრო ანგარიშებით ფინანსურ მაქინაციაში, მილანის სასამართლომ გაამართლა. ეს განაჩენი გამოიტანეს იმის წყალობით, რომ ახლახან ძალაში შევიდა კანონი, რომლის თანახმად, მსგავსი დარღვევა დანაშაულად აღარ ითვლება.

**ვენესუელის** პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ჟურნალ „ნიუზუიქისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: — ვფიქრობთ, მუქარის მიუხედავად, აშშ თავს არ დაგვესხმება. თუ მაინც გადადგამს ამ ნაბიჯს — ინანებს: ნავთობზე ფასი ავარდება, შეიძლება ბარელი 100 დოლარიც კი გახდეს. აშშ-ის მუქარა გვაიძულებს, განვაახლოთ სამხედრო შეიარაღებაო.

**ლატვიის** ხელისუფლებამ ოლიგარქ ბორის ბერეზოვსკის ვიზიტიდან (შეგახსენებთ, რომ რუსეთის გენპროკურატურამ მისი გადაცემა მოითხოვა) ერთი კვირის შემდეგ გადაწყვიტა, რომ ბერეზოვსკი მაინც არასასურველი სტუმარია და ინტერპოლის მიერ ძებნილი ოლიგარქი შავ სიაში შეიყვანა.

**იაპონიის** მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა საფოსტო რეფორმის კანონპროექტი, რომელიც პრემიერ-მინისტრ ძიუნიტარო კოიძუმის მიერ შეთავაზებული სტრუქტურული ცვლილებების საფუძვლად ითვლება. პროექტი პარლამენტს გადაეცა განსახილველად. პრემიერმა დეპუტატებს გააცნო ეკონომიკური რეფორმები, რომელიც არჩევნებში ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვების შემდეგ ჩატარდება.

**პოლონეთის** საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა „კანონისა და სამართლიანობის“ პარტიამ, რომელსაც ტყუპი ძმა — იაროსლავ და ლეხ კაჩინსკები ხელმძღვანელობენ. უკვე დაიწყო მოლაპარაკება მთავრობის შემადგენლობასთან დაკავშირებით. მას სავარაუდოდ, იაროსლავ კაჩინსკი ჩაუდგება სათავეში. ლეხ კაჩინსკი კი საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება, რომელიც მალე გაიმართება პოლონეთში.

**ჩილელი** განძის მაძიებლები ირწმუნებიან, რომ იპოვეს დაახლოებით 10 მლრდ დოლარად შეფასებული ინკების განძი. ოქროს მონეტებითა და ძვირფასი ქვებით სავსე 600 კასრი კუნძულ რობინზონ კრუზოზე, მიწაში 15 მეტრზეა ჩაფლული. განძი კუნძულზე, დაახლოებით 1715 წელს, ესპანელი მოგზაურის ხუან ესტებან უბილას ექსპედიციის მიერ უნდა იყოს ჩამარხული. საგანძური ჯერ არ ამოუთხრიათ — რობოტის საშუალებით გაარკვიეს მისი ადგილმდებარეობა. გასულ წლებშიც არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია განძის პოვნის თაობაზე, მაგრამ არ დადასტურდა.

**მოწყალების** საერთაშორისო ორგანიზაციის სიმბოლოებს — წითელ ჯვარსა და წითელ ნახევარმთვარეს მალე ახალი ნიშანი — რომბი დაემატება. ჯვარი ქრისტიანობის სიმბოლოა, ნახევარმთვარე — ისლამისა, ამიტომ ამ მოძრაობაში სხვა რელიგიების აღმსარებელნი არ მონაწილეობენ. მაგალითად, ისრაელის ჰუმანიტარული ორგანიზაცია „მეგენ დავითი“ მასში მონაწილეობაზე მხოლოდ სიმბოლოების გამო ამბობს უარს. ისრაელის თაოსნობით, შეიქმნა ახალი სიმბოლო-ნიშანი, რომელიც მისაღებია არაქრისტიანული და არაისლამური კონფესიებისთვის და მათში არავითარ რელიგიურ და ნაციონალურ ასოციაციებს არ იწვევს. ეს გახლავთ ნეიტრალური რომბი. წითელ ჯვარსა და ნახევარმთვარეზე ახალი სიმბოლოს, რომბის დამატების საკითხი მალე ჟენევის კონვენციაში მონაწილე ქვეყნების კონფერენციაზე გადაწყდება.



***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

ფირმა „გარანტი“ აწარმოებს
ბრტყელი სახურავების
ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს
15 წლის საგარანტიო ხელშეკრულებით.
☎36-11-28; 899-11-30-14

შპს „გეოკორი“ აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს
სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

„ტრანსცენტრის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

# წელს კიდევ ერთი მძიმე ზამთარი გველის?



**უკვე 15 წელია, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა უსიამოვნო მოლოდინით ხვდება მოახლოებულ ზამთარს. ისე შევეჩვიეთ მუდმივ ენერგოკრიზისს, რომ იგი ალბათ ქართული ზამთრის დამახასიათებელ თვისებადაც გამოდგებოდა. იქნება თუ არა სასიამოვნო გამონაკლისი წლევანდელი წელი?**

**ნიკა გილაური,** ენერგეტიკის მინისტრი:

— ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქვეყნის ენერგოსექტორში იმაზე მეტი სარეაბილიტაციო სამუშაოები განვახორციელეთ, ვიდრე უკანასკნელი 15 წლის მანძილზე. 5 ოქტომბრისთვის მოხდება თბილისის მე-3 ენერგობლოკის ჩართვა, ხოლო 20-25 ოქტომბერს ქვეყნის ენერგოსისტემას მე-4 ენერგობლოკიც შეუერთდება. მაქსიმალურად შევეცადეთ აგვემუშავებინა ადგილობრივი ჰიდრორესურსები, რაც საშუალებას გვაძლევს, სიმძლავრეები 450 მეგავატამდე გავზარდოთ. განახლდა კავკასიონის ხაზიც, მისი ხელახალი დაზიანების შემთხვევაში კი სარეზერვო ვარიანტად განიხილება აზერბაიჯანიდან პარალელურ რეჟიმში მუშაობა. მართალია, საკმარისი ჰიდრორესურსები გაგვაჩნია საიმისოდ, რომ ჰიდროსისტემა მთელი სიმძლავრით დავტვირთოთ და წელს მოსახლეობა 24-საათიანი ელექტრომომარაგებით უზრუნველვყოთ, მაგრამ ჩვენი ენერგოსისტემა იმდენად ამორტიზებულია, რომ ავარიებისგან დაზღვეული არც წელს ვართ. რა თქმა უნდა, მე-3 და მე-4 ენერგობლოკები 3-4 დღით წელსაც გაჩერდება... ამრიგად, ამ ზამთარს 24-საათიანი რეჟიმით ვერ ვიმუშავებთ, მაგრამ სისტემას ისეთი ფორმატისთვის მოვამზადებთ, რომ 2007 წლის ზამთარში მაინც უზრუნველვყოთ მოსახლეობა უწყვეტი ელექტრომომარაგებით...

როგორც ამბობენ, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო! თავის დროზე დაპირებული 24-საათიანი ელექტროენერგია საპნის ბუშტივით სკდება. კარს მომდგარი ზამთარი კი მოსახლეობას ალტერნატიული ენერგორესურსების მოძიებას აიძულებს, მით უფრო, რომ წელს ნავთობპროდუქტების გაძვირების გამო, ნავთქურა გამოსაზამთრებლად აღარ გამოდგება. ამას ემატება ისიც, რომ ბოლო დროს განსაკუთრებით გამკაცრდა ხეტყის ჭრა, რამაც ადეკვატურად გაზარდა ფასები შეშაზე. ამრიგად, გვრჩება მხოლოდ ერთი — ენერგეტიკული რესურსი ბუნებრივი აირის სახით, რომლის გაძვირებასაც უახლოეს მომავალში რუსეთი გვპირდება.

ენერგეტიკის მინისტრის თქმით, — გაზის ტარიფის ზრდაზე ლაპარაკი ნაადრევია. ამ ეტაპზე ჩვენი მუშა ჯგუფი მოლაპარაკებებს აწარმოებს „გაზპრომთან“ და „გაზექსპორტთან“. მოგეხსენებათ, რომ დღემდე ამ კომპანიებთან მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტების პრაქტიკა არსებობდა, ჩვენ კი გვსურს უფრო გრძელვადიანი ხელშეკრულებები გავაფორმოთ მათთან. ამჟამად, მუშაობა მიმდინარეობს ვალების გადახდის გრაფიკის გაწერაზე (მათ შორისაა, „თბილგაზის“ დავალიანება „გაზპრომის“ წინაშე) და გაზის ტრანზიტის უსაფრთხოებაზე. მართალია, იმის შესახებაც საუბრობენ, რომ რუსეთი თავის გაზს უძვირებს დსთ-ის ქვეყნებს, თუმცა გარწმუნებთ, რუსული კომპანიების გარდა, გაზის მოწოდების თაობაზე მოლაპარაკებებს ყაზახურ კომპანიებთანაც ვაწარმოებთ.

დამოუკიდებელ ექსპერტებს ადრეც არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის ეფექტიანი იქნებოდა სახელმწიფოს გაზსაცავების მშენებლობაზე ეფიქრა. სტრატეგიული მარაგი კი სახელმწიფოს შეუქმნის იმის პირობას, რომ გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაზსაცავიდან უზრუნველყოს მოსახლეობის გაზმომარაგება. ექსპერტები ასევე აღნიშნავენ, რომ მსგავსი მიდგომა საშუალებას მოგვცემს ზაფხულში ჭარბი და იაფი გაზი საცავში დავაგროვოთ, რაც ეკონომიკური მოგების მომცემიც იქნება. მათივე ინფორმაციით, გაზსაცავი ყველა წამყვან ქვეყანას გააჩნია, ასევე, მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთსაც.

**ნიკა ვაშაკიძე,** საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი:

— საქართველოში გაზის სტრატეგიული მარაგების შექმნის იდეა დიდი ხანია არსებობს. ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით, ბუნებრივი აირის ნებისმიერი იმპორტიორი ქვეყანა ცდილობს შექმნას ასეთი მარაგები, რათა თავი დაიზღვიოს ენერგომომარაგების გაუთვალისწინებელი შეწყვეტისგან ან სხვადასხვა მოულოდნელობებისგან. ამ მხრივ თუ განვიხილავთ ჩვენი ქვეყნის მაგალითს, მიმდინარე მოვლენები გვიჩვენებს, რომ ბუნებრივი აირის სარეზერვო მარაგების შექმნის იდეა არცთუ შეუსაბამო წამოწყება გახლავთ. საქართველო 100%-ით იმპორტირებულ ბუნებრივ აირს მოიხმარს. სწორედ ამ მიზეზის გამო გვაქვს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან გაზმომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემები. ამდენად, ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით, ასეთი გაზსაცავის არსებობა აუცილებელია. მით უმეტეს, რომ მსოფლიოში ამის მრავალი მაგალითი არსებობს. გაზსაცავებს იყენებენ, როგორც მთლიანად ევროპის ქვეყნებში, ისე მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანშიც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენმა უწყებამ, „საქნავთობმა“ და გაზის საერთაშორისო კორპორაციამ დავიწყეთ ერთობლივი მუშაობა, თუ სად და როგორ აშენდება გაზსაცავი. მართალია, ასეთი პროექტის განხორციელება დიდ ინვესტიციებს მოითხოვს, მაგრამ ჩვენ გვაქვს ხელსაყრელი უპირატესობა. კერძოდ, რუსთავისა და ნინოწმინდის მახლობლად არსებობს მიწისქვეშა ქანებს შორის წარმოშობილი ბუნებრივი სიცარიელეები, რაც გაზსაცავის ფუნქციას შეასრულებს. რა თქმა უნდა, ამ ქანებს სჭირდება სპეციალური შესწავლა, რათა მოხდეს რეზერვუარის ჰერმეტულობის ხარისხის დადგენა და გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარება. სავარაუდო მონაცემებით, ასეთ გაზსაცავში ჩვენ შევძლებთ იმდენი ბუნებრივი აირის შენახვას, რაც მოულოდნელი ენერგოდეფიციტის შემთხვევაში დაახლოებით ერთთვიან მარაგს ნიშნავს. უკვე დგინდება, რომ ბუნებრივი აირის შესყიდვაზე დაწესდება სეზონური ტარიფები. ეს საშუალებას მოგვცემს ზაფხულში, ბუნებრივი აირის ნაკლებმოხმარების პერიოდში, იაფად შევიძინოთ გაზი, შევინახოთ იგი საცავში და გამოვიყენოთ დეფიციტის შემთხვევაში.

**— რა თანხა დაჯდება და ვინ ააშენებს გაზსაცავს?**

— ჯერჯერობით ამ საკითხზე აქტიურად ვმუშაობთ და ინვესტიციის ზუსტი ოდენობა დადგენილი არ არის, თუმცა სავარაუდო მონაცემებით, გაზსაცავის მშენებლობა 40-80 მილიონი დოლარი დაჯდება. კერძო ინვესტიციების მოზიდვა არ გაგვიჭირდება, თუმცა არ გამოვრიცხავთ სახელმწიფოს წილობრივ მონაწილეობასაც. აღნიშნულ საკითხზე ინფორმირებული არიან ქვეყნის პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი. მეტიც, გაზსაცავების მშენებლობა ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული განვითარების გეგმაშია წარმოდგენილი და ერთ-ერთ პრიორიტეტადაა მიჩნეული. ასე რომ, სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი დახმარების იმედი გვაქვს. ამ ეტაპზე სამუშაო პროცესი აქტიურად მიმდინარეობს და ვვარაუდობთ, რომ გაზსაცავების მშენებლობა ერთ წელიწადში დაიწყება.

*ემა ტუხაშვილი*
*თემურ კაციაშვილი*

# „მივმართე სააკაშვილს, რომ მურადხანოვი გვერდში არ დაეყენებინა“

## „ეს კაცი ბაქოში ანტიქართულ განცხადებებს აკეთებს“

**(დასაწყისი იხ. გვ. 11)**

**— ვახტანგისში რა მოხდა?**

— ეს არ არის მარტო ვახტანგისის პრობლემა. წლების განმავლობაში ხალხი თავისუფლად პარპაშს შეაჩვიეს. დაუბრკოლებლად გადმოჰქონდათ კონტრაბანდული საქონელი. ახლა კი რაღაც პირობებს უყენებენ და მოქმედების არეალს უზღუდავენ. ცხადია, უკმაყოფილო არიან.

**— მაშ რა ვქნათ, თავის ნებაზე მივუშვათ და კონტრაბანდის თუ ნარკოტიკების შემოტანის ნება დავრთოთ?**

— ამას არ ვგულისხმობ. აზერბაიჯანელებს ეუბნებიან, რომ სახელმწიფო პირადად მათ ებრძვის და არა კონკრეტულ დანაშაულს. ამავე დანაშაულს იმერეთშიც ებრძვიან და კახეთშიც, მაგრამ ქვემო ქართლში ეს ნაკლებად იციან. ისინი ინფორმაციას აზერბაიჯანის ტელევიზიიდან იღებენ(?!). ამდენად ფიქრობენ, რომ სახელმწიფო მხოლოდ აზერბაიჯანელ ნავთობბარიგებს, კონტრაბანდისტებსა და სხვა დამნაშავეებს ებრძვის. ამიტომაც არის სიცოცხლისუნარიანი იდეა, რომ აზერბაიჯანელთა მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა ავტონომიის შექმნა. ერთმა იქაურმა თანამდებობის პირმა მითხრა: ჩვენ გამოყოფა კი არ გვინდა, მოთხოვნებს ვუყენებთ ქვეყანას და თუ არ დაგვიკმაყოფილებს, იმ შემთხვევაში მოვითხოვთ ავტონომიასო(?!).

სულ მეგონა, ფონიჭალაში წესრიგის დამყარება შეუძლებელი იქნება-მეთქი. თურმე შეიძლება. ასე რომ, რაც გაკეთდა ფონიჭალაში, სხვაგანაც შეიძლება მოხდეს. ეს ხალხი უნდა დავარწმუნოთ, რომ თუ კრიმინალს ვებრძვით, ისევ და ისევ მათი კეთილდღეობისათვის. აზერბაიჯანელები ფიქრობენ: როცა ქართველი კანონს არღვევს, მას ვერაფერს ეუბნებიან. აზერბაიჯანელს კი, რადგან კანონმორჩილია, დაჩაგრავენ და ყველაფერს წაართმევენო. ამ დღეებში თბილისში ჩამოსული იყო მსოფლიო აზერბაიჯანელთა კონგრესის თავმჯდომარე ნაზიმ იბრაჰიმოვი. მურადხანოვის განცხადებებისგან განსხვავებით, მან კონსტრუქციულად იმსჯელა აქაურ პრობლემებზე და მათი გამოსწორების გზებზე. აზერბაიჯანელ მოსახლეობას ყველაზე მეტად ერთი რამ აწუხებს და მართალიცაა: სომხებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში გამგებელი, პროკურორი, პოლიციის უფროსი თუ სხვა თანამდებობის პირები სომხები არიან. ასე არ არის აზერბაიჯანულ რაიონებში. ეს კიდევ უფრო უწყობს ხელს უნდობლობის დამკვიდრებას. ახლა, რაც შეეხება კონტრაბანდასთან ბრძოლას. იბრაჰიმოვმა ამ საკითხზეც ისაუბრა და კონგრესის მონაწილეებს სთხოვა, აეხსნათ აზერბაიჯანელებისთვის, რომ კონტრაბანდის გადმოტანა დანაშაულია და აუცილებელია სახელმწიფო ბაჟის გადახდა. ამას კი აუხსნი, მაგრამ ჩვენც ბევრ რამეში რომ ვცოდავთ? ამას წინათ ლილოს ტერმინალში ვიყავი, „ოპიზაში“ ისეთი ამბები ხდება, ვერც წარმოიდგენთ.

**— მაინც რა ხდება?**

— საქართველოში აზერბაიჯანელთა დაჩაგვრა და აბუჩად აგდება თუ სადმე ხდება, სწორედ „ოპიზაში“ ხდება. აზერბაიჯანელებმა, რომლებიც თავიანთ რიგს ელოდებოდნენ, შემომჩივლეს: თუ გვეკუთვნის ათასის გადახდა, ხუთი ათასი უნდა გადავიხადოთ. როცა გაბედავ და იკითხავ, რატომ მახდევინებთ ამდენსო, გპასუხობენ: არ იცი, ეს ფული ქვემოდან ზემოთ რომ მიდისო? ეს ერთი მიზეზი. მეორე — იმიტომ უნდა გადაიხადო, რომ თათარი ხარო(?!). არ გადაიხდის და ჩაულპება საქონელი განბაჟების ლოდინში. ესეც არის უკმაყოფილების კიდევ ერთი წყარო. თუ რამე ატყდა, მერე თავში ცემა ველარ გვიშველის. ძველ ხელისუფლებას ვთხოვდი და ახლაც იმავეს გავიმეორებ: მიხედონ ქვემო ქართლს, ნუ გამოიყენებენ ხალხს მარტო ხმების მოსაპოვებლად! იქ უნდა გატარდეს მკაცრი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ ჩვენკენ შემოაბრუნებს აზერბაიჯანელ მოსახლეობას...

ამირან ხურციასთან საუბრის შემდეგ გადავწყვიტეთ ქვემო ქართლის რომელიმე რაიონს ვწვეოდით და იქაურებისგან მოგვესმინა, რა აწუხებთ. მეგზურობა ჩემს მეგობარ აზერბაიჯანელს, თბილისელ ჯალალ ალიევს ვთხოვე. მითხრა: სიამოვნებით წაგყვები, მარნეულში ნათესავები მყავს, მაგრამ შენ რაც გინდა, იმის გაგება ძნელი იქნება. მით უმეტეს, ჟურნალისტს არავინ არაფერს ეტყვისო.

ჩავედით მარნეულში. ჩემი მეგზურის პროგნოზი ახდა. ავტონომიაზე კრინტი არავის დაუძრავს, სამაგიეროდ, კიდევ ერთხელ მოვისმინე ნადირ-შაჰის მიერ მიწების გაჩუქების ამბავი (ეს ძველი ბორჩალოა, რომელიც თქვენს მეფეს გამყიდველმა ნადირ-შაჰმა აჩუქაო(?!). მათთან ისტორიის საკითხებზე დავა არც მიცდია. ჯერ ერთი, ამისთვის არ ვიყავი ჩასული, თანაც ისე აქვთ გამჯდარი ეს აზრი, ჟურნალისტი კი არა, ისტორიის სპეციალისტებიც ვერ გადაათქმევინებენ. რაც შეეხება სხვა პრობლემებს, მათაც იგივე აწუხებთ, რაც სხვაგან მცხოვრებ გლეხებს: დაბალი სოციალური დონე და დაუსაქმებლობა. მთავარი პრობლემა მაინც მიწის საკითხია. ადრე, კოლმეურნეობების არსებობის დროს, მიწები ასე თუ ისე თანაბრად იყო განაწილებული. კარგა ხანია კოლექტივი წარსულს ჩაჰბარდა, მიწები კი ორმა-სამმა შეძლებულმა აზერბაიჯანელმა ჩაიგდო ხელში. ბევრს კი მწვანილის მოსაყვანი მიწაც არ აქვთ.

„ასე არ მოხდებოდა, მთავრობაში აზერბაიჯანელები რომ ყოფილიყვნენ“, — გვითხრა ერთმა-ერთმა. როცა ვუთხარით, აზერბაიჯანელები მთავრობაშიც არიან და პარლამენტშიცო, გაეცინა, — სწორედ ამ ხალხმა ჩაიგდო ყველაფერი ხელშიო. ჩვენმა თანამოსაუბრემ ამ პირების გვარების დასახელებაზე სასტიკი უარი განაცხადა. რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ, რომ ერთ მშვენიერ დღეს დილემის წინაშე არ აღმოჩნდეს? საამისოდ საჭიროა სწორი, გეგმაზომიერი პოლიტიკის გატარება. ქვეყნის ძლიერება არ ნიშნავს ერთი, კონკრეტული ხელისუფლების დროს მიღწეულ სტაბილურობას. საქართველოს ისტორიაში არსებობს ამის მაგალითი, როცა ამა თუ იმ სიტუაციის გამწვავებისთანავე სტაბილურობა ხუხულასავით იშლებოდა და ქვეყანა ქუცმაცდებოდა. ისტორია ხშირად მეორდება, ამიტომ არის საჭირო წარსულის შეცდომების გათვალისწინება. ქვეყანა მაშინ არის სახელმწიფო, როცა მძლავრი იდეოლოგიური ბაზა აქვს და მაშინაც კი, თუკი მისი ხელისუფლება კრიზისულ ფაზაში შედის, ქვეყნის მთლიანობას არაფერი ემუქრება. სამწუხაროდ, ამჟამად სატრაბახო ძალიან ცოტა გვაქვს. ანტიქართული სპეცსამსახურები ძალღონეს არ იშურებენ საქართველოს ზოგიერთი რეგიონის სეპარატისტული გამოვლინებების გამოსაყენებლად (ასე იყო ისტორიულად). ყველამ უნდა იცოდეს, რომ ქვემო ქართლიც, სამცხე-ჯავახეთიც, სამაჩაბლოც და აფხაზეთიც საქართველოს ორგანული ნაწილია და ქვეყნის ერთიანობა სულაც არ არის დამოკიდებული იმ მომენტში ხელისუფლების სიძლიერეზე თუ სისუსტეზე. თუ ვინმე ასეთი სეპარატისტული აზროვნების ხელშეწყობას ახდენს, მას ნამდვილად სჭირდება საზოგადოებისგან იზოლაცია.

**P.S.** აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შევეცადეთ კომენტარი პარლამენტში ქამალ მურადხანოვისგან მიგვეღო. თუმცა არაერთგზის ცდის მიუხედავად ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. კიდევ ერთი აზერბაიჯანელი დეპუტატი ალახვერდი უმბათოვი ამბობს, რომ მისთვის უცნობია, რა ბრალდებებს უყენებს ამირან ხურცია აზერბაიჯანელ დეპუტატს და ამ ეტაპზე თავს იკავებს წერილში გამოთქმული მოსაზრებების პოლიტიკური შეფასებებისგან. „კვირის პალიტრა“ უახლოეს მომავალში ისევ აპირებს ამ თემის გაშუქებას და პირველ რიგში ეს მიწის საკითხს ეხება. არსებობს აზრი, რომ ეს მიწები მთლიანად მალალჩინოსნებმა მიისაკუთრეს.

*დავით დევიძე*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,7900 |
| ევრო | 2,1505 |
| გირვანქა სტერლინგი | 3,1470 |
| რუსული რუბლი | 0,0627 |
| თურქული ლირა (1*) | 1,3264 |

* 2005 წლის 1 იანვრიდან თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა მოახდინა თურქული ლირის დენომინაცია და 1.000.000 თურქული ლირა (TRL) გაუტოლდა 1 ახალ თურქულ ლირას (TRY)

თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge



მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯარა და ვიტრაჟი
საუკეთესო ხარისხის
სამ და ოთხკამერიანი
ყველაზე რეალური ფასები
38-37-47 899-17-70-80
იოსებიძის ქ. №49

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. შემოქმედებითი სამზარეულო



ერთი „აბეზარი“ ჟურნალისტი ცნობილ მწერალს, ოტია იოსელიანს ეკითხება: — ონორე დე ბალზაკი მუშაობისას 40 ჭიქა ყავას სვამდა, ბატონო ოტია, როგორია თქვენი შემოქმედებითი სამზარეულო?

მწერალმა ყალიონი გააბოლა და უპასუხა: — კიდო დიდხან უცოცხლია იმ გაჭირვებულს. რაც შეეხება ჩემს შემოქმედებით სამზარეულოს, ცხელ წყალში ფეხების ჩაწყობა მიყვარს ძალიან, — ბატონმა ოტიამ, როგორც ჩანს, ნათლად წარმოიდგინა ეს პროცესი, — უჰ, უჰ... სრული ნეტარებაა!

***ემზარ ფრუიძე, წყალტუბო***

## 2. უნიჭო ინჟინერი



ეს ამბავი ჩვენს სოფელში მოხდა. კომუნისტების დროს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი თავისი მკაცრი დისციპლინით და ორგანიზებულობით შიშის ზარს სცემდა ყველა თანამშრომელს. დირექტორმა მთავარ ინჟინერს დაავალა ეზოში ახალი ტუალეტის აშენება. ინჟინერმა დავალება შეასრულა, მაგრამ არცთუ ისე ხარისხიანად (დასაჯდომი ხვრელი კედელთან ძალიან ახლოს იყო ამოჭრილი). დილით თათბირზე გაბრაზებულმა დირექტორმა ინჟინერს მკაცრად უყვირა:

— რა გიქნია, კაცო, როგორი ტუალეტი აგიშენებია, ვერაფრით მოვერგე, თუ თავი არ გქონდა, ტ...ი ხომ მაინც გქონდა, ვერ მოაზომეო?

ამის თქმა იყო და დარბაზმა სიცილით იხუვლა. თათბირის მონაწილეები დიდხანს ვერ დაწყნარდნენ. ყველასთან ერთად დირექტორიც იცინოდა.

***მურად ლონლაძე, დაბა ქვიშხეთი***

## 3. რაღა დააძინებდა



ერთ დილით ჩემი ძმაკაცი საბა ბირჟაზე ჩვეულებრივზე გვიან გამოცხადდა. თან წამდაუწუმ ამთქნარებდა:

— რა მოგივიდა, წუხელ არ გეძინა? — ვკითხეთ ძმაკაცებმა.

— რას დავიძინებდი, მაგის დედაც ვატირე, ყველა ჩვენ როგორ უნდა გვატყუებდეს! — წამოიძახა გაბრაზებულმა საბამ და დასძინა, — წუხელ მოვემზადე ფილმის საყურებლად. „ფსიქოში“ გვახარიამ გამოაცხადა, რომ ფილმში მონაწილეობდნენ სულ ტიტვლები. ფილმის ბოლომდე ეკრანისთვის თვალი არ მომიცილებია, მაგრამ მე იქ შიშველ-ტიტველი არავინ მინახავს!..

თურმე საბას გოგი გვახარიას ნათქვამი „სუბტიტრები“, სულ ტიტვლებად გაუგონია, ჰოდა, აბა, რაღა დააძინებდა.

***ე. ხაჩიძე, ხაშური***

## 4. მამის შეგინება



ერთი მეგობარი მყავდა (აცხონოს ღმერთმა მისი სული), რომელსაც მთელი ქალაქი იცნობდა ვაჟკაცობითაც, თამადობითაც, იუმორითაც...

სწორედ მასთან ერთად გვარიანი შექეიფიანებული ვბრუნდებოდი შინ საღამოჟამს. მთავარი ქუჩიდან ჩვენს მყუდრო ქუჩაზე რომ შემოვუხვიეთ, მოთამაშე ბავშვებს მისი უმცროსი ბიჭი გამოეყო და ღრიალით გამოენთო ჩვენკენ.

— რა იყო, რა მოგივიდა?! — ღიმილით და დაყვავებით მიმართა ჩემმა მეგობარმა.

— მამი, ჩვენს ქუჩაზე ვილაც ბიჭი მანქანით გოგონებს ასეირნებს. ბიჭებმა ქვებით გადაუკეტეს გზა, მერე რომ გამოჩნდა, ისინი გაიქცნენ, მე არ გავქცეულვარ, მე ხომ არ დამიწყვია ქვები... ის ბიჭი კიდევ გადმოვიდა მანქანიდან, ქვები გადაალაგა და მე შემაგინა — შენ მამას შ.....ო. ცემე, მამა, რა, ცემე! — თან ღრიალებდა და თან დაწვრილებით აგვიხსნა მომხდარი.

— ნუ ტირი ახლა, ვაჟკაცი არ ხარ? ისე, დედას შეგაგინებდა და კარგად ვერ გაიგონებდიო, — „დაამშვიდა“ ბიჭი.

— არა, მამა შემაგინა, მამა! — გაჰყვიროდა გულამომჯდარი პატარა.

როგორც ჩანს, იგი სწორედ იმიტომ ტიროდა, რომ მამა შეაგინეს, თორემ დედის გინება არ გაუკვირდებოდა!

— კარგი, კარგი, კიდევ გამოივლის და გავლახავ, აბა, რას ვიზამ! — დააიმედა და სწორედ ამ დროს შემოუხვია მანქანამ ჩვენს ქუჩაზე.

— ეგ არის, ეგ არის! — სიხარულით ხტუნავდა ბიჭი.

ჩემი მეგობარი ასეთ შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდა! მანქანას წინ გადაუდგა და გააჩერა. საჭესთან 17-18 წლის ბიჭი იჯდა, სალონში გოგონები ჩაყუჟულიყვნენ. ჩემმა მეგობარმა მანქანის კარი გამოაღო, თითი მძღოლისკენ გაიშვირა და ატირებულ ბავშვს ჰკითხა, ამან შეგაგინა მამა?

— მაგან შემაგინა, მაგან! — ტირილითა და სამაგიეროს გადახდის მოლოდინით აღტაცებულმა მიუგო ბიჭმა. ჩემი მეგობარი ახლა მძღოლს მიუბრუნდა:

— ამ ბავშვს დედა არ ჰყავს, მამას რომ აგინებ? რა დაუწუნე შენ ამის დედას, მე შენიო... და იმისთანა ლეწა იმ საწყალ „კავალერს“, რომ ლამის საზურგე გადაამტვრევინა.

კიდევ კარგი, უბნის ქალები ქუჩაში იყვნენ გამოფენილი, თორემ მე მარტო მისი დამკავებელი არ ვიყავი.

იმავე დღეს მთელმა ქალაქმა გაიგო ეს ამბავი და ანეკდოტივით უყვებოდნენ ერთმანეთს. ამ ამბის ფინალიც არანაკლებ კურიოზულია: იმ გალახულის მამამ იჩივლა თურმე და სამართალდამცველები ისე ჩაბჟირებულან, დაკითხვის ოქმი ვერ დაუწერიათ.

***ზურაბ ცუცქირიძე, ხაშური***

## გამოვლინდა კურიოზების კონკურსის სექტემბრის თვის სამი გამარჯვებული

პირველი ადგილი და პრემია — 50 ლარი წილად ხვდა თბილისელ **თეიმურაზ ვარდოსანიძეს** კურიოზისთვის **„მართლა კურიოზი“**.

მეორე ადგილზე **რომან ზუკაკიშვილია** (საგარეჯო, სოფ. პატარძეული) კურიოზით — **„ბავშვია თუ“...** იგი მიიღებს პრემიას — 30 ლარს.

ხოლო მესამე ადგილი და პრემია — 20 ლარი დაიმსახურა თბილისელმა **კონსტანტინე თალაკვაძემ** კურიოზით **„ქუთაისური ამბავი“**.

პრიზიორებს ვულოცავთ გამარჯვებას და პრემიების მისაღებად ველით რედაქციაში ხუთშაბათს, 6 ოქტომბერს, 17 საათზე.

კურიოზების კონკურსი გრძელდება და მასში მონაწილეობის მიღება ყველა მკითხველს შეუძლია.



5. მიხო მარტო ზის რესტორანში. ჯიბიდან იღებს სურათს, დახედავს, უკვეთს ოფიციანტს ორმაგ კონიაკს. ასე გაიმეორა მრავალჯერ. ბოლოს გაკვირვებული ოფიციანტი ეხვეწება, — ოღონდ ეგ სურათი მაჩვენე და მითხარი, ყოველ დახედვაზე რატომ სვამ ამდენ კონიაკს და არაფერს გადაგახდევინებო.

მიხომაც ამოიღო შეუხედავი ქალის სურათი და ეუბნება, — ესა ჩემი ცოლის სურათია, სიმთვრალეში შემომაპარეს. ჰოდა, ყოველი დალეული ჭიქის შემდეგ დავყურებ. როცა მომეწონება, წავალ მერე სახლში!!!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***



**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ____________

______________________________

თქვენი სახელი, გვარი

**კვირის პალიტრა №40**

**ყურადღება!**

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას. ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 5 ოქტომბრის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 6 ოქტომბრის 13 საათამდე.*




## © ფოტოანტიკვარი

„ფოტოანტიკვარის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ მორიგ ფოტოს არც ამჯერად გაუჩენია დიდი თავსატეხი მკითხველისთვის. ვერც ბენდენამ „შეაცდინა“ და ვერც ბიჭუნას ხშირმა თმამ...

როგორც ჩანს, საკმაოდ პოპულარული ყოფილა არცთუ ისე დიდი ხნის წინ გადაღებული კლიპი, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მაგისტრალზე „დატრიალებულ მძაფრსიუჟეტიან დრამაზე“ მოგვითხრობს. ამ დრამის მთავარი პერსონაჟი, აზერბაიჯანულ ენასაც რომ მშვენივრად „ფლობს“, ტრიუკების ოსტატიც არის და არაფრით ჩამორჩება თვით ლეგენდარულ ჯეიმს ბონდსაც, სწორედ ჩვენი „ფოტოანტიკვარის“ გმირი გახლავთ. ჯეიმს ბონდივით ისიც აგენტია, ოღონდ არა 007, არამედ 0013!

ასე რომ, მკითხველთა 96%-მა შეუცდომლად დაასახელა მომღერალი **დათო გომართელი**! რამდენიმე მკითხველმა გია გაჩეჩილაძეს (უცნობი) მიანიჭა „უპირატესობა“. ერთმა მკითხველმა კი მომღერალ „აგენტად“ რატომღაც პარლამენტარი კობა დავითაშვილი წარმოიდგინა(!).



**დათო გომართელი 3 წლის**

ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი

## მილოცვა

**სალომე რუხაიას!**

გილოცავ ცოდნის ტაძრის – უმაღლესი სასწავლებლის კარის შეღებას. ვისურვებდი, აგსრულებოდეს შენი ოცნებები, დაგბედებოდეს ჰიპოკრატეს ფიცის პრინციპებისადმი ერთგულება.

*პატივისცემით,*
*მალხაზ ხელაია ოჯახით*

ჩვენო **მიშიკო**, გილოცავთ დაბადების დღეს, 6 ოქტომბერს. გისურვებთ დღეგრძელობას, ულევ სიხარულს, ლაღ და ბედნიერ მომავალს. გაიზარდე სასახელო ბიჭი.

*დიდი სიყვარულით, მამიდები, ბიძები და მამიდაშვილები*

## მადლობა

მადლობა „სასწრაფო დახმარება 03"-ის ექიმს – **სილვა ლართბოვას** და მის მედდას **მარინა რთველაძეს** იმ ოპერატიული მოქმედებისა და გულისხმიერებისთვის, რაც მათ გამოიჩინეს ჩემი მეუღლის მიმართ. ქალბატონმა სილვამ ნამდვილი, ექიმისთვის დამახასიათებელი პროფესიონალური მოხერხებულობით, ინფარქტგადატანილი ავადმყოფი, სწრაფად გამოიყვანა მდგომარეობიდან და გულთბილი საუბრით მომავლის იმედიც კი ჩაუსახა გულში.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი ყველგან და ყოველთვის.

*პატივისცემით, მერი და რეზო ჭავჭანიძეები*

## ბინები

იყიდება ბათუმში, 5-ოთახიანი, 145 კვ მ ფართის, უცხოვრებელი, მაღალჭერიანი ბინა 1(5), მაღალ ბელეტაჟზე, სარდაფით – 30 კვ მ, კაფელში ჩასმული, ახალი ევრორემონტით. მის: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. ზღვიდან 20 მეტრში, ბულვარის წინ. ტელ: 877 47-66-12; 893 67-36-83

## ქირავდება

საოფისე ფართი ავეჯით, (20+10) ორი ოთახი რემონტით, ტელეფონით, გისოსებით, 161-ე სკოლის წინ. ფასი $250. მის: იოსებიძის №53. ტელ: 38-77-58; 899 168-168

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, au-pair პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისში)

გვჭირდება განათლებული ადამიანები ოფისში თანამშრომლობისათვის. სამუშაო კონტრაქტითაა. მსოფლიოში საუკეთესო მუშაკებს, შანსი ეძლევათ ყოველ 3 თვეში უფასოდ წასვლისა საზღვარგარეთ, სამუშაოდ ან სტაჟირებით (კომპანიის პროფილით). გამომუშავება – ყოველდღიური, თვეში – საშუალოდ 300-600 ლარი. მიმდინარეობს შერჩევა. ფირმის საერთაშორისო მენეჯერი ბ-ნი დიმიტრი. მის: „სამთო ქიმია", I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 899 76-68-50

მსოფლიო სავაჭრო ცენტრს ესაჭიროება თანამშრომლები ადგილობრივი კადრებიდან, ასაკი შეზღუდული არ არის. გვაინტერესებს წარმომადგენლები რეგიონებიდანაც. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანის დასაქმება. ანაზღაურება მაღალია. მის: ვაჟა-ფშაველას №16, მშენებლობის სამინისტროს შენობა, მე-13 სართ. ოთახი №17, „დ" კლუბი. ეკითხეთ გოჩა (13-17 სთ. კვირის გარდა). ტელ: 893 75-67-55; 893 33-18-86; 52-44-10

ექიმების საყურადღებოდ! უცხოური კორპორაცია იწვევს სათანამშრომლოდ გამოცდილ ექიმებს მედკონსულტანტად. ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 31-42-53; 899 31-42-53

ტრანსნაციონალური კომპანია ქართული სექტორის გახსნასთან დაკავშირებით, იწვევს საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონე პირებს ოფისში სამუშაოდ. შერჩევა მიმდინარეობს კონკურსის წესით. ჩაწერა წინასწარ, შემდეგ ტელეფონებზე: 33-59-27; 99-64-71; 899 98-19-52

რკინის საამქროში სამუშაოდ გვესაჭიროება პროფესიონალი ხელოსნები. ტელ: 95-38-11

## მომსახურება

ვაწარმოებთ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, აგრეთვე ვამზადებთ სამზარეულოებს, კარადებს და საოფისე ავეჯს, ლამინირებული ДСП-სგან. ტელ: 69-45-18. დათო

ამერიკულ-ქართული პროექტი „ბოდიფლექსი" („მოქნილი სხეული") – დიეტის და წამლების გარეშე ზედმეტი წონის მოცილება, მშვენიერი ფიგურა და კარგი განწყობილება. ფსიქოთერაპიული ცენტრი „არსი" (ხელმძღ. პროფ. გივი მერაბიშვილი). ტელ: 93-11-05; 30-21-69; 899 69-49-63. მის: ბესიკის ქ. №1 (რუსთაველზე)

ელექტროგაყვანილობის მონტაჟი (5-7 ლარი), შეკეთება, გამოცვლა, წყალგაყვანილობა-კანალიზაციის მონტაჟი (20-25 ლარი), შეკეთება, გამოცვლა. ნებისმიერი სირთულის და ხარისხის, გარანტიით. ტ. 34-03-81; 899-31-48-55

ნაოჭების სრული დაშლა-გასწორება, გამონაყარის მოშორება, მოდუნებული სახის კანის, ყელის, ღაბაბის აღდგენა სამკურნალო მასაჟით (35 წუთი)+უცვეპტური ნიღბებით. შედეგი გარანტირებულია, 7-10 დღეში, შემდგომი ნაოჭების არგაჩენის გარანტიით, სპეციალური მალამო-ზეთით. სეანსი – 5 ლარი. მიღება მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. მის: №1 საავადმყოფოსთან, ჯავის ქ. №26. ტელ: 899 17-63-90; 69-98-92. ეთო

ეპილაცია. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

## მკურნალობა

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებსა და თეთრ მუმიოზე ვამზადებ მალამოებს, ხსნარებს. ვმკურნალობ: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრების ანთებას, რადიკულიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, ჰემორიტს (ასევე უმძიმეს დაავადებებს), დისკოზს, ართროზს. მის: თევდორე მღვდლის №48. მე-4 სად. მე-8 სართ. 56-37-37; 899 54-64-81

მთლიანი ორგანიზმის ზუსტი კომპიუტერული გამოკვლევა ფუნქციონალურად; დაავადებათა გამოვლინება საწყის ეტაპებზე (ფასი 30 ლარი); კუჭ-ნაწლავის, გულ-სისხლძარღვთა (წნევების), ჩიყვის და დიაბეტის, ქალური, მამაკაცური, ნერვული სისტემის, სიმსუქნის, მოზარდებში სიმაღლეში ზრდის ჩამორჩენის და ყველა შესაძლო პრობლემის დროული გამოვლინება და მკურნალობა. ტელ: 877 45-78-39; 96-66-49. ქ-ნი ბელა; 893 16-70-76; 92-39-44. ბ-ნი ზვიადი

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულადაც), „პახმელიის" სინდრომის მოხსნა – აგრესიები, დეპრესია, უძილობა, ნევროზი, თავის ტკივილი, ბუასილი (ქავილი, სისხლდენა, ნაპრალი, კვანძები), კოლიტი, ასთმა, ფსორიაზი, სოკო, წითელი ქარი, პოდაგრა, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული – მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნია. დამზადებულია მოსკოვში, კრემლის ყოფილ (აკად. ლიხარიოვი) ლაბორატორიაში. ტელ: 68-92-77; 899 21-13-66. ლალი

ალკოჰოლიზმის თერაპიული მკურნალობა, კრემლის ლაბორატორიის მაღალხარისხოვანი მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით; ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ალკოჰოლური ფსიქოზები – თეთრი ცხელება („ბელაია გარიაჩკა"), „პახმელიის" სინდრომის მოხსნა, ღვიძლის ალკოჰოლური დაავადებები და სხვა გართულებები. აგრეთვე ჰეპატიტების, ნევროზების, შიშების, უძილობისა და სხვა დაავადებების მკურნალობა. მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც. ტელ: 99-75-90; 899 36-65-34. ნანა ექიმი

საგვარეულო ხსნარებითა და მალამოებით თმის დაავადებების მკურნალობა (ბუდობრივი ცვენით). ამოდის თმა. თმის ძირების გამოკვლევა აპარატით, ტილებისა და წილების მოსპობა, კანისა და ფრჩხილის სოკო, ფსორიაზი, ეგზემა; ლაქების მოცილება, ოფლის მალამო; ღრძილების, ჭრილობების, გამონაყარის, ქუსლებზე ნახეთქების მკურნალობა; მასაჟი აპარატით, გარანტიით. ბიოლოგი მჭედლიძე-ბეგაშვილი. მის: ვაჟა-ფშაველას №47, II სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, II სართ. ოთახი №28. ყოველდღე, 11-18 სთ. ტელ: 39-39-51; 893 91-89-17; 35-32-62

ალკოჰოლიზმი, „პახმელია", აგრესიულობა, ნევროზები, გასტრიტი, წყლული, ქოლეცისტიტი, ვირუსული და ქრონიკული ჰეპატიტები, ნაწლავთა დისბაქტერიოზი, მეტეორიზმი, კოლიტი, შეკრულობა, ჰემოროი (ბუასილი). პრეპარატები მცენარეულია, სერტიფიცირებული, მაღალეფექტური და უსაფრთხო, არაჰორმონული. ტელ: 99-75-90; 899 22-63-90. ნინო ექიმი

ალკოჰოლისა და თამბაქოსგან სწრაფი გათავისუფლება, კრემლის ლაბორატორიის მცენარეული პრეპარატებით, რომელიც ხსნის ნაბახუსევის სინდრომს, აგრესიას, დეპრესიას, აწესრიგებს ძილს, წმენდს ღვიძლს, თირკმელს, ნაღვლის ბუშტს და იცავს ორგანიზმს შემდგომი გართულებებისგან. მკურნალობა აბსოლუტურად უსაფრთხოა და შესაძლებელია პაციენტებისგან ფარულად. ტელ: 893 96-50-32 მაია; 98-42-49 (11-17)

ალკოჰოლიზმის მკურნალობა კრემლის ლაბორატორიის მაღალხარისხიანი, მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით. შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც, ანტიალკოჰოლური წვეთებით. ასევე „პახმელიის" მოხსნა, ნევროზი, დეპრესია, აგრესია, ფსორიაზი, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა), ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის პრობლემები, ბავშვების სიმაღლეში მომატება (აკად. ლიხარევის მეთოდით). სიახლე! – გახდომა დიეტის გარეშე! ტელ: 893 35-45-35; 98-42-49 (11-17 სთ). მაკა ექიმი

გაჯანსაღება ბუნებრივი საშუალებებით: პროსტატიტი, პენისის ანთება, სოკოვანი, სქესობრივი სისუსტე, ინფექციები, სპერმის ნაადრევი და უნებლიე გამოყოფა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ხშირი შარდვა, წვა, ბუასილი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, კოლიტი, ჰემორიტი, თმის ცვენა, წვრილი ჭია. შედეგი ეფექტური და გარანტირებულია. ტელ: 899 49-84-23

აგრესია, უძილობა, შიშები, აკვიატებული აზრები და ჭკუები, ეჭვიანობა, დეპრესია, თვითმკვლელობის სურვილი, მოუსვენრობა, აფორიაქება, სევდა, ნაღველი, მელანქოლია, პესიმიზმი. ადამიანი თავისუფლდება უარყოფითი ენერგიისგან. შეიძლება პიროვნების გარეშეც. ტელ: 899 49-84-23

100%-იანი გარანტიით!!! ვმკურნალობ ბუასილის სხვადასხვა ფორმას (შეკრებული კვანძები, სისხლდენა, ნაპრალები, ქავილი, კოლიტი); აგრეთვე ვარჩენ კანისა და ფრჩხილის სოკოვან დაავადებებს, ძირმაგარებს, დამწვრობას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან და შეუხორცებელ ჭრილობებს. ეფექტი პირველსავე დღეებიდან!!! პაციენტების მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 39-39-97; 61-02-97; 95-80-51; 899 57-16-99. ექიმი ალექსიშვილი

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, შაკიკი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან!!! ტელ: 39-39-97; 69-91-92; 899 57-16-99 ექიმი ალექსიშვილი. მის: ც. დადიანის №87, რკინიგზის პოლიკლინიკა

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ქაბლუობა, ლოგონევროზი) მკურნალობა უახლესი გერმანული აპარატურით, მაღალი შედეგებით. მის: ვაჟა-ფშაველას №16, მე-13 სართ (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს შენობა). რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ექიმი ზურაბ ხარაშვილი, 10-16 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77

გძლევთ შესაძლებლობა, კომპიუტერული დიაგნოსტიკით დაადგინოთ ორგანიზმის ფუნქციური დარღვევები, ონკოგანწყობა, ჭიებით და პარაზიტებით (ენტერობიოზი, ასკარიდოზი, ლამბლიაზი, ტრიქომონიაზი და ა.შ.) ინვაზია. ჩაწერა წინასწარ. ფასი 25 ლარი, „ლაზერი". მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 36-14-18; 893 321-307

ვმკურნალობ წითელ ქარს, ფსორიაზს, ეგზემას, მუნს, სოკოს, თმის ცვენას, ლაქებს, ჭორფლს, ბებერას, მეჭეჭებს, სებორეას, ფურუნკულებს. მუნს ვარჩენ უსუნო წამლით, 1 წასმითაც. მის: ცენტროლიტი, ლიბანის ქ. №5, I სად. II სართ. ტელ: 62-25-75; 895 50-89-82. პროვიზორი ჩაჯუტაძე

გთავაზობთ სახსრების ტკივილისა და კლიმაქტერიულ პერიოდში გამოწვეული გართულებების ეფექტურ მკურნალობას, აკად. ლიხარევის მეთოდით. ტელ: 77-71-22 (საღამოს); 98-42-49 (11-16 სთ), გარდა კვირისა). ლელა ექიმი

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დუეტ-კომპიუტერი" გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე. შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ნაძალადევის კულტსასახლე აცხადებს მიღებას კურსებზე, 50%-იანი ფასდაკლებით. 1. კოსმეტიკა – შესწავლება: სახის კანის დეფექტები, მალამოები, მკვებავი, სამკურნალო, დეკორატიული, ეპილაცია, მასაჟი, კანის გაწმენდა, ლოსიონები და სხვ; 2. მასაჟი – სამკურნალო, პროფილაქტიკური, თვითმასაჟი, ბავშვთა და სხვა. გაიცემა სამუშაოვანი სერტიფიკატი. მის: ნაძალადევი, მ. „ვაგზალთან", ც. დადიანის ქ. №26. ტელ: 66-53-56; 69-09-19; 56-49-59; 893 33-09-66

ვამზადებ რუსულ ენაში. ტელ: 96-64-70. მარინა

მაღალკვალიფიციური პედაგოგი იწყებს აბიტურიენტებისა და მოსწავლეების მომზადებას გერმანულ ენაში. ტელ: 33-42-96. ლია

ვამზადებ გერმანულ და ქართული ენებში. ტელ: 95-45-76. თინიკო

აბიტურიენტთა სწავლება ყველა საგანში, ფსიქოლოგიური მომზადებით. ფსიქოთერაპიული ცენტრი „არსი". მის: ბესიკის №1 (რუსთაველზე). ტელ: 93-11-05; 57-37-13; 60-71-79; 899 56-54-53

ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი ამზადებს მათემატიკასა და უნარ-ჩვევებში. ტელ: 37-38-10; 899 94-70-92. ელდარი

შპს „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგ-ვიზაჟისტი; 2. მასაჟისტი; 3. საპარიკმახერო. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: ალმაშენებლის გამზ. №115 (ეზოში). კაბ. 20. ტელ: 94-01-82; 96-22-89

გამოცდილი სპეციალისტი, მეცნიერებათა კანდიდატი მოამზადებს აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდებისთვის ისტორია-გეოგრაფიაში, შეღავათიანი პირობებით. ტელ: 22-78-56, 877 50-05-73.

მოსამზადებელი ცენტრი აცხადებს მიღებას შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. მათემატიკა; 3. უნარ-ჩვევები; 4. უცხო ენა; 5. ისტორია, გეოგრაფია; 6. ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა. მეცადინეობები წარმოებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. ფუნქციონირებს ქართული და რუსული ჯგუფები. ცენტრი დაკომპლექტებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებით. მის: 1. მ. „გოცირიძე". ალ. ყაზბეგის ჩიხი №4 (ყოფილი პავლოვის ქ. №28-სთან). სამხატვრო ფონდის შენობა III სართ-ზე; 2. მუხიანის დასახლება, I მ/რ, კორპ. 2. ტელ: 23-25-65; 37-24-66; 39-74-53; 79-50-68; 899 48-00-34

თბილისის დამოუკიდებელი ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი და კოლეჯი გიწვევთ სასწავლებლად დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების რუსული და ქართული სექტორების შემდეგ ფაკულტეტებზე: სამართალმცოდნეობა; ეკონომიკური; უცხო ენები; ასევე უმაღლესდამთავრებულებს – პროფესიის შესაცვლელად. მის: ს. ეულის №1 (ვაჟა-ფშაველას ბოლოში). ტელ: 32-06-97; 893 93-38-15; 30-51-30

სასწავლო ცენტრი PARADOX, მოზარდებისა და ზრდასრულთათვის აცხადებს მიღებას, კომპიუტერის, ინგლისურის და ბუღალტერიის მოსამზადებელ კურსებზე. ჩაწერა ყოველდღე, 10-13 სთ. მის: ჭოველიძის №12, ამოსასვლელი კოსტავას №14-დან (მ. „რუსთაველი"). ტელ: 93-22-02; 98-80-23

ხარისხის მქონე ლექტორი ამზადებს აბიტურიენტებს ინგლისურში, ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად – ეროვნული გამოცდებისათვის. ტელ: 899 53-10-08

## იყიდება

ახალი კორეული ციფრული სატელიტური ანტენა. აჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა 100-დან 600-მდე ევროპული, 1-დან 4-მდე ქართული, 5-20-მდე რუსული. ფასი – $120-220. მხოლოდ 30 რუსული არხი. კომპლექტის ფასი – $180, მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

ქალის, მამაკაცის და ბავშვის ახალი, იმპორტული ტანსაცმელი, ბაზრობის ფასზე იაფად, წერეთლის გამზირზე მდებარე ახლადგახსნილ მაღაზიაში. მის: წერეთლის გამზ. №118 (სამტრედიის ქუჩის კუთხეში, გაჩერებასთან). ტელ: 899 17-77-46

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 899 27-38-99; 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

ყველა სახეობის საუკეთესო ჯიშის ხეხილის ნამყენი ნერგები, უწამლო ვაზები, ნამყენი და ხეივნის ვარდები, კაპარისი, კაკალი, ნუში, ცაცხვი, ტირიფი, ვაშლატამა, ფოლი, მოცხარი და სხვა მცენარეები. მის: თბილისის ზღვა, სანერგე მეურნეობა. ტელ: 69-95-92. ზაზა

იყიდება ხეხილის ნამყენი ნერგები, ვაზები, ვარდები, ტუია, იუკა, იასამანი, ნეკერჩხალი, ტირიფი, ფიჭვი, კვიპაროსი, კაკალი, ალვის ხის ნერგები ქარსაფრად. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. მის: სანერგე მეურნეობა, თბილისის ზღვასთან. ტელ: 69-97-05. გივი; 899 16-93-15

## შევიძენ

ნაფეტვრებში მიწის ნაკვეთს, სახლით, $2.000-4.000-ის ფარგლებში. ტელ: 899 53-11-94

ავტოფარეხს დიღმის მასივის I ან VI კვ-ში. ტელ: 51-59-10; 899 47-43-29

## სხვადასხვა

სიახლე საქართველოში! „გაცნობის და დაოჯახების ცენტრი" გთავაზობთ: 600-ზე მეტ გაცნობის ან დაოჯახების მსურველთა ფოტოს და სრულ პირად მონაცემებს 18-დან 70 წლამდე, როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან. დაგეხმარებით შეარჩიოთ და გაგაცნოთ თქვენთვის სასურველი პიროვნება, რათა თავი დააღწიოთ მარტოობას, შექმნათ ბედნიერი ოჯახი და ცხოვრება გაიხალისოთ. მის: თბილისი, მ. კოსტავას №14, II სართ. ოთახი №210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. 2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59

საქართველოს აიკიდოს ფედერაცია იწვევს მსურველებს საინსტრუქტორო ვარჯიშებზე. მომავალში დაგეხმარებით რეგიონალური კლუბების გახსნაში. შეიძინეთ ნახმარ საჭიდაო ხალიჩას ან ტატამს. ტელ: 899 51-85-24. www.aikido.ge

ჰუმანიტარულ-ტექნიკური ლიცეუმი აგრძელებს მიღებას IX-XI კლასელთათვის და აბიტურიენტებს სთავაზობს მოსამზადებელ კურსებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის. წინა სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა 100%-მა წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიიღო სახელმწიფო სერტიფიკატი. სწავლებას ახორციელებენ სტუ პროფესორ-მასწავლებლები. მის: თბილისი, კოსტავას 77, სტუ VI კორპუსი, I სართ. ტელ: 36-30-73

სოფლის მეურნეობის ერთობლივ საწარმოს შექმნასთან დაკავშირებით, ფირმა თავისი საქმიანი ტერიტორიის ბაზაზე, რომელიც მდებარეობს ზუგდიდის რაიონის სოფ. ანაკლია-ურგების საზღვრის მიმდებარედ, ზღვის სიახლოვეს ეძებს ბიზნესპარტნიორს. მისი საქმიანობა იქნება მოსავლიანი და გასაშენებელი თხილის პლანტაციის მოვლა-პატრონობა-გაშენება, მოსავლის რეალიზაცია; ამ სამუშაოების პარალელურად – სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქციის წარმოება-გაყიდვა და მომავალში წარმოების გაფართოება. მის: ქ. ზუგდიდი, ჭონქაძის №15. ტელ: 899 41-41-96, 899-79-52-25



# ამ წიგნის კითხვის დაწყება ნებისმიერი გვერდიდან შეიძლება

უდიდესი მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი ყიზლარში (დაღესტანში) არის დაბადებული.

სახელოვანი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი (1827-1906 წლები) რუსეთის მეფის ალექსანდრე II-ის კარის მხატვარი იყო. მან დაასურათა „ვეფხისტყაოსანი" და 34 სურათი უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს. ეს ნამუშევრები დღეს ხელოვნების მუზეუმში ინახება.

„გამარჯვებულებს არ ასამართლებენ", – ეს ფრაზა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორემ მიხეილ სუვოროვის მისამართით წარმოთქვა, რომელმაც ერთ-ერთ ციხესიმაგრეზე თვითნებური შეტევა განახორციელა.

„დიოსკურიის მახლობლად სვანები (საონები) ცხოვრობენ... ისინი ძლევამოსილნი და თავიანთი გამბედაობითა და საბრძოლო ძლიერებით თითქმის ყველა ხალხზე შეუპოვარნი არიან. მათ კავკასიის მაღალი მთები უკავიათ და ყველა მეზობელ გვარტომს განაგებენ. ჰყავთ მეფე და სამასკაციანი საბჭო. ამბობენ, რომ სვანებს შეუძლიათ გამოიყვანონ 200 000 კაცისგან შემდგარი ლაშქარი, რადგან მთელი ხალხი ერთნაირი ძალით მებრძოლია", – წერდა ისტორიკოსი სტრაბონი.

ცნობილი მსახიობი მიკი რურკი ცოლთან ხშირად ჩხუბობდა, რის შემდეგაც ცოლი ალაგებდა ჩემოდანს და ფეხშიშველი გარბოდა ქუჩაში. ქმარი გონს მოდიოდა, უკან მისდევდა და სახლში აბრუნებდა. ერთხელ, როცა გამწარებულ ქალს ველარაფერი შეასმინა, მიკი რურკმა თითი მოიჭრა.

„სილამაზეს და ბედნიერებას ძალიან ბევრი მტერი ჰყავს," – ამბობდა ვიქტორ ჰიუგო.

ამერიკელი ფსიქოლოგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჟურნალისტებს მსოფლიოში ყველაზე ნერვული სამუშაო აქვთ. მათი პროფესია გაცილებით მეტ ნერვულობასთან არის დაკავშირებული, ვიდრე მყვინთავების, მფრინავებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების საქმიანობა.




„თბილისი რომ არა, შესაძლოა, ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალ ად-დინები, ჩინგის ხანები და სხვა აღმოსავლელი სულთნები და შაჰები. თბილისი იდგა, როგორც ევროპის ციხესიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისაგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე", – წერდა თავის შრომაში „თბილისის აპოლოგია" ავსტრიელი მეცნიერი ჰუგო ჰუბერტი.

ლუი დე ფიუნესი ახალგაზრდობაში სამკერვალოში მუშაობდა. თითქმის მთელი დღე იატაკზე დაძვრებოდა, გაღუნულ დუგმებს აგროვებდა და ასწორებდა. მალე ისე შეიძულა ეს სამუშაო, რომ მეპატრონეზე შურისძიებაც კი გადაწყვიტა: მის თუთიყუშს გალიაში ჭიკარტები ჩაუყარა. მეპატრონემ შეუსწრო და სამსახურიდან დაითხოვა.

რევოლუციამდელ რუსეთში ზარაფხანაში მუშაობის დასაწყებად საჭირო იყო ამ დაწესებულების ორი თანამშრომლის თავდებობა, რომლებიც პირადად იცნობდნენ მოცემულ პიროვნებას. თუ ახალბედა ნდობას ვერ გაამართლებდა, სამსახურიდან სამივეს ითხოვდნენ.

სიგამხდრის გამო სოფი ლორენს ბავშვობაში ტკეტოს (ლერწმის ღეროს) ეძახდნენ და მიუხედავად იმისა, რომ მისმა სხეულმა მოგვიანებით ზედმიწევნით ქალური ფორმები შეიძინა, მეტსახელი მაინც შემორჩა. P.S. სოფი ლორენი მამამისის უკანონო შვილია.

როდესაც გერმანელმა ეგვიპტოლოგმა ლუდვიგ ბარხარდმა ნეფერტიტის ბიუსტი აღმოაჩინა, თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „აღწერას აზრი არა აქვს. ეს საკუთარი თვალით უნდა ნახო!"



## ხვიჩა მკალავიშვილის მონატრება

ჩვენო უსაზღვროდ დიდო ტკივილო და დარდო! წუთივით გაირბინა ცრემლით და გლოვით მოსულმა სამმა წელიწადმა, ჩვენო კეთილო, ლამაზო, ჭკვიანო ბიჭო. მწარე, ცრემლიანი სამი წელი გვაშორებს ერთმანეთს. თავზარდამცემი და მოულოდნელი იყო, რაც 2002 წ. 5 ოქტომბერს მოხდა. ერთ წუთში დამთავრდა ორი ანგელოზის სიცოცხლე, შვილო. ძალიან მიმძიმს შენზე, როგორც გარდაცვლილზე საუბარი. შენ, მხიარულ ხასიათთან ერთად საოცრად თბილი, მოსიყვარულე, ზრდილი შვილი, ერთგული მეგობარი, გულისხმიერი ბიჭი იყავი ყველასთვის. შენ საუკეთესო თვისებებით იყავი დაჯილდოებული, ამიტომაც გყავდა უამრავი მეგობარი და გამორჩეულად უყვარდი ყველას.

ყოველი დღე შენი მონატრების, შენი გახსენებისაა. რატომ გაგვიწირა ღმერთმა? შენ ხომ ყველას ჭირის გამზიარებელი იყავი. ოჰ! რა ძნელი ყოფილა უშენობა, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო. სამი წლის მანძილზე დავრწმუნდი, რომ შენისთანა კეთილშობილის ადგილი ამქვეყნად არ ყოფილა.

ხვიჩა, შვილო, ჩემთვის სულერთია ყველაფერი, ჩემი ყოფნა ხომ გაუსაძლისია. მე ცოცხალი სიკვდილმისჯილი დავრჩი. შენ იმდენი სითბო და სიყვარული დაგვიტოვე, დავიწყება არ გიწერია!

ისღა დაგვრჩენია, შევთხოვოთ უფალს, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. გჯეროდეს, სულიერად მეც შენთან ერთად ვარ, ჩემო ერთადერთო ბიჭო.

*შენი ოჯახი და მეგობრები*

## ჯემალ გაბულდანის ხსოვნას!



არ ვიცი რა ჰქვია, იმქვეყნიურ სასუფეველში გადასულს, დაბადებისა და გარდაცვალების დღეებს ერთად რომ გილოცავენ.

ეს ალბათ დიდი სიყვარული, მონატრება და თანაც ტკივილია. შენ ხომ ძალიან ადრეულ ასაკში წახვედი ჩვენგან და სამუდამოდ დაიდე სასუფეველი შენს დედიკოსთან, ხოლო შენი წასვლით უამრავი კითხვა დაგვიტოვე, რომელზეც დღემდე გვიჭირს პასუხის გაცემა. ყოველი 5 ოქტომბრის დადგომა დიდი ტკივილია ჩვენთვის. გაგრაში – „განთიადის“ დაკარგვამ შეიწირა შენი ლამაზი სიცოცხლე, რომელიც ასე მოუშუშებელია დღემდე. სამწუხაროდ, ნუგეშად მხოლოდ შენი სურათები და დიდი მონატრება დაგვრჩა და კიდევ დაგვრჩა სამშობლოსთვის თავგანწირული ეროვნული გმირის სახელი, რომელიც ცივ ქვაზეა ამოტვიფრული.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი ოჯახი*

## ალიკა ქავთარაძის გახსენება



ალიკა, შვილო, დაბადების დღეს გილოცავს შენი გამწარებული დედა. 2 ოქტომბერს 31 წლის გახდებოდი. მეორედ მოდის უშენოდ, ყველა გილოცავს ცრემლით: შენი დები – ფატი, ლელა; დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და შენი კლასელები.

სიყვარულის განსახიერება იყავი, შვილო. მუდამ სიკეთეს ითესდით, მაგრამ სიკვდილი მიიღე მაინც საზღაურად. მე კი ცოცხლად საწამებელი დღეები მიგრძელდება. გეხვეწები, თუ რამ შეგიძლია, წამიყვანე შენთან.

შენს პატივსაცემად ყველანი შევიკრიბებით შენს საფლავთან. არ იქნება ნინო და არ მოგიტანს 1 ვარდს, რომ დაუბარე. ესეც შენი უბედობაა. ვთხოვ უფალს, სამოთხეში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი დედა და დები*

## იმედა სეირანის ძე ადამაშვილის მონატრება



3 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. 28 წლის უნდა გამხდარიყავი, ჩვენო ძვირფასო, საყვარელო, სპორტსმენო ვაჟკაცო იმედა, რომ არა ის აუღმოსაგონარი ტრაგიკული 2002 წლის 27 აპრილი, რაც ჩვენგან სამუდამოდ წახვედი. შენი სპორტული მიღწევებით უნდა გვეამაყა არა მარტო ჩვენ, არამედ მთელ საქართველოს. ახლა კი... მივალთ შენს საფლავთან, მუხლს მოვიდრეკთ, ვემბორებით მარმარილოს ქვაზე გამოსახულ შენს სახიერებას. რაც დრო გადის, უფრო ძალიან გვენატრები.

*ჩვენ ყველა მწარედ დაგტირით,*
*არ შრება თვალზე ცრემლები,*
*შენს სამარეს ათბობენ*
*მზისა და მთვარის სხივები.*

იძინე მშვიდად, ჩვენო ვაჟკაცო!

*შენი დამწუხრებული დედ-მამა, დები, დისშვილები, ბიძა*

## ნოდარ გონაშვილს!



არ ვიცი, რა დავარქვა 2 ოქტომბერს, არა გახსენება, არა მონატრება – პირიქით, ამ დღის ჩემი ცხოვრებიდან ამოშლა უფრო ჰქვია. ორი წლის წინ უზომოდ დიდი ტრაგედია დაატყდა თავს სიცოცხლითა და სიხარულით სავსე, უზომოდ ბედნიერ ოჯახს, ნათესავებსა და სამეგობროს. მეგობრებთან დროს ტარებაში დასრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე, რომლის გაზრდაც ვერ მოასწარი. დაინგრა 22 წლის ლამაზი ოჯახი, ბედნიერი წუთები, რომლებიც მე და შენ ერთად გავატარეთ. გვენატრები ყველას – შვილებს, დედას, დებს, ნათესავებს, რომლებიც ყოველთვის გვერდით მიდგანან, მაგრამ ვერაფერი მივსებს შენგან დატოვებულ სიცარიელეს. ვერ ვუძლებ ტკივილს, რომელსაც შენი მონატრება ჰქვია. მე მარადიული ტკივილი მარგუნა ბედმა. დარჩები იმ იარად, მოშუშება რომ არ უწერია, მაგრამ მწამს, რომ ქვეყნად მაინც ვერაფერი დაგვაშორებს ერთმანეთს, წუთისოფელი ჩემთვისაც სწრაფად გაირბენს და ჩვენი შვილები ორივეს ერთად დაგვინთებენ წმინდა სანთლებს. მე არ მინდა შვება, რამეთუ ეს ტკივილი ჩემი ბედისწერაა.

იძინე მშვიდად, ჩემო სიცოცხლევ, შენს მამიკოსთან ერთად.

*შენი საყვარელი ოჯახი*

## ლევან ქართლელიშვილის გახსენება



5 ოქტომბერს თორმეტი წელი სრულდება, რაც შენი დაღუპვის ამბავი გამაგებინეს, შვილო! 1993 წლის 23 სექტემბერს, სოხუმში, საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლას შესწირე შენი სიცოცხლე, ლევან. 25 წლის თბილისელმა ვაჟკაცმა ოჯახის შექმნაც ვერ მოასწარი, რადგან სამშობლოს სიყვარული უპირველესად მიგაჩნდა და საკუთარი სიცოცხლე მის სამსხვერპლოზე დატოვე. სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასალის I ხარისხის ორდენით დაგაჯილდოეს, შენი სახელობის ქუჩაც არის თბილისში.

რაც დრო გადის, შენი მშობლები და და-ძმა უშენობას უფრო მძიმედ განვიცდით, ჩვენო სიამაყევ!

შვილო ლევან, სანამ ვიცოცხლებთ, შენც ჩვენთან ერთად ცოცხლობ. ნათელში გვიმყოფოს შენი სული უფალმა, შვილო!

*დედა*



## სტეფანე (ბიჭიკო) თოფურიას და ეკატერინე (კატუშა) ყუფარაძე-თოფურიას ხსოვნას!

ჩვენო მშობლებო, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, ძალიან გვაკლიხართ. თქვენზე ფიქრში გადის დრო, დრო, რომელიც უფრო და უფრო გვიღრმავებს თქვენზე დარდს. თქვენი შვილები და შვილიშვილები ამაყობენ თქვენი სიკეთით სავსე გავლილი გზით. გვაკლიხართ ყველას. ვლოცულობთ და ვანთებთ სანთლებს თქვენი ხსოვნისათვის.

მარადიულ სასუფეველში იყოს თქვენი წმინდა სულები.

*თქვენი მოსიყვარულე შვილები, შვილიშვილები, სიძეები*

## ამირან კაჭარავას ხსოვნას!



მეორედ მოვიდა 7 ოქტომბერი. სწორედ ამ დღეს შეწყდა შენი კეთილშობილი გულისცემა. ყოველი დღე უდიდესი ტკივილია ჩვენთვის, ჩვენო მარად დაუვიწყარო, კეთილო და ტკბილო ადამიანო.

მუდამ სიყვარულითა და ცრემლებით გიგონებთ. უსაზღვროდ გვენატრები ყველას.

*შენს სითბოსა და სიყვარულს მონატრებული, მუდამ შენს სულზე მლოცველი შენი ოჯახი*

## ომარ შარაშენიძის უსაზღვრო მონატრება



*ხუთი წელია, რაც დატოვე ტკბილი ოჯახი,*
*ეს ხუთი წელი გახდა ჩვენთვის გაუსაძლისი,*
*შენებრ კეთილი კაცი უნდა ცოცხლობდეს დიდხანს,*
*და ასე ადრე შენ სიკვდილის არ იყავ ღირსი!*
*მაგრამ რა ვუყოთ, ჩემო ომარ, ბუნების კანონს*
*და ჩვენ უღმრთო ბედისწერას ვერ დავემალეთ,*
*გვაპატიე, რომ ვერ გიშველეთ უბადლო ვაჟკაცს,*
*გულზე ბელტებად შავი მიწა რომ მოგაყარეთ...*
*შეუშრობელი, ცხარე ცრემლთა დენა ხარ ჩემი,*
*ომარ, ჩემს გულში ფესვგადგმულო დარდო და სევდავ,*
*შენ ჩემო დიდო მონატრებავ, დაუსაბამო,*
*მზე დამიბნელდა ამქვეყნად რომ შენ ვერა გხედავ.*
*კი არა ვცოცხლობ, მე უბრალოდ ვარსებობ მხოლოდ,*
*ჩემთვის სიცოცხლე შეჩერდა და დასვა წერტილი,*
*მე შენი სახით ჩამომენგრა ციხე-სიმაგრე,*
*უშენოდ, ომარ, დავრჩით ობლად, გულდაწყვეტილი!*
*შენ გარეშე ხომ ჩემს სიცოცხლეს არა აქვს ფასი,*
*აბა, შენ იცი, მიერთგულე კვლავ შენებურად,*
*მეც წამიყვანე შენთან ერთად, ჩემო ძვირფასო,*
*წუთისოფელში დიდხანს ნულარ დამტოვებ სტუმრად.*
*წამიყვანე, რომ გაგიმხილო გულისტკივილი*
*ვებ როგორმე დამიწყნარო მშფოთვარე გული,*
*თორემ აივსო მოთმინების ფიალა ჩემი*
*და სადაც არის დარდისაგან გასკდება გული!*
*შენს საუფლოში დავდგი ჩემთვის სევდის კარავი,*
*ამ კარავში ვარ შენზე ფიქრით ღამის მთეული,*
*იძინე ტკბილად, შენთანა ვარ, შენთვის ვლოცულობ,*
*რომ დაგიმკვიდრდეს სამუდამო სასუფეველი.*

*მარად შენი თაყვანისმცემელი, შენი მეუღლე – ლეილა სიხუაშვილი-შარაშენიძე*

## რომან ოშხერელის მონატრება



ჩემო რომან! 5 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. მეორედ ვხვდებით ამ დღეს უშენოდ. განსაკუთრებულმა სენმა წაგვართვა შენი თავი და მოუშუშებელი ტკივილი დაგვიტოვა გულში.

რომ იცოდე, როგორ გვენატრები, რომან... ფიქრიც არ გვინდა იმაზე, რომ ჩვენთან არ ხარ. ძალიან, ძალიან ძნელია უშენობა. ან შენ როგორ ძლებ ამდენ ხანს ჩვენ გარეშე? შენ ხომ თვალს გაახელდი თუ არა, მაშინვე შენს შვილებთან რეკავდი, რომ მათი ხმა გაგეგო! ახლა კი...

ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავთან, იქ მოგილოცოთ დაბადების დღე და ღმერთს შევევედროთ, ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი იზო, ნინო და ეკუნა*

## ხვიჩა ბურდულის გახსენება



მოგვენატრე ხვიჩა! შენი თვალები სევდიანად შემოგვცქერიან. შემოგვცქერი და ჩვენს ყოველდღიურ გამწარებულ ყოფას ვაჟკაცური მზერით გვიმსუბუქებ.

40 წელი შეგისრულდებოდა, ჩვენო ერთადერთო. 23 წელია, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. რაც დრო გადის, უფრო და უფრო გვაკლიხარ, მეტად გვენატრები. ყოველი მხრიდან შენს გამოჩენას ველით. ჩვენთან ერთად ყველა შენი მეგობარიც შენს საფლავთან მოდის. არ გივიწყებენ, გიხსენებენ. 17 წლისამ გადაინაცვლე მარადისობაში.

თავს ვინუგეშებთ, რომ სიკვდილი რჩეულთა ხვედრია. ცად ამაღლდი და გაბრწყინდი, როგორც უცოდველი. ყველა შენიანი სიმართლეს შენს სახელზე ვფიცებით. ტკივილიანი, მწარე დღეები გალია დედამ, მამაც ყოველდღიურად შენზე ფიქრშია. ჩვენ კი შენი მოსახელე ხვიჩები კიდევ გაგვეზრდებიან და შენს ვაჟკაცურ სახელს ატარებენ.

მოჭიდავე იყავი (ძიუ-დო), ძალ-ღონით სავსე ბიჭი. რომ დაგცლოდა სიცოცხლე, შენს ხევს, შენს სამშობლოს – საქართველოს ასახელებდი.

გვენატრები, ხვიჩა.

*უდიდესი მონატრებით და მოუშუშებელი ტკივილით, შენი ნათესავები, ბიძაშვილები, მეგობრები, და-ძმა – ნატა, სოსო, ვახტანგ ბურდულების ოჯახები*

## ლუიზა კორაშვილი-ბეჟანიშვილის ხსოვნას!



5 ოქტომბერს მეორე დაბადების დღე მოდის, რომელსაც ვერ გილოცავთ... ვერ გილოცავთ იმიტომ, რომ სულისთვის ერთი, ორი, ან თუნდაც ასი წელი არაფერია! წლების მატებას ვერ გრძნობს შენი სპეტაკი სული. იგი უკვდავია და მარადიული! ჩვენ კი გვერჩივნა, რომ მოკვდავად დარჩენილიყავი, დაბერებულიყავი და შენთვის დაბადების დღე შვილიშვილის შვილებსაც კი მოელოცათ.

შენი მკვლელი (ვაი! მკვლელი!!!) პატარა შვილიშვილით ხარობს, შენ კი მისი „წყალობით“ ამ ბედნიერებას ვერ მოესწარი...

*შვილები: მარეხი, მაია, ბესო; მეუღლე ტელმანი; დედა მარიამი; დები: ლაურა და გულიკო; დისშვილები: შორენა, დიანა, თამთა*

## ირმა მთიულიშვილი-გოგალაძის გახსენება



რა ულმობელი ყოფილა წუთისოფელი, როგორი დაუნდობელი. დროც რა საოცარი სისწრაფით მიქრის. კარგად ვერც გავერკვეთ ჩვენს უბედურებაში, წლები ისე მიდის. ძნელია უშენობა, ჩვენო ირმა, შენი ოჯახისთვის, შენი ერთადერთი ვაჟიკოსთვის, შენი მეუღლისთვის, შენი ახლობლებისა და მეგობრებისთვის. ხანმოკლე ყოფილა შენი ჩვენ გვერდით ყოფნა. ყველას ძალიან გვწყდება გული, რომ უკვე წარსულში ვლაპარაკობთ შენზე. ირმა, არ შეშინდე, შენს სახელს ჩვენს გულებში დავიწყება არ უწერია, შენ იმდენი სითბო და კარგი სახელი დატოვე ყველგან. ვლოცულობთ შენთვის, ჩვენო ლამაზო ირმა, ვუფრთხილდებით შენს შვილს, მასში ვპოულობთ იმ სითბოს, რომელიც შენ უდროოდ დააკელი მას.

2 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა, მეორე ცრემლიანი დაბადების დღე უშენოდ. გვიჭირს, მაგრამ უნდა მოგილოცოთ. 2 ოქტომბერი ყოველთვის სევდისა და ცრემლის მომტანი იქნება ჩვენთვის. ნათქვამია, სანამ ხსოვნა ცოცხლობს, ადამიანიც ცოცხალიაო. ისიც უტყუარია – ხსოვნა სინდისისთვის არის და სიკვდილზე ძლიერიაო. ირმა, შენც სიკვდილზე ძლიერი ხარ. შენს საფლავზე უამრავი ყვავილი, ცრემლი და სანთელი ილევა. რაც უფრო ღვთაებრივი იყო, ირმა, შენი ამქვეყნად ყოფნა, მით უფრო დაუჯერებელია შენი სიკვდილი. ღმერთო, რა უსაშველო ტკივილია, მაგრამ ამ ტკივილს ტრაგედიას ვერ დავარქმევ სახელად, მას ადამიანთა მარცხი უფრო ჰქვია. გეგონა, ტკივილი მოგიშუშდებოდა, მაგრამ ოპერაცია საბედისწერო გამოდგა. ო! მუხთალო ბედისწერავ! როგორ დაგვემსხვრა ოცნების ციხე-კოშკები... მაგრამ დარჩა ხსოვნა, დარჩა შენი წასვლით დატოვებული უდიდესი ტკივილი, დარჩა მარმარილოს უპრეტენზიო დაფა წარწერით – „ირმა მთიულიშვილი-გოგალაძე“. დარჩა შენი წილი 33-ე ულამაზესი გაზაფხული, შენი გამწარებული და უბედური დედ-მამა, ერთგული ძმები, ახლობლები, შეუშრობელი ცრემლით და ის დაკნინებული სიყვარული, ახლაც რომ ერთგულად დაბრუნებს.

ყველანი ერთად მოვალთ ხოლმე შენს საფლავთან, ყვავილებით და სანთლებით, რომ გზა გაგინათოთ ზეციურ სასუფეველში.

*შენი ინგა*

## იყო შაშვი მგალობელი



*თემურ მამინოშვილის სახსოვრად*

შენ ყველაფერი მოგცა ღმერთმა, რითაც ადამიანი უნდა ფასობდეს. გამორჩეული იყო შენი გული და სიტყვა, მზესავით ამაღლებული თავმდაბლობა... ერთნაირად უყვარდი ყველას. მეგობრის მეგობართანაც შეგეძლო მეგობრობა. ფასდაუდებელი სიკეთე ილევოდა შენგან და რომ იგი ნაადრევად შეწყდა, ამან დაამწუხრა ყველა. შენისთანებზე ამბობენ, ღვთისააო და მას მიაბარე.

აქ დროებით დარჩენილები იმის იმედით ვართ – მზე ოდესმე გამოიხედავს.

*გიორგი გვაზავა*

## დიმა ცაგურიას მონატრება



რაც დრო გადის, უფრო მენატრები, ჩემო ალერსიანო, ერთადერთო, კეთილო, ლამაზო ბიჭო. 4 ოქტომბერს 13 წელი შესრულდება შენი დაღუპვიდან. აფხაზების მიერ მოსყიდულმა ქართველმა ქალმა, ქვემო ეშერაში სამხედრო დავალების შესრულების დროს წერტილი დაუსვა შენს სიცოცხლეს. თურმე ქართველი ქალი ნადირობდა ქართველ ოფიცრებზე. მე კი მოურჩენელი ტკივილი მომაყენა. უშენოდ წამებაა ჩემი სიცოცხლე. ვიხსენებ შენთან ერთად გატარებულ 24 წელს, რომელიც იყო სიკეთით სავსე ყველას მიმართ და ასე გიხსენებენ შენი ამხანაგები.

მე ისღა დამრჩენია, როგორც ყოველთვის, ვილოცო შენზე და უფალს შევთხოვო, სამოთხეში მიმყოფოს შენი უმწიკვლო სული.

*დატანჯული დედა ფოთოლა ცაგურია*

## ნინო (ცარუ) გვაზავას შეწყვეტილი გაკვეთილი



არა პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან მომდინარე ყოველი სიტყვით და ეს ღვთაება შენ იყავი, რამეთუ შენი სიტყვა – გაკვეთილი გაუხუნარად შემორჩა თაობათა უმწიკვლო სულებს, რომელთაც ათეული წლების მანძილზე ფაქიზად ელოლიავებოდი და აუღებელ ციხესიმაგრეებად აყალიბებდი.

ეს შენ იყავი – „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი შვილის მშობელი...“ ყველას როდი ერგო ბედნიერება შენს ხელში ესწავლა მშობლიური წერა-კითხვა და ქართული აზროვნება.

შენ კი მასწავლებელი იყავი ყველგან – სახლში თუ სკოლაში, ქუჩაში მოსიარულეც და სიბერის ჟამსაც, როცა წიგნისკენ ხელი გაგირბოდა და ნაცნობ-მეგობრებს შენს ნახვას უკრძალავდი – როგორც ადრე ვუნახავვარ, იმნაირადვე მახსოვდეო.

ახლა ასი წლის იქნებოდი... გილოცავთ ამ იუბილეს.

*რძალი ნადია, შენი ძმისშვილები – ძაკა, მირდას, ემზარ; თენგიზ და დალი გვაზავები ოჯახებით*



## გოჩა მიმინოშვილის და ლელა ნოდია-მიმინოშვილის მონატრება

29 სექტემბერს 28 წელი შეგისრულდება. უკვე მესამე წელია უშენოდ გიხდით დაბადების დღეს. რაც დრო გადის, უფრო ვერ ვეგუებით უშენობას, ძალიან გვენატრები, ჩვენო სიცოცხლეს მოწყურებულო, ლამაზო და ჭკვიანო ვაჟკაცო. დაუჯერებელია შენი არყოფნა, მაგრამ ერთმა შეცდომამ სამუდამოდ მოგაშორა წუთისოფელს და საყვარელ ცოლ-შვილს. ძალიან დიდი ტკივილი დაგვიტოვე ყველას, განსაკუთრებით შენს მამას და ნაზი ბებიას, რომელიც არასოდეს გელოდებათ დედა-შვილს და სასაფლაო სახლად აქვს მიჩნეული. იმედია, დედაშენი არაფერს დააკლებს ერთადერთ შვილს, რომელიც მის გვერდით ხარ და შენს დაბადების დღეს იზეიმებთ.

ჩვენ კი მოვალთ სასაფლაოზე, ცრემლებით ღმერთს შევევედრებით, რომ სასუფეველი დაუმკვიდროს თქვენს ლამაზ და კეთილ სულებს. მსუბუქი იყოს თქვენთვის თქვენი ზანათის მიწა. შენ მუდამ ჩვენთან იქნები.

*გულდამწვარი ნაზი ბებია, ფატიმა და მაია დეიდები*

## თემურ ქორჩილავას გახსენება



ჩვენო საყვარელო ძმაო! 2 ოქტომბერს 17 წელი შესრულდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ.

გვენატრება შენი ღიმილი, გულთბილი სიტყვები.

ჩვენო საყვარელო ძმაო, მუდამ ჩვენთან იქნები.

*დები – ია, ნესტან ქორჩილავები*

## გიორგი (გიო) ხაბურზანიას მოგონება

ადამიანი მოკვდავია – ეს დამთრგუნველი შიში მუდმივად თან სდევს კაცობრიობას წუთისოფელში. მაგრამ ის თხუთმეტი წელი, გიორგი ხაბურზანიამ ამქვეყნად რომ იცხოვრა, წარმოუდგენლად მცირეა. ზღვისპირა ქალაქში გაზრდილი ბიჭი მშფოთვარე ზღვას შეეთამაშა და... ამ უკანასკნელმა, სამი დღე უკან დასაბრუნებლად ვერ გაიმეტა ჭაბუკი. ის სამი დღე წვიმდა ფოთში, თითქოს ბუნებაც გლოვობდა ამ ნიჭიერი, სიცოცხლით სავსე ყმაწვილის დაღუპვას, მშობლებისა და დების იმედსა და სიხარულს, თანატოლების ჭკვიან და საიმედო მეგობარს. თითქოს გრძნობდა გიო – არსთა გამრიგემ ამქვეყნად მცირე დრო რომ მოუზომა; ჩქარობდა, ცდილობდა, ბევრი მოესწრო, ესწავლა, მეტი სიყვარული დაეთესა. დარჩა მშვენიერი ლექსები და ჩანახატები, კიდევ უფრო დიდი გეგმები და იმედები.

გიოს ნაწერებში არის წინასწარმეტყველური სიტყვები, ზღვას რომ უკავშირდება, ზღვას, რომელიც მისი ბედისწერა გახდა: „ზღვის ტალღები თავგამოდებით ეხეთქებოდნენ ნაპირს... ეჰ, როგორი უკიდეგანო, უძირო და ულმობელია ზღვა. ერთი წამით თუ მოდუნდი, მყისვე შეჯარავდ შეგიწირავს, თუმცა, მთავარია, შიში არ მქონდეს მისი და ყველაფერი კარგად იქნება.

ვზივარ თბილ ქვიშაზე და ვფიქრობ ამქვეყნიურ ორომტრიალზე... შორს გემი მოჩანს, თითქოს არც მოძრაობს, სინამდვილეში კი გამალებით მიდის. ვაი, რომ ასეა სიცოცხლეც...“

მართლაც რომ ვაი! გული გვტკივა.

ღმერთო! დაუმკვიდრე სასუფეველი განსვენებულის სულს.

*შელეგიებისა და ხოფერიების ოჯახები*

## მერი არეშიძის ხსოვნას!



ჩვენო მერი – ჩვენო დიდო ტკივილო, თბილო და საყვარელო ადამიანო, უსაზღვრო სიყვარულისა და სიკეთის მატარებელო, ვწუხვართ, რომ შენზე წარსულში გვიწევს ლაპარაკი. იყავი სულიერად და ფიზიკურად გამორჩეული, დიდებული დედა, მეუღლე, ბებია, მეგობარი, ნიჭიერი ხელმძღვანელი, ზოგჯერ შემართული და შეუპოვარი, ომახიანი და დაუღალავი, ზოგჯერ კი – ნატიფი და სათნო. თითქმის 30 წელი გავატარეთ ერთად. სრულიად ახალგაზრდა მოხვედი ჩვენს ორგანიზაციაში. წლების განმავლობაში იყავი ხელმძღვანელ თანამდებობაზე. ვიყავით ერთი ოჯახივით, მარტო ხელმძღვანელი კი არა, მეგობარიც, ჩვენი ლხინისა და ჭირვარამის გამზიარებელი იყავი.

უსაზღვროა ჩვენი მწუხარება. რამდენი ბედნიერი დღე გაგვიტარებია ერთად. შენ სიკეთითა და სიყვარულით რჩეული იყავი და იმ საუფლოსაც დაამშვენებს შენი ლამაზი სული. ჩვენ კი, ლამაზი ყვავილებით შევამკობთ შენს უკვდავ ხსოვნას, ავანთებთ სანთლებს და ვილოცებთ შენი სულის სადიდებლად.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი წასვლით დამწუხრებული მეგობრები, შენი აბაშის რაიკოოპერატივიდან*

## შოთა ამყოლაძის მონატრება



შოთიკო, ჩვენო საყვარელო, მხიარულო და გულიანო ვაჟკაცო, იყავი ყველასთვის კეთილი, ლხინისა თუ ჭირის გამზიარებელი, უანგარო, ალალმართალი და ულალატო. საოცარი მამა იყავი. ბესოსგან დაჩაგრული გული, პაატამ და გელამ გაგიხარეს, მაგრამ საკუთარ გულისტკივილს ვერ გაუმკლავდი და მარადისობაში მამასთან და პატარა ბესოსთან გადაინაცვლე. ტანჯულმა დედაშენმაც თქვენთან არჩია ყოფნა.

შოთიკო, წახვედი და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი. მეორე შემოდგომას ვხვდებით უშენოდ თვალცრემლიანი. უსაზღვროდ გვაკლიხარ და გვენატრები. შენს სახელს არასოდეს დავივიწყებთ. ხშირად ავანთებთ სანთლებს, რომ ნათელი გზით იარო ცათა სასუფეველში.

*შენი ახლობლები*

## მერი აბრამიშვილის მონატრება



არ ვიცით, რა ჰქვია იმას, როცა იმქვეყნიურ სასუფეველში გარდასულს, დაბადების დღეს გილოცავთ. ეს ალბათ მონატრება, სიყვარული და ტკივილია, ჩვენო საყვარელო დაიკო. უკვე მესამე წელია, ასე სევდიანად აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს – მესამე წელი, რომელიც ჩვენთვის საუკუნეა. ძალიან გვიყვარხარ, გვენატრები. შენ ხომ ჩვენი დამრიგებელი და მრჩეველი იყავი. რომ იცოდე, როგორ გვაკლიხარ, რამდენი რამ დაგვეგროვდა გასაზიარებელი.

2 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა. მოვალთ შენს საფლავზე, სანთლებს დაგინთებთ და ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის. განისვენე მშვიდად და ნათელში იყავ.

*დები, ძმა, დისშვილები, ძმისშვილები*

## მერი აბრამიშვილის მონატრება

22 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა, მერი. ამ დღეს შენთან იკრიბებოდა შენი დიდი ჯალაბი – ძმა, ძმისშვილები, დები, დისშვილები და მათი შვილები, ახლო ნათესავები. ისინი მოდიოდნენ იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ მიელოცათ თავისი ამაგდარი და ერთგული ადამიანისთვის დაბადების დღე, ესურვებინათ დიდი სიხარული და ჯანმრთელი სიცოცხლე. მაგრამ ვაი, რომ ახლა ეს დღე დიდი გულისტკივილისა და სევდიანი მონატრების დღედ ექცა შენ ახლობლებს. ამ ქვეყნიდან შენი წასვლით მათ დაკარგეს კეთილშობილი პიროვნება, ერთგული მრჩეველი, რომელიც მზად იყო ყოველ წუთში მხარში ამოსდგომოდა და უანგარო დახმარება დაეწია ყველასთვის, ვინც ამას მისგან ელოდა.

მაგრამ ყველაზე მეტად შენი დაიკო ნაზი დაამწუხრა შენმა დაკარგვამ. თქვენ ხომ ტყუპისცალებივით იყავით და ურთმანეთოდ ვერ ძლებდით. ახლა კი ფრთამოტეხილივით დარჩა. სურათიდან გადმოგვცქერის შენი ღიმილიანი და სათნო სახე. ასეთად დარჩები ჩვენს ხსოვნაში – უანგარო, მოსიყვარულე, ნათელღიმილიანი, რომელიც წავიდა და თან წაიღო ჩვენი ზღვა სიყვარული.

*უსაზღვრო გულისტკივილით და მონატრებით, გულიკო სამხარაძე*

## გია კახოშვილის მონატრება



დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო უზომოდ მონატრებულო, დიდო ტკივილო, ჩვენო კეთილო და საყვარელო ძმაო. შენს სულს ვენაცვალეთ. 4 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა – 26 წლის გახდებოდი, მაგრამ ულმობელმა ბედისწერამ შეწყვიტა შენი ლამაზი სიცოცხლე. ერთი რამ გვანუგეშებს მხოლოდ: არასდროს გიცხოვრია არაკაცურად.

უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი მშობლები და დები – ეკა და ნანა*



ლამარა, ნათია, ზური კვაკაციები, სვეტა, გელა გაგუები თანაუგრძნობენ გივი, ლიანა და ნუნუ კვაკაციებს, დის და მულის

**თამარ გიორგის ასული კვაკაცია-დანელიას**

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 17 საათზე, მარტვილის რ-ნის სოფ. ლეხაინდრაოში.

# „უკან აღარასოდეს მოუხედავ"

ლექსო ახლა 38 წლის არის. ათი წელია, რაც უფლის სამსახურში ჩადგა. არა, ის არც მღვდელია და არც ბერი, თავს ამხელა პატივის ღირსად არ მიიჩნევს. უფალს ისე ემსახურება, როგორც შეუძლია — დადის საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში და თუ სადმე ეკლესიის მშენებლობას ნახავს, ან ძველი ტაძრის რესტავრაციას, სრულიად უსასყიდლოდ მუშაობს. რაც მეტი სადმე გამოუჩნდება, მით უფრო ემადლიერება არსთაგამრიგეს...

— ქვრივი დედაჩემი ხშირად ორ ცვლაში მუშაობდა, რომ სამი შვილი ერჩინა. ადრეულ დამოუკიდებლობას ქუჩამ შეგვაჩვია. პატარა ბიჭები სულელურად ვამაყობდით ნარკომანების მეგობრობით და ვერც შევამჩნიეთ, როგორ ჩავეთრიეთ ჭაობში და ადრე თუ „საჩუქრად" გვაძლევდნენ ნამალს, ნემსის წვერზე რომ „შეგვსვეს", ფული მოგვთხოვეს.

არ მინდა გახსენება, რა დღეში ვიყავით დედა და დები, როცა ნარკოტიკის ფული არ მქონდა, როგორ ვიპარავდი შინიდან ნივთებს და ვყიდდი. ერთ მშვენიერ დღეს კი საკუთარი დის პატიოსნება გავყიდე — ჰო, ისე დავეცი, რომ 18 წლის და ერთ ფულიან, გატუტუცებულ ბიჭს „ერთი ღამით" „მივყიდე". ჩემი და თავად გავიტყუე სახლიდან. სასტუმროს მაშინ მიხვდა...

დედა იმ ღამესაც მეორე ცვლაში მუშაობდა და 12 საათამდე არ დაბრუნდებოდა. შუაღამე დას არ იყო შინ, მხოლოდ მე და ის ვიყავით, რომელსაც ყოველთვის განსაკუთრებით ვუყვარდი. ვუთხარი — საქმეზე გამყევი და მალე დავბრუნდებით-მეთქი. იფიქრა, ჩემთან ერთად ცუდს არაფერს ჩაიდენსო... არადა, იმ არაკაცთან შინ უნდა მიმეყვანა. ისე ვიყავი ნარკოტიკის სურვილით გამრუდებული, აღარ გამიწევია ანგარიში, ყველაფერი რომ გამჟღავნებულიყო, მერე როგორ უნდა მეცხოვრა.

გზად ტაძრის წინ უნდა გაგვევლო. ჩემმა დამ პირჯვარი გადაიწერა. რატომღაც გავიფიქრე: „ღმერთი რომ იყოს, ჩემს თავს ასე არ დაუშვებდა-მეთქი". ეს იყო და გუმბათზე აღმართული ჯვარი აალებულივით გავარვარდა, მერე გაბრწყინდა და თითქოს სხივის მაგვარი რაღაც თავში ისარივით მესობა. გავითიშე...

...არა, ღმერთი არ მინახავს, არც სხვა რამ ხილვა მქონია, მხოლოდ ხმა გავიგონე: — თუ ახლა არ ირწმუნებ და არ დაუბრუნდები ღმერთს, ვეღარასოდეს იხილავ ნათელს... ადექი, დას ხელი მოჰკიდე და შინ დაბრუნდი, წარსული დაივიწყე და უკან არასოდეს მოიხედო!

...თვალი რომ გავახილე, თავი ჩემი დის კალთაში მედო. ის ტიროდა. თვალი რომ გავახილე, გაიხარა: — მეგონა, მოკვდი...

გუმბათს შევხედე. ჯვარი ჩვეულებრივად იდგა. დას ხელი მოვკიდე — ცუდად ვარ-მეთქი და შინ მოვბრუნდით.

მოგვიანებით იმ მიიხრა: უცებ ტკივილისაგან ნერვულ ... აღარც ტკივილები მქონია, აღარც ... გამწყრალი ვიყავი. ... ღმერთმა გამომიყვანა ... თავში ... მართალი ... ... ჩემი დაღუპვა და ... ჩემს ... ... ვუყვარდი.

კარგა ხანს ვერ ვბედავდი ტაძრის შესვლას. მეკლესიებს შორისაც ვეძებდი თავს. არადა, შინ რამდენ ხანს გამოვიკეტებოდი?! ბოლოს, მიმდინარე მამაოს, ვისთანაც ახლა უნდა მიმეგვარა და აღსარება ვთქვი. დიდხანს ვიდექი ... და ... — მომეცით, დას კი ვერ მოვუყვები-მეთქი. — ნადი, ჩათვალე, რომ არასოდეს გქონდა ჩემი ვალი, — მიპასუხა.

ამ ბიჭისგან ნამსხვრევი ტაძარი გაჭრიდა და სამოლი ... დავიფიცე, რომ წარსულთან აღარასოდეს გვიმეღლებოდა. გამოვიქეცი, მაგრამ ფიცი არ გამიტეხავს.

ჩემი და გათხოვდა და დღეს ბედნიერი ოჯახის დედაა. მე კი არ ვაპირებ ოჯახის შექმნას, მთელი სიცოცხლე ასე უნდა ვიხეტიალო და უფალს ჩემებურად ვემსახურო, — დაასრულა ლექსომ.

*ინგა ჯაყელი*

# უხილავმა ძალამ რამდენჯერმე გადამარჩინა სიკვდილს

...თბილისის ომიდან დაწყებული, ყველა სამხედრო დაპირისპირების ეპიცენტრში ვარ ნამყოფ-ნაბრძოლი, მათ შორის, ბუნებრივია, აფხაზეთშიც და ხშირად ისეთ სიტუაციაში აღმოვჩენილვარ, გადარჩენის შანსი რომ არ იყო, არადა, ერთხელაც არ დავჭრილვარ, რაც ბედნიერი შემთხვევითობა ეგონათ. ეს ჩემთვის თუმცა აუხსნელია, მაგრამ მაინც კანონზომიერებად მიმაჩნია.

ბაბუის სეხნია ვარ და ამიტომ მოხუცს გამორჩეულად ვუყვარდი. დიდი სამამულო ომის ვეტერანი იყო და ისე მოიარა ლამის მთელი მსოფლიო, ბეწვიც არ ჩამოვარდნია თავიდან.

სკოლის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ჯარში გამიწვიეს. სწორედ მაშინ მომცა ბაბუამ ტყავის მედალიონი და მთხოვა, არასოდეს მომეცილებინა: — მე მისმა ძალამ გადამარჩინა იმოდენა ომში, იმედი მაქვს, ჩემი მფარველი შენც დაგიცავსო.

ის მედალიონი მართლაც არ მომიშორებია. ომის დროს კი მარტო მე კი არა, ჩემი მეგობრებიც ბევრჯერ გადაარჩინა სიკვდილს...

ხშირად დაძინებულს თითქოს ვიღაც ხელს მკრავდა, მაღვიძებდა და იდუმალ მკარნახობდა — ადგილი შეიცვალეთ, სიკვდილს გაასწარითო.

წამოვყრიდი ბიჭებს და ან ყუმბარა აფეთქდებოდა ზუსტად იმ ადგილზე, სადაც წუთის წინ გვეძინა, ან ავტომატის ჯერს დაგვაყრიდნენ მტრის ჯარისკაცები...

ერთხელ, მანქანისკენ გავემართეთ ჩასასხდომად. დავინახე, თითქმის გამჭვირვალე თეთროსანმა არსებამ უარის ნიშნად ხელი გააქნია და გაქრა. ბიჭებს მოვხედე გაოცებულმა — თქვენც დაინახეთ-მეთქი?! გაიკვირვეს — ვინ, ან რა უნდა დაგვენახაო! რა უნდა მეთქვა, ან დამიჯერებდნენ, ან არა, ამიტომ ყველას ავუკრძალე მანქანასთან მიახლოება: — არ არის წესრიგში რაღაც, დამიჯერეთ-მეთქი. შეამოწმეს. დანაღმული აღმოჩნდა.

ის უცნაური არსება ღამითაც მეჩვენა. ერთხელ ღამით, დაზვერვაზე მივდიოდით. ტყეებს შორის პატარა მინდორი უნდა გაგვევლო. როგორც კი დავაპირეთ გადარბენა, დავინახე, როგორ იდგა ერთ ადგილზე ჰაერში ოდნავ აწეული და ხელით მანიშნებდა უკან დახევას. ბიჭები უკვე შეჩვეული იყვნენ ჩემს „ნათელმხილველობას" და ადვილად დამიჯერეს, შეჩერდნენ. ის ადგილიც დანაღმული გამოდგა და აშკარა სიკვდილს გადავრჩით...

ერთხელ, არავინ დამინახავს, მაგრამ ეზოში გამოსული თითქოს კედელს შევეჯახე და წავიქეცი. იმავე წამს თავზე სნაიპერის ტყვიამ გადამიარა და კედელში ჩაეჭედა. არც იმ ადგილზე წაქცევა მიმაჩნია შემთხვევითობად.

ღმერთმა ნუ ქნას ომი და უბედურება მეტად, თორემ ის ტყავის მედალიონი ჩემს შვილს გადაეცემა, ის თავის შვილებს უსახსოვრებს...

*ი.ჯ.*

# სიმართლე თვითმკვლელთა კლუბის შესახებ



როგორც ცნობილია, ჟიულ ვერნის რომანში, „80 დღე დედამიწის გარშემო", მოქმედება იწყება ლონდონის არისტოკრატიულ „რეფორმ-კლუბში", რომელიც პელ-მელის ფეშენებელურ ბულვარზე მდებარეობს. ეს კლუბი 170 წლის წინ დააარსეს მონებით ვაჭრობის მოწინააღმდეგეებმა და დღემდე არსებობს.

სხვა, ასევე პრესტიჟული „მდუმარეთა კლუბის" შესახებაც გვიამბო არტურ კონან დოილმა. აქ სრულ სიჩუმეში ატარებდა თავისუფალ დროს გამოჩენილი დეტექტივის უფროსი ძმა. მაგრამ არსებობდა სხვა კლუბებიც — „ბუზლუნათა", „ბიფშტექს-კლუბი", „დაბეჭდილი კვანძის კლუბი", „ხბოს თავი" და ა.შ.

ისე, ინგლისელები არ იქნებოდნენ ნამდვილი ინგლისელები, კლუბები რომ არ ჰქონდეთ. ამ კორპორაციული დაწესებულებების „წინაპარი" — ყავახანები ფართოდ გავრცელდა XVIII საუკუნის ლონდონში. ისინი შემდეგ იქცა კლუბებად, სადაც თავიდან მხოლოდ არისტოკრატები დადიოდნენ. XIXს-ში ელიტური დაწესებულებების კარი ფართოდ გაიღო საქმიანი სამყაროს წარმომადგენლებისთვისაც, რომლებიც კლუბებში დილიდანვე იკრიბებოდნენ. შუადღემდე ჯენტლმენები გაზეთების კითხვასა და საქმიანი წერილების წერას უნდებოდნენ. წერდნენ საგანგებო ფურცლებზე, რომლებსაც ცალკეული კლუბი თავისი დამღით უშვებდა. ამას მოსდევდა სადილი, რის შემდეგაც განიხილავდნენ პოლიტიკურ თუ სხვა სიახლეებს. მიდიოდა ბანქოს თამაში და იდებოდა სხვადასხვა სახის ნაძლევი.

კლუბში სადილზე მისვლა მხოლოდ საღამოს კოსტიუმებით იყო ნებადართული; კლუბები ცდილობდნენ, წაეხალისებინათ კულინარები. საუკეთესო იყვნენ საფრანგეთიდან ჩამოსულნი. ზოგიერთ კლუბში მოწევა მხოლოდ მოსაწევ ოთახში იყო ნებადართული. დიდი რომანისტის, ჩარლზ დიკენსის ეპოქაში, „პიკვიკის კლუბის" შესახებ რომ გვიამბო, ეწეოდნენ ჩიბუხს და სიგარას.

კლუბებში მიღებული უცვლელი წესები ინგლისელ მწერალთა მრავალ ნაწარმოებშია აღწერილი. მათგან ყველაზე ცნობილია რობერტ სტივენსონის „თვითმკვლელთა კლუბი". გულუბრყვილობა იქნებოდა გვევარაუდა, რომ ეს კლუბი ჩვენს დრომდე მოაღწევდა. გასაოცარია, რომ იგი საერთოდ არსებობდა. მწერალი გაეცნო კლუბის ორგანიზატორთა წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს.

ეგრეთ წოდებული თვითმკვლელთა კლუბი მდებარეობდა ლონდონის პრივილეგირებულ ნაწილში, ჩარინგ-კროსის ვაგზალთან, ერთობ საზარელი შესახედაობის სახლში. შენობა შავი ფერისა იყო, კოლონები კი, რომლებიც კარებს და ფანჯრებს ამშვენებდა, წარმოადგენდა ტრაგიზმით აღბეჭდილი მოტირალი ქალების ქანდაკებებს.

ხელისუფლებამ იცოდა, რომ შავ სახლში რაღაც კლუბი იყო. ყოველ საღამოს მის წინ ეტლების და ავტომობილების გრძელი რიგი იდგა. მუქი ტონებით შეღებილ კლუბის დარბაზებში მამაკაცები კარტს თამაშობდნენ, ვახშმობდნენ, სვამდნენ ღვინოს და... მხიარული მუსიკის თანხლებით მოულოდნელად იხოცებოდნენ.

უცნაური სახელი ერქვა ამ კლუბს — „გულის უკურნებელი სენით შეპყრობილთა კლუბი". ალბათ ამიტომ დიდხანს არავის გასჩენია ეჭვი კლუბის ამა თუ იმ წევრის მოულოდნელი გარდაცვალების გამო. ახსნა-განმარტება მარტივი იყო: ზედმეტი დალია, ინერვიულა, გადაილალა. იყო ცეკვები, გართობა... და უცებ მხიარულების მწვერვალზე მოდიოდა სიკვდილი. მას ვერავინ ამჩნევდა და მასაც მშვიდად მიჰყავდა თავისი მსხვერპლი. მოწვეული ექიმი კი, ჩვეულებრივ, გულის დამბლის დიაგნოზს სვამდა.

ისიც სათქმელია, რომ ზოგიერთებს, ვინც უფრო ჩახედული იყო კლუბის საქმეებში, ძალზე აკვირვებდათ ერთი გარემოება: დროდადრო სახლში, სადაც ქალების შესვლა მკაცრად იყო აკრძალული, გამოჩნდებოდნენ ხოლმე ლამაზმანები. პოლიციამ მოისყიდა კლუბის მსახურები, შეგზავნა აგენტურა, რომლებიც შიკრიკად მოეწყვნენ კლუბში „სამუშაოდ".

გამოირკვა, მომხიბლავი ლამაზმანები კალის ქურუმები იყვნენ. კალი ინდურ ეპოსში სიკვდილის ქალღმერთი იყო. თუმცა „ქურუმებს" ევროპულ ყიადაზე ეცვათ. ისინი ბენარესიდან (ქალაქი ინდოეთში) ჩამოდიოდნენ და პატარა, სპილოს ძვლის ზარდახშით მოჰქონდათ გველის მომაკვდინებელი შხამი.

ღამით, ლხინი აპოთეოზს რომ აღწევდა, ეგზოტიკური გარეგნობის ლამაზმანები შეუმჩნევლად უსხამდნენ შამპანურით სავსე ფუჟერებში შხამს იმას, ვინც არჩეული იყო „სიკვდილის მისაღებად". რჩეული უსულოდ ენარცხებოდა იატაკს...

კლუბი XIXს-ის ბოლოს დახურეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ორმოც კაცზე მეტმა დაასრულა სიცოცხლე „შავი სახლის" კედლებში.

*ნინო №22*

# ცისფერ გორაკთა დედოფალი

1992 წელს ინგლისურ გაზეთებში დაიბეჭდა ცნობები „ცისფერ გორაკთა დედოფალზე", ახალგაზრდა ქალის აჩრდილზე, რომელიც სოფლის შარაგზებსა და გზატკეცილებზე დაეხეტებოდა და შიშის ზარს სცემდა ავტომობილის მძღოლებს.

ეს უცნაური პერსონაჟი ინგლისურ ლეგენდებშიც მოიხსენიებოდა. მიიჩნეოდა, რომ „დედოფალი" ტყეებში, გზებზე, ძველ სახლებსა და კენტის საგრაფოს ციხე-დარბაზებში მობინადრე მოჩვენებებს წინამძღოლობდა.

1992 წლის ოქტომბერში ორმა ტრაქტორისტმა, აღმოსავლეთ კენტში, მინდვრად მუშაობისას შენიშნა ქალი, რომელიც ტრაქტორის ნაკვალევში მიაბიჯებდა. ბინდდებოდა. თმაგაშლილ უცნობს გრძელი, ფართო სამოსი ეცვა. ერთმა მათგანმა, ჯეფრი სვენმა, ტრაქტორი უკან მიაბრუნა, რათა ქალს დასწეოდა და მისი ვინაობა გაეგო, მაგრამ უცნობი საპირისპირო მხარეს გაიქცა და მალე თვალს მიეფარა.

მითის მიხედვით, ეს ქალი საღამოობით ხშირად დგას გზის პირას და ავტომანქანების მძღოლებს დაჟინებით მისჩერებია თვალებში. მისი მზერით მონუსხული მძღოლები საჭეს ველარ იმორჩილებენ, ავტომობილი ან ხეს ეჯახება, ანდა გადაყირავდება. ცოცხლად გადარჩენილები ირწმუნებიან, რომ ქალის ფერმკრთალი სახე და დიდრონი თვალები ყველას ანდამატივით იზიდავს.

უმეტესწილად, „ცისფერ გორაკთა დედოფალი" მსხვერპლს უძველეს სოფელ სტროუბერისთან, ბორცვების დასაწყისში უდარაჯებს ხოლმე. ამ ადგილებში გაზაფხულობით უამრავი ლილილო ყვავის, ამიტომაც უწოდებენ ცისფერ გორაკებს.

ერთ-ერთი უბედური შემთხვევა აქ 1965 წლის 8 მარტს მოხდა — სამი ქალიშვილი დაიღუპა. ისინი ჯვრისწერაზე ეკლესიისკენ მიიჩქაროდნენ მეზობელ სოფელში. ერთი მათგანი საპატარძლო იყო, მეორე მისი და, ხოლო მესამე — ხელისმომკიდე. საჭესთან საპატარძლოს და იჯდა. საქმრო და მღვდელი ამაოდ ელოდნენ პატარძალს. როგორც კი საქმრომ ტრაგედიის ამბავი შეიტყო, მაშინვე სიცოცხლე მოისწრაფა... იმ დღეს ეკლესიაში ყველამ შენიშნა უცნაური, ძველმოდურ კაბაში გამოწყობილი უცნობი ქალი. იგი საოცრად ფერმკრთალი იყო. არავის დაუნახავს, როდის შევიდა ქალი ეკლესიაში...

2005 წლის 15 იანვარს სტროუბერიში კიდევ ერთი უცნაური შემთხვევა მოხდა. ცოლ-ქმარი მეიდენები და მათი 16 წლის ქალიშვილი აილესფორდიდან ბრუნდებოდნენ. ღამდებოდა. ცისფერ გორაკებთან მათ ძველ, ჩატაბისკენ მიმავალ გზაზე გადაუხვიეს. გზა მკვეთრად უხვევდა მარჯვნივ, მოსახვევის ბოლოს კი სიბნელეში, რომელიც მანქანის ფარებმა გაკვეთეს, ქალი იდგა. ჩარლზ მეიდენმა დაამუხრუჭა და, მისი აზრით, სწორედ ამან იხსნა ძველმოდურ კაბაში გამოწყობილი და მხრებზე ქათიბმოსხმული გრძელთმიანი ქალი, რომელიც შიშით მუხლებზე დაეცა და სახეზე ხელები აიფარა. ჩარლზ მეიდენის მონათხრობით, როცა უცნობმა ხელები ჩამოსწია, მიცვალებულივით ფერმკრთალ სახეზე უშველებელი შავი თვალები ავად აუკიაფდა. ქალი დაჟინებით მისჩერებოდა მძღოლს, მერე კი პირი გაალო — ის უძირო შავ ხვრელს ჰგავდა. ცოტა ხნის შემდეგ ქალი ნელა შებრუნდა და იქაურობას გაშორდა. კორესპონდენტი, რომელმაც მეიდენის მონათხრობი ჩაიწერა, სრულებით დარწმუნებული გახლდათ, რომ ქალი „ცისფერ გორაკთა დედოფალი" იყო. ეს ერთადერთი შემთხვევა აღმოჩნდა, როცა მოჩვენების მხილველნი ცოცხლები გადარჩნენ.

ყველასათვის ცნობილია, რომ ინგლისი აჩრდილების ქვეყანაა და ბრიტანელებს უყვართ თავიანთი მოჩვენებები. სახლები, სადაც ისინი ბინადრობენ, გაცილებით ძვირი ღირს, მაგრამ ნათქვამი „ცისფერ გორაკთა დედოფალს" არ ეხება, რადგან კენტის მცხოვრებნი მას ძალიან უფრთხიან.

ამბობენ, რომ ეს მოჩვენება XX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. მაშინ სტროუბერიში ძალზე მდიდარი და ამპარტავანი მიწათმფლობელი ედუარდ გორდონი ცხოვრობდა, რომელსაც ღარიბი გოგონა — ელენი ემსახურებოდა. ხანდაზმულმა ჯენტლმენმა აცდუნა 16 წლის ქალიშვილი და იგი დაფეხმძიმდა. სოფლის მცხოვრებლებმა მისი სახლის კარს კუპრი წაუსვეს. გოგონამ თავსლაფის დასხმა ვერ აიტანა და 7 თვის ფეხმძიმემ თავი ჩამოიხრჩო. ლეგენდის თანახმად, ხელში მას ქაღალდის ნაგლეჯი უპოვეს, რომელზეც ეწერა: „წყეულიმც იყოს სტროუბერი". ცოტა ხანში გორდონის სახლს ხანძარი გაუჩნდა და ოჯახი შიგ გამოიბუგა.

მოგვიანებით კი ცისფერ გორაკებზე გამოჩნდა გოგონა, რომელიც საოცრად ჰგავდა ელენს — ის ლილილოებს კრეფდა. მას შემდეგ აჩრდილი შარაგზებზე დაეხეტება...

*ტაინაია ვლასტ*

**„საზალოო-სალაღო" გვერდის პასუხები**

I. მე-2 და მე-9 სტაფილოები.

II. სწავლა საუნჯეა, უსწავლელობა — სიმუნჯე.

## №40 (470) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

### თემა №40(470) – მოხელეები

**ვის მუშაობას აფასებთ ყველაზე დადებითად?** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 8 ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

| № | №40(470) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | გია ქავთარაძე – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე | |
| 2 | გოგა ხაინდრავა – სახელმწიფო მინისტრი | |
| 3 | გიგი უგულავა – თბილისის მერი | |
| 4 | დავით მესხიშვილი – სანიტარული ზედამხედვ. ინსპექციის უფროსი | |
| 5 | გელა ბეჟუაშვილი – უშიშროების საბჭოს მდივანი | |
| 6 | დავით კეზერაშვილი – ფინანსური პოლიციის უფროსი | |
| 7 | სოზარ სუბარი – სახალხო დამცველი | |
| 8 | ზურაბ ადეიშვილი – გენერალური პროკურორი | |

### მკითხველის შეფასება

დაასახელეთ სექტემბრის თვის ადამიანი საქართველოში

✓ ____________________

### მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის შეფასება და «მკითხველის პრემიაში»

№40(470) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 5 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 6 ოქტომბრის 13 საათამდე. ©თბილისი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში" მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც". თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათებით.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## №39 (469) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

თემას — **„რაინდები პარლამენტში"** — 512 რესპონდენტი გამოეხმაურა. 10 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 186-მა ქალმა და 276-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ყველაზე მეტად რომელ პარლამენტარს ახასიათებს რაინდული თვისებები"?**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა დაახლოებით 44%-მა საქართველოს პარლამენტის რაინდის ტიტული კონსერვატორ დავითაშვილს მიანიჭა — **6.65** საშუალო ქულით კობა დავითაშვილი პირველ ადგილზეა.

რესპონდენტთა 25% კი თვლის, რომ რაინდული თვისებები ყველაზე მეტად ლევან ბერძენიშვილს ახასიათებს. ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური ქულა სწორედ მან დაიმსახურა — მხოლოდ 5-მა მკითხველმა (1.1%) დაუწერა მას 1 ქულა. აღსანიშნავია, რომ ქალბატონებთან პირველ ადგილზე ლევან ბერძენიშვილია, მეორეზე კი — დავითაშვილი.

რაც შეეხება რესპონდენტთა 11%-ს, მათთვის ჩვენი დროის რაინდი პარლამენტში კოტე გაბაშვილია.

რაინდების რეიტინგში ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით დავით კირკიტაძე და გიგა ბოკერია გამოირჩევიან. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა ბოკერიას ხვდა წილად — რესპონდენტთა 49%-მა შეაფასა იგი 1 ქულით; ყველაზე მცირე რაოდენობის მაქსიმალური შეფასება კი მიხეილ მაჭავარიანმა (2.1%) დაიმსახურა.




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 49 წლის წყალტუბოელი **გელა ხაჭაპურიძეა**.

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 5 ოქტომბერს 17 საათზე.

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 25 ლარს გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა 20 ლარი, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — 15 ლარს. გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

### წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **მარინა ბაბუნაშვილი** — „ტრაგედია... გმირებით" — 92 ხმა
2. **მანანა ტუაევა** — „ახალმოწამენი" — 49
3. **ვაჟა გავაშელი** — „უსანქციო ოპერაცია ნიღბიანი ყაჩაღის წინააღმდეგ" — 47
4. **იზო რიკაძე**— „უნდა ჩასულიყო თუ არა ოქრუაშვილი სამაჩაბლოში?!" — 20
5. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე" — 16

*მკითხველის პრემიის მფლობელები 307-მა რესპონდენტმა გამოავლინა*

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია. თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ზანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

*„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.*

### (40) უფასო განცხადების ქვითარი

სიტყვა და საქმე

განცხადების ტექსტი ____________________

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№40 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 6 ოქტომბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

### მკითხველის შეფასების შედეგები

**კითხვა:** „კვირის პალიტრის" გარდა „კვირის პალიტრის" საგამომცემლო სახლის რომელ გამოცემებს ეცნობით მეტ-ნაკლები პერიოდულობით?" *(დაასახელეთ მაქსიმუმ ოთხი)*

| | | ქულა |
|---|---|---|
| 1. | გზა | 129 |
| 2. | სიტყვა და საქმე | 84 |
| 3. | რეიტინგი | 78 |
| 4. | ბომონდი | 49 |
| 5. | ოჯახის მკურნალი | 45 |
| 6. | კარიბჭე | 33 |
| 7. | არსენალი | 31 |
| 8. | ლიტერატურული პალიტრა | 25 |
| 9. | კარუსელი | 22 |
| 10-11. | TV კარუსელი | 3 |
| 10-11. | საბავშვო კარუსელი | 3 |
| | არც ერთს | 12.3% |
| | მიჭირს პასუხის გაცემა | 2.2% |

*მკითხველის რეიტინგში 304-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა*

## ცნობილთა აზრით:



**ზვიად ძიძიგური**: — რა თქმა უნდა, პირველ რიგში მაინც „კვირის პალიტრას" დავასახელებდი. ამ გაზეთს ვერც ერთი გაზეთი თუ ჟურნალი საქართველოში დღეისათვის კონკურენციას ვერ უწევს. რაც შეეხება, მაგალითად, „სიტყვა და საქმეს" — ყიდვა-გაყიდვით დაინტერესებული არ ვარ. ხოლო „ბომონდს", „გზას" და „რეიტინგს" ხშირად ვკითხულობ, რადგანაც აქ მრავლად არის სახალისო და გასართობი მასალები. მიყვარს ამ ჟანრის მასალებითაც თავის შექცევა.



**ირაკლი ჩარკვიანი**: — ამჟამად არც ერთ ჟურნალ-გაზეთს არ ვეცნობი, რადგანაც მწერლობით ვარ გატაცებული — ვმუშაობ რომანზე. თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარი ინტერვიუების წაკითხვაც კი მავიწყდება, რომლებიც მრავლად იბეჭდება თქვენს სხვადასხვა გამოცემაში. ისე კი, მეტი დრო როცა მრჩებოდა, თქვენი საგამომცემლო სახლის ყველა გამოცემას ვეცნობოდი მეტ-ნაკლები პერიოდულობით.



**გიგი წერეთელი**: — „კვირის პალიტრა" კონკურენციის გარეშეა. სხვა გაზეთებს არც კი ვკითხულობ. რაც შეეხება გასართობ და უფრო მსუბუქ მასალებს, რომლებიც მრავლად არის „გზაში", „რეიტინგსა" თუ „ბომონდში", ხშირად ვკითხულობ. თავად ინტერვიუს მიცემა პირად ცხოვრებაზე არ მიყვარს, თუმცა სხვისას ხალისით ვეცნობი ხოლმე. მომწონს შემეცნებითი მასალებიც, რომლებიც „გზასა" და „რეიტინგში" უხვად არის. ასევე სისტემატურად ვეცნობი ჟურნალ „ოჯახის მკურნალს" როგორც ექიმი. ასე რომ, „კვირის პალიტრის" შემდგომ „ჩემს სიაში" „ოჯახის მკურნალს" მეორე ადგილი უჭირავს, შემდეგ მოდის „გზა", „ბომონდი" და „რეიტინგი".

კადრი ჩვენი რეალობიდან ნარწერით — „უკომენტაროდ“.

რომლის მიზანია გაგიჩნდეს სურვილი თქვა: დამლალა ნუმპემ, თქვენთან მინდა!..

საყვედური ზემოდან — ჟურნალისტი არ უნდა აჰყვეს ემოციებს!

ვილებ საყვედურს; ჩემი ემოცია იმ ხუთსაათიანი საუბრის დროს „მოვხარშე“, როცა ჩვენ პირისპირ ვისხედით.

ახლა თქვენი დროა.

... ამ მასალაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციას ფლობდა რესპონდენტი, რომელიც ნარკომანია.

ბუნებრივია, მას ვიცნობ, ან ვიცნობდი ყოველთვის, მაგრამ მის გვარს, სახელს და მისამართს არ გავამხელ.

თუმცა... მისი სახელიც, გვარიც და მისამართიც შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ მონაცემებში დევს, რომელშიც მასთან ერთად კიდევ 200000 ჩვენი თანამემამულე ირიცხება. მაგრამ...

— ეს არ არის ზუსტი ციფრი და ეს „იმათაც“ იციან.

— **რატომ, გაზვიადებულია?**

— პირიქით, ის ვერ ასახავს რეალობას, რადგან სურათი გაცილებით მასშტაბურია. მე იმ სამ მილიონ-ნახევრიდან ვითვლი, რომელიც საქართველოში შემორჩა ბოლო წლებში. მილიონ ორასი ათასს, რომელიც ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ ცხოვრობს, არ ვეხები, თუმცა იქ, ალბათ უარესი სურათია.

— **საქართველოში ნარკომანების ასაკი გაახალგაზრდავდა?..**

— გლობალიზაციის პირობებში ასეთია მცირე ერების ბედი... გაახალგაზრდავდა და მანდილოსნებითაც შეივსო.

— **რომელი ასაკი ითვლება საშიშად?**

— თოთხმეტი.

— **თოთხმეტი წლის ადამიანი ბავშვია!..**

— პატრონიანი ბავშვი. უპატრონოები ნებოთი კაიფობენ, ოჯახის ბავშვები კი — საწყის სტადიაზე ჰაშიშით, იმავე პლანით.

— **შენ იყენებ ჰაშიშს?**

— აღარ. 10-12 წელიწადია აღარ მომინევია. პრობლემების აღქმას მიმძაფრებს.

— **მორფინი, სუბუტექსი, ან ჰეროინი ამ პრობლემებს რას უშვრება?**

— ვერაფერს. პრობლემა რჩება, თუმცა მისი გადატანა იოლდება.

— **ე.ი. პრობლემას სალბუნს ვადებთ?**

— ასე გამოდის. ეს დაახლოებით ისეთივე განტვირთვაა ჩემთვის, როგორც ვთქვათ, ცუდ ხასიათზე ყოფნის დროს საპარიკმახეროში ვიზიტი.

— **14 წლის მოზარდი პრობლემებისთვის ეწევა?**

— პრობლემები მათაც აქვთ, მაგრამ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, იმიტომ ეწევა, რომ ერთხელ შეცდა და გასინჯა.

— **ვინც ასინჯებს, მისთვის ეს დაინტერესებაა?**

— მატერიალური. პატარა ადამიანი მარტო ვერასდროს შეიძენს ნარკოტიკს, მაგრამ ოჯახში ფულის შოვნა შეუძლია. ის უბრალოდ იძულებულია მიაკითხოს „ნათლიას.“



# „მოხარშე“ ემოცია

— **ე.ი. ყველაფერი ჰაშიშით იწყება?**

— ეს თითქოს ყველაზე უმტკივნეულო ნარკოტიკია. თან იაფი. ყველა ნარკომანი ჰაშიშით იწყებს. ასე უნდა გაიგოს კაიფის გემო. შემდეგში სწორედ ეს ცოდნა აძლევინებს შიშს; ნემსის, ჩხვლეტის, ტკივილის, შეჩვევის, გაუცხოების, საზოგადოებისგან გარიყვის შიშს. სურვილი გამოსცადოს კიდევ ერთხელ ეს სიამოვნება, რომელსაც მე ვერაფერს შევადარებ. ეს სიამოვნება შემდეგში აიძულებს, ნარკოტიკის შესაძენად ეძებოს გზები და საშუალებები.

— **ჰაშიში, ისევე როგორც ნებისმიერი ნარკოტიკი, იწვევს შეჩვევას.**

— დამოკიდებულებაა სწორი სიტყვა ამ შემთხვევისათვის. სიამოვნებას, რომელსაც იღებ მისი მოხმარების პირველ ხანებში, მალე ველარ გრძნობ, არადა ისევ გინდა გამოსცადო.

— **და აგრძელებ ძიებას ინტელექტის და შესაძლებლობების ფარგლებში?**

— სამწუხაროდ, ინტელექტს მნიშვნელობა აღარ აქვს. ის შენ მილმა რჩება და შენგან დამოუკიდებლად აგრძელებს არსებობას. შენი თვალსაწიერი იმდენად მცირდება, რომ ნარკოტიკის გარდა სხვას ველარაფერს ხედავ.

— **არ არსებობს ოჯახი, მეგობრები, მეუღლე, შვილები?!**

— იმ მომენტში, როდესაც წამალს ეძებ, არა. როცა გაქვს, ეს ყველაფერი ბრუნდება.

— **და ცხოვრება ერთი დიდი სიამოვნებაა?**

— თავიდან ასეა, მაგრამ როგორც ჰაშიშის შემთხვევაში, ასეთი ნირვანა ძალიან ხანმოკლეა; დამოკიდებულებამდე. როგორც კი ნარკოტიკზე დამოკიდებული ხდები, იკეთებ იმისთვის, რომ კარგად იყო და არა იმისათვის, რომ იკაიფო.

— **კარგად იყო, ანუ ჩვეულებრივად?**

— ჰო, თავიდან იმედი გაქვს, რომ კაიფს ისევ იგრძნობ და დოზებს ზრდი, მაგრამ ეს კაიფს რაღაც გარკვეულ ზღვრამდე „გაჭერინებს“. მერე ესეც აღარ გშველის. ანუ იწყება უარესი, „ლომკა“...

— **ტკივილი, სისუსტე, გულისრევა, სისხლის დენა, ჰალუცინაციები...**

— და იკეთებ იმისთვის, რომ ეს ყველაფერი თავიდან აიცილო.

— **მაგრამ „ლომკის გადაგდებას“ ბევრი ახერხებს?..**

— სამედიცინო თვალსაზრისით ახერხებ, მაგრამ შემდეგ? მიზანი? მოკლედ მიაღწევ მიზანს, „ლომკას გადააგდებ“ და უფუნქციოდ რჩები. ასეთ შემთხვევაში უსაქმობის „ლომკა“ გეწყება. დეპრესიაში ვარდები და ერთ-ერთი ასეთი „უსასოდ ყოფნის“ დროს, თავიდან იწყებ „ჩალიჩს“.

— **„აჩალიჩდი“, ანუ?!**

— ანუ, დავსაქმდი. წარმოიდგინე, გავახილე თვალი, გამოვძვერი საბნიდან, გამოვედი ქუჩაში, დავდექი სახლთან და დავალამე. ასე ზედიზედ, უმიზნოდ და უაზროდ, ვილაც უინტერესო და უფუნქციო ადამიანების წრეში.

მეორე მხრივ, ასეთივე ადამიანი უფუნქციო და მოცლილი გამოდის სახლიდან, დგება ქუჩაში, მაგრამ მას სხვებისგან გამოარჩევს „პონტი“ (ანუ, ნარკოტიკის შეძენის შესაძლებლობა, წყარო). ამ დროს გევლინება მეორე — ფული, მესამე — მანქანა. და ნახე, წრედი შეიკრა. ე.ი. დღევანდელი „ჩალიჩი“ შედგა.

ეს ერთგვარი „დასაქმებაა“.

„მიზნის“ არსებობა.

ბევრს ვიცნობ ისეთ ადამიანს, რომელსაც „ლომკის“ გადაგდების ძალაც შესწევს და ფულიც აქვს ამისათვის, მაგრამ როგორც კი მიზანს აღწევენ და თავისუფლდებიან დამოკიდებულებისგან, ყველაფერს თავიდან იწყებენ. ეს ერთგვარი აზარტია.

— **და წამლისგან მიღებული სიამოვნება დაბრუნდა?!**

— ამისთვის კეთდება ყველაფერი.

— **მაგრამ თუ ბოლოს ამ სიამოვნებას ველარ იღებ და იმიტომ იკეთებ, რომ ჩვეულებრივად იგრძნო თავი, გადაგდების შემთხვევაშიც ხომ ჩვეულებრივი ხარ? თან არსებობს ჩანაცვლებითი, უმტკივნეულო თერაპია...**

— ტკივილს კი იხსნი, მაგრამ ფსიქიკას რას უშვრები? აქ წვრილმანები ქმნიან მთავარს. ერთ-ერთი ასეთი წვრილმანია ჩხვლეტა. ჩხვლეტა სიამოვნების საწყისთან არის გაიგივებული. ამიტომ ეს უსიამოვნო განცდა ზესიამოვნების პირველ ნაბიჯად აღიქმება და სასურველ და სანატრელ შეგრძნებად იქცევა. ამიტომ ხშირად მხოლოდ ჩხვლეტისთვის იკეთებენ...

ახლა სხვანაირად მივუდგეთ ამ საკითხს: რევოლუციამდელ საქართველოში, არა მარტო პრივატულ საუბრებში, არამედ პარლამენტის დონეზეც, ბევრს საუბრობდნენ ჩანაცვლებით თერაპიაზე, კონკრეტულად პრეპარატ მეტადონზე. ამის ინიციატორად მაშინ ნარკოცენტრის დირექტორი გელა ლეჟავა მოგვევლინა. ეს უძლიერესი და უძვირესი პრეპარატი თავადაც ნარკოტიკია და სხვათა შორის ჩვენი ე.წ. „ვიპ საზოგადოება“ მეტადონზე „ზის“. მას აბსოლუტურად უმტკივნეულოდ მიჰყავხარ სრულ რეაბილიტაციამდე. მაგრამ მაშინ ეს პროექტი დაიბლოკა.

— **ვინ დაბლოკა?**

— ზედა ეშელონებმა, რადგან ნარკოტიკის გაძევებით ფინანსური წყარო უწყდებოდათ...

— **ახლა პრობლემას შემოვუაროთ და ასე დავსვათ საკითხი. როგორ ფიქრობ, ამ ფუნქციადაკარგულ ხალხს რომ ვაპოვნინოთ ფუნქცია, ვთქვათ ჩამოვურიგოთ თანამდებობები (თუნდაც პრესტიჟული), დაანებებენ თავს ნარკოტიკს? დაუბრუნდებიან ნორმალურ ცხოვრებას, როცა აღარ ექნებათ „ჩალიჩის“, უქმი დროის მოკვლის აუცილებლობა?**

— არსებობს ერთი ასეთი გამოთქმა: Не бывает бывших наркоманов. როცა ადამიანმა ამისი გემო იცის, მისი დაბრუნება ძალიან ძნელია.

— **მაგრამ შენ ხომ იცი, რომ ეს ცუდია. ამიტომაც ვსაუბრობთ ახლა.**

— და ეს საუბარი ფსიქოლოგთან ალსარებას ჰგავს... ნარკომანიის მკურნალობას კომპლექსური, სახელმწიფოებრივი მიდგომა უნდა. მისი საშველი არც ლომკის გადაგდებაა და არც კეთილდღეობა, ან ღირსეული საქმე. წრე, უბანი, სიტუაცია, ყველაფერი უნდა შეცვალო. ალმოკვეთო ძირი — შეუძლებელი უნდა გახდეს ნარკოტიკის შეძენა. თუ გინდა, რომ ამ დალუპულმა თაობამ გაცილებით მახინჯი თაობა არ შვას, შენს ქვეყანაში ნარკოტიკი პირისაგან მიწისა უნდა აღგავო. დღეს ნებისმიერ სადარბაზოში ნახავთ მიგდებულ ნემსს და გატეხილ ამპულას. მერე რა? რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს, ვლაპარაკობთ? ამას ლაპარაკი არ სჭირდება. აბრეშუმის გზა რომ ნარკოტრასად გადაიქცა, ამას ლაპარაკი უშველის, თუ სახელმწიფოებრივი პოლიტიკა? ეს არის ქვეყანა, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ნებისმიერ კუთხეში, სადარბაზოში შეგიძლია შეიძინო ნარკოტიკი. ბარამიძემ დაწვა მინისტრობის დროს ყაყაჩოს თესლი — გახსოვს? ჩერნობილს ჰგავდა მაშინ მთელი თბილისი იმიტომ, რომ მაგას ხარშავდნენ და დაუხმათ ხელიც, ფეხიც და ტვინიც. ე.ი. კარგი ქნა ბარამიძემ, არა? ყაყაჩო იოლი გასამეტებელი იყო, რადგან იაფია. სუბუტექსზე რას იტყვით? სუბუტექსზე, იმ ნარკოტიკზე, რომელზეც ახლა „ზის“ ქვეყანა.

სახელმწიფოს ამაზე უნდა „ლაპის“ დადება. ეს უდიდესი შემოსავლის წყაროა. ჩვენნაირი პატარა, გავერანებული ქვეყნისთვის ამაზე უარის თქმა ძნელია. სუბუტექსის მომხმარებლის ასივე პროცენტს შერყეული აქვს ფსიქიკა. ეს ხელოვნური ნარკოტიკია და ძლიერ ზეგავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ეს პირდაპირ ერის გენოციდია!

— **ამბობ, რომ გამოსავალი მხოლოდ სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, სახელმწიფოებრივი მიდგომაა, მაგრამ ხომ არსებობს ადამიანის ნებაც?**

— აქ არ არის ნებისყოფაზე ლაპარაკი. ავადმყოფი ხარ!

— **მაინც მეჩვენება, რომ ავადმყოფობა შენთვის ფარია. შიშზე რას იტყვი?**

— რომელზე, მილიციის?

— **არა, უმთავრეს შიშზე, რომელიც კაცობრიობას „ათადან და ბაბადან“ მოსდევს, სიკვდილის შიშზე. რატომ ფიქრობს ადამიანი, რომ თავადაა დაზღვეული?**

— ჩემს ცხოვრებაში ერთხელ შემეშინდა, შეყვარებულობის პერიოდში. მერე ჩემი შვილების მომავალმა დამაფიქრა და ნარკოტიკს ორი წელიწადი აღარ გავკარებივარ. უფალმა დამიფარა და ანგელოზები მაჩუქა.

— **იზრუნე მომავალზე, მაგრამ არ ინდობ საკუთარ თავს? სამოთხეზე და ჯოჯოხეთზე რას იტყვი? ღმერთი არსებობს?**

— რა თქმა უნდა!

— **ამქვეყნიური ცხოვრება ჯოჯოხეთი ხომ არ არის, ანდა სამოთხე?**

— არა, ეს უფრო გაუგებრობაა. ჯოჯოხეთი მაინც ამაზე უარესი მგონია.

— **„ლომკას“ რომ არ შეედრება, ისეთი?**

— გაცილებით უარესი.

— **სად არის იმ ქვეყნად ნარკომანის ადგილი — სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში?**

— არა, ეს საკითხის გაუბრალოებაა. ღმერთი ხომ მონანიების შანსს ყოველთვის გვიტოვებს.

— **როდის, ლვიძლი რომ ბოლომდე დაიშლება, სიკვდილისწინა აგონიაში?**

— არა, მაშინ, როცა ამისთვის მზად ვიქნები. ხომ იყო დრო, როდესაც ნარკოტიკის გარეშე ვცხოვრობდი და ჩვეულებრივი ვიყავი. სხვანაირი, არა, სხვა. ვიცი ამ ისტორიის მთავარი პერსონაჟი მე ვარ. არც ოჯახი, არც საზოგადოება, არც სახელმწიფო, არც მეუღლე. მე და მხოლოდ მე შემიძლია ვმართო ჩემი ცხოვრება.

ამ საუბრის ჩაწერა შენ შთამაგონე. ჩვენს შემთხვევაში შენ იყავი ტვინი და მე ემოცია. საკითხი თავად დასვი და უპასუხე კიდეც... მაგრამ შენ არ ხარ ნარკომანის განზოგადებული სახე. განათლებული კაცი ხარ, სიცოცხლის ხალისიც არ დაგიკარგავს და არც ჭკუის დარიგება გჭირდება, ისედაც ყველაფერი იცი. სიამოვნებით ვიმეგობრებ შენთან, მაგრამ შენი მეუღლის არ იყოს, მეც გამიჭირდება იმის ყურება, როგორ კვდები. შენ უარს ამბობ ბედნიერებაზე, იმიტომ, რომ სიამოვნება გგონია ბედნიერება? საბედნიეროდ შენ არა, რადგან დაპატარავებული თვალსაწიერითაც კარგად არჩევ შავსა და თეთრს. ნუ იტყვი, რომ ინტელექტი, აღზრდა, სიტყვა არაფერს ნიშნავს. საყრდენი არ გაქვს? მიიხედ-მოიხედე და... იცოცხლე!

**დეა ცუცქირიძე**







# „კურტანიძე ამბობს – გაცალოვს მოგებულს არ დავტოვებო“

## ჩვენთან ყოველთვის ასე თვლიან – მოიგე? ესე იგი, სუსტი მეტოქე გყავდა...

ბუდაპეშტში დასრულებულმა მსოფლიო ჩემპიონატმა თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრებს სამივე სინჯის მედალი მოუტანა. ასპარეზობის პირველივე დღეს ბრინჯაო ოთარ თუშიშვილმა მოიპოვა, მერე რევაზ მინდორაშვილმა მოიოქროვა მკერდი და უნგრეთში ჩვენი მთავარი იმედის — ლუკა კურტანიძის ჯერიც დადგა... სამწუხაროდ, ქართველმა ფალავანმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მესამედ მოპოვება ველარ შეძლო და ფინალი რუს გაცალოვს დაუთმო. ხალიჩაზე კურტანიძე რომ არ ყოფილიყო, ვერცხლის მედალს შესანიშნავ შედეგად ჩავთვლიდით, ლუკასგან კი თითოეულ ტურნირში მხოლოდ უმაღლესი სინჯის მედლებს ველით.



როგორც ჩანს, კურტანიძემ ჯერაც ვერ დაივიწყა ათენის ოლიმპიადაზე განცდილი წარუმატებლობა. ამის შემდეგ ევროპაშიც რაღაც დააკლდა. ამ „რაღაცას“ გამოცდილი მოჭიდავე აუცილებლად გადალახავს, მანამდე კი, ნაკრების მთავარ მწვრთნელს, **ზაზა თურმანიძეს** მოვუსმინოთ.

— შედეგით, ბუნებრივია, კმაყოფილი ვარ, თუმცა, უკმაყოფილების გრძნობაც დამრჩა, — იყო ეპიზოდები, რომელთა უკეთ გამოყენება შეგვეძლო. ბრინჯაოს მედლის მოპოვების კარგი შანსი ჰქონდა ლევან ჩაბრაძეს, თუმცა, იმ ბრძოლის ბედი მსაჯების შეცდომამ გადაწყვიტა. ფინალში უნდა ეჭიდავა ოთარ თუშიშვილსაც, მაგრამ უმნიშვნელო შეცდომა დაუშვა და გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ველარ გაალწია. მთავარ იმედგაცრუებად კი ბუნებრივია, კურტანიძის დამარცხება იქცა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვა ველარ შეძლო.

— **როგორ გგონიათ, რატომ?**

— ლუკას ძალიან სურდა გამარჯვება და შესაძლოა, სწორედ ზედმეტი მონდომების ბრალი იყო, გაცალოვმა თავისი ტაქტიკა რომ მოახვია თავს და გამარჯვებაც მას დარჩა. გუნდურ პირველობაზე მესამე პოზიცია გვერგო, მედლების ხარისხით კი მეორეები ვიყავით.

— **მინდორაშვილის გამოსვლაზე რას იტყვით? რეზო ტიტულიანი ფალავანი კი არის, მაგრამ ამ ჩემპიონატზე თუ ელოდით მისგან ოქროს მედალს?**

— რატომღაც ყველას უჩნდება კითხვა, ველოდით თუ არა მინდორაშვილისაგან ოქროს... რეზოს ტიტულები არ აკლია — ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორია. ასე რომ, მისი გაჩემპიონება მოულოდნელი არ ყოფილა. როგორც ჩანს, სწორად ვიმუშავეთ მასთან და შედეგიც სახეზეა.

— **ისევ კურტანიძის ბრძოლას გაგახსენებთ. მეორე პერიოდში, გაცალოვმა ქულა საკმაოდ საკამათო ეპიზოდში მიიღო. ამაზე რას იტყვით, მსაჯებმა მართებული გადაწყვეტილება მიიღეს?**

— ლუკამ თავიდანვე „თავისი“ ჭიდაობა რომ ვერ მოახვია მეტოქეს თავს, დაიბნა და მეორე პერიოდში ძალიან ინერტული იყო. აქ მთავარი ფსიქოლოგიური მომენტი გახლდათ და კურტანიძე უკვე აღარ იყო მზად გამარჯვებისთვის. არადა, გაცალოვიც უძლიერესი სპორტსმენია. სხვა რომ არაფერი, კაცი ოლიმპიური ჩემპიონია. თუმცა, ლუკას ყურები არ ჩამოუყრია და იმის მერე გაიძახის, გაცალოვს მოგებულს არ დავტოვებო...

— **მსოფლიო ჩემპიონატის შემადგენლობაზე რას იტყვით?**

— ახალს არაფერს განვაცხადებ, თუ ვიტყვი, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე სუსტი სპორტსმენები არ არსებობენ. ახლაც ასე გახლდათ და ბუდაპეშტში ოლიმპიურმა ჩემპიონებმაც იჭიდავეს და მსოფლიო ჩემპიონებმაც. სხვათა შორის, იმასაც ვფიქრობდი, რომ სამი მედლის მოპოვების შემდეგ, საქართველოში აუცილებლად დაიწყებდნენ ლაპარაკს იმის შესახებ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე სუსტი შემადგენლობა იყო. ჩვენთან ყოველთვის ასე თვლიან — მოიგე? ესე იგი, სუსტი მეტოქე გყავდა...

— **თუმცა, მთავარი ვილაცის სიტყვები კი არა, შედეგია, რომლითაც უკმაყოფილო ნამდვილად არ იქნებით...**

— ბუნებრივია. 2001 წელს ამერიკაში გუნდური პირველობა მოვიპოვეთ, თუმცა, მაშინ ახლანდელზე ერთით ნაკლები მედალი გვქონდა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ისტორიულ წარმატებას მივაღწიეთ.

# „ნტნ“-ი ევროპის ორგზის ჩემპიონია



რამდენიმე დღის წინ, იტალიის ქალაქ სან-ვინსენტეში დასრულდა ჭადრაკში ევროპის საკლუბო ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის. აღნიშნული ტურნირი წელს მეათედ ჩატარდა და სიძლიერით ყველა წინამორბედს აჭარბებდა. საქართველოს წარმოადგენდნენ გუნდები — „ნტნ“ და „ია“, რომლებიც ოთხი წლის წინ, ცნობილი მოჭადრაკის ნანა ალექსანდრიას უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა. ქალთა გუნდ „ნტნ“-ის ღირსებას მაია ლომინეიშვილი, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ანა მათნაძე და თამარ წერეთელი იცავდნენ. რაც შეეხება ვაჟთა გუნდს, „ია“-ს შემადგენლობაში ზურაბ აზმაიფარაშვილმა, ზვიად იზორიამ, გია გიორგაძემ, მიხეილ მჭედლიშვილმა, მერაბ გაგუნაშვილმა, ლევან ფანცულაიამ და ვალერი გაფრინდაშვილმა ითამაშეს.

როგორც ხედავთ, ორივე ქართული გუნდი ძლიერი მოთამაშეებით გახლდათ დაკომპლექტებული. ეს, განსაკუთრებით, ვაჟთა გუნდზე ითქმის. თუმცა, საბოლოო ჯამში, „ია“ მხოლოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდა. რაც შეეხება „ნტნ“-ს, ჩვენებურებმა შესანიშნავად ითამაშეს, ევროპის ჩემპიონთა თასი შეინარჩუნეს და ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ. გუნდური პირველობის გარდა, საქართველოს გოგონებს პრიზები თავიანთ დაფებზე ნაჩვენები კარგი შედეგებისათვისაც გადაეცათ: ქუთაისელ ნანა ძაგნიძეს ოქროს მედალი ერგო, თელაველებს — ლელა ჯავახიშვილს და ანა მათნაძეს კი შესაბამისად — ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები.

ქალთა გუნდის კაპიტანი ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილია, მწვრთნელი კი დიდოსტატი ლაშა ჯანჯღავა.






# „ჩელსის“ უკვე ჩემპიონად აცხადებენ



ირლანდიურმა საბუკმეიკერო კანტორა Paddy Power-მა თავისი გადაწყვეტილების შესახებ გამოაცხადა. კანტორას განზრახული აქვს ინგლისურ პრემიერლიგაში ლონდონის „ჩელსის“ ჩემპიონობაზე დადებული ფსონები ახლავე გაანაღდოს. ეს იმის მიუხედავად, რომ ინგლისის ჩემპიონატი მხოლოდ მომავალი წლის მაისში მთავრდება და ჯერ კიდევ 31 ტურია გასამართი. Paddy Power-ი მზად არის ტურნირის ფინიშამდე შვიდი თვით ადრე გაანაღდოს ფსონები, რომლებიც მხოლოდ „არისტოკრატთა“ ჩემპიონობაზე გასულ ხუთშაბათამდეა დადებული.

— ჩვენც და ყველა სხვა ბუკმეიკერმა ვიცით, რომ საჩემპიონო რბოლა დასრულებულია. ასე რომ, დაე ყველამ, ვინც „ჩელსის“ ჩემპიონობაზე გააკეთა არჩევანი, ახლავე წაიღოს თავისი ფული, — განაცხადა კანტორის წარმომადგენელმა. რომან აბრამოვიჩის კლუბმა მართლაც შთამბეჭდავი სტარტი აიღო, პრემიერლიგის პირველი შვიდი შეხვედრიდან ყველა მოიგო და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. პირველობისთვის უმთავრეს კონკურენტებს — „არსენალსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ ლონდონელები 10 და 11 ქულით უსწრებენ. Paddy Power-ში იმედოვნებენ, რომ წელს უფრო გაუმართლებთ, ვიდრე 2002-2003 წლების სეზონზე, როდესაც ახლანდელივით წინასწარ გასცეს მოგება „არსენალის“ ჩემპიონობაზე დადებულ ფსონებზე და თანხის გაღება მეორედაც მოუხდათ(!), რადგან იმ სეზონში ჩემპიონი „არსენალი“ კი არა, „მანჩესტერი“ გახდა...

# ბოისა „მონტეპასკის“ ლიდერი ხდება

ვლადიმერ ბოისას სიენას „მონტეპასკიში“ გადასვლას ქართველი ქომაგიც და თავად კალათბურთელიც სიხარულით შეხვდნენ. ლუბლიანას „ოლიმპიაში“ გატარებული წლების შემდეგ, უფრო ძლიერ ლიგასა და კლუბში გადასვლა უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია და მით უფრო სასიხარულოა, ვოვამ ადვილად რომ დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში. რამდენიმე დღის წინ, იტალიურმა კლუბმა უდინეში გამართულ ტურნირში მიიღო მონაწილეობა, სადაც „მონტეპასკისთან“ ერთად, „ბარსელონა“, ცსკა და „ბენეტონი“ ასპარეზობდნენ. ყველაზე საინტერესო დაპირისპირება ტურნირის პირველივე დღეს შედგა. „მონტეპასკისა“ და „ბარსელონას“ დაპირისპირებაში „ქართული“ დერბი დაფიქსირდა — ბოისა შემონდ უილიამსის წინააღმდეგ.

უნდა ითქვას, რომ ზანგმა „ქართველმა“ ვოვას ორმაგად აჯობა. ჯერ ერთი, მატჩი „ბარსელონამ“ მოიგო, შემონდმა კი ბოისაზე ორჯერ მეტი — 14 ქულა ჩააგდო. სამწუხაროდ, სიენელებმა ტურნირის მეორე მატჩი თანამემულე „ბენეტონთანაც“ წააგეს 65:69, თუმცა, ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ბოისამ გაცილებით უკეთ ითამაშა და ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ თანაგუნდელებს შორის. საბოლოო ჯამში, ვლადიმერმა 11 ქულას მოუყარა თავი, ბოლო წუთებზე კი, ხუთი ჯარიმის გამო, მოედანს ნაადრევად გამოეთხოვა...

# რაულმა ლეგენდარული დი სტეფანოს რეკორდი დაამხო



მადრიდის „რეალის“ კაპიტანმა და სიმბოლომ — რაულ გონსალეს ბლანკომ თავისი 50-ე გოლი გაიტანა ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში, ჩემპიონთა ლიგაში. ამ მაჩვენებლით რაულმა ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანოს რეკორდი გააუმჯობესა, რომელსაც სამეფო კლუბის შემადგენლობაში, ჩემპიონთა თასზე 49 ბურთი ჰქონდა გატანილი. ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელმა საიუბილეო და სარეკორდო გოლის გატანა 28 სექტემბერს, ბერძნულ „ოლიმპიაკოსის“ წინააღმდეგ გამართულ მატჩში მოახერხა. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩატარებული შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:1 დასრულდა, ანგარიში კი სწორედ რაულმა გახსნა და ისტორიაშიც შევიდა.

# ბრიტანეთში ფილმ „გოლის“ პრემიერა გაიმართა

პარასკევს ბრიტანეთის კინოთეატრებში დიდი ხნის ნანატრი ფილმის — „გოლის“ პრემიერა შედგა, რომელიც თანამედროვე ფეხბურთს ეძღვნება. ეს არის ღარიბ მექსიკელ ბიჭზე გადაღებული ტრილოგიის პირველი ნაწილი და მასში ეპიზოდურ როლებს დევიდ ბექჰემი, ალან შირერი და ზინედინ ზიდანი ასრულებენ. იმის მიუხედავად, რომ ფეხბურთი სპორტის საკმაოდ დრამატული სახეობაა, მან აქამდე ვერ ჰპოვა სერიოზული ასახვა კინოეკრანებზე. იმ ფილმებში კი, რომლებიც საფეხბურთო თემებს ასე თუ ისე ეხმიანებიან (მაგალითად, „ითამაშე, როგორც ბექჰემმა“), რეჟისორები, ძირითადად, თამაშის სოციალურ ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას. როგორც იქნა, ჰოლივუდი ისტორიაში პირველად შეუდგა კინოფილმის გადაღებას, რომელიც მთლიანად ფეხბურთისადმი იქნება მიძღვნილი. ეპოპეა, რომლის ბიუჯეტმაც 100 მილიონი დოლარი შეადგინა, საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციასთან ერთად შეიქმნა. პროდიუსერებს კი სათავეში არაერთი „ოსკარის“ მფლობელი — ლორენს ბენდერი ჩაუდგა და პირობაც დადო, რომ „ყველაზე მაგარ ფილმს“ გადაიღებს ყველაზე პოპულარულ თამაშზე.

„გოლი“ პატარა ბიჭუნას თავგადასავალს მოგვითხრობს, რომელიც საკუთარ თავზე გამოცდის მსოფლიო ფეხბურთის პერიპეტიებს. პირველ ნაწილში, 10 წლის მექსიკელი აშშ-ში გაემგზავრება სათამაშოდ, იქ კი ინგლისური „ნიუკასლის“ წარმომადგენლის ყურადღების ცენტრში მოექცევა და ბრიტანეთს მიაშურებს. ფილმის მეორე ნაწილში პატარა ფეხბურთელი ესპანეთში გადაბარგდება, ტრილოგიის მესამე ნაწილში კი გერმანიაში, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე აღმოჩნდება...

*გვერდი მოამზადა რატი შელეგიამ*




# სანამ რეჰაგელი ჩამოვიდოდეს...



ქართველ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი წარუმატებელი ციკლის დასკვნითი მატჩებისთვის ემზადება. 8 ოქტომბერს ყაზახებს დავუხვდებით ცარიელი ტრიბუნების წინ, სამიოდე დღეში კი ევროპის მოქმედ ჩემპიონებთან — ბერძნებთან დავასრულებთ შესარჩევ ეტაპს. ჩვენი გუნდისთვის დარჩენილი მატჩები არაფერს ცვლის და რაც ყველაზე სამწუხაროა, ვერც ვერავინ უპასუხებს წლების მანძილზე ქართული ფეხბურთის თავზე დამოკლეს მახვილივით ჩამოკიდებულ კითხვას — რა გველის მომავალში?..

დიდი ხანია ლაპარაკობენ იმაზე, რომ ქართული ფეხბურთი მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ ალორძინდება და „გადაბრუნებული ურმის“ ფეხზე დაყენებას სახელმწიფოს ძალისხმევა სჭირდება. მუშავდება და იქმნება გრანდიოზული პროგრამები (რომელიც გულშემატკივარს თვალითაც არ უნახავს?!), — იგეგმება „მსოფლიო“ მასშტაბის პროექტები (სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!), მაგრამ განვლილმა წლებმა დაადასტურა, რომ მთავრობის უხილავ კაბინეტებში შემუშავებული ქართული ფეხბურთის გადარჩენის პროგრამა უდაბნოს ხვატში გაჩენილ მირაჟს ჰგავს, რეალობა კი ის არის, რაც საქართველოს ნაკრებს კოპენჰაგენში დაემართა, როცა დანიამ ჩვენს უპირველეს გუნდს და ქვეყნის სახეს 6:1 „გადაურბინა“...

როდემდე გაგრძელდება ასე? საქართველოში ამის პასუხს ვერავინ გაგცემთ — ვერც ფეხბურთის ფედერაციის ახალი თავკაცი, ვერც დამწყები თუ ვეტერანი ფეხბურთელი და ვერც ქვეყნის პრეზიდენტი.

საქართველოში წარსულის დიდებით ცხოვრობენ და ჯერაც ჰგონიათ, რომ „ნახალოვკაში“ ან „ხარფუხში“ გაგორებული ეზოს ფეხბურთით, დანიას თავი დავანებოთ, თუნდაც ალბანეთის ნაკრებს დაამარცხებ; საქართველოში ჯერაც ჰგონიათ, რომ ფეხბურთი მარტო სამთავრობო ლოჟიდან დანახული სპორტის სახეობაა, სადაც დერეფანს ხელკეტებით შეიარაღებული მცველები გიხსნიან და არც სანახაობისთვის სრულიად შეუსაბამო თანხებს გახდევინებენ ბილეთში; საქართველოში ჯერაც ჰგონიათ, რომ ფედერაციის პრეზიდენტობისთვის თუნდაც იმიტომ უნდა იბრძოლო, რომ სატრანსფერო გარიგებებიდან მილიონები „მოტეხო“ და ვიდრე რომელიმე ნიჭიერ ქართველ ვარსკვლავს ევროპულ კლუბებში სათამაშოდ ძალა ეყოფა, მისი სოლიდური ხელფასის მცირე(?!) ნილშიც იჯდე (ეს მცირე ნილიც საბოლოო ჯამში მილიონებს უტოლდება!)..

საქართველოში ჯერაც ბევრი რამ ჰგონიათ...

## „ვაჰ, დრონი, დრონი!“

ამას წინათ, ვიდრე საქართველოს ნაკრები ამ შესარჩევი ციკლის გადამწყვეტ შეხვედრას წააგებდა და ამით გულშემატკივარს მორიგ ილუზიებს მოუსპობდა, იმავე სამთავრობო ლოჟაში ჩვენი ხელისუფლების ყმაწვილი მაღალჩინოსნებისგან „გენიალური სიბრძნე“ მოვისმინე: — როგორ უნდა მოვუგოთ, მათ მწვრთნელს იმდენი ფული აქვს, ამათ რომ არ დაესიზმრება, ხომ ვამბობდით, მოეწვიათ ოტო რეჰაგელი, გადაეხადათ მილიონები და ჩვენც გავხდებოდით ევროპის ჩემპიონებიო...

იმის დასამტკიცებლად, რომ მარტო ფულით არ მიიღწევა ჩემპიონობა და აღიარება, იმ მაღალჩინოსნებს არცთუ ისე შორეულ წარსულში გადავახედებ:

1981 წლის აგვისტოს ბოლოს თბილისის „დინამო“ ესპანეთის ოთხთა ტურნირში მიიწვიეს, სადაც ქართველთა გარდა მონაწილეობდნენ მადრიდის „რეალი“, მიუნხენის „ბაიერნი“ და ალკმაარის „აზ-67“. თბილისის „დინამო“ პირველ მატჩში „რეალს“ დაუპირისპირდა და 100-ათასიანი „სანტიაგო ბერნაბეუ“ გაოგნებული დატოვა. ქართველები კარგა ხნის მანძილზე უგებდნენ მილიონერებით გადაჭედილ სამეფო კლუბს მათივე გულშემატკივრების თვალწინ და ესპანელებმა, სხვა რომ ველარაფერი დაუპირისპირეს „დინამოელებს“, ჯერ ყიფიანს მოტეხეს ფეხი, ბოლო წუთებზე კი არბიტრის ტენდენციურობის წყალობით შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრეს. ამ მატჩში გუცაევმა რაც გააკეთა, ბევრისმნახველ „ბერნაბეუსაც“ არ ახსოვს: ცენტრიდან წაიღო ბურთი, არნახული სისწრაფის „სლალომით“ ნახევარი „რეალი“ დააწვინა, მეკარეც ზედ მიაყოლა და ვიდრე გოლს გაიტანდა, ზედ კარის ხაზთან, პენალტის „ხარჯზე“ წააქციეს...

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ქართველების პირისპირ მიუნხენის „ბაიერნი“ დადგა. გერმანულ კლუბში, სხვებს რომ თავი დავანებოთ, რუმენიგე და ბრაიტნერი გამოდიოდნენ. „დინამოელებმა“ ისევ გააოგნეს გულშემატკივარი, გუცაევმა კი კიდევ ერთხელ ჩაატარა „რეალთან“ განხორციელებული „სლალომი“, ამჯერად ძელიდან ასხლეტილ ბურთს შენგელიამ მიუჩინა ადგილი მეტოქის კარში...

„ბაიერნის“ ვარსკვლავთკრებული „აიჭრა“. ქართველებმა წარმოუდგენელი „თავხედობა“ გამოავლინეს და მეტოქეს თითქმის ათი წუთის(!) განმავლობაში ბურთი დაუმალეს: „კვადრატი“, „სამკუთხედი“, „ფინტი“... სახელგანთქმული გერმანელები პატარა ბიჭებივით დასდევდნენ ქართველებს ბურთის ხელში ჩასაგდებად და ამას ვერ ახერხებდნენ. მერე სახეშეშლილი ბრაიტნერი არბიტრს მივარდა და უშვერი სიტყვებით გამოლანძღა, მსაჯმა წითელი ბარათი აუფრიალა, ბრაიტნერს რუმენიგე გამოესარჩლა და გუნდი მოედნიდან გაიყვანა. პირველი ტაიმის დამთავრებამდე რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი. — როგორც ჩანს, გერმანელები მიხვდნენ, რომ „დინამო“ მათ საშინელი ანგარიშით დაამარცხებდა და კატასტროფის თავიდან ასაცილებლად მოედნიდან გაქცევა არჩიესო, — დაწერს მეორე დღეს ესპანური პრესა.

ყველაზე საოცარი კი შემდეგ მოხდა: ქართველთა გასახდელთან ჩოჩქოლი ატყდა, პოლიციამ დერეფანი გააკეთა და ცოცხალ კოჰორტაში სამეფო კლუბის პრეზიდენტმა სანტამარიამ შემოაბიჯა. მდიდრულად გამოწყობილმა ესპანელმა ქართველთა გასახდელის კარი მოკრძალებულად შეაღო, ნოდარ ახალკაცისკენ გაეშურა, ხელი ჩამოართვა და კარგა ხანს უხდიდა მადლობას ამ პრესტიჟულ ტურნირზე ბრწყინვალე გუნდის ჩამოყვანისთვის. შემდეგ „დინამო“ დაჯილდოების ცერემონიალზე მიიწვია და იქვე, ყველას გასაგონად მთავარი სათქმელი გაახმიანა: — მე ახლა წინადადებით მოგმართავთ და ბედნიერი ვიქნები, თუ საერთო ენას გამოვნახავთ, რადგან ეს იქნება ჩემს კარიერაში ყველაზე წარმატებული ოპერაციაო(!)... ვერავინ გაიგო, რა სურდა „რეალის“ პრეზიდენტს. სანტამარიამ თანაშემწეს უხმო, რაღაც ქაღალდები და საბანკო ჩეკების წიგნაკი მოატანინა და თარჯიმანს ათარგმნინა: — ეს საკონტრაქტო ფურცელია, ეს კი სამეფო კლუბის საბანკო რეკვიზიტები. როგორც ხედავთ, სატრანსფერო ანაზღაურების გრაფა ცარიელია, ჩაწერეთ შიგ თქვენთვის სასურველი თანხა, ოღონდ დაგვითმეთ ვლადიმერ გუცაევი(!)... მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი ჯერ არნახულ გარიგებას სთავაზობდა ქართული ფეხბურთის ყველაზე წარმატებულ თავკაცს. გაიღიმა ახალკაცმა, გაიღიმა გუცაევმაც, არ გაღიმებია მხოლოდ საბჭოთა სუკის თანამშრომელს, ახალკაციდან ორიოდე ნაბიჯის მოშორებით რომ ატუზულიყო... ვერაფრით გაეგო სანტამარიას, რატომ ამბობდა უარს არნახულ შეთავაზებაზე ღარიბი საბჭოთა გუნდის თავკაცი... დინჯად ალაპარაკდა ახალკაცი, დინჯად დაუდასტურა გუცაევმაც, სხაპასხუპით თარგმნა თარჯიმანმაც: — თანხაზე საუბარიც კი უხერხულია, რადგან... გუცაევი არ აპირებს მშობლიური კლუბის მიტოვებას და უცხოეთში გადაბარგებასო... როგორც იქნა, სუკის თანამშრომელმაც გაიღიმა...

პირველად გაწბილდა „რეალის“ პრეზიდენტი, მაგრამ ერთხელაც სცადა: — თუ ფულზე ლაპარაკი უხერხულად მიგაჩნიათ, ორი გამორჩეული „ვარსკვლავი“ მყავს „რეალში“, ორი ლიდერი — ხუანიტო და სანტილიანა, მათ დაგითმობთ და გუცაევი დაგვიტოვეთო!..

ისევ უხერხული ღიმილი და...

სანტამარიას მილიონები და „ვარსკვლავები“ დარჩა, „დინამოს“ კი გუცაევი და უზარმაზარი ავტორიტეტი. დაჯილდოების ცერემონიალზე ხუთიდან სამი პრიზი ქართველებმა წამოიღეს: III ადგილისთვის დაწესებული თასი, საუკეთესო ბომბარდირის პრიზი რამაზ შენგელიას და...

ყველაზე ბოლოს ტურნირის საუკეთესო მოთამაშე დასახელდა. ფეხზე წამოიშალა „სანტიაგო ბერნაბეუ“, პრიზი ვლადიმერ გუცაევმა ჩაიბარა(!).

მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის ბომბარდირი და ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი რამაზ შენგელია იტყვის: — რაღა არ მინახავს, სადღა ან ვის წინააღმდეგ არ მითამაშია, მაგრამ ისეთ ფანტასტიკურ ფეხბურთს, როგორიც გუცაევმა აჩვენა მადრიდში, არასოდეს შევსწრებივარო...

## ეპილოგის მაგიერ

ახლა როგორ მოვიქცეთ? ჩამოვიყვანოთ რეჰაგელი და ვუხადოთ მილიონები, რომ დაქცეული ქართული ფეხბურთი როგორმე ევროპაში გაათრიოს თუ ისევ გავაგრძელოთ 1:6-ები იმ დანიასთან, გუცაევი და მისი თანაგუნდელები სადაც ხელს დაადებდი, იქ რომ მოუგებდნენ?!.

ფეხბურთი მარტო სამთავრობო ლოჟიდან მშვიდად ცქერა არ არის! ფეხბურთი სატრანსფერო მილიონებიდან წილების მოტეხვით ვერ განვითარდება!.. ფეხბურთი ნიჭია უპირველესად და ამ ნიჭს ხელშეწყობა უნდა, მოძიება, გზის გაკვალვა და დაფასება სჭირდება...

არ იყვნენ გრანდების მძლეველი გუცაევი და შენგელია მილიონერები, მაგრამ სამეფო კლუბის პრეზიდენტს „აგიჟებდნენ“.

რაზე ლაპარაკობთ მაღალჩინოსნებო, როცა ბავშვთა ფეხბურთში მწვრთნელები შეგირდებს ფულის მიტანას სთხოვენ, მსაჯს უნდა მივცეთ, რომ თამაშზე არ „დაგვწვასო“...

ამას მიხედეთ, თორემ რეჰაგელი ვიდრე საქართველოში ჩამოვა, მანამდე ბევრი წყალი ჩაივლის...

*ზვიად სეხნიაშვილი*

## „მხიარული ჩემპიონები“

სპორტული ასპარეზობები სხვა არაფერია, თუ არა მწვავე, დრამატული მომენტები და პირველობისკენ სწრაფვა, მაგრამ ამგვარი დაძაბულობის ფონზეც ხშირია ისეთი კურიოზული სიტუაციები, რომლებიც შესაძლოა ნებისმიერ სპორტსმენს (მათ შორის, საქვეყნოდ აღიარებულსაც) შეემთხვეს და წლების შემდეგაც კი ღიმილი მოგვგვაროს. ვფიქრობთ, „კვირის პალიტრის“ მიერ შემოთავაზებული „კურიოზული ფოტოგალერეა“ მხიარულ განწყობაზე დაგაყენებთ.







WWW.EXPOGEORGIA.GE
CAUCASUS BUILD 2005
CAUCASUS BUILD 2005 FALL
მშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინისა და რეკონსტრუქციის
მე-10 საერთაშორისო სპეციალიზირებული გამოფენა
12-15 ოქტომბერი
პავილიონები: 4, 5, 6, 11
ორგანიზატორი: ექსპოჯორჯია
Expo Georgia
საქართველო, 0119, თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 118
ტელ/ფაქსი: (995 32) 958306, 942028
E-mail: expo@expogeorgia.ge

## ფოტო განწყობისთვის



— პაპამ, გოდორი არ მომიცდინოთ!..



**თარაზულად:** 1. ფრინველთა ჭიკჭიკი; 5. ინდიელთა ბელადი; 8. შაქრის ლერწმის საჭრელი დიდი დანა; 9. დიდი მოცულობის თხრობითი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსაც ახასიათებს რთული სიუჟეტი; 10. გარეული მტრედი; 11. რომის იმპერატორი; 12. შეუსაბამობა, უაზრობა; 16. არაბული ქვეყანა; 17. ბულგარეთის დედაქალაქი; 18. მუსლიმანთა ღმერთი; 19. ბრაზილიური ცეკვა; 21. ფინეთის პარლამენტი; 24. ბამბუკის დათვი; 27. კვიპროსის დედაქალაქი; 29. თონეში ლავაშის ჩასაკრავი ბალიში; 30. ფეხმძიმობის ხელოვნური შეწყვეტა; 31. მუსიკალური ნაწარმოები ერთი ან ორი საკრავისთვის; 32. გეომეტრიული ფიგურა, ერთგვარი ჩაკეტილი მრუდი; 33. რაიმე ტექსტიდან უცვლელად, სიტყვა-სიტყვით მოყვანილი ადგილი; 34. ყველაფრისადმი გულგრილობა, უინტერესობა.

**შვეულად:** 2. ხუროთმოძღვრების ძეგლი აღმოსავლეთ საქართველოში; 3. გვერდზე ცურვის ხერხი; 4. ხეივანი, პროსპექტი ესპანეთის, პორტუგალიის და ლათინური ამერიკის ქვეყნების ქალაქებში; 5. კოშკის ან კედლის ძველებური საათი; 6. ესპანური ფართოფარფლიანი ქუდი; 7. საკათედრო ტაძრის მღვდელი კათოლიკურ ეკლესიაში; 13. გრძელი ჭოკი, რომლითაც თოკზე მოსიარულე ჯამბაზი იცავს წონასწორობას; 14. საფეხბურთო ასოციაციათა ევროპის კავშირი; 15. ძირითადი, გაბატონებული იდეა; 20. აფრიკაში გავრცელებული ერთგვარი უკუდო მაიმუნი; 22. წარმოსახვითი ხაზი, რომელიც გარს უვლის დედამიწას და ყოფს მას ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებად; 23. სტადიონი რიო-დე-ჟანეიროში; 25. რიტმული ტანვარჯიში; 26. კბილის ექიმი; 27. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; 28. ეკლესიიდან განდევნა.

*შეადგინა ვანო კაჭახიძე*

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 7. ედემი; 8. აშული; 9. სილვა; 10. ულისე; 11. პროტეუე; 14. აპოგეა; 17. მატისი; 20. ჩარტერი; 21. ბოინგი; 22. ნარინი; 23. ომი; 24. მერინოსი; 26. ტრილოგია; 27. უხა; 28. სიგარა; 30. ტრაქეა; 31. პლაჩიდო; 33. რეგიონი; 36. ობოლაძე; 37. იმამატი.

**შვეულად:** 1. ჩელესტა; 2. ვეჩელიო; 3. პიჯრა; 4. ნანდუ; 5. ტუგრიკი; 6. ბიშკეკი; 11. პაჩინკო; 12. ტატამი; 13. ემინემი; 15. პნომპენი; 16. გენეტიკა; 18. ტერაკოტა; 19. სანიკიძე; 25. იუტა; 26. ტახი; 29. აპერკოტი; 30. ტორიჩელი; 32. ჩაი; 34. გლოსა; 35. ოტავა.

3/X

ახალი მთვარე




## პატარა დაკოტამ ჰოლივუდი დაიპყრო



დღეს 11 წლის დაკოტა ფენინგი ჰოლივუდის ყველაზე იღბლიანი მსახიობია. ფილმებმა, რომლებშიც ის მონაწილეობს, ოთხი წლის განმავლობაში 500 მილიონი დოლარი შეაგროვა. ბოლო ბლოკბასტერში, „სამყაროთა ომში", ფენინგმა, კრიტიკოსების აზრით, თავისი სახელგანთქმული პარტნიორი, ტომ კრუზი დაჯაბნა. დაკოტას ტალანტს მაღალი შეფასება მისცა კურტ რასელმა: „მერილ სტრიპთან და სხვა ბევრ წამყვან მსახიობთან მითამაშია, მაგრამ დაკოტამ გამაოგნა. ის უნიჭიერესი გოგონაა.

დაკოტას მამა ელექტრომექანიკოსია, დედა კი დიასახლისი. მშობლებმა შვილს მსახიობური მონაცემები შეამჩნიეს თუ არა, მაშინვე ადგილობრივ დრამწრეში მიიყვანეს. დაკოტას თამაშმა ყველა ალაფრთოვანა. მოგვიანებით ლოს-ანჯელესში ათას კონკურენტთაგან სწორედ ის შეარჩიეს „ტაიდის" რეკლამაში გადასაღებად. მერე პოპულარულ ტელესერიალებში ილებდნენ. სულ მალე ფილმში „მე სემი ვარ" მთავარი როლი ითამაშა შონ პენსა და მიშელ პფაიფერთან ერთად. ხოლო ფილმში „მრისხანება" დენზელ ვაშინგტონთან ერთად მონაწილეობს.

შვილის ნიჭით გამდიდრებულმა მშობლებმა სახლი ლოს-ანჯელესში შეიძინეს. გოგონა სკოლაში არ დადის, მას შინ ასწავლიან. დაკოტა ამბობს, ნორმალური გოგო ვარო, მაგრამ მსოფლიოში ჯერ არც ერთ ნორმალურ. 11 წლის გოგოს მსახიობობით 4 მილიონი დოლარი არ მიუღია.

## წამალი „სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის და შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, აძლიერებს იმუნიტეტს. ხელს უშლის მიკროორგანიზმების ზრდას. მას იყენებენ მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, კოლპიტის, პროსტატიტის, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ნეფრიტის, ჰეპატიტის, რადიკულიტის, ბუასილის მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის და სხვა ჩირქოვანი ანთებითი პროცესების დროს. მშობიარობის შემდეგ, პროფილაქტიკის მიზნით, „სალხინო-ს" მიღება აგაცილებთ მასტიტს და შეგინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. მასტოპათიების შემთხვევაში უნარი აქვს გაიწოვოს ჯირკვლოვანი წარმონაქმნები და მოხსნას ტკივილები. „სალხინო-ს" აღნიშნული თვისებები შესწავლილია სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. პრეპარატ „სალხინო-ს" მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტი და ლიცენზია. *იკითხეთ აფთიაქებში.*

## კიდმანი უცნობი ბავშვის სიცოცხლისთვის იბრძვის



თურმე ჰოლივუდის ულამაზესი მსახიობი ნიკოლ კიდმანი მაქსიმალურად ცდილობს, სიცოცხლე გაუხანგრძლივოს კიბოთი დაავადებულ 6 წლის დილან პარტინგს. ბავშვის ამბავი ნიკოლმა პრესიდან შეიტყო და ძალიან შეწუხდა. ამჟამად დილანს მკურნალობის სპეციალური კურსი უტარდება ნიუ-იორკის ერთ-ერთ კლინიკაში. მსახიობი კვირაში ორჯერ ნახულობს პატარა პაციენტს და მკურნალობის ხარჯებსაც მთლიანად იხდის.

დილანის მშობლები გაოგნებული არიან: — არ გვეგონა, თუ ცნობილი კინოვარსკვლავი ასეთი გულისხმიერი ადამიანი იქნებოდაო...

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54

რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com

www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა"

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".